

1954/4



მნათობი

1 114 / 4

12

20088060



1954



მნათობი

5089

უმველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეთერთმეტი

12



★

დეკემბერი



მაბჟოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საბჭოთა შერატების შეორე სრულიად საკავშირო ყრილობას

მსბტპრული ლიტმრბტშრა

ნიკოლოზ ტბონოვი — სახლი გორში, ლექსი, თარგმანი ვ. ბაიბაძისა	9
პავლო ტჩინა — ბელადის სამშობლოს, ლექსი, თარგმანი ვ. ბაიბაძისა	10
ხარტონ ვარდოშვილი — 21 დეკემბერი, ლექსი	11
ვიორგი კაკაბიძე — სტალინი, ლექსი	12
ელიზბარ უბილავა — ცისკრის ზარი, მოთხრობა	13
გრიგოლ იმედაძე — განთიადის წინამორბედი, ლექსი	19
ვასილ გვიტაძე — კიროვის სახლში, ლექსი	21
შალვა დადიანი — მენჯი-რობუ, რომანი, გაგრძელება	23
პაოლო იაშვილი — კარგი დარი, ბავშვები, შორეული ზამთარი, ლექსი	56
ტიციან ტაბიძე — დალესტნის გაზაფხული, ლექსი	57
გრიგოლ ძოწენიძე — დაკარგული ბუკედი, მოთხრობა	59
ელიზბარ ზედეინიძე — კოლექტიური შრომის ზეიმი, ნარკვევი	81
გრიგოლ ბერძენიშვილი — ჩეენს სოფელში, პიესა, დასასრული	91
მარკ ტვენი — როგორ მიჩნევენ გუბერნატორად, მოთხრობა, თარგმანი ინგლისურიდან ე. ლ. გუჯ. მალრაძისა	121

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

პეტრე ბახტურიძე — ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მხატვრული ლიტერატურის შე-სახებ, წერილი	125
ზურაბ ჭუმბურიძე — სალიტერატურო ენის ხალხურობისათვის, წერილი	143

ბიბლიოგრაფია

სოლომონ ცაიშვილი — წიგნი აკაცი წერეთელზე	153
შ. კახაბერიძე — რუსთაველის ხალხური ბიოგრაფიის მასალები	155
ვ. ხუხაშვილი — „ახალი პორიზონტის“ შეორწე წიგნი	157

რედაქტორი

ალიო მირცხულავა

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პალუხისმგებელი მდიანი), დიმიტრი ბანაშვილი, ნიკო კაცხოველი, სანდრო ზანთიაშვილი, ოთარ ჩხიძე, სერგი ბილიაი.

ხელმოწერილი დასაბუქდლ 25/XII-54 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. უმ 15490. შეკვეთის ნომერი 859. ტირაჟი 5300.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს შთავარბოლიგრაფიამომცემლობის ბეკდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.



საქართველოს
საქმიანობის



საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობას



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობას და მისი სახით გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მძლავრი ლიტერატურის ყველა წარმომადგენელს.

კომუნისტური პარტია დიდად აფასებს საბჭოთა ლიტერატურის დიდ როლს ახალი ადამიანის აღზრდაში, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებაში, კომუნისმის აშენებისათვის ბრძოლაში.

მწერალთა პირველი ყრილობის შემდეგ განვიღო წლებში საბჭოთა ლიტერატურამ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა. შეიქმნა მხატვრული ნაწარმოებნი, რომლებითაც მართლად აისახა სოციალიზმის მშენებლობის პათოსი, საბჭოთა პატრიოტების უმაგალითო გმირობა დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში, ჩვენი ხალხის შრომითი გმირობა მეურნეობის ომის შემდგომი აღდგენისათვის ბრძოლაში. და ლიტერატურას ჯერ კიდევ არასოდეს არა ჰყოლია კეთილმოსურნე და გულისხმიერ მკითხველთა ისეთი ფართო წრე, როგორც ჩვენს საბჭოთა ლიტერატურას ჰყავს.

საბჭოთა რესპუბლიკების სწრაფმა ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა აღმავლობამ გამოიწვია სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის აყვავება. ეროვნული ლიტერატურის განვითარება და ურთიერთ გამდიდრება წარმოებს ყველა მოძმე რესპუბლიკის მწერალთა მკვიდრო თანამშრომლობით. საბჭოთა კავშირში შეიქმნა დიდი ისტორიული მნიშვნელობის მრავალეროვანი მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ახორციელებს ჩვენი დროის მოწინავე იდეებს.

ამ წლებში გაიზარდა საბჭოთა ლიტერატურის საერთაშორისო ავტორიტეტი, განუსაზღვრელად გადიდა მის მკითხველთა წრე საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. საბჭოთა ლიტერატურამ მოიპოვა მილიონობით საზღვარგარეთელი მკითხველის აღიარება იმით, რომ იგი ყოველთვის გამოდის მშრომელთა ინტერესების დასაცავად, წინააღმდეგ კაცთმოძულე იმპერიალისტური იდეოლოგიისა იცავს ჰუმანიზმის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლის იდეებს, გამსჭვალულია კაცობრიობის ნათელი მომავლისადმი ოპტიმისტური რწმენით.

საბჭოთა მწერლებს მათს შემოქმედებითს მოღვაწეობაში აღაფრთოვანებს კომუნისმისათვის, ხალხთა მასების ნამდვილი თავისუფლებისა და ბედ-

ნიერებისათვის, ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის დიადი იდეები.

საზოგადოებისაგან ლიტერატურის „დამოუკიდებლობის“ ყალბ დასაცავად სველურ ბურჟუაზიულ ლოზუნგს, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ყალბ კონცეპციებს ჩვენი მწერლები სიამაყით უპირდაპირებენ მშრომელთა ინტერესებისათვის, ხალხის ინტერესებისათვის სამსახურის თავიანთ მაღალ იდეურ პოზიციებს.

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა მოწოდებულა განიხილოს შემოქმედების უმნიშვნელოვანესი საკითხები, დასახოს ახალი მწვერვალებისაკენ ჩვენი ლიტერატურის შემდგომი სვლის გზები.

დიდებული ამოცანები დგას ამჟამად ჩვენი ქვეყნის წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე. სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მიერ მოპოვებულ წარმატებათა საფუძველზე ხორციელდება გრანდიოზული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ყოველმხრივი განვითარება, რაც საჭიროა სოციალისტური საზოგადოების განმტკიცებისა და სოციალიზმიდან კომუნისმზე თანდათანობით გადასვლისათვის. სულ უფრო ფართო საერთაშორისო ასპარეზზე ვითარდება და ახალ უფრო მაღალ სტადიაში გადადის შეჯიბრება სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, რომლის აგრესიული და რეაქციული წრეები მზად არიან ძალადობის გზით შეუშალონ ხელი სოციალიზმის ძალების ზრდას და ხალხთა მისწრაფებას კაპიტალის უღლისა და კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისაკენ. ამ პირობებში განუხომლად იზრდება საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის საზოგადოებრივ-გარდამქმნელი და აღმზრდელობით-აქტიური როლი.

საბჭოთა ლიტერატურა, ისევე როგორც ხელოვნების ყველა სხვა სახეობა, მოწოდებულია ადაფრთოვანოს საბჭოთა ადამიანები შემოქმედებითი შრომისათვის და ამ გზაზე არსებულ ყველა სიძნელეთა და ნაკლოვანებათა გადალახვისათვის, კომუნისმის აშენების საქმისათვის.

საბჭოთა ხალხი თავისი მწერლებისაგან მოელოს, რომ ისინი შექმნიან მართალ და მკაფიო სახეებს ჩვენი სახელოვანი თანამედროვეებისას, რომლებიც წყვეტენ მძიმე ინდუსტრიის — მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების საფუძვლისა და ჩვენი სამშობლოს ზღუდეების მიუვალობის გარანტიის — განუწყვეტელი ზრდის კოლოსალურ ამოცანებს; ჩვენი თანამედროვეებისას, რომლებიც აშენებენ გიგანტურ ელექტროსადგურებს, აუმჯობესებენ მშენებლობის მეთოდებს, ეწევიან მილიონობით ჰექტარი უამირი მიწებისათვისებას, იბრძვიან მთელი სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სახალხო მოხმარების პროდუქტებსა და საქონელზე მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მწერლებს ღრმად შეისწავლონ სინამდვილე მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად დაუფლების საფუძველზე, რაც შესაძლებელს ხდის მთელი

სიართულით და სისრულით ვხედავდეთ ცხოვრების ნამდვილ სიმატლეს, როგორც იგი გვევლინება თანამედროვე საერთაშორისო პირობებში, მშვენიერების ბანაკსა და სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკს შორის გაჩაღებული ბრძოლის პირობებში, გვესმოდეს განვითარების პროცესები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხდება და რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, გვესმოდეს ჩვენი საზოგადოების ზრდის კანონზომიერებანი და პერსპექტივები, ვამყარებდით ცხოვრების წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს. საბჭოთა ხალხს სურს თავისი მწერლების სახით ხედავდეს მგზნებარე მებრძოლებს, რომლებიც აქტიურად იჭრებიან ცხოვრებაში, ეხმარებიან ხალხს აშენოს ახალი საზოგადოება, სადაც საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო წარმოიხდება სრულ ნაკადად, სადაც აღიზრდება ახალი ადამიანი, რომლის ფსიქოლოგია თავისუფალი იქნება კაპიტალიზმის გადმონაშთებისაგან. ჩვენი მწერლები მოწოდებული არიან აღზარდონ საბჭოთა ადამიანები კომუნიზმისა და კომუნისტური მორალის იდეების სულისკვეთებით, ხელი შეუწყონ პიროვნების ყოველმხრივ და პარმონიულ განვითარებას, მშრომელთა ყველა შემოქმედებითი მონაცემისა და ნიჭის სრულ გაფურჩქვნას. საბჭოთა მწერლების ვალია შექმნან მართალი ხელოვნება, დიდი აზრებისა და გრძნობების ხელოვნება, რომელიც ღრმად გამოაყლინებს საბჭოთა ადამიანების მდიდარ სულიერ სამყაროს, თავიანთი გმირების სახეებით განახორციელონ მათი შრომითი მოღვაწეობის, საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების მთელი მრავალფეროვანება განუყოფელ ერთიანობაში. ჩვენი ლიტერატურა მოწოდებულია არა მარტო ასახავდეს ახალს, არამედ ყოველი ღონისძიებითაც ეხმარებოდეს მის გამარჯვებას.

ლიტერატურის მნიშვნელოვანი და საპატიო ამოცანაა აღზარდოს ახალგაზრდობა, ახალგაზრდა მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები, საბჭოთა არმიის მეომრები შრომისადმი სიყვარულის, მხნეობის, უშიშარობის, ჩვენი საქმის გამარჯვებისადმი რწმენის სულისკვეთებით, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, იმის სულისკვეთებით, რომ მუდამ მზად იყონ გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ იმპერიალისტ აგრესორებს, თუ ისინი შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი ხალხების მშვიდობიანი შრომა.

იმ პერიოდში, როცა აგრესიული იმპერიალისტური წრეები კვლავ აგროვებენ და აღორძინებენ განადგურებული გერმანული ფაშიზმის ძალებს, საბჭოთა ლიტერატურა განზე ვერ გაუდგება ბრძოლას ძველი სამყაროს რეაქციული ძალების წინააღმდეგ. საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა მოწოდებულია მთელი რევოლუციური მგზნებარებით აღზარდოს და განამტკიცოს საბჭოთა ადამიანების პატრიოტული გრძნობები, განამტკიცოს ხალხთა მეგობრობა, ხელი შეუწყოს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის შემდგომ დარაზმვას, დანერგოს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მშრომელთა ძმური სოლიდარობის გრძნობები. საბჭოთა მწერლების ვალია უფრო მაღლა აღმართონ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების დარაზმვისათვის

ბრძოლის დროსა ხალხთა უშიშროების ინტერესებისათვის, ამხილონ და დაგმონ დანაშაულებრივი გეგმები იმპერიალისტებისა, რომლებიც მსუქრებიან გაჩაღონ ახალი მსოფლიო ომი.

საბჭოთა მწერლები, განაგრძობენ რა რუსული და მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს, შემოქმედებითად ავითარებენ სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, რომლის ფუძემდებელი იყო დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი, მისდევენ ვლადიმერ მაიაკოვსკის საბრძოლო პოეზიის ტრადიციებს. სოციალისტური რეალიზმი ხელოვანისაგან მოითხოვს სინამდვილის მართალ, ისტორიულად კონკრეტულ გამოსახვას მის რევოლუციურ განვითარებაში. იყო სოციალისტური რეალიზმის ამოცანების სიმალლზე იმას ნიშნავს, რომ გქონდეს ადამიანების ნამდვილი ცხოვრების, მათი გრძნობებისა და აზრების ღრმა ცოდნა, გამოიჩინო ღრმა გულისხმიერება მათი განცდებისადმი და შეგეძლოს ასახო ეს წარმტაცი გასაგები მხატვრული ფორმით, რომელიც შეეფერება რეალისტური ლიტერატურის ნამდვილ ნიმუშებს, — და ყოველივე ეს გადასცე ჩვენს ქვეყანაში შექმნილი სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მუშათა კლასისა და მთელი საბჭოთა ხალხის დიადი ბრძოლის სათანადო ცოდნით. თანამედროვე პირობებში სოციალისტური რეალიზმის მეთოდი მწერლისაგან მოითხოვს ესმოდეს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ამოცანები. სოციალისტური რეალიზმი იძლევა ფართო შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენის, სხვადასხვა ფორმისა და სტილის არჩევის შესაძლებლობას მწერლის ინდივიდუალური მიდრეკილებისა და გემოვნების შესაბამისად.

სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისაგან გადახვევა ზიანს აყენებს საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას. ჩვენი ლიტერატურა ბევრ რამეში ჯერ კიდევ ჩამორჩება ცხოვრებას, რომელიც სწრაფად ვითარდება, პოლიტიკურად და კულტურულად გაზრდილი მკითხველის მოთხოვნებს. ცალკეული მწერლები არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას თავიანთი მუშაობისადმი, უშვებენ მდარე და სუსტ ნაწარმოებებს, რომლებიც აღარ იბეებენ საბჭოთა სინამდვილეს. უკანასკნელ დროს ცოტა შეიქმნა მკაფიო და მხატვრულად გამოკვეთილი სახეები, რომლებიც მილიონობით მკითხველისათვის აღმაფრთოვანებელი მაგალითები გახდებოდნენ. ჯერ კიდევ არ არის მონუმენტური მხატვრული ნაწარმოებნი რუსეთის პროლეტარიატისა და ლენინური პარტიის გმირობაზე რუსეთის პირველი რევოლუციისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პერიოდში; ცოტა წიგნები ჩვენს საბჭოთა არმიას — საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის ერთგულ გუშაგზე. ჯერ კიდევ სერიოზულად ჩამორჩება ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა, რომლებიც მოწოდებული არიან დაამუშაონ კლასიკის უმდიდრესი მემკვიდრეობა და განაზოგადონ საბჭოთა ლიტერატურის გამოცდილება, ხელი შეუწყონ ჩვენი ლიტერატურის იდეურ-მხატვრულ ზრდას.

ჩვენი ლიტერატურის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ხელმძღვანელის ერთგვარი შელამაზების, განვითარების წინააღმდეგობა და ზრდის სიძნელეებისათვის დუმილით გვერდის ავლის ტენდენციებმა, რომლებშიც თავი იჩინა მთელ რიგ ნაწარმოებებში. ლიტერატურაში სათანადო გამოხატულებას ვერ პოულობს ბრძოლა ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ. მეორე მხრივ, ცხოვრებას მოწყვეტილი ზოგიერთი მწერალი, გამოგონილი კონფლიქტების ძებნაში, წერდა ხალტურულ ნაწარმოებებს, დამახინჯებულად, ზოგჯერ კი ცილისმწამებლურადაც ხატავდა საბჭოთა საზოგადოებას, ხელალებით უტეხდა სახელს საბჭოთა ადამიანებს.

საბჭოთა მწერლებმა აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი ყოველივე ახალს, მოწინავეს, რაც ხელს უწყობს ჩვენი საზოგადოების წინსვლას, და მთელი ძალით და მგზნებარებით ამხილონ ძველი, მესაკუთრული სამყაროს გადმონაშთები ადამიანთა შეგნებაში, ამხილონ გულგრილი და დამყაყბული ადამიანები, ხელი შეუწყონ ჩვენი ცხოვრებიდან ყოველივე იმ ანტისაზოგადოებრივისა და მოძველებულის აღმოფხვრას, რომელიც ხელს უშლის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის სწრაფ ზრდას.

პარტია მოუწოდებს მწერლებს გაბედული შემოქმედებითი შემართებისაყენ, ლიტერატურის ყველა სახეობისა და ჟანრის გამდიდრების და შემდგომი განვითარებისაყენ, მხატვრული ოსტატობის დონის ამაღლებისაყენ, რათა სავსებით დააკმაყოფილონ საბჭოთა მკითხველის სულ უფრო მზარდი სულიერი მოთხოვნილებანი.

საბჭოთა მწერლებს შემოქმედების ყველაზე ხელსაყრელი პირობები აქვთ. მათ ჰყავთ მილიონობით მკითხველი — მეგობარი, რომლებზეც მხოლოდ ოცნება შეეძლოთ წარსულის საუკეთესო მწერლებს, მომთხვონი, შეგნებული და მომწიფებული მკითხველები, რომლებსაც უყვართ თავიანთი ლიტერატურა.

საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც საზღვარგარეთელი მწერლებისათვის შთაბაგონებელი მაგალითია და გამოცდილების წყაროა ახალი მოწინავე პროგრესული ხელოვნებისათვის ბრძოლაში, ამასთან ერთად თვითონ მდიდრდება, თავის განვითარებასა და სრულყოფაში იყენებს რა უცხოელი პროგრესული მწერლების საუკეთესო მიღწევებს. ჩვენს ლიტერატორებს შეუძლოთ უფრო მეტად გამოიყენონ და კიდევაც უნდა გამოიყენონ საზღვარგარეთელი მეგობრების ძვირფასი გამოცდილება მაღალი მხატვრული ოსტატობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ლიტერატურის წინაშე მდგომი საპატიო და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს მწერალთა კავშირის მოღვაწეობას, კავშირისა, რომელიც განვიღო 20 წელიწადში გადაიქცა კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპებზე აგებულ მძლავრ საზოგადოებრივ ორგანიზაციად, რომელიც რაზმავს პარტიული და უპარტიო ლიტერატორების მთელ შემოქმედებითს ძალებს.

საბჭოთა ლიტერატურა და საბჭოთა მწერლები იდეურად იზრდებოდნენ და იწრთობოდნენ სხვადასხვა უცხო გავლენასთან, ბურჟუაზიული იდეოლო-

გისა და კაპიტალიზმის ნაშთების გამოვლინებასთან ბრძოლაში. საბჭოთა მწერლების კავშირი მთავარ ყურადღებას კვლავაც უნდა აქცევდეს საბჭოთა ლიტერატურის იდეურ გამიზნულობას, მწერალთა იდეოლოგიურ აღზრდას და მხატვრული ოსტატობის ზრდას, მტკიცედ იბრძოდეს სოციალისტური რეალიზმის პრინციპებიდან გადახრის წინააღმდეგ, იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ჩვენი ლიტერატურა ჩამოაშორონ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს, იბრძოდეს ნაციონალიზმის, კოსმოპოლიტიზმისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის სხვა გამოვლინებათა რეციდივების წინააღმდეგ, იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ლიტერატურა გადაჩეხონ ობიექტულობის, უიდეობისა და დაცემულობის ჭაობში. საბჭოთა ლიტერატურა მოწოდებულია ემსახუროს მშრომელთა საქმეს როგორც მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურა და იყოს მსოფლიო მხატვრული შემოქმედების მწვერვალზე.

კავშირი მუდამ უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ ჩვენი მწერლები ყოველთვის ცხოვრობდნენ ხალხის ცხოვრებით, მისი ინტერესებით და მისწრაფებებით, იყონ კომუნისტური საზოგადოების შენების აქტიური მონაწილენი, ხედავდნენ და იცნობდნენ ჩვენს თანამედროვეებს, რეალურ გმირებს — კომუნიზმის მშენებლებს.

საბჭოთა მწერლების კავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მუდმივად ეხმარებოდეს დააწყებ მწერლებს მათს შემოქმედებითს ზრდაში, ამდიდრებდეს საბჭოთა ლიტერატურას ახალგაზრდა ტალანტებით.

საბჭოთა ლიტერატურის ახალი მიღწევების საწინდარი იქნება მწერალთა მთელი აქტიური ძალების შემდგომი იდეური დარაზმვა, მწერალთა შორის პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის უფრო გაბედულად გაჩაღება, შემოქმედებითი საკითხების ამხანაგური განხილვა.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი წარმატებით მუშაობას უსურვებს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობას და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი მწერლები მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ საბჭოთა ხალხისადმი თავდადებულ სამსახურს, შექმნიან კომუნიზმის მშენებლობის დიდი ეპოქის შესაფერ ნაწარმოებებს.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტი**

ნიკოლოზ ვინოკოვი

სახლი გორში



მე არაერთხელ მინახავს იგი,
მაგრამ როცა ვდგამ ფეხს ამ მიწაზე,
ჭართლის უბეში ეს სახლი მშვიდი
კვლავ ახლებური ძალით მიტაცებს.

თუმც ვერაფერში ამჩნევ ცვლილებებს:
იგივე ბაღია, იგივე ვარდები,
მაგრამ შეხედავ რუხ, დაბალ კედლებს
და ხელმეორედ დაიბადები.

შენც მოგწყურდება შესვა ამ სურით
მაცოცხლებელი წყალი მტკვარისა,
და დაინახო ნათელმოსილი
მწვერვალთა მწკრივი მომავალისა.

შეხე — მოყინულ ფიცრულ კიბეზე
დილის სუსხისგან დაწვებნაფერი,

მოჭკრის მალხაზურ სიცილ-კისკისით,
გულისფანქალით და აღმაფრენით.

და დედამიწა აღტაცებული
მღერის სიმღერას განახლებისას,
ტყეებიც თითქოს გაბრწყინებულა
ნათელით კრემლის ვარსკვლავებისა.

გგონია, თრთოლვით გეხება ხელი:
გული თუ გაქვსო სპეტაკი, წრფელი...
და თავს გამომცდელ თვალთ ამოწმებ,
ფეხს რომ აკარებ ამ მიდამოზე...

ცხრა მთა და ბარი გადმოიარე,
აჭ მოაშურე, იგემე შევბა...
მარადისობის გუგუნს მოისმენ,
თვალწინ შექმის ზღვა გადაგეშლება.

ბედაღის სამშობლოს



ჩვენ, დიდი მამულის შვილნი,
მთელი ზმით ვყივიანებთ, ვმღერით...
როგორ არ ვადიდოთ გმირის
სამშობლო — სინათლის მფენი.

ო, გორო, დახვედრა იცი
დასავით გულგაშლით, ნაზად —
არ-რა სჯობს მაგ შენი მიწის
მასპინძლურ ეშხსა და ლაზათს.

და შენი მშვენებით მთვრალნი
სად ებოვებთ შესაფერ სიტყვებს,
რომ ენთოს უჭრობი ალით,
მთლად შენი საკადრი იყვეს.

ვიღას არ ატყვევებს ტურფა
ლაყვარდი, მთა-ბარი შენი,
ტარასის მხარიდან, სულთქმავ,
მიიღე სალამი წრფელი.

ო, გორო, სიამის მხარეც,
შენთან, შენს ბაღნარში ვიგრძენ.
რომ ქვეყნად არ არის არსად
შენგვარი უკვდავი სიბრძენი.

ქედი არ მოდრიკე მტრებთან,
სულ ზმაღზე გებღუჯა ხელი;
ტარასის ქვეყნიდან ერთხმად
მიიღე სალამი ჩვენი...

გმირული ბრძოლებით შესძელ
შენახვა ძვირფასი, განძის,
და მერე ცადაწვდილ მთებზე
ფრთის გაშლა ასწავლე არწივს...

ვინც ჩაგრულ, ალალ კაცს შედგრად
ჩაუდგა სიცოცხლის ძალა, —
ტარასის სამშობლო ერთხმად
გიგზავნის მხურვალე სალამს.

21 ღამეებერი



ღევემბრის ყოველ ოცდაერთს
გორის ცა უფრო ბრწყინდება,
გადმოიღვრება ნათელი
იმ სახლში შემოფრინდება, —
სად იშვა, ფრთები გაშალა
მშრომელი ხალხის დიდებამ.

ღევემბრის ყოველ ოცდაერთს
გორის მთებს გააქვთ გუგუნი,
და მტკვარის ტალღა ფრთალაღი
იმ ცას შეჰხარის დუღუნით, —
სად აღმობრწყინდა დიდი მზე
დამამხობელი უკუნის.

ბანს აღლევს მტკვარის დუღუნსა
მთების ნიაფი შრიალა,
იტყვის: „დიდება გმირთა გმირს,

ვინც მიწა შეაყრიალა,
და ქვეყნის ჩარბი ბედითი
ვინც წალმა შეატრიალა“.

ღევემბრის ყოველ ოცდაერთს
ჩვენი ფიქრი და გონება
გორისკენ მიჰქრის, მიფრინავს,
მის მიწას ჩაეკონება,
გულში იფეთქებს იმედი,
იშლება ვარდის კონებად.

ღევემბრის ყოველ ოცდაერთს
წყვედიადის გამაჭრობელი, —
უფრო ანათებს გორის ცას
მზე, სხივებდაუშრობელი,
დიდ სტალინს მუდამ აღიდებს
მისი ქვეყანა მშობელი.

ღევემბერი, 1954 წ.

სტალინს



კაცი შენ იყავ, — დაგვიამე დროზე ტკივილი:
გმირი შენ იყავ, — გვახატვინე ბაღად მთა-ველი.
რამ დაგვევიწყოს, სტალინ, შენი სიტყვა, ღიმილი,
ყველა ხალხისთვის მშობლიური და საყვარელი.

ნუთუ დაერდომილს არ მიაწვდი კვლავაც ყავარჯენს,
კაცი, მტრებისთვის დუმილითაც წარბის შემხრელი!
არ შეგხვედრივარ და მგონია გნახე მრავალჯერ
და თითქოს ისევ ბევრჯერ გნახავ, ბევრჯერ შეგხვდები;

თითქოს თვალს შუქით კვლავ მომტაცებს შენი ფარაჯა,
ღინჯი საუბრით დამაწაფებ სიბრძნის დიდ წყაროს.
ისევ ხომ ბრწყინავს რიყრაყამდე კრემლში ფანჯარა,
შენი ფანჯარა, ძვირფასო და დაუვიწყარო!

ძმობა გიყვარდა, — ჩვენი ყოველთვის ძმურად ვიქნებით,
ვგმობთ შენებურად ხალხთა შორის ცეცხლის გაჩენას.
შეხედე, როგორ ყვევილობენ ჩვენი ფიქრები,
პარტიის სიბრძნით რა ღონე აქვს ხალხის მარჯვენას!

ვკითხულობ შენს წიგნს და ვგულისხმობ — ვსაუბრობ შენთან,
მაფხიზლებ კვლავაც შენებურად სიმართლის მხედარს.
შენს ნაამაგარ სამშობლოში, ლენინთან ერთად,
შენი მახარით, შენი შუქით ყოველგან გხედავ.

შემხარით ერთად თუჯის დნობას, ტანაყრილ ხეხილს,
მამლერებს თქვენი უკვდავების კაცური განცდა,
და მიხარია, რომ იმ ხალხში ავიდგი ფეხი,
ვინც გამოგჰედა ყველა დროის საქვეყნო კაცად.

ცისკრის ზარი

მოთხრობა



შელამების ბინდმა კობტა ეზო გააუფერულა. მრუმე ფერმა გადაჰკრა აივნთან სახლს და პატარა ბაღნას სიჩუმე დაეუფლა...

რა ხანია გიგო ლელაშვილი გარინდებული დგას ალაყაფის კართან და წინადლით წასულ მეგობარს ელოდება. ნიავის ყოველ ჩამოჭროლებზე ფხიზლობს. ჩაბნელებულ ქუჩაბანდებში კი ადამიანის ჩამიჩუმე არ ისმის...

გიგოს აოცებს მიხო ბოჭორიძის დავიანება. მის ასე დიდი ხნით გადაკარგვას ვერ შერიგებია. ქუჩაზე დაეხეტებიან უცხო ადამიანთა ლანდები. ჩუმად, ქურდულად ზვერავენ არემარეს. გიგო ამჩნევს, რომ ამ მოხეტიალე ლანდებს თვალი უჭირავთ პატარა აივნისანი სახლისკენ.

და იქ, იმ პატარა სახლში, მარდად ფუსფუსებს ლეჩაქმობურული დიასახლისი ბაბე ბოჭორიძე.

ბაბე ხან ოთახს ალაგებს, ხან ძველისძველ სკივრში იქეჭება, ზოგჯერ ხის გეგაში თეთრეულსაც რეცხავს. მალიმალ გამოდის აივანზე. გახედავს ბინდაცემულ ქუჩას, ბის კიბით ეზოში ჩამოვა, სახლს ირგვლივ შემოუვლის, ჩაირბენს შენობის ქვემოთ მოთავსებულ სამზარეულოში, სადაც „მდგმურებისათვის“ ნავთქურაზე კერძი იხარშება.

სამზარეულოს აგურის იატაკზე უწესრიგოდ ყრია თიხის ქოთნები, დოჭები, ხის ჯგამები, ნახშირით სავსე წაქცეული თოფრაკი და ქვასანაყი. აქაურობის წესრიგში მოსაყვანად არ

სცალია ახლა ბაბეს. მასაც იგივე ცეცხლი შემონთებია, რასაც გიგო ლელაშვილის ფიქრი და გონება აუფორიაქებია...

„ვაითუ პოლიციამ დააპატიმრა მიხო და ჩვენი საქმე განწირულია“, — ფიქრობს ბაბე და შიშით ატანილი წამდაუწუმ ხელებს იფშვინეტს.

ნერველობს გიგოც. ადგილზე ვერ ჩერდება. მიხურავს ალაყაფის კარებს და ქის ფარდელისაკენ გასწევს. ახლა იქიდან უშვებს ქუჩას, მერე აივნისანი სახლს მიაჩერდება.

იღუმალებით მოცული სახლი თითქოს გარინდებულა. გიგოს თვალში ხან პატარავდება იგი, ხან არაჩვეულებრივად მაღლდება და უზარმაზარი ადამიანის ჩონჩხვით წამომართული რისხვით გადმოჰყურებს პატარა ბაღნას, რომელსაც ფანჯრიდან გამონაკართომი სინათლე ოდნავ ატანს.

ზოგჯერ ნელი ნიავე ჩამოიჭროლებს. გიგოსაც დაუმშვიდდება დამბული ნერვები და თავისუფლად ამოისუნთქავს. ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში საიდუმლო ჯურღმულიდან მის ყურამდე აღწევს ყრუ, ოდნავ გასაგონი გრუხუნი, რომელიც მას ხან დედამიწის გულისცემასავით ჩაესმის ყურში, ხან კი საბედისწერო ქექა-ქუბილად...

უცებ ტყვიანაკრავით აიბურძგება და მოიშლება გიგო. ქრუანტელი ნაკადად დაუვლის ძარღვებში. თითქოს ყურმა მოატყუა, მაგრამ კარგად რომ

შიაყურა, ქუჩის ბოლოდან გარკვევით მოესმა ჩექმების ხმა და ჩუმი ლაპარაკი...

— პოლიცია! — გაუელვა გიგოს გულში უცებ და ელვის სისწრაფით ბაბესთან მიიჭრა.

— დეიდა ბაბე, მგონი პოლიცია თავს გვესხმის, ახლავე აირბინე ზევით, ბიჭებს სიგნალი მიეცი, მუშაობა შესწყვიტონ, აბა შენებურად, ყოჩაღად! მე კი ჩემი გზით გავსწევი...

გიგოს არც კი მოეთაყვიებინა ლაპარაკი, როცა ბაბე ხის კიბეზე არბოდა. იგი უცებ შეიჭრა ოთახში და ფანჯრის რაფასთან შპალერქვეშ დატანებულ ელექტრონის დილაქს თითი დააკირა. ჯურღმულში გაისმა ზარის ხმა და შეწყდა საბექდი მანქანის ხმაური, რომელიც ოდნავ ამოისმოდა მიწისქვეშეთიდან.

ბაბე ისევ აივანზე გამოვიდა, თითქოს დაშვრილებულმა აღჩქარებლად ლეჩაქის სწორება დაიწყო. ქის ფარდულიდან ხმაური მოესმა...

იქ საიდუმლო ჭისაკენ ბნელში გზას მიიკვლევდა გიგო. ტყავის ხელთათმანობრგებული ჭაში ჩაშვებული ბაგირით ფსკერისაკენ მიცოცავდა. ჩამომდგარ სიჩუმეში მხოლოდ ჰოკონაქის ხრიალი ისმოდა. კედელზე ამოქრილ საფეხურებს იშველიებდა.

ოცდამეოთხე საფეხურთან, შავად მოლაპლაპე წყლის ზედაპირიდან ერთი მეტრის ზემოთ შედგა, თოკს ხელი უშვა და ქის კედლის მარცხნივ ბნელით მოცულ ხერხელში თავი შერგო. თოკზე მიბმული ვედრო შექანდა, ქის კედლებს მიასკდა და წყვდიადით მოცულ ჯურღმულში წკრილი მოადინა.

გიგო სულმოუთქმელად ვაცოცდა ხერხელის ბოლოში და პირველი ქის პარალელურად მდებარე, მეორე შშრალი ქის კედლებზე აყულებულ ხის კიბეს ჩაებლაუჭა. სწრაფად აირბინა მისი ოცივე საფეხური და კუპრით

ბნელ მიწისქვეშა სარდაფში შეეარდა აქლოშინებული.

— ქიჭიკო და ტიგრან, შეხვედით, მშებო! — შესძახა ბიჭებს გიგომ და უებლიდან ოფლი ხალათის სახელოთი მოიწმინდა.

— ძმავო გიგო! რარიგ ველეადით შენს არყოფნაში, ხიფათს რასმე ხომ არ გადაეყარე, დილას აქეთ რომ აღარ გამოჩნდი, — გაისმა ბნელში ქიჭიკო კალანდაძის ხმა.

— რა ამბავი ამოიტანა მიხომ ქალაქიდან, — მოუთმენლად ეკითხებოდა იმავე კუთხიდან ტიგრან ვახტანგოვი.

— სწორედ მეც იმიტომ შემავგიანდა, რომ მიხომ არ გამოჩნდა. მთელი დღე ეზოში დავებუტები, გავეჭერი ქუჩას, ლამის თვალები ამომვარდეს ეს კაცი თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, არსიდან აღარ გამოჩნდა, — სხაპასუპით ეუბნებოდა მუხლებმოშლილი გიგო ბნელში მსხლომ მეგობრებს.

— ეს ზარი რალას გვიქადის გიგო? — ორივემ ერთად შეაგება ახალმოსულს.

— როგორც ვატყობ, ჩვენს საქმიანობას ყურს უგდებენ, ჩუმად გვზეარავენ, დიდი სიფრთხილე გვმართებს! ამ ერთი საათის წინ ეზოს გადაღმა, ქუჩაში უცხო ადამიანები ლანდებივით მიმოდრიოდნენ, თვალებს ცბიერად ჩვენსკენ აცეცებდნენ...

ახლა კი ჩვენი სახლისაკენ მომავალი ჯარისკაცების ფეხის ხმაც გავიგონე. მე ასე ვფიქრობ, ჩვენ თავს გვესხმიან. ბაბეს სიგნალიც სწორედ ამის გვამცნობს! — დაამთავრა გიგომ და შრიფტკასებთან ქალაღლის ბარდანზე ჩამოჯდა.

ამის გამგონე კალანდაძემ თავი ვერ შეიკავა, ბრანზორეულმა ხმამაღლა შესძახა:

— გვეძებონ, რამდენიც უნდათ; როცა ჩვენს ასავალ-დასავალს მიაგნონ, მამინ დაიკვებნონ!..

— სანამ ჩვენ მოგვაგნებდნენ, მამ

ნამდებ ავაფეთქებთ მათ საბუღარს!.. ეპიტანგოეს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, როდესაც რალაცამ ბნელში გაიხმაურა... ბრანზმორეულ ჭიჭიკოს თურმე საშრიფტე კასის ტიხარზე სააწყრე დაენარცხებინა, იქიდან ვადმოვარდნილმა აგურის იატაკზე გაიფლარუნა.

უცებ ყველანი გაჩუმდნენ. ბნელ სარდაფში სიმყუდროვემ დაისადგურა. ნესტისა და სასტამბო საღებავის სუნით გაედენთილ ჰაერში სუნთქვა დამჭიმდა. ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში ისმოდა მხოლოდ კედლის საათის რიტმული ხმაური, რომელიც თითქოს აქ მყოფთა გულს ეხმინებოდა...

ეს ერთი ხანია დუმდა ბაბეს ელექტროზარიც. იგი ძველებურად არ ანიშნებდა სტამბის მუშებს — ნუ გეშინიათ, საფრთხემ ჩაიარაო...

დუმდა ზარი და ამ დუმილში სამივეს გულისყური ბაბესაკენ იყო მიპყრობილი. მათი ფიქრი და გონება ტრიალებდა იქ, ზევით, სადაც ამ ბნელი ღამით ბაბე ბოჭორიძე მარტოდ-მარტო უნდა შეგებებოდა მოახლოებულ ხიფათს...

ბაბე საგონებელში ჩავარდნილიყო. მიხო — ამ „ოჯახის“ იმედი, ეს მეორე დღეა არა ჩანს.

„ვინ იცის, — ფიქრობდა ბაბე, — რა ბათაბალას გადაეყარა ბედშავი, იქნებ პოლიციამ ხელთ იგდო იგი და ახლა ეს სახლი ნიშანშია ამოღებული. თუ ასეა, აფეთქება არ აგვედება! ვაი თქვენი ბრალი მაშინ, შვილებო!“..

ამ ფიქრებით შეპყრობილი ბაბე სავანგებოდ ჩერების რეცხვას შეუდგა. არ გაუვლია წუთსაც და მას ეზოდან ფეხის ხმა მოესმა. ვილაცა მძიმე ნაბიჯით კიბის საფეხურზე ამოდიოდა. ბაბეს მალე თამამი ძახილიც მოესმა:

— მასპინძლო!

— ვინ მოდის! — აკანკალებული ხმით იკითხა ბაბემ და ჩვეული სიმარ-

ღით კართან გაჩნდა. კარი გამოაღო თუ არა, მის წინ დაინახა საშუალო ტანის, შავწვერულვაშიანი ახალგაზრდა, რომელსაც რუხი პიჯაკი ეცვა. უბიდან რალაც ქალაღები მოუჩანდა... მარცხენა ხელში პაპიროსი ეჭირა, ხოლო მარჯვენა ბაბეს გამოუწოდა ჩამოსართმევად. ბაბემ ეჭვით შეხედა ახალმოსულს, მაგრამ არ დაიბნა, მაინც გაუღიმა და ხელი ჩამოართვა.

— უცხო კაცს თუ შეიფარებთ ამაღამ სახლში? — შეეკითხა ახალმოსული.

— რატომაც არა, სტუმარი ღვთისასა! — სხარტად მიუგო ბაბემ და ოთახში შეიყვანა.

სტუმარი ოთახში შესვლისთანავე ბაბეს შეეკითხა:

— ვერ მეტყვიით, სად იქნება მიხო ბოჭორიძე? — მისი ნახვა მინდა.

— მიხო?.. მას ამაღამ ვერ ნახავთ, ვერც ხვალ და შესაძლებელია ვერც ზეგ. იგი რომელიღაც შორეულ ქალაქშია წასული ფეხსაცმლის სახელოსნოსათვის ტყავულის ჩამოსატანად.

აივნის კიბესთან ვილაცას სიცილი წასკდა. უცებ კარი გაიღო და მკრთალად განათებულ ოთახში მიხო ბოჭორიძემ თავი შემოპყო. მიხოს ნახვამ გაახარა ბაბე, მაგრამ არც აცივია, არც აცხელა, თვალებით გახვრიტა ახალშემოსული, რითაც აგრძნობინა — რალა ახლა გამოჩნდი, როცა შენს ნაკვალევს ეძებნო, და ანიშნა, ოთახიდან გასულიყო.

მიხო კვლავ თავშეუკაცებლად იცინოდა, ბაბეს მხრებზე ხელს უთათუნებდა და ალერსით ეუბნებოდა:

— ყოჩალი ხარ, დეიდა ბაბე, ყოჩალი, ოღონდ ერთი რამ არ მომეწონა: ნამეტანი შორს გადამკარგე ტყავულის ჩამოსატანად.

ბაბეს სტუმარიც უღიმოდა. ქალი ხან ერთს შეპყურებდა გაო-

ცებით, ხან მეორეს. ისევ მიხომ მოიყვანა გონს დაეჭვებული ბაბე.

— ნუთუ ვერ იცანი სტუმარი? ეს ზომ ჩვენი სოსოა. შენც ბევრჯერ ახსენებ ზოლმე მას სიყვარულით.

ბაბე ერთხანს დაიბნა, მერე გამოფხიზლდა და ისე გადაეხეია სტუმარს, როგორც დიდხნის უნახავ ძმას.

— მომილოცავს, სოსო, ციმბირიდან მშვიდობით დაბრუნება, კეთილი იყოს ამ „ოჯახში“ შენი მოსვლა.

სოსომ მშვიდად, ალერსიანად უთხრა:

— უპირველეს ყოვლისა, მადლობა უნდა გითხრათ იმ სამსახურისათვის, რომელსაც თქვენ უწევთ ჩვენს საქმეს. მომწონს თქვენი წინდახედულება და სიფრთხილე. გჯეროდეთ, ღირსეულ დედათა შორის თქვენ ერთი პირველთაგანი მოიხსენიებით.

სოსოს სიტყვებზე ბაბეს სიხარულის ცრემლები მოერიდა.

— ეს რა დედაა, ერთი შვილიც არ ჰყავს, — იხუმრა მიხომ.

— ჰო, მართალია, შვილები როგორა გყავს, ბაბე?

ბაბე მიხვდა, რომელ შვილებზეც კითხებოდა სოსო, და ტკბილად გაუღიმა...

არალეგალური სტამბის მჭეშები, რომლებიც ამ სახლის მეორე ოთახში ცხოვრობდნენ, მართლაც დედას ეძახდნენ ბაბეს. ისინი, თითქოს, როგორც ბაბეს მდგმურები, ხან ზერხაშვილებად და ხან ზარდიაშვილებად ეწერნენ საბინაო წიგნში.

— ისინი მაშინ იქნებიან ღირსეული შვილები და მეც მაშინ ვიქნები ბედნიერი დედა, თუ ბოლომდე მოგყევით, — მიუგო ბაბემ.

— სწორედ ამიტომ მიყვარხარ, დედა, რომ ასეთი ჰკვიანი და წინდახედული ხარ, — აღტაცებით შესძახა მიხომ, რომელიც ხელით შავ წვერს ივარცხნიდა.

ბაბე ხშირად გამოდიოდა ავეჯზე, არემარეს ფრთხილად ათვლიერებდა, განსაკუთრებით ფხიზლობდა ავეჯზე იგი.

სოსოს დასცხა. პიჯაკის ღილები შეიხსნა, შუბლზე ბლუჯად დაყრილი გრუზა თმა მარჯვენა ხელით გადაივარცხნა და ავეჯზე ფრთხილად გავიდა; ზაფხულის სუფთა ჰაერი ხარბად შეისუნთქა.

სიჩუმე დასადგურებულიყო ავლაბრის მიდამოებში. არც პეტრე-პაველს ეკლესიის ზარი წკარუნებდა, არც მუედლების ჩაქუჩები სცემდნენ გრდემლზე. — სდუმდნენ რკინიგზის ლინდაგები და მეისრის ხრინწიანი ძახილიც არსაიდან ისმოდა.

ეძინა კოჯრისა და მახათას მთებშუა გაწოლილ თბილისს. მტკვარს გაღმა ფერდობებზე შეფენილი სახლებიდან გამოკრთოდა სინათლე და ქალაქს ციციანთელებად ეხვეოდა. მეტეხის ციხეს თავს ებურა ლეგა ღრუბლები, თითქოს თბილისის პროლეტარიატის რისხვა ემუქრებოდა მეფის ეანდარმერიას, რომელმაც ამას წინათ ჯოჯოხეთურ კარცერში სული ამოხადა მშრომელთა უსაყვარლეს მოამაგეს ლადო კეცხოველს.

ეძინა თბილისს, მაგრამ მისი მგზნებარე გული მაინც ძლიერად სცემდა...

კვლავ საამურად დაჰქროლა ზაფხულის ნიაემა, სოსო ოთახში შებრუნდა და მიხოს კმაყოფილებით უთხრა:

— მართლაც რომ ჩინებული ადგილია არალეგალური სტამბისათვის!

მიხო, რომელიც ამ დროს ვახშმის სამზადისში გართულ ბაბეს ეხმარებოდა, უცებ სოსოსაკენ მოტრიალდა თავის სასიამოვნო სტუმარს ტკბილად გამოეხმაურა:

— ბევრი სიძნელე შეგვცვდა, ამხანაგო სოსო, მაგრამ საპყრობილედან თქვენი მითითებით გამხნეებულემა ყველაფერი ვძლიეთ. დროზე შევუდევით სტამბის მოწყობის თადარიგს და,

როგორც ხედავთ, საქმე ჯერჯერობით ურიგოდ არ მიდის.

სოსო დაფიქრდა. ოთახში ორ-სამ-ჯერ ბოლთა დაარტყა და შემდეგ მიხოს რაღაცა ჩასჩურჩულა. ორივენი მეორე ოთახში გავიდნენ...

— ბიჭებს სიგნალი მიეცი, მუშაობა განაახლონ! — გაათრთხილა მიხომ სახლის დიასახლისი ოთახიდან გასვლის დროს.

ბაბე სწრაფად გაეშურა კუთხისაკენ და ელექტრონის საიდუმლო ღილაკს თითი დააკვირა.

ჯურღმულში დარეკა ზარმა. ამ ნაცნობმა ხმამ, რომელიც აქ ზოგჯერ რისხვასავით გაისმოდა, ქრუანტელი მოჰგვარა ბნელში მსხდომ ვაჟკაცებს. ქვესენელში გატრუნულებს ბაბე ზარის ხმით ამცნობდა: „ჯაერი ნუ გაქვთ, ყველაფერი რიგზე არისო“...

საიდუმლო სარდაფში ლამპის სინათლე აინთო. გამოჩნდა კედლების გასწვრივ მაღალ საყრდენებზე შედგმული მრავალუჯრედებიანი სასტამბო ყუთები, რომლებშიც უამრავი შრიფტი ეყარა. აგურის იატაკზე საბეჭდი მანქანა იდგა. ქვევით მის გარშემო მიმოფანტულიყო ქალაღის ფურცლები. კუთხეში დაბეჭდილი და დაუბეჭდავი ქალაღების მთელი დასტები ეწყო. ლურსმანზე შავად გამურული სამუშაო ხალათი ეკიდა. ძირს მის პირდაპირ დანჯღრეულ ტაბურეტზე თიხის დოჭი იდგა. საბეჭდი მანქანის მოპირდაპირე კედლებზე საათი ხშიანობდა.

სინათლის შექმნე წამოიშართნენ გიგო ლელაშვილი და ტიგრან ვახტანგოვი. ჰიჭიკო კალანდაძე კი კარგა ხანია წამომდგარიყო და საბეჭდ მანქანას ასწორებდა.

სინათლეში მკაფიოდ მოჩანდა ჰერზე ოსტატურად გაკეთებული ასაწევი კარი, რომელიც ზევით სამზარეულოსთან აერთებდა ჯურღმულს. ამ კარს იშვიათად აღებდნენ. პირველად მაშინ

გააღეს, როცა ბაქოდან მოტანილი საბეჭდი მანქანა დაშლულყოფნაგანეს სტამბაში.

გიგო ლელაშვილი ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდა აქაურობას, თითქოს პირველად ყოფილიყო ამ სტამბაში. შრიფტკასებს ქვემოთ თაროზე ანაწყობს დახედა და ალტაცებულმა მიიძახა:

— ყოჩაღ, ჰიჭიკო! რამდენი გიმუშავია დილის შემდეგ.

— ეს მარტო ჩემს სისწრაფეს არ მიეწერება, ჩემო გიგო; ტექსტია ისე გასაგებად, ისე მიმზიდველად დაწერილი, რომ, ასე გგონია, ვიღაცა უჩინარი ადამიანი გვერდით გიდგას და შენი გულის აზრებს შენსავე გონებას უკარნახებს. გიტაცებს კაცს ეს აზრები და დაღლილობას გაიწყვეტს...

— მართალს ამბობ, — გამოეხმაურა ჰიჭიკოს ვახტანგოვი, რომელიც, ისევე მკლავებდაკოტავებული ასობის ასაწყობად ემზადებოდა, — ამ სიტყვებს ადვილად იგებენ მუშები.

— სწორედ ამიტომ მოიცვა მუშათა მობრძობამ საქართველოს ქალაქები. ამ ორიოდე წლის წინათ ბათუმში დანთებული ხანძარი, მერწმუნეთ, ადვილად არ ჩაქრება... — აღვზნებით წარმოთქვა გიგო ლელაშვილმა, რომელიც აქ დაბეჭდილ გაზეთს — „პროლეტარიატის ბრძოლას“ ყუთში ალაგებდა.

კედლის საათი ისევ წკარუნებდა... შეულამე კარგახანია გადასულიყო, მაგრამ არც ერთი მათგანის თვალებს ძილი არ ეკარებოდა...

ჰიჭიკო კალანდაძისა და ტიგრან ვახტანგოვის კოჟრიანი, გამურული ხელები ისე სწრაფად დახტოდნენ საშრიფტე კასების უჯრედებში, თითქოს ჩიტები ფეტვის მარცვლებს კენკავენო. შეუწუნებლად მუშაობდა მზარსეწყობილი სამეული. განთიადის უამს გაზეთებით და პროკლამაციებთა დატვირ-

თელი ორთვალა ქალაქს უნდა წასულიყო...

ბაბე განთიადამდე ფუსფუსებდა ოთახში. ფბიზლობდა, თან სტუმრისა და „მდგმურების“ საკმელს ამზადებდა. განთიადის ეამს ბაბემ სოსოს და მიხოს ჩაი და ახალგამომცხვარი კვერები შეუტანა. სწორედ ის დრო იყო, როდესაც სოსო ქალაქს კეცავდა და მიხოს ეუბნებოდა:

... აქედან ცხადია, აუცილებელია თბილისის პროლეტარიატის შეიარაღება... ჩვენ არა მარტო იღეურად, საბრძოლო საჭურველითაც უნდა შევიარაღოთ ხალხი, რათა სიგნალის მოცე-

მისთანვე ფეხზე დადგნენ ჩაგრულთა მილიონები.

სოსომ საათს დახედა. თანჯარასთან მდგომმა მიხომ სოსოს განთიადის მოახლოება ახარა.

•
•

ბაღში ჩიტები ახმაურებულებენ, კოჯრის მთის ზორკლიან ზურგზე ვარდისფერი განთიადის შუქი იბარებოდა. ქვესკნელის ჯურღმულში გაბმით რეკავდა ზარი. ბაბე თითქოს იქ მყოფთ იმედიანად ჩასძახოდა:

— ამოდით, სოსოც აქ არის და ცისკარიც ამოვიდაო!..

ბანთიარის წინამორბედი*

ციმბირის გადასახლებიდან გამოქვეულ სტალინს გაყინული მდინარე ენისი ჩაუტყდა და ჩავარდა. მკაცრმა სიცივემ სველი ტანსაცმელი შემოაყინა და ყინულის სვეტივით დადიოდა.



ცივა. გაყინულ მდინარეზე ნისლივით ფრთხილად, ფეხაკრებილი მოაბიჯებს ვიღაც ლტოლველი. მაგრამ ჩხრიალით ჩაუტყდება უეცრივ ყინვა და გალუმბული ებჯინება ნაპირს ლომივით.

ცივა. ძლივსძლივად გამოსტაცა მდინარეს თავი, გადარჩენილმა მხრებზე იგრძნო რალაც სიმძიმე. ორღესილივით უსერაედა სხეულს სისხამი, შემოაყინა ტანსაცმელი მკაცრმა სიცივემ.

ცივა. ღამეა სუსხიანი, ციმბირის ღამე, ისე გაშლილა ირგვლივ, როგორც თეთრი ნაბადი. ნათელმოსილი დადის იგი, ვით ცაში მთვარე, და მხოლოდ წამწამს ახამხამებს ფიფქით დაბარდნილს.

ცივა. ვარსკვლავსაც აკანკალებს ლაქვარდთა მიღმა, ახლა გრიგალიც თავშესაფარ ბინას დაეძებს. ნალბანდს ჩაესმის ძილში, თითქოს ეძახის ვიღაც და ფრთხილად, ფრთხილად აკაკუნებს ქოხის კარებზე.

ადგება უმაღ. გააღვიძებს მძინარე ჯალაბს, ერთურთის თვალებს შესცქერიან შიშით დასეტყვილს. ვინ უნდა იყოს ამ უსიერ, უკაცურ ალაგს ვინ მოაღწევდა, ვინ იქნება ნეტავ ასეთი?!

— ვინ არის, ვინა! — ყრულ გაისმის, — ვინ არის, ვინა! შიშნაკრავივით იმეორებს ქოხი დაძახილს.

— ვინ არის... მაგრამ კვლავ არავინ პასუხობს კითხვას, მხოლოდ გრიგალი იღრინება, როგორც ნაგაზი.

გარეთ გრიგალი გლეჯს ყველაფერს, წკვარამებს ხერგავს, მგზავრს არც კი ესმის, თუ პასუხობს ვინმე ქოხიდან. ის ამ წუთშიაც ხედავს დედას, ლიახვსაც ხედავს, ის ხედავს ქართლის ტრამალებს და ზღაპრულ კოლხიდას.

საქონელში
საზღვროეთში

ავობს გრიგალი და გრიგალში იგი ხალხს ხედავს,
კმარა მშრომელი, რაც იტანჯა და რაც ეწამა,
ის დიდ ლენინთან ერთად იგრძნობს თავის თავს მხედრად,
წინ რომ მიუძღვის ხალხს მონობის დასაღწევად.

იღება კარი. გულის კარიც გაეღოს მუდამ, —
შეერთა ნაღბანდი, მღელვარება ვეღარ დაძალა, —
სვეტი ნათლისა, როგორც კაცი, იღვა და დუმდა
ოტარიდივით განათებულ თვალთა ამარა.

ემშობლიურათ მისი მზერა — ცასავით წმინდა,
რომლის სიღრმეშიც მზიანობდა ბედი ხალხების,
კვლავ გასცქეროდნენ ღია კარებს, სადაც ის იღვა,
როგორც იმედი და ცხოვრების განმაახლები.

და როცა დასძრა სიტყვა მკვეთრი, გაოცდნენ მაშინ
უმაღლეს სული მოიბრუნეს — შიშით დანთქმული;
მან დასძრა სიტყვა, აციმციმდნენ ვარსკვლავნი ცაში
და დიდხანს, დიდხანს გამარჯვება რეკდა ქართული.

გაშალა შუბლი მასპინძელმაც რიერაჟისგვარად,
ამხელად თითქოს მის მხრებზედაც ისხდნენ ორბები.
რა იცოდა, რომ თავზე აღვა ყინვის კი არა,
ფოლადის კაცი, განთიადის წინამორბედი!

კიროვის სახლში



თუმც სიჩუმეა გარშემო სრული,
თვლემს ქარიშხალი ღუმელთან ერთად, —
და მე მგონია, იმისი გული
ამ ქერქვეშ ახლაც განაგრძობს ფეთქვას.

შეედივარ... თითქოს აქ არის ჯერაც,
უკვდავ სიცოცხლეს ვინ მისცა ბოლო!..
და თეთრ კედლიდან საათის ელერა
დროდადრო ღუმელს დაარღვევს მხოლოდ.

დროდადრო ფურცლის შრიალიც ისმის
და უეცარი შერხვეაც ფარდის, —
ეს ხომ სუნთქვია და ხმაა მისი,
ეს ხომ კიროვი ოთახში დადის.

შეხედოს, თვალი ვინ აარიდა?..
მაგრამ აქ იგი არ არის, არა...
და ერთ კუთხეში მოჩანს მაგიდა,
ფრთებშემოკეცილ ფრინველის დარად.

მაგიდა!.. ჩრდილი აჰკვრია კედლებს,
დგას უკვდავების უსიტყვო მცველი,
ო, მას, იმ მუხთალ გასროლის შემდეგ
არ შეხებია კიროვის ხელი.

შეგაურიალებს, გულს ცეცხლს უკიდებს,
ვიწრო თვალებით ღამის ფერია,
ტყვია, რომელიც შუბლს დაუმოხნეს,
მაგრამ სიცოცხლეს ვერ მოერია.

ნახე! დაჰხედე! ქვის სუნთქვად იქვე!
ელავს უმტვერო ტომების რიგი.
აგერ, თვით დიდი სიცოცხლის სიბრძნე,
ქვეს მაგიდაზე სტალინის წიგნი.

თრთოლვით დაჰყურებ, ტკბილად დაცქერი —
სიტყვებს გულითადას და გასახარელს,
ამ წიგნის ყდაზე გაკვრით წარწერილს: —
„მეგობარს ჩემსას და ძმას საყვარელს...“



იმ დღის შუქი ელვარებს თვალში,
იმ დღის ხსენება ვინ გაიკვირვოს, —
სტალინმა, ოდნავ ჭალარამ მაშინ,
ჩოცა ეს წიგნი აჩუქა კიროვს.

ალბათ ჩიბუხი ეკიდა სტალინს,*
მირონიჩს მკლავზე მკლავს მიადებდა
და ენთებოდა ბელადის თვალი
მომავლის დიად განთიადებთან.

მერე, მზრუნველი ფიქრებით სავესე,
ქვეყნის სინათლედ, ხალხის იმედად
გადაჰხედავდა მეგობარს ასე
და უღვაშებში გაიღიმებდა.

ვღგავარ და ვღუმვარ, დავცქერი რიდით
და ვამბობ, ვამბობ, რაც უნდა მეთქვა.
აქ მძიმედ სუნთქავს სიჩუმე დიდი
და სიჩუმეში სიცოცხლე ფეთქავს.

აქ გულს რატომღაც სხვაგვარად სჯერა,
რომ უკვდავებას არა აქვს ბოლო, —
და გვამცნობს, გვამცნობს საათის ეღერა
სიცოცხლის უწყვეტ დინებას მხოლოდ.

წითლად ენთება ოთახის ჭერი,
დილაა, დღე თუ კრიალა ღამე, —
და თვლის საათის ისარის წვერი
უკვდავებაში მიმავალ წამებს.

„მენტო-რობუ“

რომანი ბანიცაღენით *



ლევა კოტიას ოჯახში ზიჩუმე ჩამოვარდა.

ყველა თითქოს დიდ საფიქრალს მიეცა და უკვირდით, რომ სამშობლოს სიყვარული მათი საქმისათვის საზიანო იყო.

ბესარიონმა კი, თითქოს თავის ნათქვამს არ დასჯერდომ, სიჩუმის შემდეგ მაინც დასძინა:

— შენ, ლევა, იმიტომ უზროვნებ ასე მარტივად სამშობლოს სიყვარულზე, რომ ეს თავადებისაგან გაქვს შეთვისებული. საერთოდ შენიშნულია, რომ, რა სოფელშიაც თავადები ბლომად არიან, ან შეიძლება ცოტანიც იყვნენ, მაგრამ შეძლებულები თუ არიან, ან, გავლენიანი და მოქნილი დიპლომატები...

არაფერ არაფერი უბასუხა, მაგრამ ბესარიონმა ამას არ მიხედა და თავისი განაგრძო:

— სადაც ესეთი თავადები არიან, იქ გლეხობა მუდამ ჩამორჩენილია, დუნეა, მანანხალა და ბრძოლისათვის სულ არ არის მომზადებული. ასეა ბანძაშიაც და ასეა თქვენთანაც — ბერთემში. არა, ფარანა?

ფარანა ჩაფიქრებული იყო, ამხოლოდ

* შალვა ლალიანის რომანი „მენტო-რობუ“ იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში“ 1945 (№16 11 და 12), 1947 (№ 3) და 1952 წლებში (№16 2, 3, 4) ნომრებში. აწ მკ-12 ნომრიდან კვლავ ვიწყებთ ამ რომანის ბეჭდვას, რომელიც დათარგმნა 1955 წლის იანვრისა და თებერვლის ნომრებში.

თავი დაუქნია, სამაგიეროდ ახლა ფარანამ ამოიღო ხმა:

— ეს მითხარი, გენაცვალე, ბესარიონ: გამიგონია, რუს-ხენწიფე მეტად ძლიერია, დიდი ჯარი ჰყავს და როგორ გინდა, რომ ჩვენმა უბრალო ხალხმა ის ჩამოაგდოს?

ბესარიონს გაეცინა, უნდოდა ებასუხა, მაგრამ აქამდე გაჩუმებულმა ფარანამ არ დააცალა:

— ამაზე მეც დიდი ხანია ვფიქრობ, მაგრამ სწორედ გუშინ ერთი აზრი დამებადა... თუ არ დამცინებთ და ბესარიონიც არ გამიწყურება, მოგახსენებთ...

— ბრძანეთ, ბრძანეთ!

— გუშინ, აგერ, ლევას ეზოს რომ ჩამოუღდის პატარა მდინარე, იმ ღელეში დაეინახე ქვაზე წამოსკუპებული, მეტად ლამაზი ბოლოქანქალა. ხომ ყველამ იცით, რა მოხდენილი ჩიტიც არის! იმავე დროს კი ყველა სხვა ჩიტებზე სულელი გვეგონია: აქანქალებს თავის ბოლოს, ქვაზე დამჯდარი, და ხანდახან ხტის ქვიდან ქვაზე მწერების დასაჭერად. ერთი საოცარი თვისება კი აქვს: მეტისმეტად გაბედული ფრინველია. თუ სადმე მის ახლომახლო დაინახა მიმიწო ან შავარდენი, თავადებით დაედევნება და თავის ქვრინვით ეძახის თავის ჯიშის და სხვა ფრინველებსაც დასადევნებლად. ისინიც ყოველი მხრით მოფრინავენ, კრიაპულით მისდევენ მტაცებელს და თქვენ წარმოიდგინეთ,

რომ აძევებენ. ამ დევნაში ხშირად მერ-
ცხლებიც იღებენ მონაწილეობას. ეს
მე თვითონ მინახავს, მაგრამ, ამბობენ,
თუ ბლომად შეიკრიბნენ ასეთი მღევრე-
ბი, ისე ყოველი მხრით მიესვებიან იმ
დიდ ონავარს, რომ საძრაობას არ მის-
ცემენ და ციდან ძირს ჩამოაგდებენ...
ჰა, ჰა! შემდეგ შეიძლება თურმე თვა-
ლებიც ამოუქეცონ და ტვინიც... გუშინ
სწორედ ეს ამბავი გამახსენდა ბოლო-
ქანქალას დანახვაზე და ვიფიქრე — ხე-
დავთ, სუსტსაც შეუძლია თურმე თავი-
დან მოიშოროს ძლიერი, თუკი ეს „სუს-
ტები“ ერთად იქნებიან, გაერთიან-

დებიან... ჰა, ჰა! ჩვენ ბოლოქანქალები
ვართ, მაგრამ, თუ რუსეთის მერცხლე-
ბიც დაგვეხმარებიან, მაშინ ~~შეძლებ~~
სიტყვის დამთავრება აღარ დააცალა
ბესარიონმა:

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ბარაქალა! ეს რა
კარგი გვიამბე. მე ეს არ ვიცოდი... თუ
კაცი ვარ, ამას მეც გამოვიყენებ ჩემს
გამოსვლებში და ამხანაგებსაც გავუ-
ზიარებ.

გური ფარნას ნაამბობზე სიხარულით
ქულოპინებდა და სხვა ყველა იქ მყოფ-
თაც სახე გასხივოსნებული ჰქონდათ.

ბანიცადონი

XII

ციბედულ!

მე ვატყობ, რომ ამ ჩემს გრძელ
თხრობაში, იქა-აქ, ნამეტანი ებოდიშობ
ხოლმე. ეუბოდიშებ ამ ნაწარმოებს.

შეიძლება ეს არც ვარგოდეს.

როგორც არ ვარგა თავისი თავის ქე-
ბა და განდიდება, ისე უთუოდ არც მე-
ტისმეტი ბოდიშებია კარგი.

ამითი შეიძლება დააკოჭლო ის ღირ-
სებაც, რომელიც ახლავს შენს შემოქმე-
დებას და მკითხველის თვალში ფასი
დაუკარგო.

მახსენდება ჩემი ცხოვრებიდან ერთი
ამბავი. ეს მაშინ იყო, როდესაც ჩემს
ახალგაზრდობისას — ჯერ კიდევ ქარ-
თული სცენის მსახიობი ვიყავი.

მაშინაც, რასაკვირველია, იწერებო-
და წარმოდგენების რეცენზიები და,
უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგჯერ მე-
ტად უღმობელი და უხეშიც, ზოგჯერ
კი თითქოს არაფრის მთქმელი, მაგრამ
ერთგვარად მაინც გამკილავი. მაგ. „იმე-
რიძე იმერიძეობდა“ (იყო ასეთი მსახიო-
ბი). რა არის ეს? ვითომ იმერიძე ისეთი
ჩინებული მსახიობია, რომ კმარა მისი
დასახელება — უთუოდ კარგი იქნებო-

დაო, თუ... — იმერიძე რას წარმოად-
გენს იმისთანას?! იმერიძეობის მეტი რა
შეუძლიათ და სხვ. გამოვიდოდა რომე-
ლიმე „მეოთხე კლასიდან“ გამოსული
კალმის მოფხაქუნე ახალგაზრდა რეცენ-
ზენტი და სულ „ბღღვირის ადენდა“ მსა-
ხიობის ზოგჯერ დიდი ხნით ნაფიქრ და
სათანადოდ მომზადებულ როლის შეს-
რულებას.

(როგორ მეტყობა, რომ მეც ძალზე
გულდაწყვეტილი ვარ ესეთ რეცენზენ-
ტებისაგან თავის დროზე და ესე გვიან
ეუხდი სამაგიეროს!)

აბა ახლანდელ რეცენზენტებს კი არ
ჰგვანან მაშინდელი რეცენზენტები. ახლა
რომ სულ პანეგირიკებსა სწერენ დალო-
ცილები: წალმა-უკლმა გუნდრუკს
უქმევენ მსახიობებს და მარჯვენე და
მარცხნივ არიგებენ „მაღალხარისხოვა-
ნი ნიჭიერების“ და „გენიოსების“ მოწ-
მობებს.

ასე არ იყო მაშინ, მაგრამ მე მინდა
სულ სხვა მდგომარეობა გავიხსენო.

ამომიჩემა ერთმა რეცენზენტმა და
ისე ენას არ მოაბრუნებდა ის კურთხეუ-
ლის შვილი, რომ...

ჩემთვის არ მოეძღვნა ქება-დიდება.

ხოტბა და შესხმა. ხომ ხედავთ- რომ ბრკყალეზში არ ვსვამ ამ სიტყვებს.

გამიჭირა საქმე. ღირსი ვიყავი თუ არა, მაინც მაქებდა.

ერთ დღეს შევხვდი და ვამხილე:

—მე დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ ასე წამალაუწუმ ჩემი ქება არ არის მართებული-მეთქი.

ქვეიანი ახალგაზრდა იყო და... ერთი ამხედ-დამხედა. როდესაც შეამჩნია, რომ მე მართლა გულწრფელად ვეუბნებოდი, „კარგია“ მითხრა, საჩქაროდ ხელმ ჩამომართვა და გამშორდა.

ეს „ცივი“ განშორება არასოდეს არ დამაიწყებდა.

ეს იყო და ეს.

მას ჩვენს წარმოდგენებზე რეცენზიების წერა არ შეუწყვეტია, მაგრამ ჩემზე სრულიად მიატოვა წერა.

იმავე დროს მე განვაგრძობდი წამყვანი როლების შესრულებას. უკვე დასის ხელმძღვანელიც ვიყავ, რეჟისორიც და... თითქოს არც ვარსებობდი! სრულიად ამოავლო ჩემი სახსენებელი თავის ნაწერებში.

უნდა ითქვას, რომ ამას ძალიან მოხერხებულად აკეთებდა. დადგმაზე შეიძლება ეთქვა ერთი-ორი სიტყვა, მაგრამ მე მაინც არ მახსენებდა. ჩემ მიერ მთავარი როლის შესრულებასაც ისე ოსტატურად უვლიდა გვერდს, რომ ვერაფერს ვერ იტყოდი.

თვითონ ხომ ჩემზე აღარც კარგს ამბობდა და აღარც ცუდს. სამაგიეროდ, სხვები მაგინებდნენ და... მე მგონია, ეს იყო მისი მეტად მზაკერულად მოფიქრებული შურისძიება: „ჩემი ქება ხომ ვერ შეიფერე და ეგაც შენო“, თითქოს ამას მაგონებდა მისი საქციელი.

გამოვტყდები, ამან გული დამწყვიტა, მაგრამ მიმართვით აღარ მიმიმართავს.

მკითხველი უთუოდ მიმიხვდება, რაც მინდოდა მეტყვა ამ საკვირველი ეპიზოდის მოყვანით.

ჰოდა... აქაც, ამ „მეხჯი რობუს“ გარ-

შემო უკვე მაშინებს ჩემი ბოლოები. ამიტომ ამიერიდან ამ ჩემს ნაწერს აღარ მოუვბოდიშებ, ციბელულ პირდაპირ წავალ, ჯიქურ!

35

დასრულდა აღდგომის დღესასწაულის კვირიაკე.

ბანძიდან სტუმართაგან ყველაზე ადრე უცხოელები წაივინენ: მათ არც „ქვენიერობისათვის“ დაუცლიათ. ქუთაისს ეშურებოდნენ და გვირგვინიანებსაც აჩქარებდნენ, რომ მათ მალე დადევნებოდნენ ნოტარიუსთან ხელშეკრულების დასადებად.

„ქვენიერობა“ კი ერთი ძველისძველი, კერპთთაყვანისმცემლობიდან ბანძაში შემორჩენილი დღეობა იყო, და ეს დღე არამცთუ ჩამოსულ სტუმრებს არ ეთმობოდათ, არამედ ამ დღისათვის კიდევ ახალ სტუმრები ჩამოდიოდნენ იმერთიდან, გურიიდან, აფხაზეთიდან.

ეს სტუმრები, რაღა თქმა უნდა, უფრო თავად-აზნაურობისაგან შედგებოდა, რადგან იმ დროს სამეგრელოში ეს აღდგომის კვირა იყო თავად-აზნაურობისათვის საღვინოდ მიჩენილი: ნააღდგომევის ხუთშაბათიდან ახალ კვირამდე ბანძაში, ახალ კვირას კელაშში, მიქელაძეებში და ახალ კვირის მოყოლორშაბათს კი ისევ ბანძაში, „ქვენიერობაზე“.

„ქვენიერობაც“ ჩვეულებრივს, მხოლოდ უფრო მრავალრიცხოვან „ჯარიანობას“ წარმოადგენდა: ცხენების ჰყენება, ჯირითი, თარჩია, ცეკვა-თამაში, ფერხული თავის სიმღერებით, ბურთაობა და სხვ. მხოლოდ ამ დღეს შეკრებილ ხალხს შაურკარის ეკლესიის ეზოში ხეც უნდა მოეთხარა.

ვერავინ გეტყოდათ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ხის მოთხრას, ან რისთვის იყო განკუთვნილი. ამ ჩვეულების წარმოშობა და ძირითადი მნიშვნელობა ყველას დაიწყებულნი ჰქონდა ეამთა სვლისა და ცვალებადობის გამო, მაგ-

რამ, აგერ, ჩვენ დრომდე წმინდად იცავდნენ ამ მამა-პაპეულ ჩვეულებას.

სიღამო ხანს, მზეგადახრილზე, როცა უკვე თითქმის მოთავდებოდა ყოველგვარი გასართობები, დიდძალი ხალხი, უფრო ახალგაზრდობა, მიესეროდა ერთ-ერთ წინასწარ მიჩნეულ არცთუ ისე მომკრო ხეს და მოთხრიდნენ. მხოლოდ მას მოთხრიდნენ ხელით და არავითარ იარაღს, არც ბარს, არც წალღს, ან სხვა რამე ასეთს არა ხმარობდნენ. ყოველი მხრით დიდხანს არხვედნენ შესეულები ამ ხის ძირსა და ტანს, თვით შტოებსაც, ბოლოს კი საერთო ძალით უთუოდ მოთხრიდნენ ძირფესვიანად, გაიდებდნენ მხარზე და გალობა-სიმღერით შემოუვლიდნენ ტაძარს. შემდეგ მსურველები გაზაფხულის გამო ახლად შეფოთლილ შტოებს თავ-თავისად ირიგებდნენ და ნაღლეუსაწაულევი ბრუნდებოდნენ შინ. ახლაც ასე მოხდა.

ბარამი და ვამეხი შორიდან შესცქეროდნენ ხალხის ამ უცნაურ ზეიმს. ბარამი მოღუშული იდგა, გარინდული.

ვამეხმა გაიღიმა:

— შენ უთუოდ გწყინს, რომ ხეს ასე უპატივემლოდ მოეპყრნენ...

— არა... ჰო... — ძლივს ამოიღო ხმა ბარამმა. შემდეგ უფრო მტკიცედ წარმოთქვა: — რასაკვირველია, ხის გაფუჭება მაწუხებს, მხოლოდ მე ახლა სულ სხვაზე ვფიქრობ: მოთხარეს სულ ძირფესვიანად... შემდეგ თითქოს თავის ფიქრში გაიძეორა: — ძირფესვიანად!

— ჰა, ჰა! მახვილ-გონიერი ხარ, ბარამი! ხალხმა მოგლიჯა, მოთხარა ხე ძირ-ფესვიანად... შენ უთუოდ იმას ფიქრობ, რომ ხალხმა თუ მოინდომა, თავის მტერს ძირ-ფესვიანად მოთხრის... არა?

— დ... დიად... მაგრამ ხე რა, მტერია ხალხისა?

— ეგ სანიშნო რამ არის უთუოდ, ბარამი! სიმბოლო. სოციალური რაღაც აზრი უნდა იყოს ამ ჩვეულებაში... შენ

შემჩნევდი, რომ ხის მოთხრაში უფრო გლუხობა იღებდა მონაწილეობას...

— ჰო, ეგ ვერცა ყოველგვარადობა არ ერევა ხის მოთხრაში. შეიძლება ვინმე ანცი ახალგაზრდა თავად-თავანი გაეროს, ანდა რომელიმე ახნაურთავანი. ისე კი ამ ჩვეულებას უფრო გლუხები მისდევენ.

— აკი გითხარ, სოციალური სარჩული აქვს-მეთქი მსგავსად ერთი ჩვენი-ბურჟუაზი ფერხელისა: „ძაბრა“. ხომ გახსოვს — გლუხები რომ წრეს გააკეთებენ და შუაგულში ქუდს, უფრო ბოხობს დადებენ, ირგვლივ უვლიან, წიკვლებს არტყამენ ქუდს და დამღერიან: „ოი! ძაბრა, ძაბრაშუ წაულა!“¹ ეს იმას ნიშნავს, რომ მებატონეს ეწინააღმდეგებიან, ჯერ გაუბედავად, შემდეგ უფრო თამამად და ბოლოს სულ დაფლეთენ ქუდს.

— ვაი ჩვენი ბრალი!

— მაშ როგორ გნებავთ?! მტარვალობის წინააღმდეგ ხალხი მუდამ წამოქოჩრილი იყო და არის, მხოლოდ პირველ ხანებში გაუბედავი იყვნენ, ახლა კი თანდათან მოიციეს ძალი... ხომ გრძნობ?

— ვგრძნობ, ეხედავ, ვამეხ, ეხედავ და ვიცი, რომ ჩვენი საშველი არ იქნება.

ბარამის სახე თანდათან იღრუბლებოდა. ვერ შერეგებოდა იმას, რომ ხალხი მებატონეებს, „დღესა თუ ხვალე“ პირ-ფესვიანად მოთხრიდა.

— რატომ, რატომ, კაცო?! ყველანი კარგად ვიყოთ... შენც, მეც, მისი თავადი და მისი გლეხიც... ნუ შევაწუხებთ ერთიმეორეს, ძალას ნუ ვიხმართ ერთიმეორეზე და... მშვიდობიანად ვიცხოვროთ.

ვამეხმა მხარზე ხელი დაჰკრა ბარამს. თითქოს მიუხედავ, თუ რაზედაც ფიქრობდა ბარამი და ღიმილით, მაგრამ მაინც ასე უთხრა:

¹ ძაბრაშუ წაულა — ძაბრას წახდენა.

— კეთილი კაცი ხარ, ბარამ, კეთილი. მაგრამ ასეთ მოვლენების დროს შეურიგებელი ვერასოდეს ვერ შერიგდება. ამას გარდა, ხომ გახსოვს, რუსთაველიც რას ამბობს: „არ გარდავა გარდუვალი მომავალი საქმე ზენა?“ ხალხის დღევანდელი მოძრაობა მომავალი საქმე ზენაა და... „გარდუვალია!“...

ამ დროს მოვიდა ნექტარისაგან გამოგზავნილი კაცი და ჩურჩუქა და ვამებს აცნობა, რომ ცნობა-წყვეტილებების გზავრება ბერთემს და მათაც სთხოვს— წაშობრძანდნენო.

ბერთემში დიდხანს არ გაჩერებულან გვირგვლიანები. რამდენიმე დღის შემდეგ ისინიც გაემგზავრნენ ქუთაისს.

ბანიცაღინი

XIII

ციბეღული გონების მუზაც არის, როგორც

სალმდიკი (კონსტანცია პოპლე)! იყო ასეთი პიროვნებაც სინამდვილეში. საერთოდ თავის სიცოცხლეში (1765 — 1845) დიდად განთქმული ქალი იყო თურმე.

ყოზეფ შენიემ დაარქვა მას „გონების მუზა“.

ნეკრასოვი ამბობს:

Такую музу мне дала судьба —
Она поет по прихоти свободной,
Или молчит, как гордая раба.

(ბედმა ისეთი მუზა მომიჩინა, რომ ან თავისუფლად მღერის, ან კიდევ მდუმარებს, როგორც ამაყი მხვეალი).

მე კი მინდა, რომ ასე მიემართო ციბეღულს: „პოი, შენ მუზავ ჩემი გონებისა!“

ახლა აი რა მინდა მოგახსენო:

ახლა მინდა შენი კიდევ მეტი დახმარება.

სოფლიდან გავდივარ ქალაქს, ცხრა-ასიანი წლების ქუთაისს და...

მიუხედედიან მოქმედი პირები ამ ჩემი ნაწარმოებისა.

ეს ცოტა საშიშარი რამ არის მხატვრული თხზულებისათვის. ვიცი ეს ამბავი.

აქამდე კი მარტო ერთი სოფლის ხალხთან მქონდა საქმე. აქ მე უფრო აღ-

გილმდებარეობაზე, ზედშეფენილ ხალხზე, ვწერდი. იმათ გარეგნობასაც აღწერდი ზოგჯერ და შეძლებისამებრ გადმოცემდი მათ სულიერ თუ სხეულებრივ განცდასაც.

ახლა კი ქუთაისთან მიახლოვება ბევრ რასმე მავალებს და ამიტომ მოგმართავ, ცოტა არ იყოს, ზეაწეული კილოთი:

მოაპყარ ჩემსკენ სახე შენი, ციბეღულ, და შენის ნიჭის შარავანდელით განმინათე გზა ხელოვნებისა.

მომეც მე „ენა გამოთქმად“, გრძნობა გამახვილებული და სახეები გულში ჩამწედი.

მიზიარე შენი ოსტატობა ყოველის შემძლე, ყოველის დამტევი, რომ მკითხველს შივაწოდო უტყუარი სურათები ცხოვრებისა, გარდასულის თუ თანამედროვესი, მხოლოდ პოეზიის საგანძურადან იყოს გატყისკროვნებული.

რომ მეც ჩაეწვედ დედააზრს მოვლენებისა და სხვასაც მართლად ვუთხრა, რაც განმიცდია, მინახავს და დავსწრებდივარ.

ეგების ესე აღქურვილმა შენის უნახესის იარაღით მივადწიო უფრო ცხოვლად მის გულისყურამდე.

ჩემო გონების მუზავ, ციბეღულ, ჩემო კონსტანცია პოპლე!“

1

ვამეზი და ბარამი, ქუთაისის უძველესი ხიდის, „ჯაჭვის ხიდის“, მოაჯირზე დაყრდნობილი, ქალაქს გასტყუროდნენ.

მაისი მოახლოებული იყო და ქალაქი დიდებული აკაკის ნათქვამს თითქო ამართლებდა:

მართლაც „სავარდოდ და სამაისოდ“ იფურჩქნებოდა.

ბაგრატის ტაძრისა და ვაბაშვილის გორები ქალაქ ზემოთ უკვე ამწვანებულიყო. წყალ-გაღმა, რიონის მარ-

ჯენა მხარეზე, მარცხნით კი მწვანეყვავილას ბორცვი საგზაფხულად კელუცობდა.

მის ქვევით კიდე იმერეთის მშვენება — რიონი, უკვე შემდიდრებული რაჭა-ლეჩხუმის სხვა მდინარეებით, სოფ. ჯიმასტაროს და ქომის ვიწრო ხეობებიდან გამოსული, ფართოდ გაშლილიყო მწვანეყვავილას ფერდობიდან ეგრეთწოდებული „ფერმის“ კიდეებამდე და გაზაფხულის წყალდიდობით ამორგებული, ძველი ოქროს ჩარდახისაკენ მრისხანედ მოგორებდა თავის მშფოთვარე ზვირთებს...

მწვანეყვავილას ფერდობებიდან.

ბანიცაღენი

XIV

მწვანეყვავილა!

გახსოვს, ციბედულ, ერთ დროს ამ სტრიქონების დამწერს, ქუთაისში ყოფნის დროს, უნდოდა სალიტერატურო ჟურნალი გამოეცა და მისთვის დაერქმია „მწვანეყვავილა“.

მწვანეყვავილა!

რა უცნაური სახელია!

როგორ იყო მაშინ მოხიბლული ამ ნაწარმოების ავტორის სული და გული ამ სახელით.

მაგრამ ასე არ მოხდა: მე ასეთი ჟურნალი არასოდეს არ გამომიცია, მხოლოდ, ცხადია, მწვანეყვავილას გორაკს ქუთაისში. ამითი არ მოჰკლებია არც თავისი სიმშვენიერე და არც თავისი მიწიდეველობა.

2

ვამეზი და ბარამი კარგახანს შეჩერებოდნენ მაღლა მთაზე წამოსკუთხებულ უქიმფრიონის ძველ ციხის ნანგრევებს, აღრინდელ ქალაქ „კოტიანიონის“ მახლობლად მდებარეს, შემდეგ ლაზებმა „კუტატისი“ რომ შეარქვეს და დღეს „ქუთაისი“ რომ ჰქვია. მაგრამ აგერ ვამეზს თვალის ჩამოუხსნტა

ციხის ქვევით რიონის მარცხენა სანაპიროსაკენ.

— აგერ, ზედაც, ჩვენსკენ, წყალგამოღმა რიონის ნაპირად, — უთითებდა ვამეზი ბარამს, — რა ლამაზი მოყვანილობის შენობაა აგებული... ეს კათოლიკეების ეკლესიაა, ან, როგორც ჩვენ ვეძახით, ქართველი ფრანგების, და საქართველოში ამჟამად არსად სხვაგან ასეთი შემკული ეკლესია კათოლიკეებს არ მოეპოვებთ. იქვეა ეკლესიის კარებთან დიდად შესამჩნევი ნაძვის ხე, აშოლტილი და ჩვენებური ჩიჩილაკივით ქვევით ფართოდ გაშლილი, შემდეგ კი შემოკვერცხილი და ბოლოს ვიწრო ტანით ცისკენ ატყორცნილი. მართო მის სანახავად უნდა წავიდეს კაცი, რომ ხის მშვენება იგრძნოს და მისი სიყვარული გულს ჩაენერგოს. შენ უთუოდ უნდა ინახულო. არ ყოფილხარ? როგორ დაგემაართა ხეების შენისთანა თაყვანისმცემელს... წადი, უთუოდ ინახულე, მხოლოდ ახლა კი ჩვენ ბაგრატის ტაძრის ნანგრევები ვნახოთ. მართალია, ნანგრევებია, მაგრამ ახლაც თავის დიდებულებას არა კარგავს. მერ-

მე კიდევ ბაგრატის ტაძარი უძველესი ნაგებობაც არის და შესანიშნავი კიდეც ის არის, რომ ქართული მხატვრული ნიჭის შემოქმედებაა. კათოლიკეთა ეკლესია უთუოდ მოხდენილი რამ არის, რადგან ის სრულიად გამწყობრული შენობაა, უფრო საზღვარგარეთული, ლათინური ყაიდისა და, რაც მთავარია, ქუთაისში ეს ნაგებობა აგერ ახლა არის აშენებული. „აგერ ახლა“ ჰქვია მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარს. ბაგრატის ტაძარი კი, ჩემი აზრით, მეათე თუ მეთერთმეტე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

— მე ცუდი ქვეითი ვარ, ვამებ, ხომ იცი... — ხიდიდან აღმართისაკენ აიხედდა ბარამმა და შემდეგ თითქოს სინანულით წარმოთქვა: — ახლა კიდევ ეს აღმართი! არა, ცუდი ქვეითი ვარ, ვამებ, ცუდი...

ვამებს ხამაძლა გაეცინა:

— ცხენით ხარ სიარულს დაჩვეული და უნაგირზე ხშირი ჯდომისაგან ფეხები გაქვს გაჩაჩხული. შემომჩნევია, რომ სკამზე ჯდომის დროს თუ მარცხენა ხელი არ მიაშველე მარჯვენა ფეხს, ისე მეორე ფეხზე ვერ შემოიდებ, ანდა პირუკუ! ჰა, ჰა!

ბარამიც აჰყვა სიცილში და შემდეგ აღარ გაჯიუტებულა, ვამებთან ერთად ესეც შეუდგა აღმართს.

ვამებმა ბარამი ბაგრატის ტაძრის ირგვლივ შემოატარა, მაგრამ ბევრი არა უთქვამს-რა. ეტყობოდა, რაღაც მძიმე ფიქრებს მისცემოდა და სალაპარაკოდ არ ეცალა. ბარამი კი ფიქრობდა — ეტყობა, ვამები ამ ტაძართან მიახლოვებაზე ლოცვის გუნებაზე დადგა და ხელს არ შეეშულიო. თვითონაც მოწიწებით და განკრძალვით ათვალეობდა იქაურობას.

მაგრამ, აი, როდესაც ისინი ტაძრის შიგნით შევიდნენ და აქა-იქ მოჩუქცილი ეკალბურდი გადასწიეს... ვამები უეცრად დაიხარა და ბარამს მიუთითა:

— ხედავ? ეს ფილაქანია. მთელი

იატაკი ამ ტაძარში ასეთი ფილაქანით ყოფილა მოგებული, რა ზუსტად გამოჭრილია თითოეული მათგანი, იმდენმატიკური სისწორით არის შემორგვალებული. შიგ ერთიმეორეს უსხედს ვარდისფერი და შავი კენჭები. ჩვენი ძველები ამ მოზაიკას სოფიის კენჭს ეძახდნენ თურმე. ეეჰ, ვინ იცის — აქ ამოიხრა ვამებმა — რამდენჯერ დაუდგამთ ფეხი ამ ფილაქანზე ჩვენს შესანიშნავ წინაპრებს: რუსთაველს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს...

ბარამი კიდევ უფრო დააკვირდა, თითქოს უნდა დაინახოს, რომელიმეს ხომ არ ატყვია ვამებისაგან ხსენებულ პირთა ნატერფალიო.

ბარამი გააკვირვა ნანგრევებზე კიდევ კარგა მაღლა შერჩენილმა ქვის თხელმა კედელმა. ამ საუკუნეთა მანძილზე როგორ შენახულა, გაუძლია და არ ჩამოხგრეულაო. ტაძარს გასცილდა და ერთ შორეულ ქვაზე ჩამოჯდა.

საუცხოო სანახაობა გადაიშალა მის თვალთა წინ: თითქოს ბალნარში ჩამჯდარი პატარა, მაგრამ ლამაზი ქალაქი. მას რიონი შუაზე ჰყოფს და შემდეგ გეგუთის დაცემული ვაკისაკენ საკვირველი მიმოხრილობით დაკლანილი მიემართება ახალციხისა და გურიის მთებისაკენ, თითქოს უნდა იმათ დაეტაკოსო. მაგრამ ბარამმა იცის, რომ ეს ასე არ ხდება. რიონი ამ მთებს არც კი ეკარება, ისე სწრაფად უზვევს დასავლეთისაკენ.

მაღე ვამებიც მოვიდა ბარამთან. ის ჯერ კიდევ გარდასულ დროთა მოგონებით იყო შეპყრობილი და ამიტომაც თავდაპირველად სულ ისტორიულ წარსულზე ელაპარაკებოდა ბარამს.

— ქუთაისი, უნდა იცოდე, ბარამ, რომ ერთი უძველესი ქალაქთაგანია მთელს მსოფლიოში. ჯერ კიდევ ანტიკური ქვეყნების დროს არსებობდა „კუტაი“. ამაზე მოგვითხრობენ ძველი ბიზანტიელი და რომაელი მწერლები. მხოლოდ მაშინდელი ქალაქი, რასაკვირ-

ველია, დღევანდელს არა ჰგავდა. ის უფრო ციხე-სიმაგრე იყო ვალავან-მოვლებული და მტრისაგან შეუვალად განკუთვნილი. ეგერ, ვალმა გადაშლილა ახლანდელი მწვანეყვავილა, წელან რომ ვუკვირდებოდით, ხომ ხედავ, იმ ბორცვზე, ეკლესიასთან ციხის ნანგრევს. ეგეც ძველი ქალაქის ნაშთია. თვითონ ქალაქს, რომელსაც ახლა ჩვენ მიეჩვიეთ, სახელი ერქვა ქალაქის, თორემ სინამდვილეში ასეთი არ იყო. ეს უფრო ციხე იყო, მტრისაგან მომგერიებელი და მოსახლეთა შესახიზნი. ციხის გარეთ, ქალაქში მოსახლეობა ცოტა იყო და, თუ იყო, ისიც უფრო ვაჭრებსა და აღებ-მიცემის ხალხს ეჭირა. ქალაქის სხვადასხვა კუთხე კი სხვადასხვა მებატონეს ეკუთვნოდა, როგორც მაგალითად, სამხრეთით — აჯი-შვილებს, დასავლეთით — წულუკიძეებს და აღმოსავლეთით — ქვარიანებს. ამ მებატონეების სამფლობელოში ძველად ხალხი არ ესახლა. თუ იყო სადმე, უფრო ქვარიანების მამულში, რომელიც მწვანეყვავილას არემარეზე მდებარეობდა. იქ იყო ერთ მოედანზე მაშინდელი ბაზარი და მთელი ვბრაელებიც იქ ესახლან...

— მიყვარს შენთან ლაპარაკი, ვამეხ... ტყუილი რომ მითხრა, ისიც კი მჯერა, ისე დალაგებით იცი მოყოლა...

— ჰა, ჰა! — გაეცინა ვამეხს — აბა როდის გითხარი ტყუილი?

— არა, მაგრამ...

— ჰო, ვიცი, გიყვარვარ... მაგრამ, აგერ, ვახედე, ლამაზია ჩვენი ქუთაისი. საუცხოო მდებარეობა აქვს, კოხტა ქალაქია...

ბარამმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ვამეხს ეს არ დაუწახავს, თავისას განაგრძობდა:

— პატარა ქალაქია, ორსართულიანი სახლები თითქმის ხელზე დასათვლელია ამჟამად. ქალაქის ცენტრში გუბერნიის სამმართველოს სახლია, თვალში

რომ მოგხედება და იმის ქვევით, რომლის ნაპირას, კლასიკური გიმნაზიაა. აი იქ, სადაც ოდესღაც მეფეების სასახლე ყოფილა, ოქროს ჩარდახათ წოდებული.

— ჰოო, ეგ ხომ მეც ვიცი, ვამეხ. გამიგონია, მეფე სოლომონი ერთხელ ლამით თავის სასახლის აივანზე იჯდა, წინ სანთელი ენთო და უეცრად სანთლის ალი შეირხა. მაშინ თქვა თურმე — აჯამეთის ტყეში უთუოდ ვიღაც ხე მოჭრა და ამ დანაკლისმა სანთლის შუქი შემირყიო. ძალიან დაცული ტყე ყოფილა თურმე აჯამეთის ტყე.

— ჰო, სანადიროდ ჰქონდათ მეფეებს მიჩნეული და, შენი არ იყოს, ერთ ფიჩხს არავის გაატანდნენ... ჰა, ჰა! მაგრამ ჩვენ ქუთაისზე გვქონდა ლაპარაკი...

— ჰო, აქაურ სახლებზე... მე ძალიან მომწონს თბილისის ჭუჩახე, ფერდობში ჩადგმული გუბერნატორის სახლი და ბალახვანის ჭუჩახე კიდევ ვიღაც ნემეცი ინჟინერის...

— გაგემესტერის — შეეშველა ვამეხი — მართალია, ეგ ორი სახლი ამჟამად ყველაზე უფრო შესამჩნევია ქუთაისში, შენ მართალი ხარ. ისე კი უფრო თითოსართულიანი სახლები სქარბობს ქალაქში და ეს არ უშლის ხელს, რომ ქალაქი მაინც კოხტად გამოიყურებოდეს... ჰო, სასტუმროებია კიდევ კარგა სრული ნაგებობისა, აი, სადაც ახლა ჩვენი ბარონესა თავის ქალიშვილებით და ბეგი რომ დადგა. შენ კი, შენ, ბარამ, უცნაური კაცია ხარ. მაინც აღანაიას ტრაქტირი გირჩევნია და ქუთაისში ჩამოსვლისას, მუდამ იქ ჩამოხტები ხოლმე.

— ჩვენებური კაცია აღანაია, მიცნობს, ვიცნობ. — კარგ პატივს მცემს...

— რასაკვირველია. ნეტარიინა მაინც თავის გუტატით და ბათუთი კანდიტერ სანიკიას ეწვია სტუმრად.

— სანიკია დიდი პატივისმცემელია ჩვენი რძლისა.

— ეგეც გასაგებია, მხოლოდ კესარია სად წავიდა თავის იეროთი, ეს ვერ გავიგე.

— კესარია თავის მოყვარე ბალათურთას ეწვია, ბერთემიდან რომ არის წამოსული, — მეეტლეს.

— ჰოო, არ გამიკვირდა, ჩვენებთან არსად რომ არა ჩანდა. იერო კი აქ უნდა მივაბაროთ...

— სად?

— წამოდი, გვირბთან ჩავიდეთ, იქ არის, ფერმას რომ ეძახდნენ, იმ ბაღში სოფლის მეურნეობის სასწავლებელი...

— რასაკვირველია, ვამეხ, იეროს უნდა ვასწავლოთ მაგრამ ჰა, ჰა! მეურნეობა რაღად დასჭირდება, როცა სამეურნეო არა გააჩნია-რა, მერე კიდევ შენ ამბობ, იეროს დროს კერძო საკუთრებაც აღარ იქნებოთ...

— მერმე რა! ხალხის ხომ იქნება, საერთო, ამ საერთოს მოვლა არ უნდა? ხალხს სპეციალისტები არ უნდა ეყოლოს? ეგეც ხალხს ემსახურება...

ბარამი ჩაფიქრდა. მაგრამ ვამეხი წამოდგა, ბარამიც აიყოლა და ორთავენი ხელგაყრილი დაეშენენ გვირბისაკენ. კლდის პატარა ქიმს რომ წაადგნენ, ვამეხი შეჩერდა და ბარამი აღმოსავლეთისაკენ გაახუდა:

— აგერ მოშორებით, მთის კიდურზე, მთა რომ მოჩანს, ახლა ეგეც რომ მწვანით შემოსილა, იმის ძირას გელათია, კარგად დაუკვირდი! თვით გელათის მონასტერიც კი მოჩანს აქედან... ძველი გაენათი... იმ დროის გამნათლებელი ჩვენი ქვეყნისა. თავის დროზე ის მარტო ლოცვების კერა კი არ ყოფილა, არამედ იქ ირკვეოდა ფილოსოფიური საკითხებიც, ზნეობრივი მოძღვრებანიც და სხვადასხვა ნათარგმნი თუ ორიგინალი სახელმძღვანელოები: ვარსკვლავთმრიცხველობისა, მათემატიკისა, გეოლოგიისა, გეოგრაფიისა, სამკურნალო კარაბადინებისა და

სხვ. ეგპ, რამდენი უმუშავეთ ჩვენს წინაბრებს, მოწინავე ქვეყნებს უთავსებრ უდებდა საქართველო! ახლა კესარია გვირბს მიდწიეს.

აქ ვამეხმა ბარამის ყურადღება იმას მიაქცია რომ გვირბიდან გამოსული ქვეებისაგან ჩამოსხმული თითქოს ზღამრული ვეშაპის ტანი იყო მოკლავნილი, თუმცა ეამთა ვითარებისაგან ძალზე დაზიანებული იყო და იქა-აქ ჩამტვრეულიც.

— აი, ბარამ, აქ თურმე ქვის დიდი ვეშაპი იყო გაწოლილი მთელ ფერდობზე, მშვენიერი წყაროს წყალი მომდინარებდა ამ ვეშაპის ტანში, ახლაც მომდინარებს, მხოლოდ ახლა ვეშაპის თავი აღარა ჩანს, მომტვრეულია და პირდაპირ მიწაზე იღვრება წყალი... მოდი, გული ვიგრილოთ! — და ლეჩხუმისკენ მიმავალი ვზატკეცილის პირას გადმომდინარე წყაროს წყალი იგემეს და შემდეგ ისევ ჯაქვის ხიდისაკენ პირი იბრუნეს.

— აი ახლა კი გავერვეით ქუთაისის მღელვარე ცხოვრებას. ვუახლოვდებით ქუთაისის განთქმულ ბულვარს, ბარამ, აქაურები „ბულვარდს“ რომ უწოდებენ. ჩემი ფიქრით, კარგი შერქმეულია: ჯერ-ერთი, ეს ბაღი მართლაც რომ ქალაქის შუაგულშია, მაშასადამე, გულია ქალაქისა და ვარდად კი მიტომ არის გადაშლილი, რომ მის მიდამოს ასწლოვანი ხეები და უცხო მცენარეთა ყვავილნარი ამკობს... აი ამ ბულვარში ვნახავთ ქუთაისის ყველა ფენისა და მიმართულების წარმომადგენლებს...

— ახლა მაინც თავად-აზნაურების წინამძღოლის, მარშლის არჩევნებიც ყოფილა და მთელი იმერეთი აქ იქნება.

— მთელი იმერეთი არა, ბარამ, მაგრამ თავად-აზნაურების წარმომადგენლები კი იქნებიან. ჩამოვლენ რაქალეჩხუმიდან, გურიიდან, ზემო და ქვემო იმერეთიდან...

— ჩვენ მეგრელები კი ისევე დაჩაგ-

რულები ვართ... ჯერ კიდევ არა ვართ მთავრობისაგან ჩვენს წოდებაში დამტკიცებულები.

— ოჰ, ბარამ, ბარამ! რად გინდა ეს წოდება, ხვალ და ზეგ ყველგან მოსპობა მაგის ნატამალი!

ბარამს ცოტა ეწყინა:

— მე რომ არ გიცნობდე, ვამეხ, ვიფიქრებ, რადგან თვითონ დაკარგული აქვს წოდება, სხვების შურს-მეთქი... არა, ნურათერს ნუ მტყუვი, — უკვე გაღმობიერდა ბარამი. — კარგად ვიცი, რომ შენ ეს არ გალაბარაკებს, მხოლოდ იცი, რა გითხრა: სანამ არსებობს ეს წოდება, ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ გამოწყვეტილი?

ვამეხმა გაიღიმა:

— აგერ, დადიანებს აქეთ უფლება თავად-აზნაურთა კრებულში მონაწილეობის მიღებისა და ოდიშს ესეც ეყოფა...

— ჰო, გამიგონია, რუსების კანონთა რომელიღაც მეცხრე ტომში წერიაო დადიანების უფლების შესახებ, მაგრამ ეს რა საკმარისია! ჩვენც გვინდა ღირსეულების არჩევანში მონაწილეობა მივიღოთ...

— გულდაწყვეტილი ხარ, მაგრამ რა გქნათ... შენ არ დაგაგვიანდეს, ბარამ, ნოტარიუსში...

— არა, ორ საათზე ვართ დაბარებულნი. სამი დღე მოუნდა ნოტარიუსი ჩვენი საბუთების შედგენას და დღეს, როგორც არის, დაბარდებდა და...

— ფულებსაც მიიღებთ არა?

— დიად... რა არის, ვამეხ, ჩემგან მაინც გაიზიარე, შენი საწილადო...

ვამეხი მოიღუშა.

— ეგ ერთხელ გითხარი და გავათავე. მე მამული არსად აღარა მაქვს და არც ჩემი საწილადო არის სადმე. თქვენგან კი არათერს არ მივიღებ.

ორთავენი გაჩუმდნენ და განაგრძეს გზა. მიადგნენ კიდევ ბულვარს. ვამეხი ისევ გამხიარულდა და ბარამს ახლა ასე მიმართა:

— აი, ხომ ხედავ, უკვე თორმეტი

საათია, ბულვარში ხალხი გამოტყეხილია. კნენიები და კნიაზებიც აქ მტკანდებიან... კარგი სანახევრები არიან გარეგნულად, ეგ საქაგლები! ესენი უფრო სამხრეთით სეირნობენ ახლა, ლალიძის წყლის მაღაზიის გასწვრივ, ზოგი თვით ამ მაღაზიის წინ ქვაფენილზე მაგიდებს უსხედან და წყალს შიირთმევენ. ხედავ, რა მხიარულადაც არიან, ქალები როგორ კისკისებენ, ვაყები როგორ კობტაობენ. ა, ბარამ! მაგრამ ახლა იქით გაიხედე, ჩრდილოეთით. იქ, სკამებზე, ჩამომწყრივებულა ახალგაზრდობა. ესენი იცი, ვინ არიან? ლეგალური მარქსისტები, „მატარა ჯგუფის“ ხალხი, დიდი საქმის გამკეთებელი! — ასე დაარქვა ერთმა პუბლიცისტმა ქუთათურ ამ ჯგუფს. აი აქედან არის, რომ მაღე გამოსცემს ხმას დიდი ჰეჰა-ქუხილი. ესენი ამჟამად პატარა საყვირები არიან მხოლოდ. აქეთ კი, სადაც ჩვენ უნდა შევიდეთ ახლა, გუბერნიის სამმართველოს პირდაპირ, ძველი, ხანდაზმული აზნაურები სხედან, ზოგი სამხედრო, ერთ დროს ომში ნამყოფი, და მასლაათობენ. მათ შორის ამჟამად ბევრი ჩამოსული მეკენჭეც არის. აი დაინახე? ერთი კარგა ჩასუქებული, ხანში შესული პრაპორშნიკი რომ ზის, ყალიონს რომ „აბლაკუნებს“. მაგას, მშაო, ქვეყნის ამბავი ფეხებზე ჰკილია, ილია ქავეჯავაძის სიტყვის არ იყოს. ეგ იმის მოლოდინშია, თუ მარშლობის რომელ კანდიდატის მომხრე დაბატიყებს სადილად. იქ პირობას დადებს, რომ მაგის კანდიდატს მისცემს თავის ხმას, მეორე დღეს, ან ამაღამვე ვახშმად მეორე კანდიდატის მომხრესთან გადავა, და ახლა იქ მიცემს საიდუმლო პირობას. თითოეული მეკენჭის გადაბირება კი ორივე მომხრეს დიდად ესაჭიროება, რადგან იმერეთში და, განსაკუთრებით, თავად-აზნაურობაში მეკენჭეთა მერყეობაზე ბევრია დამოკიდებული. აქ ზუთხსა და ფოროჯს ეძლევა დიდი როლი. ახლა ხომ

ამ თევზების სეზონია და ბალიასტომის ტბიდან ძალიან ბლომად შემოაქვს, აი თუნდაც მწვენი ბაზარში, ძმანი არჯევიანიძეები რომ არიან, იმათ საეპტოს. თუ გაჭირდა, ზოგიერთ მეკენეს, გარდა ასეთი „დიდად შესარგი სმაჰა-მისა“, ფულითაც მოიქრთამავენ. განა არ იცი, ჩვენი კენჭისყრის ამბავი, ბარამ, ჩვენი ბანკის კენჭისყრა ხომ გახსოვს...

— როგორ არ ვიცი, რა ამბავი იყო ყოველთვის ბანკის არჩევნებზე! ყველა კენჭის ყრას უტეხდა, იყო ერთი შეხლა-შემოხლა, „კენჭმა გაგვასწოროს, კენჭმაო“ — გავიძახოდით ამომჩრეველები.

— ჰოდა, ავაშენოს! აქაც ისეთი ამბავი არის და იქნება, მაგრამ ერთი იქნით გავიწიოთ, აღმოსავლეთით, სობოროსაკენ. აქ კი უფრო ინტელიგენცია იკრებება. ჯერ ადრეა, თორემ სამი საათის შემდეგ ამ კრებულს დაამშვენებს თვითონ, მართლაც რომ ღირსეული აღამიანი, კირილე ლორთქიფანიძე, ქუთაისის არისტოკრატული წოდებული. მალე აქვე გაჩნდება მწერალი მველე...

— მველე?

— დიდა, როგორ არ იცი, დათა მიქელაძე...

— ეგ რომელი?

— როგორ არ გახსოვს, შე კაცო, მარშალ ალექსანდრე მიქელაძის შვილი... ერთხელ ჩვენც არ გვეწვია ბერთეში?

— მერე მწერალია?... მე კი მეგონა, მხოლოდ ნადირობით იყო გატაცებული... ჩვენთან რომ იყო, სულ მიმინო უჯდა ხელზე და ჩვენს ჭალაში სულ სამწყეროდ დადიოდა.

— ჰო, ნადირობაც უყვარს, მაგრამ მწერალიც არის და კარგა მომზადებული კაციც. მშვენიერი მოსაუბრეც. ხშირად ეგ და კირილე ლორთქიფანიძე რაიმე საკითხზე ერთიმეორეს შეეკამათებთან და მათი მოსმენა ერთი ლექციის მოსმენას უდრის. მაგრამ მათ შორის

პაექრობა კიდევ უფრო ღვივდება, როდესაც მათ გარშემო უფრო მთლიანი სხვა ქუთათური ინტელიგენტები — ადვოკატები, ბანკებში და ქალაქის საბჭოში მოსამსახურენი. მხოლოდ კიდევ უფრო ხალისდება ეს წრე, როდესაც მათ შემეატებათ აფხაზეთის მთავრის შვილი, საუცხოო ვაჟაკი, ეგეც დიდად მომზადებული აღამიანი და მწერალი გიორგი შარვაშიძე. ბოლოს შეიძლება ამ წრეს შემოუერთდეს საიდანმე ქუთაისის ახლად ჩამოსული თვითონ აკაკი და თავისი ღიმილით ერთხელ კიდევ მოხიბლოს იქაურობა... მაგრამ ესენი მხოლოდ სამსახურის დასრულების შემდეგ, სადილობამდე იკრიბებიან ბულვარში. ახლა შუადღეა ბარამ, და აქ მხოლოდ მოსეირნე ხალხია შეკრებილი, უფრო ახალგაზრდობაა. ეგერ, გახედე, ქალები რომ ჩამომსხდარან, მათ წინ როგორი მწყაზარი სახის სტუდენტი დგას. ხომ ხედავ, ფორმაშია გამოწყობილი. ვერ ვიციან, არ მინახავს, მაგრამ საყურადღებოა, რაზე საუბრობს? მოდი, მიუახლოვდეთ ამ ჯგუფს.

ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ. მოესმათ, რომ სტუდენტი მეტად პესიმისტურ რამეებს მოუთხრობდა ბანონებს.

ეტყობოდა, რომ ქალებს სტუდენტისა მიინცდამინც არც თუ ისე სჯეროდათ, მაგრამ მაინც ხარბად უსმენდნენ მის მშვენიერ ხვერდოვან ბარეტონს.

სტუდენტი უცნაურ რაღაცეებს ამბობდა:

— ასე არის, ასე, ქალბატონებო! ცხოვრება არ ღირს იმად, რომ იმისათვის თავი ვიმტვრიოთ...

ეს სიტყვები ეხამუშა ბარამს. ვამხებს კი ირონიულმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე. ორივემ დინჯად ჩაუარა ამ ჯგუფს, მაგრამ ისინი ისევ მალე შემოტრიალდნენ, რომ კიდევ გაეგონათ სტუდენტის სიტყვები.

სტუდენტი ქადაგობდა:

— აი თუნდაც თვით შექსპირი ავი-
ლოთ. აი რას ამბობს ის თავის „მაკ-
ბეტში“:

ცხოვრება არის მოღანდება, სწრაფწარმოვლი,
ის მსახობობს საცოდაოდ სცენის ზაქანზე;
ერთი საათით ბაქიბუქობს ძღვეამოსილი,
ნან მრისხანებით დაიყვირებს, შემდეგ გაქრება,
აღარაფერი ისმის მისი... ზღაპარი არის
ეს ცხოვრება, ვითომ ჭექს და ჭუხს...
მინაარსი კი არარაა, არაფერი აქვს!

ბარამმა და ვამეხმა კვლავ ჩაიარეს,
მაგრამ კვლავ ისევ შემობრუნდნენ.
თითქოს თავისთვის სეირნობენო, ყური
კი სტუდენტისაკენ ჰჭონდათ მიპყრო-
ბილი.

სტუდენტი განაგრძობდა:

— ხალხი ცხოვრობს, მუშაობს,
ტყება, იტანჯება, უყვართ, სძულთ,
აქვთ თავიანთი მრწამსი, მაგრამ ხში-
რად გული უტრუნვდებათ. მერმე ყვე-
ლა ეს რისთვის? მიზანი? უმიზნოდ
არაფერი არა ხდება ქვეყანაზე... ყო-
ველგვარი სიცოცხლის დასათავარი,
ბოლო სიკვდილია. მაშასადამე, ცხოვ-
რების მიზანი სიკვდილი ყოფილა...

ბარამმა ჩუმად გადაულაპარაკა ვა-
მეხს:

— რა ახირებულ რამეს ლაპარაკ-
ობს ეს ყმაწვილი, ვამეხ! სიკვდილს
უქადაგებს ხალხს, ცხოვრებაზე გული
უნდა აუტრუნოს?

— ჰა, ჰა! იბრანჭება, ბარამ, იბრან-
ჭება— ვითომ შემომხედეთ, როგორი
მიზნოვანი ვარო. თუმცა ეგებები სრუ-
ლიადაც არ არის ორიგინალური და
მაგის ნააზრვევი. ეს ჯერ კიდევ ბიბ-
ლიურ „ამაოება ამათა“—საგან მო-
დის და ევროპაში კიდევ ამჟამად ძა-
ლიან ბევრია ისეთი მწერალი, რომე-
ლიც სწორედ იმას ქადაგებს, რომ
ცხოვრება არაფრად არ ღირს, რადგან
მას საბოლოოდ სიკვდილი უღარა-
ჯებს...

— საოცარიია! ანდა, ვამეხ, ქალებთან
რა სალაპარაკოა ასეთი გულის დამჩაგ-

ვრელი საუბარი? ისიც ყმაწვილი ვა-
ცისაგან. პირიქით, ეგ უნდა ქათინაურებს
ეუბნებოდეს ქალებს, ემიჯნებოდ-
დეს, ეარშიყებოდეს...

— ჰა, ჰა! ბარამ ჩემო, ბარამ! არში-
ყობა სხვადასხვანაირია. ეგ კიდევ აკა-
დემიკოსი სტუდენტი.

— სტუდენტი-აკადემიკოსი? ნუ მა-
ბრძიყებ ახლა, ვამეხ! ამდენი კი მეს-
მის...

— აარა! — ჩიქირჩილა ვამეხმა. —
მაგისთანა სტუდენტებს აკადემიკო-
სობა აქვთ შერქმეული იმისათვის, რომ
არაერთარ სტუდენტთა მოძრაობაში,
გაფიცვებში და სხვა ეგენი არ ერევიან
და უნდათ, რომ მხოლოდ უნივერსი-
ტეტი დაამთავრონ, აკადემიური სწავ-
ლა და დიპლომები მიიღონ...

— ბიქო, ჭკვიანი ყოფილა...

— ჰო, ვინ როგორ შეხედავს... თა-
ვისთვის. რასაკვირველია, ერთგვარად
ჭკვიანია, კარიერისკენ მიისწრაფვის,
სხვას არაფერს დაგიღვეს... ასეთია
ყველა „თეთრსარჩულიანი“ სტუდ-
ენტი...

— ეგ კიდევ რაღაა?

— ეგ იმას ნიშნავს, რომ მაგათ პალ-
ტოებს მეტწილად თეთრი სარჩული
აქვს ამოდებული. განსაკუთრებით მა-
გათ კლოკს, აი ნიკოლოზის შინელს
რომ ეძახიან. ამისთანა კლოკს ჩვენ-
შიაც ატარებს ზოგი არა სამხედრო პი-
როვნებაც, ზოგიერთი ჩვენი ყოყლო-
ჩინა კნიაზიც და... მაგისთანა სტუდენ-
ტები რუსეთში და ჩვენშიაც...

— არა, მე ვხედავ, რომ ძალიან
კობტა ჩაცმულია. უმეტესობა ქართ-
ველი სტუდენტობა, მინახავს, რომ
ცულად არის ჩაცმული. ცხადია, სიღა-
რიბის გამო, მხოლოდ ეს მაინც მაკ-
ვირვებს, ამისთანა კობტა, ბიჭი ქალებ-
თან არშიყობის მაგივრად რეებს ესა-
უბრება?

— გვეყოფა მაგის მოსმენა... ახლა
შემოუყარათ მთელ ბულვარს. სხვა
ტიპებსაც წავაწყდებით, — და ვამეხმა

მთავარანგელოზის ეკლესიის მხრისაკენ წაიყვანა ბარამი. ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ ალაპარაკდა:

— არშიყობა, როგორც ვითხარი, სხვადასხვანაირია. ეგეც არშიყობს თავისი საუბრით. იმას უნდა თავისი უცნაური აზროვნებით ჯერ შეაკროს, შეაცბუნოს ქალების გული და შემდეგ... როგორ იტყვი შენ, ხანდახან ჩიტებზე? ჰო, „მოიყვანოს სახადელზე“. იმან იცის, რასაც აკეთებს. კარგად იცის, რომ დღესვე სადმე რომელიმე ოჯახში, სადაც უთუოდ დაპატივებენ ამისთანა უცნაურს, მაგრამ სასურველ სტუმარს, იქ უკვე მისი „მალალი აზროვნებით“ მოხიბლული რომელიმე ქალწული წამოედება მაგის ვითომდა „ფილოსოფიურ“ ანკესს. შერე „იცის ბიჭმა!“ ასეთი ვითომ „მალალი აზროვნებით“ გააბრუებს გოგონას და შემდეგ თავის ქვენაგრძნობების ბაღეში გაახვევს...

მაგრამ ამ დროს ვამეხსა და ბარამს კიდევ მოესმათ სტუდენტის ხმა და ცოტაზე კვლავ შეჩერდნენ.

სტუდენტი ახლა ასე მახვილსიტყვაობდა:

— ასეა ცხოვრებაში; ღიმილი ღრეჰად იქცევა, სიცილს ცრემლები ცვლის, ზაფხულს — შემოდგომა, დღეს დამე, სიყვარულს — სიძულვილი, ქორწინებას — გაყრა...

— ბიჭოს! მთლად სულელი არ ყოფილა ეს ყმაწვილი, ვამეხ!

— არა, ვინ ამბობს! მაგისთანა ტიპები სულელები კი არ არიან, ხშირად ძალიან მომზადებულებიც არიან, მაგრამ თავიანთ ცოდნას და განათლებას მრუდედ ხმარობენ. მხოლოდ ეს მათი მომზადება და ცოდნა ძალიან ზერელება, თავიანთი აზროვნება არც კი აქვთ შემუშავებული. სულ სხვის ნაფიქრალს და ნაზრევს იზებობენ და ამითი გააქვთ თავი. თანაც იბრანქებიან და ქვეყანა უნდათ გააკვირონ: აჰ, რა იშვიათი პიროვნებაა, როგორ

ორიგინალურად აზროვნებსო, ამბობენ მისი შემხედვარე გულუბრყვილო დამაინები, განსაკუთრებულ სკანდნაქდა საზოგადოებაში მითი იხვეჭენ სახელს...

— მოიცა მოიცა, შენი ჭირიმე, ვამეხ! გესმის ახლა რას ლაპარაკობს?

ყური მიუგდეს. სტუდენტი ამბობდა:

— ქვეყანას მართავს სიცრუე, ყველგან სიმართლისათვის ტყუილა იკლავენ თავს... ბრიყვები და სულელები! სიცრუეა ყველაფრის გამგებელი, მმართველი. ამის დამტკიცება ბევრი მაგალითით შეიძლება...

— კაცო, თანდათან მომწონს ეგ ყმაწვილი, ვამეხ! შენ ტყუილა აგინებ... — და კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ თავზე წამოადგნენ ბარონესა და დაგმარა, საზაფხულო კაბაში გამოწყობილები, ფართო კალთებიან პანამის ქულებით, რომლებზედაც ხელოვნური ჩიტები ხელოვნურადვე ყვავილნარის ბუჩქებში იყვნენ ჩაყუთულები. კარგი შესახედავები იყვნენ ორთავენი. ბულვარში მყოფნი ზოგი გაკვირვებით და ზოგიც ალტაცებით შესცქეროდნენ ამ ორ კოხტა დედაშვილს.

ბარამსა და ვამეხსაც გაეზარდათ მათთან შეხვედრა.

ერთიმეორე მოიკითხეს. გამოირკვა, რომ ნექტარინა თავის ამალით და ბეგი მარინასთან ერთად ნოტარიუსის კანტორაში წასულიყვნენ, ამათ კი ბაღში გამოესეირნათ, რომ მაისის მშვენიერი ამინდით დამტკბარიყვნენ და აქაურ ნაცნობებშიაც გარეულიყვნენ. მაგრამ ამ საუბარში ბარონესას თვალი მოუხვდა სტუდენტის ჯგუფზე და დაგმარას უთხრა:

— ხედავ, კნეინა კეკელა აქ ყოფილა და კიდევ სხვა მისიანები. მაგრამ ეს ვინ არის, დაგმარა, ვერ იცანი? ეს ხომ ხეითოა, ჩვენი ხეითო... — და ბარონესა გაემართა კეკელა და ხეითოს ჯგუფისაკენ, თან დაგმარაც გაიყოლია, მაგრამ უცერად შედგა და გულიანად გადაიხარხარა, რადგან სხვებთან ერთად მასაც

მოესმა სტუდენტის ყოყლოჩინა სიტყვები:

— მე არასოდეს არავინ არ მყვარებია, მე მიყვარდა თვით სიყვარული.

— ოჰ, ოჰ, როგორ თავმომწონეობს ჩვენი ხვითო! — წარმოთქვა ბარონქსამ და არ მორიდებია კეკელას ჯგუფს ისე ხმაძალა გასძახა:

— ხვითო, ხვითო!

სტუდენტმა ყური ცქვიტა, იქით-აქეთ გაიხედა და ბარონესა და დაგმარა რომ დანახა, თავის ჯგუფთან ბოდიში მოიხადა და მათკენ გაეშურა:

— ვერ იცნობთ? — შეეკითხა ბარონესა ვამეხსა და ბარამს, როდესაც სტუდენტი მათ მიესალმა. — ეგ თქვენებურია, კონსტანტინე ხვითა.

— ხვითა? ზუგდიდელი იქნება, — წარმოთქვა ბარამმა.

— დიად, ბატონო, ზუგდიდის მახრიდანა ვარ.

ვამეხსა და ბარამმა ერთხელ კიდეც მუშტრის თვალით ახედ-დახედეს ამ გავერობილებულ ქართველს და ვამეხს გაახსენდა ოდესღაც ვეროპაში ნამყოფ ერთ მეგრელზე ნათქვამი მუნასიბი რუსულ ენაზე:

Осеминаренный француз,

Офранцузенный мингрелец !.

მხოლოდ ამის მაგიერ ხმაძალა წარმოთქვა:

— კონსტანტინე! ეს კარგა მაგარი სახელია.

— ჩვენ კი მისი გვარი შეეცვალეთ და „ხვითიას“ მაგიერად „ხვითოს“ ვეძახით... ეგ ხომ პეტერბურგში სწავლობს, ჩვენსა ხშირად მოდის და საერთოდ კარგ წრეში ტრიალებს. არავითარ ნაძირალებში არ ერევა, არც მშფოთვარე სტუდენტებთან აქვს ურთიერთობა. ეგ ძალიან წინ წაგა, იმედი მაქვს, თუ ასეთი ჰქვიანი იქნება მუდამ. მე შინდა, დიპლომატიურ კორპუსში მოეწყოს. ფრან-

¹ „ვასემინარიებულ ფრანგი, ვაფრანგებულ მეგრელი“.

გული კარგად იცის და... არ გაუჭირდება.

— თქვენის მეოხებით, მარკიალესა და მოკრძალებით დაიწყეთ სტუდენტმა. მაგრამ ბარონესამ არ აცალა:

— ჩვენ კი ხვითოს ვეძახით. ქართველ სტუდენტებს შეურქმევიათ. მე ეს სიტყვა არ ვიცოდი, მაგრამ, რომ ამიხსნეს, ზღაპრული „ნატურისტული“ ყოფილა და მართლაც აგეთია ჩვენი ხვითო...

— ოო, ბარონესა, თქვენ თუ მოინდომებთ კაცის ქებას ისე მალლა ასწევთ, რომ... მაგალითად, მე მეშინიან ამ სიმალლიდან არ ჩამოვევარდე...

— არა მგონია ხვითო! თქვენ მარჯვე ყმაწვილი ხართ, ხომ, დაგმარა?

დაგმარამ ერთი კი შეანათა თვალები ახალგაზრდას და შემდეგ ისევ კდემამოსილებით დახარა. ხვითომ შეფრთხივით დაუწყა ყურება სახიერსა და მწყყარ დაგმარას, მაგრამ ბარონესამ თავისი განაგრძო:

— მე ხომ დაგპირდით, ხვითო, რომ თქვენს შესახებ თავის დროზე მოველაპარაკებო მინისტრ ვიტეს-მეთქი, ამას უთუოდ შეეასრულებ, როგორც კი თქვენ უნივერსიტეტს დაასრულებთ. მაგრამ ეს „ამჟამად“ იქით იყოს. დღეს ჩვენ გუბერნიის მარშალთან ვართ დაპატივებული და თქვენც უნდა წაგიყვანოთ...

— თქვენთან წამოსვლით ბედნიერი ვიქნები, — წარმოთქვა ხვითომ და კვლავ აღტკინებით შეავლო თვალი დაგმარას, — მაგრამ მე არ გახლავართ მარშლისას მიწვეული.

— ოო, ეგ არაფერია, ყმაწვილო! ჩვენ წამოგყვებით, მარშლის სტუმართმოყვარეობა განთქმულია.

ხვითომ მორჩილების ნიშნად თავი დახარა.

— თქვენ კი? ვამეხ, ბარამ! — მიმართა ბარონესამ, — არ გვიკავალრებთ ხვიოოსთან ერთად და მარშალთან არ წამოხვალთ?

— სიამოვნებით, მაგრამ მე ხომ ნო-

ტარიუსთან უნდა წავიდე — თითქოს სინანული გამოთქვა ბარამმა. — უთუოდ ჩემპ რძალი ნეტარინა გაფოფრილია ახლა და მძრახავს, რომ ვიგვიანებ...

ამაზე ბარონესა აღარ მისძალებია. ვამეხმა კიდეც რაღაც საქმე მომიზღვხა და მარშალთან წასვლა აირიდა.

— კარგი, რა გაეწყობა! ჩვენ კი ხვითო, დაგმარა, მივიდეთ კნენია კეკელას ჯგუფთან, თქვენ ხომ ამას წინათ საძინელ რამეებს წამებდით თქვენს თავს... არასოდეს არაფერ არ მყვარებია, მე თვით სიყვარული მიყვარდაო... აჰ, თქვე გიყმაო, თქვენა! — მე გავიგონე... და სამთავენი გაემართნენ კეკელას ჯგუფისაკენ.

ბარამმა და ვამეხმა განაგრძეს თავიანთი გზა.

ვამეხმა ბარამი მიახედა ბულერის ლობის გარეთ.

— ხედავ? გომნაზიელი ქალები გამოიძინდნენ, მეორე მხრით კიდეც კრიამულით, ხმამალალი ლაპარაკით მოეშურებთან ვაყი გომნაზიელები. ეტყობა, ახლა მათი დასვენების დროა, დიდ „ბერემენას“ რომ ეძახიან. ამ დროს მათ ნება აქვთ, სკოლის კედლები დატოვონ და ქალაქში გაისეირნონ. მხოლოდ ეს დაუმორჩილებელი საწყაროა. მათი ახალგაზრდული ენერჯია უფრო ანცობაში გადადის. რა თქმა უნდა, უფრო ვაყებისა. ეგ, რა ხარ სიყმაწვილევ! რამდენი უცნაური ოცნება შემოიჭრება შენს გონებაში. ხან დევგმირი გჯონია შენი თავი, გჯონია თუ მთებს შესძრავ, ქვეყანას დაიპყრობ და ხან... ნაცარქეჩია, რომ შენ არაფერს არ წარმოადგენ, არც არასოდეს კაცი არ გამოხვალ! როგორ მალე აღფრთოვანდები ზოგჯერ და როგორ მალე საოცარი კაეშანი შეგიპყრობს. ცხოვრების ორივე მხარე, კეთილიც და დუხჭირიც, როგორ გეჭიდება, გებრძვის, თითქოს უნდა დაგძლიოს და... საკვირველია! ცხოვრების ხალისი მაინც არ გეკარგება. თვითონ ცხოვრება გიწვევს თითქოს ფრთე-

ბის გასაშლელად, შენს თვალებს თითქოს აფართოებს, რომ უფრო კარგად დაინახო გარემოს სიმშვენიერე. ბუნების საკვირველი ნაირფერობა, განსაკუთრებით ამისთანა განაფხულის პირზე, ისიც ქუთაისის მაისში, იხილო ეს მშვენიერი ქალწულები, რომელთა მარტო ერთი დანახვაც ეგეთ ტკბილ ერუანტელს ჰგვრის მთელს შენს სხეულს.

ბარამი მობრუნდა და ჩაკვირდა ვამეხს, თითქოს სწორედ მას ჰქონდა თვალები გაფართოებული, სახე როგორღაც უბრწყინავდა და ხმაც საკვირველად უთრთოდა.

გათფიქრა:

„ოო, როგორ უყვარს ამ კაცს ცხოვრება. ამდენ ჭირგადახდილს, კატორღაშიაც კი ნამყოფ კაცს. რამდენი სიხალისე შეჩენია კიდევ. ყველას არ ამბობს, რაც გულში აქვს, მაგრამ...“

უეცრად ჩრდილოეთისაკენ გაიხედა.

— ვამეხ, ვამეხ! ტაიას ხედავ? ჩამოსულა. ეგერ, ტაია, უნდა იყოს უთუოდ. ვამეხმა მიიხედა. ბალის შუაგულ, პირდაპირ მოლზე. ფეხმორთხმით იჯდა რამდენიმე ახალგაზრდა და მათ შორის ტაიაც იყო.

— ძალიან კარგი. რა კი ჩამოსულა იქ ნოტარიუსთან ნახავ...

— ნოტარიუსთან კი არა, ახლავე მინდა ვნახო...

— არა, არა, ბარამ! ეგენი სხვა რამისათვის არიან უთუოდ მანდ განრიდებული... თუმცა დიდი გაბედულებათ ასე დღისით, მზისით... შუაგულ ბულვარში... ხელს ნუ შეუშლი.

— მე რა ხელს შეეუშლი, დავუძახებ! — და ვამეხს გაფრთხილება არ დააცალა, ისე პირდაპირ გადააბიჯა ბალის შუაგულ მოლზე და ტაიასკენ გასწია.

რომ მიუახლოვდა, კარგა გარკვევით მოესმა:

„იმისთვის, რომ მასა გაიმსჭვალოს კომუნისტური შეგნებით, ეგრეთვე მთა-

ვარი მიზნის მისაღწევად საჭიროა, რომ აღამიანები მასობრივად შეიცვალონ. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციური პრაქტიკული მოძრაობით; მაშასადამე, რევოლუცია საჭიროა არა მართო იმისათვის, რომ გაბატონებული კლასი დაემხო, არამედ იმისათვის, რომ თვით ეს დამამხობელი კლასი მხოლოდ რევოლუციით შესძლებს ყოველგვარი ძველი სიღუპურისაგან თავი დაიხსნას და შექმნას ახალი საზოგადოებრიობა. აი რას ამბობს მარქსი, ყმაწვილებო!

ამას ამბობდა ერთი ახალგაზრდათაგანი და ირგვლივ ყველანი და ტაიაც მათთან დიდის გულისყურით უსმენდნენ.

ბარამი შეცბუნებული იდგა, კარგად ვერ გაიგო, რასაც ამბობდა ახალგაზრდა, მაგრამ ალღოთი კი მიხვდა, რომ ეს იყო სრულებით ახალი სიტყვა მისთვის მაინც და ამ სიტყვებში ჩაქსოვილი იყო რევოლუციური მოწოდება. ე. ი. მოწოდება აჯანყებისაკენ. ბარამს რევოლუცია აჯანყებად მიაჩნდა, მაშასადამე, აჯანყება მის წინააღმდეგაც, თავადის წინააღმდეგაც, მაგრამ ამის განსჯას არ მისცა თავი და კარგა ხმა მალდა დაუძახა:

— ტაია, ტაია! აქ მოდი ერთ წუთას.

ყველა იქ მყოფი ამ ხმაზე და ბარამის დანახვაზე დიდად შეშფოთდა, მაგრამ ტაიამ ბარამი რომ დაინახა, ამხანაგები დაამშვიდა. საშიშარი არაფერი არ არისო, და თვითონ ბარამისკენ წამოვიდა.

— კარგია, ჩამოსულხარ, ყმაწვილო! — და უბრალოდ ხელი ჩამოართვა ბარამს. შეიძლება გულით უნდოდა გადახვევა დიდი ხნის უნახავი და საყვარელი ძმისწულისა, მაგრამ ამჟამად საჭიროდ არ მიიჩნია. შეეკითხა:

— ის ვინ არის, რომ ქადაგობს?

— ვინ ქადაგობს, სად ქადაგობს, რას ამბობ, ბიძია?

— აი ეგერ, ყმაწვილი. ახლახან რომ გელაპარაკებოდათ?

— რად გინდა, ბიძია! გამოძიებული ხარ?

— შეურაცხყოფას კი ნუ მაყენებ, ტაია... მე ხომ იცი, როგორი კაციცა ვარ... განა არ ვიცი, რომ რაღაც დიდ საქმეს აკეთებთ... რუს-ხენწიფეს თუ დაამხობთ, ამის წინააღმდეგი როგორ ვიქნები...

ტაიას გაეცინა:

— მარტო „რუს-ხენწიფეს“?.. ჰა, ჰა!

— ჰო, ვიცი, ვიცი... მაგაზე ნურაფერს მეტყვი, მხოლოდ, ყმაწვილო, ასე აშკარად, შუაგულ ქალაქში როგორ იკრებებით... პოლიციის არ გეშინიანთ?

ტაიას პირზე ღიმილი მაინც დაქროდა.

— ეგ ჩვენი საქმეა... — კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ არ თქვა.

— მაინც ეგ ყმაწვილი ვინ არის... კარგი, სანდომიანი სახე აქვს.

— ძალიან გინდა, გაიგო?

— რატომ?

— კარგი გეტყვი. დასამალი რაა, მაგას ქუთაისში ყველა იცნობს — იცა რიფინაშვილია.

— როგორ? ებრაელი, შეკაცო?

— ჰო.

ბარამმა თავე გაიქნია.

— მე მეგონა, რომ ებრაელებმა არშინის დაქერის მეტი არა იცოდნენ რა... — უცრად შეცვალა ამ საგანზე ლაპარაკი. — ახლა კი წამოდი.

— სად?

— ნოტარიუსთან.

— ჰოო, იქ ჩემ მაგივრად ბათუა.

— ვიცი, მაგრამ, რაკი ჩამოსულხარ, შენი წამოსვლა სჯობს...

— არა, ბიძია, არა. აქ მე უფრო დიდი საქმე მაქვს.

— ჰო, უთუოდ აგრეა, მაგრამ, — ცოტა შეჩერდა ბარამი, შემდეგ მეტად სათნოდ უთხრა; — თუ გიყვარდე, ტაია, ახლა წამომყევი.

ტაია შეყოყმანდა. ბოლოს რაღაც მოიფიქრა და დაეთანხმა, მაგრამ, სანამ

წაპყვებოდა, ერთი წუთით მივიდა თავის ჯგუფთან და რიჩინაშვილს ასე მიმართა:

— ახლა ბიძაჩემს უნდა წაყვებ. ისე ხომ არ შეგვიცვლია: რუა, რვა.

რიჩინაშვილთან ერთად ყველამ მიამბა: „რუა, რვა“ და ტაიაც გაეშურა ბიძამისისაკენ.

3

ვამეხი კი, თავის გზით მიმავალი, ფიქრობდა იმ ახალგაზრდათა ჯგუფზე, რომლებიც ბულერის შუაგულ მოღზე ისხდნენ ტაიასთან ერთად.

— რა გაუფრთხილებლობაა, როგორ შეიძლება ასე სააშკარაზე მათი გამოსვლა დღისით, შპისით! თუმცა... ახლა მარშლის კენჭის ყრაა და ბულვარში, გარდა ჩვეულებრივი სკამებისა, ბაღის შუაგულ ბევრი მეექვსეები, ახლა მათი ნაცნობები ჯგუფ-ჯგუფად მოღზედაც სხედან. ჰო, ეს არც ისე შესამჩნევია, მაგრამ პოლიციამ ხომ მაინც შეიძლება გუმანი მიიტანოს სწორედ ამ ახალგაზრდებზე. ესეც კია, რატომღაც ადგილობრივი პოლიცია სოციალისტებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს ჩვენში. თვითონ ქანდაკმერიაც აქამდე თითოთოროლას თუ გამოიჭერდა ალაგ-ალაგ საქართველოში. თორემ მაინცდამაინც ყურადღება არა აქვს ამეებზე გამახვილებული. ამას არ მოელოან საქართველოში... ჰა, ჰა! სულელები! ისინი უფრო ჩვენს ვითომდა სეპარაციულ მოძრაობას უთვალთვალებენ და უფრო მაღალ წოდებას სდევნიან. ხან გააძევენ ქალაქიდან რომელიმე კნიზს, აქაო და პატრიოტიაო, ხან კიდევ რომელიმე ინტელიგენტს, რომელთაც ჰა, ჰა! სარღობა შეიძლება შეუძლიათ, მაგრამ ლაშქარი კი არა ჰყავთ... სოფლად კი ეს ახლანდელი გლეხების გამოფხიზლება მხოლოდ აგრარულ მოძრაობად მიიჩნით და ვერ გაუთვალისწინებიათ, რომ ამ მოძრაობას სოციალდემოკრატიასთან აქვს მჭიდრო კავშირი... მუშებს და მათ ხელმძღვანელებს,

საერთოდ სოციალისტებს, ყურადღებას არც თუ იმდენად აქცევენ. შეიძლება იციან იმ ახალგაზრდებმაც და იმიტომ არიან ასე თამამად. ჰო, შეიძლება... მაგრამ ვატყობ, რომ მალე დაღება დრო დიდი შეჭიდებისა და... გაიმარჯვებს... ხალხი... თუ კარგი მეთაურები ეყოლათ... ჰმ! მეთაურები! ჩვენი ანტელიგენცია? თუნდა რუსეთისაც... ვინ არის ახლა იქ ევრეთწოდებული „ზრთა მპყრობელი“? ვითომ მიხაილოვსკი? უთუოდ კარგი პუბლიცისტი, მცოდნეც, მაგრამ, რასაკვირველია, წმინდა წყლის რევოლუციონერი არ არის... სხვები? ყველა უფრო კაბინეტის ხალხია... არალეგალურებს კი მე ნაკლებ ვიცნობ. აბა-საიდან?.. იყო დრო, „კოლოკოს“ ვკითხულობდი, ეცნობოდი საზღვარგარეთულ არალეგალურ ლიტერატურას... ერთ დროს ჩვენში მეც კი გამივარდა სახელი მოწინავე პუბლიცისტისა... ნიკოლაძის ქვევით არ მაყენებდნენ, გიორგი წერეთლის ჟურნალ „კრებულში“ მეც ვღებულობდი მონაწილეობას... და დახეთ ჩემს მუხთალ ბედს!..

თითქოს ერთხელ კიდევ ჩაწყდაო გული ვამეხს: გაახსენდა ბრწყინვალედ დაწყებული მისი სიჭაბუკე. შემდეგ უდანაშაულოდ დასჯა და ისიც არა რაიმე იდეისათვის, არამედ ქალის შეწამებული მკვლელობისათვის. შემდეგ ციმბირი, კატორღა, მთელი ოცი წელიწადი. მართალია, იქ ბევრი რამ შეიძინა. ჰქონდა საშუალება, რომ წიგნები ეკითხა, დაახლოვებოდა ზოგიერთ პოლიტიკურ გადასახლებულს და... კვლავ დაეწაფა მოწინავე, რევოლუციურ აზროვნებას... ჰმ! მხოლოდ აზროვნებას! თვითონაც იყო თავისათვის წერა, კვლევა-ძიება, მაგრამ მერმე რა? ახლა... მექათმა! განა ასე არ ეძახის მისი რძალი ნექტარინა?

დიდი ფიქრის დროს ვამეხმა ჩაქინდვრა იცოდა. ახლაც ასე თაყნაქინდრული მიდიოდა ბალახვანისკენ და ირგე-

ლივ თითქოს არაფერს არა ხედავდა, მაგრამ მისთვის მოულოდნელად წინ შემოხვედრილმა ერთმა ახოვანმა, ქარმაგმა, მაგრამ სახემწყაზარმა ადამიანმა, შეაჩერა. ეს იყო დათა მიქელაძე, მწერალი. მეველე:

— ვამეხ, ვამეხ! — როგორ შეამა შენი ნახვა? სადა ხარ, კაცო, როგორ დაგვეკარგე?.. მიიყუდე საღდაც შენს გადაკარგულ სოფელში და არაფერი ვიცით შენი ასავალ-დასავლისა! ვანა ასე შეიძლება? შენისთანა ადამიანები დიდად გვეჭირდება... სხვა, როგორა ხარ სიმართელით? ხომ კარგად?

მაგრამ პასუხის მიცემა არ დააცალა, მკლავში ხელი გაუყარა ვამეხს და გზა ასე განაგრძნობინა. თან ხოშკაკალასავით მიიყარა:

— გაზეთის გამოცემას ვაპირებთ, ვამეხ, ქუთაისში, გაზეთის გამოცემას. არ შეიძლება, ჩვენმა ინტელიგენციამ თავისი ხმა არ ამოიღოს, თორემ ამ სოციალ-დემოკრატებმა თავიანი ქადაგებით და საგაზეთო წერილებით ხალხს ლამის შეაძულონ თავისი სამშობლო! გესმის შენ ეს, ვამეხ? სამშობლო, კაცო, სამშობლო! ეგენი ამბობენ, მუშას სამშობლო არა აქვს, მისი სამშობლო იქ არის, სადაც ის სამუშაოს იშოვნისო...

— ეგ არაა მთლად ტყუილი, დათა! — უკვე ვამეხმაც ამოიღო ხმა. — ხოლო ამ ფრაზას გაგება უნდა. შენ რომ გგონია, ასე „ჯიქურ“ არ არის ეგ ნათქვამი...

— ვამეხ, ვამეხ, შენც გასოციალისტ-დემოკრატდი? შენც იმათკენ იხრები?

— მე არსით არ ვიხრები, დათა, მხოლოდ მე ვფიქრობ, რომ მოვლენებს და საგნებს ჯანსაღად ვუყურებ...

— კარგი დაგემართოს! მაგრამ ეს როგორ მოგწონს, რომ სოციალ-დემოკრატები გლეხობაზე ხმას არ იღებენ. სულ მუშები და მუშები! თითქოს საქართველო სინამდვილეში გლეხობის არ იყოს. ჩვენი ქვეყანა, ჩემო ძმაო, შენ კარგად იცი აგრარული ქვეყანაა, მიწათმოქმე-

ლების ქვეყანა და ყოველივე ამას ჩვენი გლეხობა ახლაც ამუშავებს ხომ და მომავალში კიდევ უფრო გააუმჯობესებს სხვადასხვა სასოფლო-იარაღის შემწეობით მის დაუშავებას. ასე რომ, მომავალში, დარწმუნებული ვარ, საქართველოსაგან ისეთი გლეხური რესპუბლიკა გამოვა, შენი მოწონებული...

— მაგას დაფიქრება უნდა...

— ჰოდა, დავფიქრდეთ, მოვიფიქროთ, ვამეხ! ამისთვის გვინდა გაზეთის გამოცემა, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ თავისი პატრიოტული და დემოკრატიული აზროვნება მთელ ხალხს მოჰფინოს... მეტს გეტყვი, ვამეხ! ჩვენ გვინდა, საქართველოს ავტონომიისათვის ეიბრძოლოთ... საზღვარგარეთ გამოდის უკვე ამ მიმართულების ჟურნალი ქართულ ენაზე. ჩვენ გვინდა ეს ბრძოლა აქ, ჩვენში, გაეაჩალოთ... მაგრამ რად გინდა რა! ახლაც აუტყდნენ ამ ჩვენს იდეას და ერთ მათგანს ამას წინათ სცენაზე წაუკითხავს კუბლეტები და სხვა-თაშორის ასე უთქვამს: „რა არის ავტონომია? — ხიზილალა და ღომია!“ გესმის შენ, ვამეხ?

— რა არის ეგ... ბავშვური ლაზღან-ღარობაა, სხვა რა?

— არა, ვამეხ, არა, ეს სალაზღან-ღარო მუნასიბები თავის საქმეს აკეთებენ... ხალხში იწვევენ ღმეჭქას, ღრეჭქას და ამითი აცუცურაგებენ დიდ საკითხებს, ნიადაგს აცლიან მათ სერიოზულობას... შენ გეცოდინება უთუოდ, რომ ჩვენ, პატრიოტ ინტელიგენტებს, გვინდა ალვადგინოთ აგრეთვე საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა — ავტოკეფალია! ამაზედაც იცი, თურმე როგორ მასხრობენ ეგ უხეიროები ეგენი: „ჰოო, ჩვენ მღვდლებს კეფალის ქამა მოუწდათო? ხომ იცი, რომ კეფალი, კიფალონი ერთგვარი გემრიელი თევზია... რას უზამ, არაფერი წმინდა არა აქვთ ამ ხალხს, არა! დეგენერატები! მოშხამულები არიან კოსმოპოლიტობით...“

ვაშები ცოტა უფრო დაკვირვებით შეაჩერდა მეველის სახის გამომეტყველებას. შეატყო, რომ აღელვებული იყო და შეიძლება ამიტომაც არც სანუგეშო და არც საწინააღმდეგო ამაზე აღარაფერი უთქვამს.

უცრად მეველემ ვაშები შეაჩერა ერთი ლამაზი ეკლარის ქვეთ ნაშენი ორსართულიანი სახლის კარებთან. ეს „საურთიერთო ნდობის“ ბანკი იყო. აქ მსახურობდა დირექტორად ქართველ ინტელიგენტებს შორის კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე კირილე ლორთქიფანიძე.

მეველემ შესთავაზა:

— შევიდეთ კირილესთან. გაეხარდება შენი ნახვა. ცხადია, ისიც გაზეთის თანამშრომლობას შეგთავაზებს. შენ ხომ წინააღმდეგი არ იქნები?

— მე ჩემს ქვეყანაში ყოველგვარი კულტურული წამოწყების თანამგრძობელი ვარ...

— ჰოდა, შევიდეთ მოვიუბნოთ...

კარებში შედგეს ფეხი ორთავემ. მხოლოდ დათამ ვაშები აქ ცოტახნით შეაჩერა.

— იცი, კიდე, რა გახარო, ვაშებ! ბაბო გავლენიშვილი ჩამოსულა...

ბაბოს ხსენებაზე ვაშები მინჯან შეკრთა, მაგრამ გარედან არ დაიძინია. დათა კი უკვე ხუმრობით განაგრძობდა:

— გახსოვს ვაშებ, ახალგაზრდობისას, თბილისში ყოფნის დროს, ორთავენი რომ ვეარშიყებოდით... მაგრამ შენ მაჯობე... იმან შენ შეგიყვარა და, რომ დაგცლოდა, ახლა უთუოდ ბედნიერი ცოლქმრობა გექნებოდათ...

— ეექ! — ხელი ჩაიჭნია ვაშებმა და გასწია ზემოსართულის კიბისაკენ. თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ გულში კი უხაროდა: მაშ კიდე ნახავს თავის სათაყვანო ბაბო გავლენიშვილს, რომელზე ფიქრიც კი ამდენი ხნის განმავლობაში თავიდან არ განშორებია, თვით კატორღაშიაც კი. აქ ხომ, თავის სოფელ ბერთეშში, ნექტარინასას ხშირად მიუჯდებოდა პიანინოს და თავისთვის უკრავდა სხვადასხვა გულისმომწყვლელ, კეთნიან ჰანგებს ბაბოს სანახსოვროდ, მისი ნათელი სახისა და არსების წარმოსადგენად.

ბანიცაღენი

XV

ციბედული!

ვაშებისთვის ბაბო გავლენიშვილი იყო მისი ციბედული. მაგრამ მე ახლა მინდა სულ სხვა რამ გიამბო, ჩემო, ჩემო! ერთხელ ვნახე ისიც „ძილში“ კი არა, ცხადად, თვალნათლივ. ეს ნახვა მოხდა შორს საქართველოდან, რკინიგზის რომელიღაც დიდ სადგურზე. მე უნდა გადავმჯდარიყავ და ველოდი ჩემს წამყვან მატარებელს.

სადგურის ბუფეტში მივუჯექე მაგიდას და ცოტა მოშორებით ჩემგან, დავინახე ქალი მარტოდმჯდომი და თითქოს მწყუხარე. შავები ეცვა და მის ნატიფ სახეს მართლა შეენოდა ეს წყნარი, თითქოს სამგლოვიარო ფერი. ამ შავ

ჩარჩოში ლამაზი იყო მისი მწყუხარი პირისახე, რომლის მშვენიერბასაც შეადგენდა დიდრონი, შავი თვალები.

ვიცი, რომ უზრდელობა იყო მიშტერება, მაგრამ უნებლიეთ თვალი ვეღარ მოვაშორე. თუმცა პირველხანად ჩემსკენ არც კი გამოუხედავს, უფრო თავდახრილი იყო და იშვიათად თუ თავს აიღებდა. ისე კი, თუ რასმე თვალს შეავლებდა, მაშინ იგრძნობოდა დიდი ძალა ამ თვალებს მომხიბლველობისა.

მხოლოდ ეტყობოდათ ამ თვალებს, რომ ამჟამად მომხიბლველობისათვის არ ეცალოთ.

ნუთუ ქალი მოღლილი იყო, ან მართლა მგლოვიარე?

თითქოს თავის თავში, თავის მძიმე ფიქრებში იყო ჩაფლული.

ნეტა რა აწუხებს? ან აქ რას ელოდება? მატარებელს, თუ ვისმეს მოსვლას? ვისი?

ხომ იცი, ციბედულ, „მთხველის“ ამბავი: რაც უნდა პატარა გაჭანების იყოს, იმდენი ფანტაზია მაინც ექნება, რომ რაიმე მოჩმახოს.

მეც, ვინ იცის, რადარანაირი ბიოგრაფია არ შევეუთხზე ამ ნარნარ არსებებს. მაგრამ, რასაკვირველია, არც ერთი არ მომეწონა, რადგან, ცხადია, არც ერთი არ იყო ნამდვილი.

ამ ჩემი „მთხვეის“ დროს ქალი წამოვდგა, წელში გაიმართა და ჩემი მაგიდის ახლოს გაიარა.

ძალიან კარგი მოყვანილობის აღმოჩნდა: ტანადი, ჰაეროვანი, მიხვრამოხვრას დიდი კეთილშობილება ეტყობოდა, ერთგვარი სიამაყეც, იმავე დროს, მიუკარებლობა არ ეწერა მთელს მის აღნაგობას. მხოლოდ ახლა არ ეცალა გარემოსათვის.

მე კი, რომ იტყვიან, „ჩაიფიწვი და ჩავითუთქე“.

ნუთუ სულ წავიდა? ნუთუ აღარ დაბრუნდება? გაიეღვა და გამიქრა სამუდამოდ?

არა!

დაბრუნდა. კვლავ გამოიარა ჩემს მაგიდასთან. მომინდა წამოვდგომა, გამოცნაურება, ჩემს მაგიდასთან მოწვევა.

რა? ისიც მარტოა და მეც. უზრდელობად რად უნდა ჩამომერთვას ასეთი საქციელი? მაგრამ თითქოს სკამზე მაგრად დამკარესო, ვერაფრით ვერ დავიძარი და, სანამ ხმას ამოვიღებდი, ქალი თავის მაგიდას მიუჯდა ისევ.

ახლა უკვე დაგვიანებული იყო.

ამ დროს გამოიხედა ჩემსკენ და მისი საუცხოო თვალები მომაპყრო.

ამ გამომეტყველებაში არ იყო უბრალოდ ცნობისმოყვარეობა, ან ვაკვირება რაღაც ახალი საგნის ნახვით, არც ვულგარული ძახილი იყო ქალისა, ეაცს რომ

თვალებით აცნობებს — მომეახლო. ეს გამომეტყველება თითქოს თავის დიდი ხნის ნაცნობსა და შეჩვეულ საგნს ერთხელ კიდევ დამწვიდებით ათვალერებდა.

აჲ ეგრეც იყო.

ეს ხომ ჩემი დიდი ხნის ნაცნობი იყო. დიდი ხნით გულში ნატარები, უნახავი, მაგრამ ცხადად სწორედ ეგრე წარმოდგენილი, ეს ხომ შენ იყავ, შენ, ციბედულ!

კინალამ გავგეიფდი. აი მინდა წამოვვარდე, ვეახლო, ხმამალა გამოვთქვა ჩემი სიხარული.

მაგრამ, თითქოს დამბლა დამეცაო: გაბრუებული ვარ და ისევ და ისევ ვერ ვიძვრი.

სადაც შორეულ შეგნებაში სადგურის ზარის ხმა მომესმა.

ვხედავ, ქალი წამოვდგა და თავის ჰაეროვანის ნაბიჯით პერონზე გავიდა.

მე კი უძრავად ვადღივარ ჩემს სკამზე. ვგრძნობ, რომ ისევ ისე დავრჩი ობლად, მარტოხელი, თავის თავთან...

შემდეგში არასოდეს აღარ შევხვედრებარ.

4

ვამეხი რომ კირილე ლორთქიფანიძის კაბინეტიდან გამოვიდა, მეველე მას არ გამოჰყოლია, ეტყობოდა, რომ კირილეს და მეველეს კმაყოფილი იყვნენ მასთან მოლაპარაკებით. ვამეხი მათ დაჰპირდა გაზეთში თანამშრომლობას და ამჟამად მისგან სხვა არა უნდოდათ-რა. ისე კი შეიბირეს, რომ მეორე დღის საღამოსათვის შეყრილიყვნენ კვლავ კირილეს კაბინეტში, სადაც გაზეთის თაობაზე თათბირი ექნებოდათ სხვა ქუთათურ ინტელიგენტებთან ერთად.

ვამეხმა ისიც გაიგო, რომ ბაბო გავლენიშვილიც იმ სასტუმროში იყო ჩამომხტარი, სადაც ბარონესა ბრძანდებოდა თავისი ქალიშვილებით, და სწორედ იქით გასწია.

წითელი ხიდის ახლოს მდებარეობდა

კარგა მოზრდილი, ორსართულიანი შენობა. სასტუმროც იქ იყო. ვამეხი მიუახლოვდა ამ შენობას და შორიახლო შეჩერდა.

გაელმია. ვითომ როკოკოს ყაიდაზე მოუპირკეთებიათ — შენობის წინახედი, ალაგ-ალაგ მოჩუქურთმებულიც არის და სახურავქვეშ, სანამ დიდი ფანჯრები დაიწყებოდეს, მრგვალი, მომურდაბილებული სარკმელებიც აქვს თან დაყოლილი.

გაახსენდა:

— ჰო, ამ ქუჩის პირას ხომ, ამ ფანჯრებს იქით, დიდი დარბაზია თავის პატარა სცენით. ეს ხომ აქაური კლუბია ამ შენობის წინა ნაწილში. ქუთაისის შექმნილი ხალხი ხომ აქ ატარებს დროს: ქაღალდს თამაშობს, საცეკვო საღამოებს მართავს და სხვა. იქით კი, შენობის მეორე დიდ ნაწილში, სასტუმროა თავის ნომრებითა და სასადილოთი. მხოლოდ რომელია სასტუმროს შესასვლელი? იქით უნდა იყოს, მეორე ქუჩიდან... აჰა, აი წარწერაც: «სასტუმრო ფრანცია».

მიადგა კარებს, მაგრამ ამ დროს ვიღაც ზემოდან მიმართა:

— ვამეხ ოტივეჩი!

ვამეხი მობრუნდა. მის წინ იდგა წარმოსადგეი, პირბუდალი, წვერულვამგაპარსული ქერა ადამიანი.

— სლავსკი! — თითქოს წამოსცდა ვამეხს. — შენა ხარ, ლევ ბარისოვიჩ?

— მე გახლავართ, მე და... ძალიან გამიხარდა თქვენი ნახვა. კარგად ყოფილხართ.

— შენ რასა იქ? სულ დაანებე სცენას თავი?

მაგრამ პასუხისათვის აღარ დაუცდია. დააკვირდა სლავსკის გვერდით მდგომ შექალაქებულ, ჩასკენილი ადამიანის სათნო პირისახეს. შეატყო, რომ ეს კაცი მას შესჩერებოდა, თვალეხი უძამძამეებდა და ბაგე-პირი უღიმოდა.

— ეს ტროფიმი არ არის? ტროფიმი გოლუბენკო, არა?

— მე ვარ, მე, ვამეხ ოტივეჩი... კარგია მიცანით.

— როგორ არ გიცნობ? ციმფრულდენ ერთად არ ვიმგზავრეთ? ~~მანჯი რომაუ~~

— მართლა, ეგეც ციმბირში არ იყო გადასახლებული? — წარმოთქვა სლავსკიმ.

— არა, ეგ ჩემთან არ ყოფილა კატორღაში... რომ გაგვათავისუფლეს, გზაში გავიცანით ერთიმეორე და დაემეგობრდით კიდეც... ხომ, ტროფიმი ივანოვიჩ?

— მართალია, მაგრამ შემდეგ ველარსად გნახეთ. მენატრებოდა კი თქვენი ნახვა და თქვენთან საუბარი.

— ჰო, იშვიათად ჩამოვდივარ ქუთაისს... შენ კი აქ რას აკეთებ?

— ოო, ეგ არის რაც არის, — ღიმილით ჩაერია ლაპარაკში სლავსკი, ეგ აქ თეატრში მსახურობს და მემანქანეც არის, სცენის მანქანების გამგე. ჩვენ ხომ ელექტრონი არა გვაქვს, მაგრამ ხელის მანქანები მაინც არსებობს თეატრში. ამას განაგებს. ზეინკალიც არის, ბუტაფორიც და ოდნავ დეკორატორიც. ჩვენი საყვარელი ლადო მესხიშვილი დიდად უმადლის, მისი მარჯვენა ხელია. ქართველებიც ჰყავს ამას თანამემწე თეატრში, თვითონ შემოიზარდა — სერგო ქელიძე, ჩინებული მოხელე და ონისიმე დადიანი, დიდად ენერგიული ვინმე... ახლა ეს კლუბიც ამას ახარია თავის დარბაზით და სცენით და ამასაც უვლის.

— რას ამბობთ, მართლა? ბიკოს, ძალიან საჭირო კაცი ყოფილა, მაგრამ აქი შენ სოფელში აპირებდი დაბრუნებას? — მიმართა ტროფიმს ვამეხმა.

— დიახ, ჩავედი კიდეც, მაგრამ იქ ჩემიანი აღარავინ დამხვდა. ზოგი მომკვდარიყო, ზოგიც სხვაგან წასულიყო სამუშაოდ, და მეც კავკასიისკენ გამოვწიე. ეს კი თქვენი ბრალია, ვამეხ ოტივეჩი... ისე მიქებდით აქაურობას, რომ გულმა აღარ მომიტოვინა და წამოვედი. წამოვედი სწორედ ქუთაისს, რადგან მე ისე მომეჩვენა, რომ თქვენ აქ

ცხოვრობდით და უფრო თქვენი იმედით ჩამოველ...

— ასე გამოდის, რომ მე გამიბრძოვებინართ...

— არა, გაბრძოვება რას მიქვია!.. მაინც მოვნახე კეთილი ხალხი... მე ხომ ჩემი სიჭაბუკიდან ძალიან მიყვარდა თეატრი და რომ ჩამოველ, გავიხედ-გამოვიხედე, ისევ თეატრს შევეკედლე. აქ რუსული თეატრი არ არსებობს, ხანდახან თუ იმართება რუსული წარმოდგენები, მაგრამ მე ავი მსახიობობას არც ვაპირებდი. ცოტა რამ წინათაც ვიცოდი მექანიკოსობისა, და ეს გამოვიყენე. მჭირფასმა ალექსეევ-მესხიევმა, თქვენმა მესხიშვილმა კი, შემვივრომა და აი ახლა მეც ერთი მარჯვალე ვარ ადგილობრივი თეატრისა...

— კარგი დაგემართოს, კარგი საქმეა! შენ კი, ლევ ბარისოვიჩ, სულ მიატოვე სცენის სამსახური? — კვლავ გაიხსენა ვამეხმა სლავსკისადმი მისი პირველი შეკითხვა. სლავსკიმ კი მიუგო:

— არა, მაგრამ მე ახლა უფრო ჩინოვნიკი ვარ... სახაზინო პალატაში ვმსახურობ და ხალხსა ვებეგრავ გადასახადებით... ჰა, ჰა! სცენიდან, ძალიან ზნეობის ქადაგების მაგივრად, სახელმწიფოს ეკონომიკას ვამაგრებ... ჰა, ჰა! აი შენც გეცინება, ვამეხ ოტიევიჩ! გახსოვთ პეტერბურგი? სტუდენტი რომ ვიყავ, სცენისაკენ როგორ მივისწრაფოდი, მაგრამ ცხოვრებამ სულ სხვაგვარ შემატრიალა... ამას გარდა, დავრწმუნდი, რომ ჩემისთანა აქტიორი რუსეთში ათასობით მოიძებნება, ოჯახურმა პირობებმა კი სახელმწიფო სამსახური მომაძებნინა და სცენა?.. — ეს უკანასკნელი სიტყვა ნაღვლიანად წარმოთქვა სლავსკიმ.

აქ კი ტროფიმი შეენაცვლა:

არც მთლად ეგრეა საქმე, ვამეხ ოტიევიჩ. სცენას ახლაც ემსახურება. აქ დროგამოშვებით იდგმება რუსული წარმოდგენები და ლევ ბარისოვიჩი ამ წარმოდგენების სული და გულია.

სლავსკი — ეს ძალიან საყვარელი სახელია რუსული აუდიტორიისათვის.

— ჰო, — გაიცინა სლავსკიმ, — ჩემი პირველი რეცენზენტი ტროფიმი და მუდამ მამხნევებს...

ტროფიმს რალაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს მას გვერდით ჩაუარა ერთმა ახალგაზრდამ და, თითქოს გადაუგდო ისე დაუტოვა სიტყვები: „დღეს, რუა, რვა!“ თვითონ კი განაგრძო თავისი გზა.

სლავსკიმ შეამჩნია, რომ ახალგაზრდამ ტროფიმს რალაც გადაუღაპარა და შეეკითხა:

— რა იყო, რა გითხრა იმ ყმაწვილმა? ტროფიმმა ერთი კი შეხედა ვამეხს, მაგრამ სლავსკის მაინც გარკვევით უპასუხა:

— რუა, რვა.

ვამეხს გაეცინა.

— ეს რა არის, მეგრულს სწავლობთ რუსები?

— რატომ მეგრულს? — გაუკვირდა სლავსკის. შემდეგ ტროფიმს გადახედა, და ღიმილით წარმოთქვა: — არა, ჩვენ სულ სხვა რასმეს ვსწავლობთ...

— ჰოო? მე კი მეგონა, მეგრულიდან ქართულად თარგმნილით „რუოს“ „რუო“ ხომ ქართულად „რვა“ იქნება.

— ეგ კი არა, ტროფიმ, ვამეხიცი უნდა წავიყვანოთ, — უკვე უხუმრად წარმოთქვა სლავსკიმ, — უკეთესს ვის ვიშოვნით...

— უთუოდ, უთუოდი! — დაეთანხმა ტროფიმიც.

— სად უნდა წამიყვანოთ, რას ამბობთ? — გაიკვირვა ვამეხმა.

— აქვე, ახლოს, რუაზე. არ იცით? კომისაკენ, ფერმასთან, აბანოც რომ არის ბუნებრივი სამკურნალო წყალი. იმას ჰქვია „რუა“ და არა „რუო“... ჰა. ჰა! იქ კარგა ძალზე შედრუტუნული ადგილია, მოთარებული და...

— აჰა, მივხვდი. ფარული რამ კრება გაქვთ?

— დიხ, დღეს საღამოს რვა საათზე. — უპასუხა ტროფიმი.

— მერე-და მე რა შეუაში ვარ? მე პარტიული არა ვარ...

— ჰეჰე! — გაიცინა სლავსკიმ. — პარტიულები არც ჩვენა ვართ. პარტიულობამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილია. ჩვენ თანამგრძობლები ვართ მხოლოდ. ოღონდ უკვე ნაცადი თანამგრძობლები და ჩვენ დავალებულიც გვაქვს, რომ სხვა თანამგრძობლებსაც მოვუყაროთ თავი. ისეთები, ვისაც ვენდობით. შენზე უკეთესს ვის ვიშოვით?..

— მეე... — ცოტა გააგრძელა ვამეზმა — მე ყოველივე საწინაოსა და ხალხის სასარგებლოს, რამდენადაც შემიძლო, თანაუფგრძობი და თანაუფგრძობი...

— ჰოდა, ჩვენც ჯერჯერობით ამისთანები გვპირდება: შენ კი, შენი ცოდნა დიდად გამოგადგება.

— მერე-და, თქვენს კრებებს ხომ პარტიულები ხელმძღვანელობენ?

— როგორ არა. აი სამა წულუკიძე თუ გაგიგონიათ...

— ვიცი, გამიგონია. ნიჟიერი კაცია...

— აი ის არის ამჟამად ქუთაისში იმერეთის კომიტეტის წარმომადგენელი... სხვებიც ეხმარებიან... თვითონ ავადმყოფობს ცოტა... მაგრამ თბილისიდან ჩამოსული ამხანაგები დიდ საქმეს აკეთებენ ქუთაისშიც და მთელს იმერეთ-გურია-სამეგრელოში.

— აჰა, მაშ კომიტეტიც არსებობს?

— როგორ? ნუ თუ ესეც არ იცით?

— ჩამორჩენილი ვარ ძალიან...

— როგორ გეკადრება! არა, უთუოდ უნდა წამოხვიდეთ, ვამეზ ოტიევიჩ!

— რუხზე, რვაზე, არა? — ჩაიღიმილა ვამეზმა.

— დიხ, სწორედ ეგრეა.. აი ხედავთ როგორ მალე ეჩვევით ჩვენს პაროლებს.

— კარგი და — მაინც ყოყმანებდა ვამეზი — მე რომ მიმიყვანთ უცხო კაცს, თქვენი ხელმძღვანელები, პარტიულები გიყაბულებენ?

— აკი გითხარით ჩვენ გვენდობინებთქი!

— არა, უთუოდ უნდა წამოხვიდეთ, ნახავთ, გაიცნობთ, გაიგებთ. რითი ესუნთქავთ, — ახლა ტროფიმი არწმუნებდა ვამეზს. — და შემდეგ, ცხადია, თქვენისთანა გამოცდილი კაცი აქტიურ მუშაობაშიაც ჩაებმებით...

— აქტიურ მუშაობაში?... — ცოტა თითქოს შეიკვირვა ვამეზმა, მაგრამ შემდეგ ამას არც უარი მოაყოლა და არც თანხმობა.

— ჩვენი ნაკლი ის არის, აქაური ორგანიზაციისა, — განაგრძობდა კვლავ ტროფიმი, — რომ დარაზმულები კი ვართ, მაგრამ სულ სხვადასხვა პროფესიის ხალხი... უფრო წვრილფეხა ნოჭრობა, ზოგიერთი — ხელზე მოსამსახურე, ან ჩემისთანა ვადმოვარდნილი ძველი მუშა, ან ლევ ბორისოვიჩისთანა ნათელი პიროვნება...

— ჰო, კარგია ახლა, ნუ მოჰყვები შენებურად... — შეაჩერა სლავსკიმ.

— არა, რატომ? მართალს ვამბობ, — არ ტყდებოდა ტროფიმი. — ჰო, აი ასეთები და თან უფროსი კლასების მოწაფეები გიმნაზიიდან, რეალური სასწავლებლიდან, სასულიერო სემინარიიდან და სხვ. აქ ხომ, ქუთაისში, სამწუხაროდ, ქარხნები არ არის, თორემ იმათი რაზმი დიდი ძალა იქნებოდა ჩვენთვის...

ტროფიმი გაჩუმდა, მაგრამ სლავსკის რალაც გაახსენდა:

— აი შენ რომ თქვი, გიმნაზიის უფროსი კლასებიდანო... თუ არ ვცდები. მითხარ, მგონია... ამათი გვარის უნდა იყოს — და თავი ვამეზისაკენ გადაიქნია — რა ჰქვია?

— ოო, ტაია! — გაიხსენა ტროფიმი.

— ტაია? — ის ხომ ჩემი ძმისწულია. მარჯვე ბიჭია და, რამდენადაც ვიცი, ძალიან თავგადადებული მომუშავეც... ჩვენ სოფელშიაც კი შექმნა, მე მგონია, რალაც უჯრედის მსგავსი...

— ოო, ტაიას ჩვენ მეტ სახელად იეფხვს ვეძახით... რა იყო, სერგო? —

უცრად მოუბრუნდა ტროფიმი მის გვერდით ამომდგარ სერგო ჭელიძეს.

მაგრამ სერგო მარტო არ იყო, მას ერთი ახალგაზრდაც თან ახლდა და სწორედ ამ ახალგაზრდამ არ აცალა სერგოს ხმის ამოღება:

— მაშ ამ საღამოს რუახე, რვაზე, ამხანაგებო!

ეს ტაია იყო.

— ვიცით, ვიცით, — სიცილით მიავება სლავსკიმ, — და ეს პატივცემულიც მოგვეყავს.

— ოჰ, ბიძია ვამეხი? — ცოტა ჩაფიქრდა ტაია. შემდეგ მტკიცედ წარმოთქვა: — უთუოდ ბიძია ვამეხი არ ჰგავს ჩვენს მოლიბერალო ქართველ ინტელიგენტებს... ეგ ჩვენ საქმეში ძალიან გამოგვადგება... დიდ აქტიობას გამოიჩინს...

— შენ რა, ტაია, რეკლამას მიკეთებ? — თან სიტყვა „აქტიობა“ თავის გულში არცთუ ისე მოეწონა, მაგრამ ამახე არაფერი თქვა.

ტაია კი შეეკამათა: „მართალს ვამბობ და უთუოდ უნდა წამოხვიდეთ“. მაგრამ ამ დროს სერგო ჭელიძემ გაახსენა იქ მყოფთ:

— რატომ შევჯგუფდით აქ, შევიდეთ კლუბში, თორემ არცთუ მაინცდამაინც კარგი თვალით გვიყურებს პოლიცია და რომელიმე გარადავით ერთხელ კიდევ ჩავვინშნავს...

— მართალია, მართალი! — დაეთანხმნენ იქ მყოფნი. სლავსკიმ კი ისიც წარმოთქვა:

— კლუბში დღეს მეც საქმე მაქვს. ხვალ ზომ თავადაზნაურობის საცეკვაო საღამოა. კენჭის ყრამდე გუბერნიის მარშლის ცოლი მართავს და ბალის დაწყებამდე მე და ჩვენი რუსი სცენის მოყვარეები პატარა რალაც ვოდევით ვდგამთ და უფრო ამისათვის მოვედი ტროფიმთან, რომ სცენა დამეთვალეობინა.

— მეც იმიტომ ვარ მოსული, — წარმოთქვა სერგომ. — რომ ტროფიმს თუ

რამ სჭირდება, მოვეხმარო და საქმეო მასალეზიც თეატრიდან მოგვტანო...!

— ჰოდა, ძალიან კარგა შევიდეთ, — წარმოთქვა სლავსკიმ და კლუბში შევიდნენ თვითონ სლავსკი, ტროფიმი და სერგო ჭელიძე.

5

ტაია და ვამეხი მარტო რომ დარჩნენ, ვამეხი შეეკითხა:

— მე შენ ქუთაისში არ მეგონე. ჩვენი სოფლიდან ზომ ისე გაიპარე, რომ ჩემს ვარდა ჩვენთან არავის უნახავხარ.

— აგრე იყო საქმეო. მხოლოდ ახლა კიდევ ბიძია ბარამს გამოგვექცი. ბულვარში დამიჭირა და უნდოდა ნოტარიუსში წავეყვანე, მაგრამ იქ ზომ ბათელ მყავს ჩემ მაგივრად და შემდეგ, თოლისქვამის ნახვა რომ დანიძირა, ძალიან შორს დავიჭირე და გამოვექცი. იქიდან თეატრში შევირბინე, მინდოდა მენახა ამხანაგები, და მართლაც იქ დამიხვდნენ სერგო ჭელიძის სარეკვიზიტო ოთახში — არკადი ელბაქიძე, დალაქიშვილი, თვითონ სერგო. ყველას ვაცნობე დღევანდელი შეკრების დრო, შემდეგ კი აქ წამოვედი მე და სერგო ტროფიმთან.

— ეს ბარამს როგორ მოუვიდა, რა დროს თოლისქვამის ნახვა. ნექტარინა ათხოვებს კიდევ. აქაც ახლა იმიტომ ჩამოიყვანა, რომ მზითვევი უყიდოს.

ტაია თითქოს წამოიყვლითა:

— ათხოვებს? ვის აძლევს?

— არ გაგიგია? ბარამს არ უთქვამს?

— არა.

— კვიზინიას აძლევს, ფოთელ ვაჭარს.

— საცოდავი! — ცოტა შეგვიანებით წარმოთქვა ტაიამ და თითქოს „ჩაიფუფქა“. გულში კი გაივლო:

— რატომ მეწყინა ასე? ვითომ მიყვარდა?

ვამეხმა შეატყო ტაიას შინაგანი აღელვება და, ვითომ სანუგეშებლად, სულ სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი.

— რას აპირებ ახლა, ტაია, სწავლას არ აგრძელებ? ყური მოკვარი, თითქოს

რუსეთს აპირებდნენ წასვლას, უნივერსიტეტში.

— მე აკადემიკოსი არა ვარ, ბიძია, ეს შენ კარგად უნდა იცოდნე, და მერმე კიდევ დიპლომისათვის ბრძოლა კარიერისტებისათვის დამითმია. მე თუ წავალ, უფრო — საზღვარგარეთ... —

— ჰო, ვიცო. უთუოდ გერმანიას მიაპყრებ — მარქსიზმის საფუძვლიანად შესასწავლად... —

ტაიას ჩაეცინა.

— არა, ბიძია, არა... მაგისტრის გერმანიაში წასვლა საკირო არ არის... რუსეთში ამეამად ეგ მოძღვრება მარტო თეორიულად კი არ არის შესწავლილი, არამედ პრაქტიკულადც ატარებენ მას ცხოვრებაში და მას ისეთი გენიოსი ხელმძღვანელი ჰყავს, როგორც ლენინია... —

— ლენინი?

— ოჰ, ბიძია! შენ და ამის უცოდინარობა? შენგან არ მიკვირს! მამ უთუოდ შენ არც ის გეცოდინება, რომ ჩვენში, საქართველოშიაც ამ მოძღვრებას დიდი წარმომადგენლები ჰყავს, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაშიაც... გახსოვს, ბერთეში ფარნასას რომ გიამბობდით ბათუმის მუშების გაფიცვების ამბებს... აი იმისი ხელმძღვანელი არის ჩვენში უდიდესი მოაზროვნე, და ძალიან მალე ყველა დაეინახავთ, თუ რა დიდ საქმეებსაც მოიმიტყეოდებს ეს კაცი. არა! მე გერმანიაში მარქსიზმის შესასწავლად არ წავალ. ისე მინდა, საერთოდ, ევროპა მოვიარო, პირადად გავეცნო იქაურობას... —

— ჰო, ახლა კარგა ძალი ფული გერგება შენც და, ცხადია, იმყოფინებ... საზ-

ღვარგარეთ გამგზავრება კი უსათუოდ გამოგადგება, მხოლოდ... მარტო გერმანია კი არა, საფრანგეთიც უნდა იწახულო, პარიზი, ეს რევოლუციის ძველი კერა, კომუნარების სამშობლო. არ გახსოვს, თვითონ ილიამაც კი უმღერა ფრანგ მებრძოლებს.

— ჰო, ენაბე... ფულები კი, როგორც ბათუმ ვადმომცა, ჩემდა წილად, ათი ათასამდე მერგება თურმე... რასაკვირველია, ჩემ თავზედაც მოვიხმარ, მაგრამ შენ არ დაგიმალავ, ნახევარს პარტიას გადავცემ... —

— რომელ პარტიას?

— რომელი პარტიაა ჩვენში ჩამოყალიბებული? სოციალდემოკრატიული, და მეც ამ პარტიის მემარცხენე ფრთას გადავცემ.

— ეგ რაღა მემარცხენე ფრთაა?

— ოო, ამის განმარტებას კარგა დრო უნდა, ბიძია, მაგრამ აი დღეს მოხვალ „რუხზე, რეზზე“ — აქ გაეცანა ტაიას და ამის მიზეზი, რასაკვირველია, ამ სიტყვების ბგერათა დამთხვევის გამო იყო გამოწვეული. — მოხვალ და იქ ნაწილობრივ გაიგებ, რას წარმოადგენს ეს მემარცხენე ფრთა და რას მისდევს იგი... მაგრამ უკაცრავად, ბიძია, აგერ დავინახე, აქეთ შემოუხვეივს ბარონესამ თავის თანით, და მე მათი ნახვა ახლა არ მინდა. გავიქცევი, ნახვამდის!

— ნახვამდის, ტაია! ჰკუთთ იყავ, თავი არ წაიგო! — ცოტა ხნამიღლა შიდახე ვამეხმა, მაგრამ ვინ იცის, ტაიამ გაიგონა თუ არა, რადგან მან სულ სხვა მხრით ისე სწრაფად მოკურცხლა, რომ მალე მოსახვევს მიეფარა.

ბანიცადენი

XVI

სპილოს ძვლის კალმითა ვწერ ამ ამბებს, ციბედულ!

და... განა აქვს ამას მნიშვნელობა?

ერთხელ ახალციხეში ოქროს კალმისტარი მაჩუქეს. მაშინ „გიორგი რუსს“ ვწერდი, მაგრამ ამ კალმით იმ რომანში

არაფერი დამიწერია. სულ სხვადასხვა კალმით, სხვადასხვა ნაკეთობის და მოყვანილობის იარაღით მაქვს დაწერილი.

აეცა თუ კარგია, ეს რომანი კალმის აღნაგობის ბრალი მიინც არ არის და. ახლაც მგონია, რომ არც კალამს და არც

მის ტარს არა აქვს მიინცდამაინც დიდი მნიშვნელობა.

კარგია: ლამაზი ყველაფერი გაგეხარდება, მაგრამ შემოქმედებაში შინაგან უნდა გქონდეს თურმე ოქროც, სპილოს ძვალიც და სხვა ყველა თვალი პატიოსანი შემოქმედებისა, ეს ყოფილა თურმე მთავარი...

ახლა კი, შემთხვევით, სპილოს ძვლის კალმითა ვწერ.

ამ... ძალზე გაქიმულ მოთხრობას.

6

სასტუმროს კარებს რომ მიუახლოვდება, ბარონესამ დაინახა ვამეხი, ცოტაზე დაწინაურდა და ვამეხს მიმართა:

— ვამეხ, მიულოცე კნიაზ ბეგის, ნოტარიუსში უკვე ყველამ ხელი მოაწერა და მაგანაც თავისი წილი მიიღო.

— სასიამოვნოა, მხოლოდ, თუ იცი, ჩვენებმა კესარიას ვაჟისათვის ფული არ გადადგეს?

— როგორ არა. ჩემი და, ხომ იცი მისი ხელმოქერილობის ამბავი, ძალიან უარზე იყო თურმე, მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, დაითანხმეს და მთელი აღებული ფულიდან მეათედი გადადგეს თურმე, ყველამ ერთად. ეს არც თუ ისე ცოტა თანხა გამოვიდა. ოთხიათას მანეთამდე იქნება. ეს ბეა თურმე მთელი ნასყიდობისა. როცა ბელგიელების კამპანია შეუდგება მაგათი ტყის დამუშავებას და უტროსი ნოტარიუსი დაამტკიცებს ნასყიდობას, მაშინ სრულად მიიღებენ მთელ საფასურს.

— მაშ ძალიან გახარებულები იქნებიან.

— რაღა თქმა უნდა. ნექტარინამ და ავლო ხელი თოლისქვამს და კვიზინიას და კემულარიას შალვაზიას მიაშურა საყიდლებზე. ბარამი არ მინახავს. გუტატი და ბათუ კი ყველამ დაასაჩუქრეს და ბერთემს მიდიან ამადამ...

— ბერთემს? რატომ? მაგრამ ჰო... იქ ახლა მიწის მზომელია ჩამოსული და მამულის მეპატრონეები ან მათი ვეჭი-

ლები უთუოდ უნდა დაესწრონ გამოყენას.

— მეც აგრე ამიხსნეს, ამასობაში მარინა და ბეგიც შეუერთდნენ მათ საუბარს. ორივე ახალგაზრდას საბეზე დიდი სიხარული ეწერათ.

ბარონესამ კი გაიხსენა:

— რას შეეჩერებულვართ ამ კარებში, ავიდეთ ზევით...

ვამეხი ცოტაზე მაინც შეჩერდა. არ უნდოდა სხვებს გაეგოთ, რომ აქ ბაბო გავლენიშვილის საქმერად იყო მოსული. ამისათვის ის მოიმიზეზა, რომ ფერმაში წავალ კესარიის ვაჟის საქმისათვის და იქაურ დირექტორს, ნიკოლოზ მკურნალს მოვინახულებო.

— მკურნალს? — გაუკვირდა ბარონესას. — აგრონომიული სკოლის დირექტორი ექიმი?

— არა, ქალბატონო, არა. ეს გვარია მისი. ბერძნების ჩამომავალია, რაღაც სულ სხვა გვარი აქვთ, მაგრამ საქართველოში გვარად „მკურნალი“ შეარქვეს. მაგათი მამა მართლა ყოფილა მკურნალი. „თეოხარ — მკურნალი“ ერთ დროს განთქმული იყო მთელს სამეგრელოში და შეილებსაც ეს გვარი დაუმკვიდრდათ. ეს „მკურნალი“ კი ძალიან კარგი კაცია, ნაწიავლი, მომზადებული, თვითონაც აგრონომი კაცია და მოწაფეებსაც კარგად ამზადებს. ახლა მე მინდა წინასწარ ვთხოვო, რომ იეროც მიიღოს.

— ოჰ, ვამეხ, მეც წამოგყვები მაგ დირექტორთან...

ცოტა აწრიალდა ვამეხი, რადგან მკურნალთან წასვლას კი ამირებდა საერთოდ, მაგრამ ჯერ მაინც გავლენიშვილის ქალის ნახვა უნდოდა. ამამე ისევე ბარონესა შეეშველა:

— წამოგყვები, მხოლოდ ახლა არა. ჩვენ ხომ სადილად გუბერნიის მარშლის მივდივართ და ქალებმა ტანისამოსი უნდა გამოვიცვალოთ...

ვამეხს გულზე მოეშვა.

ბარონესამ კი იკითხა:

— დაგმარა და ხვითო სად დამეკარგ-
ნენ?

— ისინი, ეტყობა, ტკბილმა საუ-
ბარმა გაიტაცა და ნელ-ნელა მოდიან,—
თქვა მარინამ.

ვამეხს გაეღიმა:

— ჩვენი მარინა დიდი მზაკვარი ქა-
ლია! ჰა, ჰა!

— მზაკვარი? არა, ბატონო ვამეხ...მე
მხოლოდ რეალისტი ქალი ვარ...

— ჭკვიანი გოგო ხართ, ჭკვიანი... მე
გეტუმრეთ... თქვენ ხელში ბედნიერია
ჩვენი ბეგი...

ბეგიმ, ეტყობოდა, შეიფერა „ბედნიე-
რება“, არაფერი თქვა, მხოლოდ ჩოხაზე
ხანჯალი გაისწორა.

— მე კი, როგორა გგონიათ, — ეშმა-
კურად შეაქცერდა მარინა ვამეხს, — მე
კი არა ვარ ბედნიერი?

ვამეხმა არაფერი უთხრა, მარინას
აღერსით თავზე ხელი გადაუსვა.

შიაღწიეს ბარონესას სამყოფელს. კა-
რებთან მისული ბარონესა ერთხელ კი-
დეე მიუბრუნდა ვამეხს და, ცოტა არ
იყოს, ნაღვლიანი კილოთი წარმოთქვა.

— და აი ეს ბედნიერები უკვე გეტო-
ვებენ, ვამეხს მიდიან...

— სად მიდიან?

— ჩემს მამულში, ბატონო ვამეხ,
ჩემს მამულში. თქვენა გგონიათ, მე არა
მაქვს სახლ-კარი? ტვერის გუბერნიაში,
ქ. ტვერის მახლობლად. — განმარტა მა-
რინამ. — ამ ზაფხულს იქ გავატარებთ და
ზამთარში კი პეტერბურგს მივამოქრებთ.
ხომ, ბეგი, ბეგლიარ?

— მერმე ჯვარს როდის იწერთ? —
ცოტა მოლუშულად წარმოთქვა ვამეხმა.

— ჯვარს? — შეიკვირვა მარინამ. შემ-
დეგ თითქოს თავისთავს დაუდასტუ-
რა: — ჰო, ეს სავალდებულოა... მე მინ-
დოდა თოლისქვამთან ერთად ერთ დღეს
და ერთსა და იმავე ეკლესიაში დამეწერა
ჯვარი, ისე როგორც ერთ დღეს დავი-
ნიშნეთ ორთავენი, მაგრამ ეს თურმე
ასე მალე არ მოხდება. ჯერ თურმე ბერ-
თემს უნდა დაბრუნდეს საპატარძლო,

მზითვენი გამოიწყოს, შემდეგ შემოდგო-
მაზე სასიძო უნდა ჩამოვიდეს, ჯვარი
დაიწეროს და ბოლოს, ცოტა ხნის შერამე,
დიდი ზეიმით ფოთს წაიყვანს და იქ გა-
დაიხდის დიდ ქორწილს. მე ამდენხანს
ვერ დავიცდი, უთუოდ უნდა წავიღეთ
მე და ჩემი ქმარი რუსეთს... აი იქ კი
გთხოვთ, ბატონო, ვამეხ, ჩვენთან აუ-
ცილებლად ჩამობრძანდეთ, დიდად გა-
ვიხარებ... თქვენ აკი იცით, როგორ პა-
ტიესა გცემთ და როგორ მომწონხართ...
მე ერთხელ გითხარი, რომ ბეგლიარი
რომ არ შემხვედროდა, ცოლად თქვენ
წამოგყვებოდით...

— ოჰო, ვინ არის, რომ ბატონ ვამეხს
ასე ეარმიყება? — მოისმა მარინას გვერ-
დით ვიღაცა ქალის სიტყვები.

ყველა მობრუნდა.

ბარონესამ და ვამეხმა მაშინვე იცვენეს:
ბაბო გავლენიშვილის ქალი იყო.

ისევ ისეთი ტანადი იყო, როგორც
ოდესღაც. მიუხედავად ხნოვანებისა, ნა-
ტივ სახეზე ერთი ნაოკიც არ აჩნდა, ქა-
ლური ეშხი და იერი კიდეე შერჩენოდა,
განსაკუთრებით მის დიდრონ თავლის-
ფერ თვალებს. მხოლოდ თმაში ერთგან
თეთრი თმის კონა შეჰპარვოდა, საერ-
თოდ, წაბლისფერ თმების ძნასა. და ეს
წერილმანიც კიდეე უფრო მიმზიდველსა
ხდიდა. ტანზე ეცვა უბრალოდ, ინგ-
ლისური ყაიდის ტაილიროს კოსტუმში,
რაც უფრო მამაკაცის პიჯაკს მოგაგო-
ნებდათ, განსაკუთრებით მისი ზედაწე-
ლი, რომელსაც უზადო, გახამებული
თეთრი საყელო ადგა თავს და მამაკა-
ცურივე შავი პალსტუხი. მთელი ტანი-
სამოსი კი ყავისფერი იყო.

ბარონესა სიყმაწვილითვე იცნობდა
ბაბოს და მათი შეხვედრა მართლა მე-
გობრული გამოვიდა. იმავე დროს, ბარო-
ნესამ, ვამეხის ვარდა, ბაბო იქ მყოფთ
ყველას გააცნო. ბაბომ კი განუმარტა,
რომ ქუთაისს ამჟამად მარშლის ცოლმა
დაიბარა ხვალინდელი მეგლისის სა-
კონცერტოდ. ბარონესამ სიხარულით
შესძახა:

— ოო, შენ ხომ დიდი პიანისტი გამხდარხარ, გაეიგე...

— დიდი არა, მაგრამ...

— კარგი ახლა, თავს ნუ იმდაბლებ... ძალიან სასიხარულოა, მოგისმენთ... — შემდეგ ბარონესა უფრო გაუშინაურდა: — გახსოვს, ბაბო, ახალგაზრდობისას თბილისში მე და შენ თვითონ ხარლამში სავანელი რომ გვასწავლიდა პიანისოს... — ასეთ გამოსაუბრებლის შემდეგ ისიც გამოიჩქვია, რომ ბაბოც თურმე აქა დგას, ამათი ნომრების გვერდით და კარებთან ლაპარაკი რომ შემოესმა, გამოიხედა. ახლა კი თავის ბიძაშვილთან, გიორგი ამილახვართან, აპირებს წასვლას, ამ დღეებში ჩამოსულა თავის ოთარშენიდან გიორგი, მაგრამ ვამეხის ნახვას არ მოველოდი, ახლა უნდა მოგტაცოთ და თან წაიყვანოთ.

ამაზე ბარონესამ ჩასჩურჩულა:

„ნეტავი თავის დროზე მოგეტაცა, უკეთესი იქნებოდაო“, — და ორთავეს სათნოდ გაეცინა.

ბარონესა კი კვლავ ვამეხს გაეხუმრა:

— ახლა კი აღარ დაგაბრკოლებთ, ვამეხს. გასწი და შენც მოგვიხსენიე შენს ლოცვებში.

ყველას გაეცინა. ბაბომ ქუდს დაეიხურათ და თავის ნომერს მიაშურა. ვამეხიც შეჰყვა ოთახში. არ მიხედა იმას, რომ იქ მყოფთ შეიძლება ეს უზრდველობადაც ჩამოერთმიათ.

ოთახში რომ მარტო მოხედნენ ვამეხი და ბაბო, ორივე ერთიმეორის პირისპირ შეჩერდნენ და მოტრევენელი სიცილი აუტყდათ.

ეს სიცილი თითქოს კმაყოფილების იყო, რომ ერთიმეორე დიდი ხნის შემდეგ კვლავ ნახეს ჯანსაღად, აგრეთვე, თითქოს როგორიღაც გამოუთქმელი ბიღნიერებისა, რომელიც მხოლოდ იგრძნობოდა და ორივეს გულში ბუღობდა.

ბანიტაღმინი

XVII

შენ კი იცი ვინა ხარ, ციბედულ?

შენ ხარ მშვენიერი ქალი.

ამდენი ხანია საუკუნეობით გეძებს შენ, ციბედულ, უდიდესი გონებებსა და გრძნობის ათრთოლებულ-მსურველ გული ადამიანებისა.

ვერ მოუძებნიხართ და ამიტომ თვითონ გქმნიან: მხატვრები, მუსიკოსები, პოეტები. მთელ თავის ნიჭიერ ოცნების შესაძლებლობას არ იშურებენ შენ შესაქმნელად, რომ შენ გამოგიგონონ.

და აი რუსთაველმა შენ დაგარქვა თინათინი და ნესტანი.

დანტემ — ბეატრიჩე.

პეტრარკამ — ლაურა.

ბუშკინმა — ტატიანა.

და თუ ყველა ეს ხელოვანი მიაღწევინ იმას, რომ ოდნავ მაინც შენი მსგავსება შექმნან, მკრთალი სილუეტი სამარადისო მშვენიერი ქალწულისა, ქალისა, მაშინ მთელი ქვეყანა ამ მხატვრულ ქმნილებებს ტაშს უქრავს, მათი სახის წინაშე ქედს იხრის და მუხლს იდრეკს.

ნება მიეციოთ რიგითი კალმოსანსაც ჰყავდეს თავისი ციბედულ.

7

ამასობაში დაგმარა და ხვითო ნელნელა მოსეირნობდნენ სასტუმროსაკენ და შემდეგი საუბარი ჰქონდათ.

ლაპარაკობდა უფრო ხვითო. მისი სალაპარაკო ის იყო, რომ მას გაგიყვებით უყვარდა და უყვარს დაგმარა. ჯერ კიდევ პეტერბურგში. მართალია, წინათ უფრო ბავშვი იყო დაგმარა და უფრო გულუბრყვილო, ასე რომ ხვითოსი მას თითქოს ცოტა უნდა სმენოდა, მაგრამ ახლა ხომ ცხოვრებას უფრო გამოცდილი თვალთ შესცქერის და რად არა სჯერა ხვითოს სიყვარულისა.

დაგმარას ლოყები უწითლდებოდა, გული უჩქროლავდა, ისიც ასხენდებოდა, რომ დედამისი, ბარონესა დიდი წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუ დაგმარა ხვითოს წაჰყვებოდა, მაგრამ პასუხს თითქოს არ ჩქარობდა, არც ჰოს ამბობდა და არც არას.

ხვითოს კი გაახსენდა ჯერ კიდევ

პეტერბურგში, მაღალი წრის ქალიშვილებთან ნაცადი ხერხი და დაგმარას სიჯიუტით თითქოს შეშფოთებულმა, ასე მიმართა:

— ახა, ღმერთო ჩემო! მაშ რითი დავიმტიციკოთ, რომ მიყვარხართ? აა, გამახსენდა, თქვენ უთუოდ იცნობთ ანტიკურ მწერალს ანაკრეონს

— ჰო, ცოტათი... — სუსტად უპასუხა დაგმარამ.

— აი ის რას ამბობს, კარგად დამიდგდეთ ყური. ეს მისი ნაწარმოები მე თითქმის ზევირად ვიცი. „რას ნიშნავს სიყვარულიო?“ კითხვას სვამს ანაკრეონი და იქვე იძლევა ამის პასუხს: „თუ სიყვარული იღუმალი ცეცხლია, რომელიც ადამიანის ჩვეულებრივ გრძობებსა ნთქავს, გონებას ამღვრევს და გულს განსაკუთრებული რიტმით აძგერებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს უყვარს“... მე თქვენ მიყვარხართ, დაგმარა!

დაგმარამ ფეხი აუჩქარა და ცოტაზე დაწინაურდა, მაგრამ ხვითო მალე დაეწია და ყურში მაინც ჩააწვდინა. ის ისე იყო ამეამად ატაცებული, რომ არ დაგიდევდათ, თუ ქუჩაში გამეღელ-გამომვლენლები, მოსიარულენი მის სიტყვებს გაიგონებდნენ.

ხვითო განაგრძობდა:

— „თუ სიყვარული იმას ნიშნავს, რომ ყველა ოცნება ერთზე შეცვალო; თუ სიყვარული ტანჯვაა“... ზოგიერთი ხომ ასეც ფიქრობს, დაგმარა... მაგრამ გაყვები ანაკრეონს: „თუ სიყვარული იმას ნიშნავს, რომ დღისით და ღამით შენს წინაშე შენი საყვარელი ქალის სახე გედგას, გესმოდეს მისი მომჯავ-

დობელი ხმა, ცხოვრობდე მისი ფეხრით, მისი მგრძობელობით... თუ ასეა, მაშინ უმეტელია, რომ მიყვარხართ დაგმარა! დაგმარა, გულის წარმტაცო! მიყვარხართ ისე, როგორც არასოდეს არ მიყვარები.

დაგმარამ კიდევ უფრო აუჩქარა ფეხი.

— გაგიეებით მიყვარხართ, დაგმარა, გაგიეებით! — უკვე მეტად ათრთოლებული ხმით აწვდენდა ყურში დაგმარას თავის ალტყინებას ხვითო. გულში კი უქვირდა.

— ეს რა მომდის? თითქოს მჯერა ჩემი სიტყვებისა. — თან ჩაეცინა: — უთუოდ ხლესტაკოვსაც ასე სჯეროდა თავისი თავის, როცა გოროდნიჩის სახლში იკეხნიდა თავის მღგომარეობას.

დაგმარას კი არც მოუხედავს, ისე გადაუღლაპარაკა:

— უკაცრავად, კონსტანტინ... ხვითო... მაგრამ დედა მიმელის. ჩვენ ზომ სადილად მივდივართ მარშლისას... ტანისამოსი უნდა გამოვიცვალო.

— ჰოო, კიდევ არ მოიშალეთ ეს სატახტო ქალაქის არისტოკრატიული ჩვეულება: სასეირნოდ სხვა, სადილზე სხვა, თეატრსა და ბაღებში კიდევ სხვა ტანსაცმელი... ჰა, ჰა!

ეს სიტყვები ხვითომ სულ სხვა ჩვეულებრივი სასაუბრო კილოთი წარმოთქვა და მის ხმას სრულიადაც არ ეტყობოდა წვდანდელი მთრთოლვარება.

მაგრამ ეს არ შეუმჩნევია დაგმარას. ის, ვითომ არაო, მაგრამ მარც გახვეული იყო ხვითოს მომჯადობელი ბარიტონით გადმოცემული ანაკრეონის „ალერსთა ბადეში“.

ბანიცაღინი

XVIII

ქალმა უთხრა ვაჟს:

შენი ალერსი ყალბი არის
საჭმეს მიჭირებ!

რად მეფიცები, რომ გიყვარვარ? —
ვერ გამაკვირებ!

შენ ეს მითხარი: სიყვარული
ვის არ უგრძენია!

მაგრამ სულ ყველას განა იგი
გამოუტყენია?

თვითონ მხეცსაც კი უყვარს ზოგჯერ
გაჭრილს ტყე-ველად,
თუმც ვერ ერკვევა, იმას უყვარს
გაურჩეველად,
და სულ არ იცის სიყვარულის
მან კიდე-განი,
არ იცის ტრფობის მან შალაღი
დიდი საგანი;
მას უყვარს მხოლოდ მაშინ, როცა
ის ალტყინდება,
ამის შემდეგ კი სურვილები
მყის ჩაუჭრება;
განუახლდება, როცა კიდევ
სხვას ნახავს სატრფოს;
ერთი არ იცის, მართო ერთსა
ის გულს არ ანდობს.
შენც ასეთი ხარ, განა იცი
შენ სიყვარული?

ვაჟმა უპასუხა:

მაშ მე მხეცი ვარ? შენთვის არ ძგერს
ეს ჩემი გული?

ქალი:

გული შენ ბევრჯერ გიძგეროდა
და ახლაც გიძგერს,
მაგრამ არ სჯერა შენი ტრფობის,
ვინც რომ შენ გიქცერს!..
შემდეგ რაც მოხდა, უნდა ვეითხოთ

• •

მთვარიან ღამეს,
ჩუხჩუხა წყაროს, მწვანე მღელოს,
ყოვლის მოწამეს:

იმათ იციან, ქალ-ვაჟთ ტრფობა
როგორ იწყება;
იციან, რომ სულ ასე იყო,
არის, იქნება!

8

ბაბო გავლენიშვილსა და ვამეხ
გვირგვილიანს კი უკვე სულ სხვა სუ-
ლიერი განწყობილება დაუფლებოდათ.
ისინი ჯერ კიდევ ბაბოს ნომერში იმ-
ყოფებოდნენ და მართალია, ბაბომ გა-
ნაცხადა, რომ მის ბიძაშვილ ამილახვარ-

თან უნდა წასულიყო და ნომერში ქუ-
ლის დასახურად შევიდა, მაგრამ ახლა
ეტყობოდა, რომ სრულად აღარ ეხ-
სოვდა არც სადმე წასვლა და არც ქუ-
ლის დახურვა.

ის ამეამად თითქოს მოშვებულად
იჯდა სავარძელში, მიყრდნობოდა მის
ზურგს და სევდიანი გამომეტყველებით
საღღაც შორს იყურებოდა.

რა მოხდა?

წელან როგორი სიცილით შეხვდნენ
ერთიმეორეს, შემდეგ კიდევ სიცილით
რომ გული მოიჯერეს, რა არ უამბეს
ერთმანეთს. მართალია, ორთავემ იცო-
და რომ, მაგალითად, გავლენიშვილი
თბილისში ცხოვრობდა და მუსიკის მას-
წავლებლობით და კონცერტების მარ-
თვით ირჩენდა თავს, ვამეხი კიდევ სო-
ფელში იყო, თავის მამულში, მაგრამ
დაწვრილებით ერთიმეორის ცხოვრე-
ბისა მაინც არა იცოდნენ—რა. იმათ ხომ
დიდი ხანია ერთიმეორესთან მიწერ-მო-
წერა არ ჰქონდათ. არც აქამომდე შეხ-
ვედრიან ერთიმეორეს მას შემდეგ, რაც
ვამეხი კატორღიდან დაბრუნდა და ამ-
ჟამად, პირველ ხანებში, ერთიმეორეს
არც კი დაჰკვირვებდნენ, თითქოს ისევ
ახალგაზრდანი შეიყარნენო, მაგრამ
თანდათან მათი ხნოვანების ნაკვალევი
ორთავემ თვალნათლივ დაინახა და მათ
გუნებაში მოჩვენებელი გაზაფხული
სუსხიანმა შემოდგომამ შეცვალა.

ქალი ფიქრობდა:

„ღიახ, იყო რომანი, ანუ უკეთ დასა-
წყისი საუცხოო რომანისა, აღმადრთო-
ვანებელი, წარმტაცი და... არც კი გაგ-
რძელებულა. ხანმოკლე იყო მისი არ-
სებობა. მაღე დაიხურა მისი ფურცლე-
ბი... მე კი მეგონა, ეს ვაჟკაცი, მე რომ
მიყვარდა ასე სასიხებით, ყველასგანაც
რომ იყო აღიარებული მართლა მოწინა-
ვედ, ეს ვაჟკაცი იყო ერთი ისეთი დიდი
და მტკიცე ადამიანი, რომელიც საქარ-
თელოს საქმის წაღმართად წაყვანას
ხელს შეუწყობდა. მართო საქართვე-
ლოს? ჰა, ჰაა—ჩემად და ნალვლიანად

ჩაეცინა ბაბოს — სამოცდაათიან წლებ-
შ. ჩვენ უფრო საქართველოზე ვფიქ-
რობდით. მთელი ჩვენი ინტელიგენცია
სამშობლოს ემსახურებოდა ეურნალ-
გაზეთების გამოცემით, თეატრით, სა-
ზოგადოებრივ დაწესებულებათა შექმ-
ნით, სამშობლოს კეთილდღობა-თ გვე-
გონა, რომ კაცობრიობის საგანძურში
ჩვენი შეგვექონდა ჩვენი წვლილი. ეგვი
აგეთი იყო. ახლა კი როგორ დაგმო თა-
ვისა თავი. როგორ მიწასთან გაასწორა.
რეები ილაპარაკა“

ვამეხი ფეხზე იღვა, მაგრამ ერთ ალა-
გას ვერ ჩერდებოდა, ოთახში მილი-
მოდიოდა, ზოგჯერ სადმე ერთ ალაგას
შეჩერდებოდა და მერე ისევ იწყებდა
სიარულს, მხოლოდ, კაცმა რომ თქვას,
ეს უფრო წრჩაღს ჰგავდა.

ვამეხი აწრიალებული იყო სულათ,
გულით და ახლა სხეულებრივადაც.

ბაბოს ნახვამ მთელი არსებით შეარ-
ყია: ჯერ უდიდესი სიხარული იგრძნო
საყვარელი ადამიანის შეხვედრით. შემ-
დეგ ისიც ეამა, როდესაც გაიგო, რომ
ბაბო ცხოვრებაში არ დაბნეულა, თავისი
მუსიკალური ცოდნა გამოუყენებია
და ამჟამად თბილისის მუსიკალურ
სასწავლებელში პიანინოს კლასი აქვს
ჩაბარებული. ვამეხს ეამა ისიც,
რომ ბაბო თავისი შრომით ცხოვრობს,
ზოგჯერ საჯარო კონცერტებშიაც ღე-
ბულობს მონაწილეობას და საზოგა-
დოებაში კარგი ადგილი უჭირავს.

ვამეხს უნდოდა ისიც ეკითხა — არც
ერთხელ არ გათხოვილხარო, თუმცა
გაგონილი ჰქონდა, რომ გაუთხოვრად
იყო დარჩენილი, მაგრამ მაინც უნდ-
ოდა შეემოწმებინა და... არ ჰკითხა. იფი-
ქრა — ვაითუ მისი წმინდა გრძნობა
ჩემდამი ამით შეურაცხყოფო, — და თა-
ეა შევიმაგრა.

ბაბომ, თითქოს ვამეხის ექვეების გასა-
ფანტავად, თავის ლაპარაკში გამოუჩინა:

— იცოდე, ვამეხ! ჩემი გული დიდი-
ხანია დაეხურე და მის კარებთან გულ-
გრილობის ისეთი დიდი ლოდები მივა-

გორე, რომ ტრფილებსათვის იგი თა-
ვის დღეში ველარ გაიღებოდა. მერველ
ხანებში ამ ლოდების მიგორებში მიქ-
ირდა, შემდეგ მივირდა, ახლა მივეჩ-
ვიე. მე მგონი, იმან მიხსნა, რომ სამუ-
შაო გამიჩნდა, გავიჩინე. სასიხარულო
სამუშაოა. მუსიკა, ახალგაზრდობა. ნე-
ტავ თუ რამე სჯობს მათთან მეცადი-
ნეობას...

— შენთვისაც ზომ უკრავ რასმე...
გულის მოსაოხებელს?

— აღარაფერი მოსაოხებელი აღარა
მჭირდება. ჩემი მუშაობა, გაკეთი-
ლები მავსებს სრულიად.

ვამეხს უეცრად სიხარულმა გადაურ-
ბინა და მაინც წარმოთქვა:

— გათხოვებით კი მაინც არ გათხო-
ვდი...

— ჰა, ჰა! გინდა თავი მოიწონო? მარ-
თალია, ვამეხ, მე ისე ღრმად და ძლიე-
რად მიყვარდი, რომ თუ არა შენ, სხვას
ვერ მივთხოვდებოდი... ახლა კი...

კინალამ ამოიხორა ბაბომ და გაუქ-
ვირდა — ეს არის ჩემი გულგრილო-
ბაო? ნუთუ ვინანებ? სინანული ზომ
გულგრილობა არ არის! — ენაზე მომ-
დგარი სიტყვა პირს არ წარმოათქმე-
ვინა. სამაგიეროდ, ვამეხმა თქვა:

— ახლა კი დაგვიანებულა... ჰო,
ორთავესთვის, თუმცა მე... ყველაფერ-
ში დაგვიანებული გამოველ... დღეს მე-
ველემ და კირილე ლორთქიფანიძემ
მთხოვეს, მათ მომავალ გაზეთში მონა-
წილეობა მივიღო... საღამოს კიდევ
რუხზე ვარ მიწვეული სოციალისტებ-
თან...

— ეგ მშვენიერია. მაშ როგორ! სა-
ზოგადოებრივ საქმიანობაში კვლავ უნ-
და გაერიო, ვამეხ!

— ჰო, ვფიქრობ თითქოს... ვცადო...
მაგრამ მე მგონია აქაც დაგვიანებული
ვარ... მე ახლა მექათმე ვარ და სხვა
არაფერი... თავს ვეძალები, თორემ
აღარაფერი აღარ მახალისებს, ყოვლი-
სავე რწმენა დაეკარგე. ამას მხოლოდ
შენ გეუბნები, ბაბო... სხვებს? სხვებს

მიტომ არ ვუზიარებ ჩემს განწყობილებას, რომ არ მინდა სხვებს გადავდვა ჩემი სკესისი... იმუშაონ, აკეთონ, შეადგინონ პროგრამები ხალხის საკეთილდღეოდ, ვინ იცის, შეიძლება აქედან რაღაც გამოვიდეს... მე ხელს არ შევუშლი... ის კი არა, დაეხმარები კიდევ, რითიც შემიძლია, მხოლოდ... ბაბო, ეს გული გამოცარიელებულია. თუმცა შენ ამაშიც გამოგიტყდები... შენ კიდევ ცხოვრობ ამ გულში... შენ სულით და სხეულით რომ იყავ ახოვანი, ახლაც ასეთი ხარ უთუოდ.

ქალმა თვალი შეავლო ვამეხს და მისი გამოძეტყველება კვლავ განშორდა აქაურობას.

ვამეხს ეს არ შეუმჩნევია, თავისას განაგრძობდა:

— გახსოვს, ბაბო, მე ყოველთვის ხასიათის სიმტკიცით და მომზადებით რუს რევოლუციონერ ქალებს გადავარებდი... რა დიდი ხალხი იყო ზნეობით, სულიერი კეთილშობილებით, როგორი ქედდრეკელები, შეუპოვრები. აი თუნდა დეკაბრისტების მუღღლეები აიღე... ახლა „ნაროდოვოლები“. ერთი პეროვსკაიას ქალი რაღა ღირს! თუმცა განა ქართულ ისტორიას არ ახსოვს ესეთი ნაჭედი ხასიათის ქალები?... ისტორიას ახსოვს, მაგრამ ჩვენ დავიწყებული გვყავს და სხვაგან ვეძებთ მისაბამ მაგალითებს... გახსოვს, ბაბო, როდესაც მე გამაციმობირეს, შენ გინდოდა კატორღაში გამომყოლოდი, მაგრამ ვერ შესძელ... ფულები არც მე მქონდა და არც შენ... შენმა ნათესაობამ კიდევ საღლაც ცხრაკლიტულში ჩაგკეტა, ქართლის რომელიღაც გადაყრუებულ სოფელში, საძრაობა არა მქონდა... გახსოვს, ბაბო...

ვამეხსმა სიარული შეაჩერა და ბაბოსაკენ გაბრუნდა, რომ სახეში ჩაეხედა. ბედად ბაბოსაც პირი მისკენ მიეზრუნებინა, მაგრამ თანაგრძნობის მაგიერ ბაბოს თვალებში მხოლოდ საყვედური

ამოიკითხა, თან ვედრებაც, თითქოს ნუ ამბობ მაგეებსო. უთხრა კიდევ:

— ვამეხ, აგერ ერთი სააჭი ვქნება, ერთიმეორეს ვუზიარებთ ჩვენს განცდებს და აქამდის არც ერთს სიტყვა „გახსოვს“ არ წამოგვცდენია. მე ეს მიხაროდა. ნუ დამირღვევ ამ სიხარულს... და პირი ისე მოკლეა, თითქოს რომელიღაც შინაგანი საიდუმლო კარები ჩაიკეტაო.

ვამეხი ერთხანად შეცბუნდა და შემდეგ თითქოს მოუწონაო, ცოტა ხნის შემდეგ ისევ საზოგადოებრივზე გადაიტანა თავისი საუბარი.

— ჰო, იმას ვამბობდი: აკეთონ, იშრომონ-მეთქი. ბოლოსდაბოლოს შრომა ყოფილა ყოველგვარი სიღუბეჭირის დამძლევი ამქვეყნად. აი შენც შრომაში ხედავ შენს ბედნიერებას. მხოლოდ შრომაც არის და შრომაც. მგონი დოსტოევსკის აქვს ნათქვამი, რომ როდესაც კატორღელებს ფიცრები მოგვცეს გასათლელად, ყველანი გამოვცოცხლდით, რადგანაც მიზანი გაუჩნდა ჩვენს არსებობას, მაგრამ, როდესაც გავიგეთ, რომ ეს ფიცრები არავისთვის და არაფრისათვის არ იყო მიჩენილი, სრულიად დავკარგეთ ხალისი მუშაობისა, სრულებით მოვეშვიით და ჩვენი ცხოვრებაც უღიმღამო გახდაო. ასეა ჩემი საქმეც, ბაბო! მართალია ჩემს სოფელში რაღასაც ვჩალიჩობ, გლეხებს ვეხმარები რჩევა-დარიგებით, რაცა მაქვს, იმ ცოდნას ვაწვდი და მითი ცოტა ოდნად ვუმსუბუქებ მათ ღუბჭირ არსებობას. ჩემს ბიძაშვილებსაც ვაკაევებ ზოგიერთი უსამართლობის გამოვლინებისაგან, წერა-კითხვის მცოდნე ახალგაზრდობას ვაწვდი ქართულ წიგნებს, რაც კი მე მბაბაღია, თუმცა ძალიან ცოტაა ქართულ ენაზე სასარგებლო წიგნები გამოცემული... ჰოდა, მეც ქათმების მოშენებას შევუდექი, კვერცხებს ვასაღებ... ჰა, ჰა! ჩემი რძალი ნექტარინა დამკინის კიდევ: „დიდი ოტიე გვირგვილიანის ჩამომავალი მეკვერცხე გაბ-

დაო“, მაგრამ რა გაეწყობა! მე ისა მწყინს, რომ რას გამოელოდნენ ჩემგან, მე თვით რას გამოველოდი და რა შევიქნენ!..

— ამაყი ხარ, ვამეხ, ასეთი იყავი წინათაც...

— გახსოვს, ბაბო?..

ბაბომ გაიცინა:

— არა, „გახსოვს“ არა!

— კარგი, მე ის მინდა გითხრა, თუ რაზე ვმუშაობ ამჟამად...

— ჰო, ეს კარგია. მუშაობ კი?

— როგორ არა. ეს ერთგვარი გამოკვლევაა: „ქალის კულტი საქართველოში“.

— ოო, ყოჩაღ, ვამეხ! ხომ წამაკითხებ?

— შენ, ბაბო? შენ როგორ არ წაგაკითხებ. პირველი ჩემი კრიტიკოსი შენ უნდა იყო. შენ წაგაკითხებ კი არა, ხომ ხედავ, ჩემი გულის უსაიდუმლეს ზრახვებსაც კი გიზიარებ. ჩვენ, ორთავენი, მე მგონი, ბაბო, იმ წერტილამდე

მივედი, საიდანაც ნამდვილი ადამიანური მეგობრობა იწყებოდა ვრუსებსა შორის. ეს არის დინჯი, უნაღდი მეგობრობა ადამიანებისა. აქ შენი აზრი თითქოს ჩემი ნათქვამია და ჩემი—შენი. შენ მართალი ხარ: „გახსოვს“ აქ აღარ არის მოსატანი. ჩვენ ახლა ვართ მართლა მეგობრები ყოველგვარი ახალგაზრდული მოფეთქების გარეშე...

ბაბო წამოღდა; მოარული ვამეხი შეაჩერა, თვალბში შეაჩერდა და მაგრად ხელი ჩამოართვა.

— გმაღლობ, ვამეხ, ეს არის სწორედ ის, რაც ჩვენ შეგვეფერება.

ორთავენი, ხელიხელჩაკიდებულნი, კარგახანს შესცქეროდნენ ერთმანეთს და არც ერთს აზრად არ მოსვლია, რომ უფრო მიახლოვებოდნენ ერთერთს და კოცნით აღებეჭდათ თავიანთი განწყობილება. მათ თვალთაგან გამოკრთოდა უცნაური, უჩვეულო სიხარული და მთელი მათი არსება თითქოს აღივსო ამ მშვიდი და მყუდრო გრძობით.

(გაგრძელება იქნება)

კარგი ღარი, ბავშვები, შორეული ზამთარი

ციკლიდან „ახალი კოლხიდა“



შავი ზღვის ქარმა ახვეტა
დაბალი ღრუბლის ზვირთები,
მოწმენდილ ზეცას ახედავ,
თუ ნაპირს დააკვირდები, —

ყველგან სიჩუმე გამეფდა,
შენელდა ტალღის ტაშები,
და სანაპიროს სკამებთან
მწკრივად მიდიან ბავშვები.

ღამაზად ჩამოსხდებიან...
ჰაერიც ელავს გამთბარი,
შორს უკვე თეთრი მთებია,
მთებში მოსულა ზამთარი.

ზღვისა და მთების ჰაერით
დამტკბარა ჩვენი მთა-ბარი
და ბავშვებს მრავალნაირი
მოაგონდებათ ზღაპარი.

არ კაკანებენ კაკებში,
მელაც თვლემს დიდი ხანია,
უკანასკნელი საკვები
სოროში ჩაუტანია.

ზის და დუმს რუხი კურდღელი,
როგორც უძღურის წესია;
ჯიხვებს კი შავი შურთხები
თივას და ბალახს ესვრიან.

რა დიდი მანძილებია,
რა უნაპირო ველები;
მთაში დათეს დაძინებია
თავის პატარა ბელებით

ღალესტნის გაგაფხული



მე ვბრუნდებოდი საქართველოში,
წინ მიმიძლოდნენ ღალესტნის მთები;
არა ვარ უცხო ამ მიდამოში,
ძუძუდ მერგება მისი კალთები.

ცა მაღალია და მოვარაყე,
ველი გაშლილი და თვალუწვდენი;
ღრუბელს დაუდგამს ქვაბი საარყე,
ცეცხლს მისჯდომია, როგორც უზდენი.

რომ შემხედეს ახლა მუხრანის ბოლოს
ხელაღებული თავზე ყვიჩაღი,
დავულოცავდი თვითონ სამშობლოს,
რადგან სამშობლოს ერთი გვაქვს დალი.

გამჭვირვალეა თვით ზღვა კასპისა,
ზვირთებში ვხედავ თევზის ქვირითებს;
უდაბნოს თიხამ ველარ გაფისა,
თერგი დაბლობში მოაჯირითებს.

ეუახლოვდები ასე დარუბანდს,
ერთად მიყვარ თეთრ ცას, თეთრ
აპრილს;

ვხედავ ატმების მორევს გაუვალს
სულეიმანის წვერებზე დაყრილს.

... იყო დარბევა იმ მწარე დღეში
და კაცის სისხლი რეცხდა ხეობას;
მთაში მომსკდარი წვიმა და თქეში
გურამიშვილის გოდებს ტყვეობას.

აქ ვაეკაცობად სთვლიდა ქართველი,
თუ თავს სიკვდილსა არ მოარიდებს;
სისხლმა შეღება აქ მთა და ბარი,
უჭრიდათ ხმალი შამაც მურიდებს.

სხვა ისკანდერი გულჩახვეული
ებრძოდა ჯვარსა აქ ალექსანდრე;

ჰაჯი მურადის მოკვეთილ თავზე
ჯარისკაცებმა ჯავრი იყარეს.

ალარ ებრძვიან დღეს გაიურებს,
ჩამდგარი არის ხმალი ქარქაშში;
მზე ბედნიერი თავზე დაჰყურებს,
ღალესტნის ველზე გააქვს კაშკაში.

მთებო! ხომ გახსოვთ დღე ბედნიერი,
როცა სტალინი ეწვია თქვენს თემს?
ყველა დალოცავს: ყრმაა თუ ბერო,
ბედნიერების კერაზე დამთებს.

მას ორი ჰყავდა თანამებრძოლი,
ორივე სერგო, ვაეკაცი ტოლი,
ძმად შეფიცული და მტკიცე ფიცზე
ერთად—კიროვი, ორჯონიკიძე.

თქვენ, ხევსურებო, შავი ნაბღებით
რომ გამოტაცეთ ჯალათებს სერგო,
დღეს ერთი წუთი ჩემს ლექსს დანებდით
მთების მგოსნობა შე ჯერით მერგო.

ფშაენო, თუშებო და ხევსურებო,
ქეთელაურო, ძმაო, ალუდა!
ჩამოდგა მთებში ახლა მშვიდობა
და სისხლს აღება დღეს აღარ უნდა.

ერთად შევერთდეთ, ერთად ვიმღეროთ,
მოვსპოთ ადათის ყველა ნაღები;
სტალინის მზეში ყველა ერთი ვართ:
ქსტი, ხევსური და დიდო-ლევი.

სალამი, ძმაო და კომუნარო!
სალამი, მთებო, ძმებო ჩვენ მთათა,
სალამი, სერგოს ძლიერო სულო,
რომ დაიფერფლე მთებისთვის მთლად!

ყველას სალამი უძლეველ ბელადს,
ბედნიერებას ჩვენსას რომ ხედავს.

მე მივდიოდი საქართველოში,
წინ მიმიძლოდნენ დაღესტნის მთები;
ორჯონიკიძე დაეტოვე კრემლში,
ორჯონიკიძეს მაინც აქ ვხვდები.

მშვიდად ცხოვრობენ აქ მთიულები
და ბავშვიც ამბობს აქ თითის სიგრძე,
რომ ამ ქვეყანას შესწირა თავი,
ამიტომ ჰქვია ორჯონიკიძე.

და ნახევარი კავკასის გული,
მახსოვს, კოლონის დარბაზში ელავს,
და საბატო დგას ყარაული,
მთელი მოსკოვი აქეთ მოღელავს.

გმირის სიკვდილზე ატირდნენ მთები,
აქაც გრძელდება ეს ყარაული;

და მეც იმათთან ერთად ჩავდგები,
ამ დიდების გზას ველარ ვადგენი

ასე მგონია, ტანზე მასხია
აფეთქებული ყველა კვირტები,
აქ ჩემი ყრმობის ჯადო მარხია
და აფეთქებით ნუ გაკვირდები.

მთა გოლიათი სხვა მთას მოება,
კავკასიონის წამოდგა ქედი;
თვითონ ცხოვრება არის პოემა
შთამგონებელი და შემოქმედი.

მახარებს, იმ დღეს რომ მოვესწარი,
როცა ერთი გვაქვს სამშობლოს თაღი.
საქართველოა თუ დაღესტანი,
ჩვენია მთები, ხე და ბალახი...

აპრილი
1937 წ.
დარუბანი.

დაკარგული ბეჭედი

მოთხრობა



ლეიტენანტი გურული, რომელსაც მეგობრები „ჩვენს სერგოს“ ეძახდნენ და ამ სახელით უფრო ცნობილი იყო ახალგაზრდა ოფიცერთა შორის, ვიდრე გვართ, შაბათ საღამოს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ქალაქში სასეირნოდ გამოვიდა. ზაფხულის კარგი ამინდი იდგა, ქუჩები სავსე იყო ხალხით. ზოგი სამსახურიდან მოდიოდა, ზოგიც სასეირნოდ იყო გამოსული. საინტერესო სანახავია გერმანული №-ქალაქის ქუჩები. აქ, შუა ქუჩაში, დაგებულა ეიწროლიანდაგიანი ტრამვაის ხაზი; ტროტუარებს პარალელურად გასდევს მაღალთალიანი კოშკის მაგვარი სახლები, პატარა, მრავალრიცხოვანი ფანჯრებით. რას არ ნახავთ ქუჩაში? უცებ მოსახვევიდან გამოჩნდება ვეებერთელა მანქანა, უკან მიბმული ორი-სამი საბარგო ძარებით. კაცს ღიმილს ჰგვრის აქლემის ტვირთაკიდებული, სახედარივით პატარა სამთვლიანი მანქანა, რომელიც ასე გავრცელებულია აქ. ხანდახან ქუჩაში შეხვდებით წვერებცანცარა თხას, გაბმულს ურიკაში. მზიან ამინდში ახალგაზრდა დედები საბავშვო ეტლებით შეესევნიან ბალებსა და სკვერებს. მათ გვერდს უმშვენებენ ხოლმე ათასი ჯიშის, ფერისა და ბეჭვის ფინიები.

ლეიტენანტი გურული, რომელმაც უკვე კარგა ხანია შეაჩვია თვალი ამ სანახაობას, ნელი ნაბიჯით მიდიოდა ქუჩაში ისე, რომ ყურადღებას არაფერს აქცევდა, მაგრამ მასაც ღიმილი მოერიდა, როდესაც მოსახვევიდან გამოხრი-

გინდა თივით დატვირთული ურიკა, რომელშიც გაბმული იყო ველოსიპედზე მჯდარი, კანჭებდაკაბიწებული მოხუცი გერმანელი თუ სერბიელი ქალი, ფერად ნაციონალურ კაბაში გამოწყობილი; მის მარჯვნივ ურიკაში ძაღლი იყო გაბმული, უკან კი თივის ზეინს ჭირისუფალივით მიჰყვებოდა თეთრი თხა.

მოედანზე საათმა შეიღჯერ დაჩეკა. სერგომ დახედა მაჯის საათს. „ერთი საათი კიდევ მომიხდება ცდა, ვიდრე ლარისა შეპირებისამებრ მოვიდოდეს აქ, „ტელმან პლაცზე“, და განაგრძო ისევ სეირნობა.

დასავლეთიდან დაჰბერა საღამოს ნიემი. ცა მოულოდნელად მოიღრუბლა, საწვიმრად გაემზადა. პირველი წვეთის შეგრძნებაზე სერგომ შუბლი შეიკუმუნა, — მობეზრდა განუწყვეტელი წვიმები და წყალდიდობა. მართლაცდა, ასეთი წყალდიდობა ასი წელია არ ახსოვს ვეროპას. სტიქიურმა უბედურებამ დიდი ზარალი მიაყენა მოსახლეობას, ათასობით ჰექტარი მიწა და სახლები წყალმა დაჰფარა. ლეიტენანტი გურულის ოცეულმაც მიიღო მონაწილეობა სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ბრძოლაში, რითაც მისმა მეზობლებმა მოსახლეობის სიყვარული და ბურგომისტრის მადლობა დაიმსახურეს. ახალგაზრდა ლეიტენანტს, თითქოს რაღაც მოაგონდა, უნებურად შეავლო თვალი მარცხენა ნეკზე წამოცმულ ვერცხლის ბეჭედს და გაიფიქრა: „ვიპოვი კი ოდესმე ამ ბეჭედის პატრონს?“

მოსერინე ხალხმა წვიმის მოლოდინში ნაბიჯს აუჩქარა. ზოგმა ტრამეის მიაშურა. ხალხის ურიაშულში სერგოს შემოესმა თავისი სახელი, შემდეგ კი დაინახა მისკენ ჩქარი ნაბიჯით მომავალი ახალგაზრდა ოფიცერი ნიკოლაი ბურაკოვი. მეგობრის დანახვაზე შუბლი გაეხსნა ლეიტენანტს.

— სერგო, ერთი საათია, რაც გეძებ. ლარისამ დაგირეკა, თეატრის ბილეთები ავიღე, დამელოდე „ბერლინ პლაცზეო“. მე ახლა კინოში მივიჩქარო, მელოდებიან. გისურვებ წარმატებას, — მხიარულად თქვა ბურაკოვმა, გზაზე მომავალი ტაქსი გაჩერა და ხელის დაქნევით გამოემშვიდობა სერგო გურულს.

კიდეც კარგი, რომ ბურაკოვმა გამაფრთხილა, თორემ მთელ საღამოს „ტელმან პლაცზე“ ლოდინში გავატარებდი, გაიფიქრა ახალგაზრდა ლეიტენანტმა. ახლა რვის თხუთმეტი წუთია, ტრამეით ხელეწუთში ვიქნები „ბერლინ პლაცზე“, იქ კი თავს შევაფარებ ძია აბრაუს კაბარეში, იქიდან ხელის გულივით მოჩანს მთელი „ბერლინ პლაცი“ და თეატრი. მიიღო რა ასეთი გადაწყვეტილება, სერგო გურული გაემართა ტრამეის გაჩერებისაკენ.

აბრაუს პატარა კაბარე განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა რუს ოფიცერთა შორის. სხვანაირად მას კიდეც „დემოკრატის კაბარეს“ უწოდებდნენ. სერგომაც სწორედ ამ კაბარეს მიაშურა.

— საღამო მშვიდობისა, ძია აბრაუ! — მხიარულად შესძახა ლეიტენანტმა კაბარეს პატრონს, რომელიც სახეგაოფლიანებული შეეგება მას და ხელი გაუწოდა.

— ოოო, გამარჯობა, კომრად სერგო! კარგა ხანია ჩემთან არ შემობრძანებულხართ, რომ ერთი ჭიქა „ბოკბირი“ დაგვლიათ.

— დრო არა მაქვს, ძია აბრაუ! მიუღო ლეიტენანტმა და ერთ-ერთ მაგიდასთან დაიკავა ადგილი. კაბარეს ფან-

ჯრიდან კარგად მოჩანდა „ბერლინ პლაცი“.

— რას მიირთმევთ, კომრად! სერგო, „ბოკბირს“, თუ „ვინბრანტს“, იქნებ ორივეს? — შეეკითხა აბრაუ.

— ორივე იყოს, ძია აბრაუ.

— ირმა! დაუძახა აბრაუმ ახალგაზრდა ქერა ქალიშვილს, — კომრადს და მე მოგვიტანე კონიაკი და ლუდი. ლიმონი არ დაგაფიწყდეს. ქალიშვილმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ორი პატარა ჭიქა კონიაკით შეავსო.

— ვინ არის, ძია აბრაუ, ეს ქალიშვილი? — იკითხა და ისე შეხედა ქალიშვილს ლეიტენანტმა, თითქოს სადღაც ენახოს იგი, — თქვენ ხომ მართო მუშაობდით, ახლა დამხმარე აიყვანეთ? რამდენადაც ვიცი, თქვენ ცოლ-შვილი არა გყავთ.

— კომრად სერგო, ეს დიდი ისტორიაა, — ნალვლიანად თქვა აბრაუმ, — შეიძლება ოდესმე მოგიყვებ.

— თუ უხერხული არ იქნება თქვენთვის, ძია აბრაუ, მომიყვებთ.

— რა გაეწყობა, ვიამბობთ.

— მე ამ ქალიშვილის სახე სადღაც მინახავს და მგონი ის უნდა იყოს! თავისთვის დაბალი ხმით წარმოთქვა ლეიტენანტმა.

კაბარეში მათ გარდა კიდეც რამდენიმე კაცი იყო. ორი მოზუცი კარამბოლს თამაშობდა, სხვები კი ისხდნენ მაგიდასთან, ლუდს სვამდნენ და სიგარეტს აბოლებდნენ. ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელსაც აბრაუმ ირმა უწოდა, მიესალმა ლეიტენანტს და შეკვეთილი მაგიდაზე დადო. მერე ისევ დაკვირვებით შეხედა ლეიტენანტის შავ-შავ კოხტა უღვაშებმა და ფართო თვალებმა მიიქცია მისი ყურადღება.

— ბიტტე კომრად! — წარმოთქვა ირმამ და ფულის მისაღებად სხვა მაგიდასაკენ გაემართა.

ეს იყო თორმეტი წლის წინათ, — ასე დაიწყო ძია აბრაუმ, — მაშინ ფა-

შისტებს ჯერ კიდევ ჰყავდათ ბევრი და ძლიერი დივიზიები.

სამხრეთ გერმანიის Ne-ქალაქში ცხოვრობდა ერთი გერმანელი მოქალაქე, დიურსო, თავის ახალგაზრდა ლამაზი ცოლით და ხუთი წლის გოგონათი. ცხოვრობდა კმაყოფილი თავისი ბედით და ოჯახით. მსოფლიო ცეცხლში იყო გახვეული, მას კი თავისი კაბარესი და შემოსავლის გარდა არაფერი აწუხებდა. ჰქონდა საკუთარი სახლი მდინარე ელბას სანაპიროზე. ცხოვრობდა ისე, რომ სიღარიბეს არ უჩიოდა, მაგრამ არც მდიდარს იყო. მისი ახალგაზრდა მეუღლე კატერინა, რომელზეც ქმარი ოთხი-ხუთი წლით უფროსი იქნებოდა, ბედს არ უჩიოდა. იცვამდა მოდის შესაფერი-სად; თავისუფალი დრო საკმაო ჰქონდა. არც ერთ ახალ სპექტაკლს არ გამოტოვებდა ოპერასა თუ დრამის თეატრში. მაგრამ ქმარს ყოველთვის არ შეეძლო ცოლთან ერთად თეატრში წაღება. მშვენიერი კატერინა დაჯილდოებული იყო კარგი ხმით, ამიტომ ბუნებრივი იყო მისი გატაცება თეატრითა და მუსიკით. საღამოს, თეატრიდან მოსვლის შემდეგ, ოჯახურ წრეში — ქმრისა და პატარა გოგონას წინაშე, კატერინა ასრულებდა არიებს მოსმენილი ოპერიდან, რითაც აღტაცებაში მოდიოდა ბ-ნი დიურსო. კატერინა მეზობლებსა და ნაცნობებს შორის სარგებლობდა კარგი მეუღლის რეპუტაციით. ქმარი აძლევდა მას სრულ თავისუფლებას და ისიც სარგებლობდა ბევრისათვის ამ აკრძალული უფლებით.

დიურსოების მეზობლად ცხოვრობდა ვინმე პოლკოვნიკი ოტო ბეხერი, რომელიც შიშის ზარს სცემდა მთელ ქალაქს თავისი სისასტიკით. ის სწყვეტდა ადგილობრივ ახალწვეულთა მობილიზაციის საკითხს ფაშისტთა შეთხლე-ბული არმიისათვის. ფრონტზე წასვლა კი არავის ხიბლავდა. ეს შრისხანე პოლკოვნიკი იცნობდა დიურსოებს. მრავალჯერ მალულადაც თვალი შეუვლია მშვენიერი კატერინისთვის.

ერთხელ, როდესაც ქმარი ოტო არ იყო, კატერინა თეატრში წავიდა. თავის სახლს ოდნავ გაიკლებული იყო, როდესაც მის მახლობლად გაჩერდა მსუბუქი მანქანა. გაიღო კარი და გადმოვიდა პოლკოვნიკი, რომელმაც მისალმების შემდეგ თავზიანად შესთავაზა მანქანაში ჩაჯდომა ფეხით მიმავალ მეზობელს. მიპატიყება კმაყოფილებით იქნა მიღებული.

— ჩვენ მეზობლები ვართ და ერთმანეთს კი ხეირიანადაც ვერ ვიცნობთ, ოტო ბეხერი, ვთხოვთ მიცნობდეთ — მიმართა ახალგაზრდა პოლკოვნიკმა და ხელი გაუწოდა მშვენიერ ფრასს.

— კატერინა დიურსო, — მიუგო კატერინამ მეზობელს.

— სად მიბრძანდებით, ფრანუ კატერინა, — ცნობისმოყვარეობით შეეკითხა ოტო, როცა მანქანა გავიდა ფართო გზაზე.

— დღეს ოპერის თეატრში პრემიერაა. მიდის „ტრაეიატა“. მინდა ერთხელ კიდევ მოვიხსინო ვერდის მუსიკა. სამწუხაროდ ჩემს მეუღლეს არ ეცალა და მარტო მიხდება წასვლა ოპერაში, — თქვა დარცხვენილად კატერინამ და დაწვებზე ცეცხლის აღმურმა გადაჰკრა.

— საუცხოო შემთხვევაა. სხვათა შორის მეც ოპერაში მივდივარ, — სიხარულით წამოიძახა პოლკოვნიკმა და მომხიბვლელ მეზობელს გადახედა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანა გაჩერდა თეატრთან. თუმცა ყველა ბილეთი გაყიდული იყო, ხალხი სალაროსთან მაინც ბუზივით ირუოდა. ბეხერი და კატერინა გადმოვიდნენ მანქანიდან. თეატრის დირექტორმა, რომელიც აფასებდა პოლკოვნიკთან ნაცნობობას და ცდილობდა კეთილშეგობრულ დამოკიდებულებაში ყოფილიყო ყოვლისშემძლე ბეხერთან, შორიდან გაუღიმა და მოკრძალებულად მიესალმა, რაც დამა-

ხსიათებელია ასეთი როლის შემსრულებელი ადამიანისათვის მაღალი თანამდებობის პირების წინაშე.

პატივმოყვარე პოლკოვნიკს ესია-მოვნა დირექტორის მლიქვნელური მისალმება.

— ფრაუ კატერინა, გაციანთ, ეს ჩემი ძველი მეგობარია — პაულ...

— როკი — შეაშველა სიტყვა „მეგობარს“ მეგობრად წოდებულმა თეატრის დირექტორმა.

— პაულ როკი — თეატრის დირექტორი, ეს კი ჩემი მეზობელია — კატერინა დიურსო. — თქვა ოტო ბენერმა.

გაცნობის ცერემონიის დამთავრების შემდეგ, პაულ როკის მიწვევით, სამივენი დირექტორის ლოკაში შევიდნენ. ასეთი მეგობრული ატმოსფეროთი მოხიბლული კატერინა სიტყვის უთქმელად გაჰყვა თავის პროტეესს, ოტო ბენერი ქალთან ძალიან თავაზიანობდა, როგორც ეტყობოდა, სისუსტეს გრძნობდა მისი მშვენიერი ქერა თმისა და უღრუბლო ცისფერი თვალების წინაშე. კატერინამ, თუმცა უკანასკნელი მოდის მიხედვით იყო ჩაცმული, გუნებაში მაინც გაიფიქრა: „კარგი იქნებოდა, საბალო კაბა ჩამეცვა“. რატომ მოუვიდა მას თავში ასეთი აზრი, რომ გვეითხათ, თვითონაც გაუქვირდებოდა.

კატერინამ საზოგადოებას სულ სხვა აზრით შეაფლო თვალი, აზრით, რომელიც დღემდის თავშიც კი არ მოსვლია. მართალია, ის იცემადა მოხდენილად, მოდის მიხედვით, მაგრამ არ ჰქონდა დახვეწილი გემოვნება, რომელსაც „მაღალ საზოგადოებაში“ „სტილი“ ეწოდება. საბრალო კატერინა განცვიფრებული დარჩა, როდესაც შეამჩნია უფსკრულის არსებობა მასა და ამ „მაღალი სტილის“ საზოგადოებას შორის. მას თავისი ყველაზე საყვარელი კაბა უშნოდ შეყვრილი მოეჩვენა, თმა კი, ბუნებრივად ფერის ქერა თმა, რომელიც ასე უყ-

ვარდა მისი მუშური გემოვნების გჭონე ქნარს, მოეჩვენა მუქად, ხოლო მეუღლებავი ფერმკრთალი ტუჩები, რაც ძველი რომაული მხატვრების კულტს წარმოადგენდა, უსიცოცხლოდ.

ასეთია მოდა: ის თვით სილამაზესაც წარყვინს. ამიტომ ძველი მოქანდაკენი სიყვარულის ღმერთქალს ყოველთვის წარმოსახავდნენ შიშველს. მართალია, აღროდიტა, როგორც გრძელ, ისე მოკლე სამოსში მშვენიერი იქნებოდა, მაგრამ დედამიწაზე რომ ჩამოვიდეს ეს მაღალი ოცნების ნაყოფი და არამოდურ სამოსელში გამოწყობილმა, ღვთაებრივი ღიმილით, გრაციით გაიაროს ხალხით სავსე პროსპექტზე, იტყვიან: პროვინციელი სოფლის ტურფააო, და მეტყურადღებას არ მიაქცევენ, ვიდრე მშვენიერ კურტიზანკას.

მოდა ჰქმნის გემოვნებას და მასავით სწრაფად ცვალებადა.

კატერინამ, რომელსაც ჯერ ოცდასამი წელი არ შესრულებოდა, თავის გარდერობში ამ ნაკლის აღმოჩენის შემდეგ ჩამორჩენილ და უკვე ხანში შესულ დედაკაცად იგრძნო თავი, რამაც ცეცხლის მახვილივით გაუარა მკერდში და გული ჩაუწვა. სათეატრო დურბინდი, რომელიც შესთავაზა მას დირექტორმა, გადაიქცა მიკროსკოპად. უამრავი აღმოჩენები გააკეთა მან „სტილის“ საკაბში, მაგრამ ერთი კი, რაც მთავარია, მზედველობიდან გამოჩნდა. ის აღტაცებაში მოდიოდა ფურტლარით, მარგალიტი კი, რომელიც ამ ნაქუქში იდო, აეწყდებოდა. მოდა ადამიანს აბრმავეებს. კატერინას აზრადაც კი არ მოსვლია, რომ სწორედ ეს მარგალიტი თვითონ იყო. მათი ლოყისაკენ ზარბაზნის ლულეებივით მომართულ დურბინდებს ობიექტს (მოწინააღმდეგის სუსტი მხარეების აღმოჩენის სურვილით) პოლკოვნიკი კი არ წარმოადგენდა, არამედ მისი თანხლებები ქალი, რომელიც შურსა და შიშს იწვევდა ზოგიერთთა გულში, როგორც ახლად მოვლინებული მე-

ტოქე, როგორც ცისკარი ფერმკრთალ ვარსკვლავთა შორის.

თუმცა კატერინა თეატრის ხშირი სტუმარი იყო, მაგრამ მისთვის საზოგადოებას აქამდე ღირსეული ყურადღება არ მიუქცევია. საკმაოსი აღმოჩნდა იგივე კატერინას გამოჩენა საპატიო ლოქაში და ეგრეთწოდებულ ტონის მიმცემ საზოგადოებაში, რომ იმავე გუშინდელ საზოგადოებას აღმოჩენა გაეკეთებინა და სიტყვის უთქმელად საღამოს დედოფლად დაესახა.

დღრბინდით შეიარაღებული, იგი ცნობისმოყვარეობით ათვალღირებდა ლოქებს და ავიწყდებოდა ის, რომ თვითონაც მრავალი წყვილი თვალის მხედველობის არეში იმყოფებოდა. ქალური ცნობისმოყვარეობა ინსტიქტზე ძლიერია. როგორც ტარაბაგანა, ქალი ხშირად მსხვერპლი ხდება თავისი ქალური ცნობისმოყვარეობისა. მონღოლეთში მონადირეებმა კარგად იციან, რომ მფრთხალი ტარაბაგანას უცნაური ცნობისმოყვარეობა მის შიშზე და თავდაცვის ინსტიქტზე ძლიერია. მონადირენი სარგებლობენ სულელი ცხოველის ამ სისუსტით. მის ბუნჯთან ჩასაფრებულნი ტარაბაგანას დაანახებენ რაიმე წითელ ნაქერს, ის კი დაინტერესებული, „ვნახო ეს რა არისო“, თავს გამოჰყოფს საფარიდან და მსხვერპლი ხდება მონადირის ტყუილისა. ასეთ ტრაგიკულ შედეგებამდე მიჰყავს ხანდახან ქალი ქალურ ცნობისმოყვარეობ.ს. კატერინას, რომელიც პოლკოვნიკთან იმყოფებოდა და ისიც უქმროდ, შეეძლო გაკვირვებაში მოეყვანა ზოგიერთი ნაცნობი და ზოროტი ენებისათვის მიეცა საკორიკანო მასალა, მაგრამ მას საჭირო სიფრთხილე არ გამოუჩენია. შეიძლება ის სარგებლობდა იმ უსაზღვრო თავისუფლებით და დამოუკიდებლობით, რომლის შევიწროებასაც არ ცდილობდა მისი ქმარი, თავისუფალი ყოველგვარი ეჭვიანობისაგან. კატერინას აზრადაც არ მოსვლია, რომ ქალის თავისუფლება ჰგავს თოქზე გამობმულ ჩიტს, რომელ-

საც ფრენა შეუძლია მხოლოდ გამაზღვრულ მანძილზე, შემდეგ კი უშეუძლებელია ფეხის ან ფრთის მოტეხვა.

თეატრი საესე იყო ხალხით. მაყურებელთა უმრავლესობას ქალები წარმოადგენდნენ. ეს ცოლები თუ საპატარძლოები, დები თუ დედები ფრონტზე წასული ჯარისკაცებისა და ოფიცრებისა, მდიდრულად გამოწყობილნი რუსეთიდან გამოგზავნილი ნადავლით, ტკებოდნენ იტალიური მუსიკოს შედევრით. ელექტრონის სხივებზე გადაოსნურად ბრწყინავდა მრავალსაუკუნეთა კერპი — ოქრო. ოქრო კისერზე თუ მაჯებზე, ოქრო ყურებზე თუ წელზე, ოქრო თითებზე თუ მკერდზე, ოქრო თმებში გაფანტული თუ კბილებს გადაკრული. ეს იყო ოქრო ევროპისა და რუსეთის სისხლში და ცრემლში აგრეფილი, ფაშისტო სალდაიისა თუ ოფიცრის მიერ, მაროდერისა თუ კაცის მკვლელის, მძარცველისა თუ მოხელის ხელით. ეს იყო ოქრო მიღებული ქმრისა თუ ძმის, მამისა თუ შვილის, შეყვარებულისა თუ ნათესავის სიცოცხლის ფასად.

კატერინას ჰიპნოზირებულ თვალებს ოქროს გამაგივებელი ცეცვა სინათლის სხივებზე მხედველობიდან არ გამოორჩენია. ოქრო ეს კეთილშობილი ლითონი, რომელიც არაკეთილშობილს ხდის ადამიანს, მაგიურად მოქმედებდა მასზე. კატერინას პატარა, მშვენიერი ყურები სირცხვილისაგან გაწითლდა უსაყურეობოდ. ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა მას. წამოავლო ხელი მარაოს, უნდოდა გულის ამჩაუყებელი ფიქრების გაფანტვა, მაგრამ გაახსენდა, მარაო არცთუ ისე მდიდრულია, რომ ღირდეს ასეთი ლოკიდან საზოგადოებას აჩვენოს. საკმარისი იყო ასეთი სამწუხარო მდგომარეობის წარმოდგენა, რომ თვალები, გაზაფხულის ღიმილის მსგავსი ნათელი თვალები, საწვიმრად გაემზადნენ. იღბალზე ოტო ბეხერმა დაიწყო რომელიღაც ანეგდოტის მოყოლა, მისმა ხმამ

კატერინა წონასწორობას დაუბრუნა, დანადგლიანებული დიდრონი თვალები გადაიტანა პოლკოვნიკისაკენ და მის მკერდზე აღმოაჩინა რკინის ჯვარი, ხოლო ოფიცრის მუნდირი მოეჩვენა არაჩვეულებრივად ლამაზი, მისი პატრონი კი წარმოუდგა კეთილშობილ გმირად.

კატერინას ასეთი სწრაფი ცვალებადობა პოლკოვნიკს შეუშინებელი არ დაჩენია, მაგრამ არ იცოდა მან, რისთვის მიეწერა ეს კეთილგანწყობილება; ანეგდოტისთვის, რომელიც მრავალჯერ გაუმეორებია სალონებში, თუ მისი წარმოსადგეი ფიგურისათვის, წოდებისათვის თუ თავის მომხიბვლელობის გამო? ყოველ შემთხვევაში, მან გადაწყვიტა ამ მიღწევის გაღრმავება. მიზნის მისაღწევად, სამხედრო ენაზე რომ ვთქვათ, შეარჩია ტაქტიკა და სტრატეგია მოქმედებისა. დაზვეროს მოწინააღმდეგის ბანაკი, სასიცოცხლო ძალები, გაიგოს მისი ინტერესი, მისწრაფება, სუსტი მხარეები, ეკონომიური რესურსები, თავბრუდაახვიოს საზოგადოებაში ბრწყინვალე მდგომარეობის შექმნით, გული კი ქათინაურით აიღოს. ეს ძველი ნაცადი ხერხი უტყუარად მოქმედებდა მის ხელში და აღწევდა მიზანს, როგორც ვილჰელმ ტელის მშვილდისარი.

ოტო ბეხერი, ეს ევროპის სალონების ძველი, გაცვეთილი კავალერი, მოხიბლული იყო თავისი მშვენიერი, ახალგაზრდა მეზობლით. მისი მრისხანე და შეუბრალებელი გული, რომელიც მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა საზოგადოებაში კეთილშობილობის ნიღაბს ატარებდა, ახლაც ამ სამოსში იყო გახვეული. მისი ყოველი სიტყვა პატიოსანებისა და კაცთმოყვარეობის შესახებ, რომელიც ისე დამაჯერებლად მოქმედებდა ადამიანებზე და ანიარაღებდა მათ ამ მომძინარებულნი ნიანგის წინაშე, ახლაც სირინოზისებურად ეღერდა. მისი მოუსვენარი ნაცრისფერი თვალები ეშმაკივით სულში იმზირებოდა და თავდაზნა უბნევედა მკაცრი მორალის ქალებ-

საც კი. მიქყლეტილი ბუზივით მატარა უღვაშები და გვერდზე გადავარცხნილ თმა „ფიურერის“ შორეულ ანტიკვლს მოგაგონებდათ და მისი პატრონის პოზიორობის მოყვარულობას ამეღავენებდა. თითზე წამოგებული ვერცხლის ბეჭედი — მისი მოწმობა იყო, რომელიც უჩვენებდა, რომ ოტო ბეხერს ორმოცი წელი კიდევ არ შესრულებოდა. პოლკოვნიკმა თავისი ახალგაზრდობის წლები სულ „ჰაიდის“ ყვირილში გაატარა, ახლა კი შავი დემონივით ყველაფერს ეღებოდა და შხამავდა. მას ოქრო კი არ ხიბლავდა იმდენად, რამდენადაც მისი მეშვეობით ჩადენილი ბოროტება. ის იყო იმ ადამიანთა ტიპური წარმომადგენელი, რომელთა იდეალია მხოლოდ საკუთარი სიამოვნება. ოტო ბეხერი, რკინის ჯვარიანი პოლკოვნიკი, რომელსაც მთელი ევროპა ცეცხლითა და მახვილით ჰქონდა შემოვლილი, რომელსაც ასობით ადამიანი გაუფხავნია საღრჩობელაზე, მრავალი ქალწული ძალით გაუუპატიურებია და შემდეგ კი მთვრალი სალდათებისათვის გადაუტია. იჯდა კატერინას გვერდით, ზავერდით და აბრეშუმიტ მორთულ ლოჯაში, როგორც უპატიოსნესი ადამიანი და ტკბილი საუბრით ართობდა, ხან კი ვნებიანი თვალებით ღია დეკორატივი იმზირებოდა. თეატრის დირექტორის მახვილ თვალს მხედველობიდან არ გამოორჩენია ის სულოერი განცდები და გამოვლინებანი, რაც აღლვებდა ამ ორ ადამიანს. ბეხერი, გამოცდილი მელა, ალლოთი მიხვდა, თუ რა თავშეუკავებელი ვნება იმაღებოდა ფრაუ კატერინასადმი პოლკოვნიკის თავაზიან მოპყრობაში. დირექტორს ერთმა აზრმა გაუელეა თავში. მან სიამოვნებით კეფა მოიფხანა, სწორედ ის აღგილი, სადაც ოთხი-ხუთი წლის წინათ თმა უნდა ჰქონოდა. და დირექტორი თავისი აზრის განსახორციელებლად ხელსაყრელ მომენტს ელოდა. ის დარწმუნებული იყო, რომ ასეთი მომენტი მალე დადგებოდა. მაშინ ის, ოჯახის მამა,

პოლკოვნიკის საშუალებით გადაარჩენდა თავის შვილს ტოტალური მობილიზაციისაგან. ამ გეგმის განხორციელების შესაძლებლობით დაიმედებულმა დირექტორმა დატოვა ლოჯა, რომ მოქმედებას შესდგომოდა.

ასეთი იყო ამ სამი პიროვნების ერთმანეთისადმი დაფარული აზრები და დამოკიდებულება სპექტაკლის დაწყებამდე, ვიდრე დირიჟორი ხელში ჯოხს აიღებდა და ოდნავი შურხევით ანიშნებდა ორკესტრს უვერტიურის დაწყებას.

იტალიური მუსიკის ტკბილსმოვანება ჯადოსნური ძალით მოქმედებდა ფრაუ კატერინაზე. მისი წამწამები ცრემლმა დანისლა. ეს იყო მისი მგრძნობელობითი სისუსტე.

პოლკოვნიკი, რომელიც სამარშო მუსიკის მკოდნედ თვლიდა თავს, ყურებდაცობილი უსმენდა ვიოლეტას არიას. მისი ყურადღების ცენტრში იყო სულსხვა, უფრო მშვენიერი ვიოლეტა — კატერინა.

ანტრაქტზე დირექტორი კვლავ ეწვია მათს ლოჯას და მეგობრული გულთბილობით გააბა ლაპარაკი, თან ყოველ მხრივ ესალმებოდა ნაცნობებს. მისი პირველი კითხვა იყო: როგორ მოეწონათ მათ ვიოლეტა? დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, მან თითქოს სხვათა შორის, აღნიშნა: „წარმოიდგინეთ, ეს მსახიობი მე სრულიად მოულოდნელად აღმოვაჩინე“, — და მოჰყვა გრძელ რომანტიკულ ისტორიას, მაგრამ იმის თქმა კი დაავიწყდა, თუ როგორი დიდი როლი შეასრულა იზოლდას, ამ ახალგაზრდა ქალი მსახიობის, მშვენიერმა თვალებმა კარიერის გაკეთებაში დირექტორის წინაშე.

— სცენაზე დღემდე მე ასეთი მშვენიერი ვიოლეტა არ მინახავს, — თქვა კატერინამ და დანისლული თვალები შეიმშრალა. — როგორც ჩანს, თქვენ კეთილშობილი და მაღალი გემოვნების ანტრეპრენიორი ბრძანდებით, რომ ნიჭიერ ახალგაზრდობას გზას აძლევთ.

მადლობის ღირსი ხარტ საზოგადოების მხრივ.

— ო, ჩვენი პაულ რუკ-ფრენკლებისა, — პოლკოვნიკმაც არ დაიშურა და შეაქო გამოსადეგი დირექტორი. — ფრაუ კატერინა, თქვენ თუ თანახმა იქნებით, ვთხოვთ ჩვენს სახელოვან დირექტორს, წარმოგიდგინოს ვიოლეტა — იზოლდა, შემდეგ კი წავიდეთ რესტორანში და აღვნიშნოთ ჩვენი გაცნობის დღე.

— დიდად, დიდად გმადლობთ, მეგობრებო. დღესვე ვაგაცნობთ ჩვენი თეატრის ვარსკვლავს — იზოლდას. საჩქაროდ დათანხმდა დირექტორი იმის შიშით, რომ კატერინამ უარი არ თქვასო.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ოთხივენი გაემართნენ „ვენერას ღიმილში“.

ეს იყო მეორე მკდარი ნაბიჯი კატერინას მიერ მოლაპულ გზაზე გადაღმული.

„ვენერას ღიმილი“ ყველაზე ბრწყინვალე რესტორანი იყო ქალაქში, განთქმული თავისი ღამის ორგებით. აქ იყრიდა თავს ფუქსაგატი საზოგადოება. ის ხალხი, რომლის ცხოვრების მიზანს მხოლოდ გართობა წარმოადგენდა. „ვენერას ღიმილში“ ყველანი ღიმილით შედიოდნენ საღამოვამს, მაგრამ დილით კი ბევრი ცრემლიანი თვალებით და მტკივანი გულით სტოვებდა რესტორანს, განსაკუთრებით კი — ახალგაზრდა შეცდენილი გოგონები. ღრეობა იწყებოდა ყოველთვის ვეებერთელა საერთო დარბაზში, ხოლო მთავრდებოდა „ექსტრაციმერებში“... საზოგადოების თვალისაგან მოშორებით.

დარბაზი ახლაც სავსე იყო ხალხით. გრიალებდა ჯაზი. ოფიციანტების ქაოსური მოძრაობა თვალს ურევდა მაყურებელს. თამბაქოს კვამლი ნაცრისფერი ღრუბელივით ხან მაღლა აიწევედა,

* „ექსტრაციმერები“ — მაღალი კლასის რესტორნებში ცალკე გამოყოფილი, კომფორტაბულურად მოწყობილი კაბინეტები.

ხან კი დაბლა, თალხ სამოსელში ხევე-
და მოჭედივებს.

პოლკოვნიკის კომპანიამ ჯაზთან ახ-
ლოს დაიკავა ადგილი. შალე ცეკვები
დაიწყეს და ოთხივე ჩაება ფერხულში.
პოლკოვნიკი ცეკვების საუცხოო ოსტა-
ტად ითვლებოდა. ახლაც გაიბრწყინა
მისმა ნიჟმა, მით უმეტეს, რომ მისი პარ-
ტნიორი, კატერინა, ცეკვადა ფერხისა-
ვით, თითქმის ფეხს არ ადგამდა პარ-
კეტზე. პოლკოვნიკმა არ დააყოვნა და
მაშინვე შეაქო კატერინას მსუბუქი და
მობდენილი ცეკვა, რითაც მორცხვი
ღიმილი გამოიწვია მშვენიერ პარტ-
ნიორში.

— ბ-ნო პოლკოვნიკო, თქვენ დღეს
ძალიან თავაზიანი ბრძანდებით, ჩემი
მოუქნელობის უადგილო ქებით კიდევ
მარცხენთ, — თქვა კატერინამ საყვე-
დურის კილოთი, რაშიც უფრო სიბა-
რული მოჩანდა.

— მენდეთ, მე თქვენს უანგარო
მსაჯულს, ფრაუ კატერინა, თქვენ ვერ
აფასებთ საკუთარ ნიქს, ტალანტს,
თუმცა ის, გრაციოზულად და უნაყ-
ლოდ ცეკვავთ, როგორც ბერლინის
ერთი საუცხოო ბალერინა სცენაზე.
(პოლკოვნიკს კინაღამ წამოცდა ბალე-
რინას სახელი, მაგრამ ყოველ შემთხვე-
ვისათვის თავი შეიკავა. იქნებ აქაც
ცნობილი იყო მისი ბერლინელ ბალე-
რინასთან კავშირი...). თუ მუსიკალური
სმენა და ხმაც ასეთი გაქვთ, როგორც
თვითონ ბრძანდებით, მაშინ დამერწმუ-
ნეთ, თქვენი ადგილი სცენაზეა, გახდე-
ბით სცენის მშვენიერი დედოფალი.

— ბ-ნო ოტო, თქვენ თითქოს ჩემს
სულში იხედებით — გულახდილად
(რაც მიღებული არ არის „მაღალ სა-
ზოგადოებაში“) თქვა ქებით გათამამე-
ბულმა კატერინამ, — ბავშვობიდანვე
ვოცნებობდი სცენაზე და კიდევ ვემ-
ზადებოდი ერთი იტალიელი მოხუცი
მსახიობის ხელმძღვანელობით, მსახიო-
ბისა, რომელიც მუდამ მარწმუნებდა,
რომ მე სცენისათვის ვარ დაბადებული.

ერთმა გარემოებამ შემიწვია ხელი ამ
ოცნების განხორციელებაში. — კატე-
რინას მხედველობაში ჰქონდა მისი გა-
თხოვება და ოჯახის მოკიდება, აგრე-
თვე ქმარი, რომელსაც, მართალია, უყ-
ვარდა ხელოვნება, მაგრამ ცული წარ-
მოდგენა ჰქონდა მსახიობ ქალებზე.

— მე უადრესად მხურვალე მონაწი-
ლეობას მივიღებ თქვენი სცენური ნი-
ქის ჩამოყალიბებაში და თეატრალური
დებიუტის შექმნაში. დამერწმუნეთ, მე
ართუ მართო ქალაქებისა და სოფლე-
ბის დამორჩილება შემიძლია, არამედ
თეატრის აღებასაც შევძლებ. ამას გე-
უბნებთ თქვენ გერმანიის იმპერიის
პოლკოვნიკი, რომლის სურვილიც ამ
ქალაქში ბრძანებას ნიშნავს.

ასე გააღვიძა პოლკოვნიკმა ხელოვ-
ნების მიძინებული ჭია კატერინას გულ-
ში. კატერინა დარწმუნებული იყო
თავის სცენურ ტალანტში, მხოლოდ
მომენტს ელოდა მის გამოსამდგენე-
ლად.

საგუბარი, რომელსაც დროთა გან-
მავლობაში ემატება წყალი, ერთ მშვე-
ნიერ დღეს გაარღვევს ნაპირს, გადალა-
ხავს ზღუდეს და ნიაღვარივით დაი-
წყებს დენას.

ასე, თეატრით გატაცებულ კატერი-
ნას სულში აივსო თასი უკვდავი ხე-
ლოვნების წყურვილისა.

მცირე შესვენების შემდეგ ორკესტრ-
მა დაუკრა ფოქსტროტი. დირექტორ-
მა ნაზად შემოხვია ხელი იზოლდას და
კვლავ გაიწვია სათამაშოდ. თან ყურში
ჩასურჩაულა: ემდერა კატერინას გასა-
თამამებლად და სათანადო ატმოსფე-
რის შესაქმნელად. იზოლდა, რომელ-
საც რესტორნის მთელი საზოგადოება
იცნობდა, ისე გრძნობდა თავს, რო-
გორც სცენაზე, როგორც თევზი წყალ-
ში. მისი პატარა მარჯნის ტუჩები ღი-
მილით არ იღლებოდნენ, მოქნილი
ტანი ობლად ამოსულ ლერწმივით
ირხეოდა დირექტორის მსუქან ხელო-
ბიდან თხოვნა არ გაამეორებინა,

აღლოთი მიხვდა, თუ როგორი როლი უნდა ეთამაშა მას პოლკოვნიკისა და კატერინას დაახლოების საქმეში.

მისმა მშვენიერმა ხმამ ალტაცებაში მოიყვანა შექვიფებული მთარზიყენი, ტაშისა და „ბრაგოს“ ძახილით შეხვდნენ ლამაზი მსახიობის სიმღერას.

კატერინამ იგრძნო თავი ჩვილმეტი წლის ქალიშვილივით, რომელიც მზად არის ექსტაზის დროს მრავალი სისულელე ჩაიდინოს. მისი გული მკერდიდან ამოხტომას ლაშობდა, სული კი მღეროდა უხმოდ. მან მოწონებისა და მადლობის ნიშნად ნაზად გაუღიმა აზოლდას, რომელიც საღამოს დღეოფალივით ყველგან აფრქვევდა ღიმილს.

გაისმა შტრაუსის ვალსის ჯადოსნური ხმები. ეს იყო უკანასკნელი დამატებითი წვეთი საესე თასში და კატერინას მოზღვავებულმა გრძობამ ნაპირს გადმოხეთქა. ოცნებით მინება თვალები და მის წინ გადაიშალა მომხიბვლელი სურათი: გახაფხულის დილა ტყეში, გაღვიძებულ ფრინველთა საამური ყრიალი, სარკესავით ტბაზე ფოთლებს გამოაბრული, ირიბად დაცემული მზის სხივი და ამ სხივის ქვეშ მოცურავე ფერადი თევზების ქარავანი, ყვავილების სურნელებით გაფლენილი ჰაერი, ხის ქვეშ მდგარი შეყვარებული გოგონა, შორიდან კი ისმის საღამურის ხმა — ეს მწყემსია, — მისი ოცნება, — ცხვრის ფარას რომ მირეკავს დასარწყულებლად ტბაზე.

...და შტრაუსის ვალსის ტაქტმა აიტაცა კატერინას მშვენიერი ხმა.

მიძინებულ ტყეში მზის პირველი სხივი ვერ მოახდენდა იმდენ შთაბეჭდილებას ტყის მკვიდრთა შორის, როგორც კატერინას ხმატკბილმა სიმღერამ ალტაცებაში მოიყვანა მსმენელები და სენსაცია გამოიწვია მთელს დარბაზში. ვერც ერთი მსახიობი ვერ ინატრებდა უკეთეს მიღწევას სცენაზე, როგორც თავისდაუნებურად, მოულო-

დნელად მიადწვია კატერინამ. ეს იყო მშვენიერი მოულოდნელობა.

პოლკოვნიკი, რომელიც მსმენელად ასრულებდა საცეცხვო ფრგურებს, გრძობდა თავს მეფისწულად, რომელმაც ტყეში მძინარე მზეთუნახავი აღმოაჩინა. მას სურდა სააღერსო სიტყვა ეთქვა კატერინასთვის და ვნებიანი კოცნით დაუფლებოდა მას, მაგრამ, ღმერთო ჩემო, კიდევ მოულოდნელობა (პოლკოვნიკის ყოველთვის უღიმიოდა ბედის ვარსკვლავი)... როგორც ქვექუხილის დროს გამოუცდელი მგზავრი შეაფარებს თავს ამაყად მდგარ ასწლოვან მუხას (რომელსაც, პირიქით, უნდა მორიდებოდა), ისე კატერინამ, მხურვალე ოვაციით დამთვრალმა, თავი მიაყრდნო პოლკოვნიკის მაედურ მკერდს და მის ბრწყინვალე მუნდირზე ორი მარგალიტი მიაბნია.

ასეთია ნამდვილი ხელოვნება, ასეთია ქემპარიტი. ხელოვანი სიმღერა არათუ მსმენელს ხიბლავს, არამედ მომღერალსაც ოცნების ზღვაში შეაყურებს უნიზბო და უსაქო ნაყით.

ამბობენ, ბულბული თვალდახუჭული მღერისო. ეს მომხიბვლელი პატარა ჩიტი გალობის დროს თავისთავს არ ეკუთვნის.

იზოლდა, რომელიც განებვიერებული იყო საზოგადოების მიერ, მფარველობის თვლით უცქეროდა კატერინას, ხელს უწყობდა მის პოლკოვნიკთან გათამამებას, მაგრამ ბრწყინვალე ტალანტის მოულოდნელად აღმოჩენის შემდეგ, ეს მისი მოჩვენებითი მფარველობა, აჩრდილივით გაქრა და მეტოქეობაში გადავიდა.

სიმღერით მოჯადოებულმა პოლკოვნიკმა ბროლის თითები დაუკონა თავბრუდახვეულ კატერინას და თვლით ანიშნა კომპანიას — ცალკე ოთახში გავიდეთო.

ბედნიერი კატერინა თვლებში მისჩერებოდა მადლობის ნიშნად ამ ნამცეცა უღვაშებიან, ჯადოსნური საღა-

მის შემქმნელ პოლკოვნიკს და სიტყვის თქმა კი ვერ მოეხერხებინა. არც უხერხულობად მოეჩვენა ცალკე ოთახში გასვლა უცხო მამაკაცთან.

შეისვა მრავალი ჭიქა შამპანური და ლიქიორი. წარმოითქვა მრავალი სადღეგრძელო შეღამაზებული, მაღალფარდოვანი სიტყვებით, როგორც მიღებულია ასეთ შემთხვევაში. კატერინა უღვინოდაც მთვრალი იყო განცდილით და მშვენიერი მომავლის იმედით, მაგრამ პოლკოვნიკის თხოვნით შესმულმა შუშუნა შამპანურმა კიდევ უფრო გაამხიარულა ქალი. შექიფიანებული კავალრის ხელი, სალტესავით წელზე შემორტყმული, სრულიად არ ეხამუშებოდა, ხოლო აგრესიული თითები, რომელიც მის მკერდზე მკერდს ზღვის მიმოქცევისასავით არწევდა, ერთ გამოუთქმელ სიამოვნებას იწვევდა მასში. პოლკოვნიკის მხურვალე სუნთქვამ, რომელიც მან იგრძნო მოულოდნელად მარცხენა ყურის ძირში და მისმა ვენებთანმა კოცნამ, წინააღმდეგობის ძალა წაართვა კატერინას. ის თვალბმინებული მიესვენა დივანზე. მრავალსააღერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა პოლკოვნიკი კატერინას — ამ ბავშვურად გულუბრყვილო ტყის ფერიას, მაგრამ ის გრძნობდა მხოლოდ ვნებიან კოცნას და თავბრუდამხვევი ვალსის მელიოდისას.

დილის ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც კატერინა დაბრუნდა სახლში. ძლივს გააღო თავისი ოთახი და ღონეზიხილი გაუხდელად მიწვა ლოგინზე.

ქმარს მთელი ღამე არ სძინებია. ბანი დიურსო, კატერინას შინ არ ყოფნის დროს ფეხნაღობზე მტირალა გოგონას უვლიდა. ხშირად ფანჯარაში იხედებოდა, მეუღლის მოლოდინში დარდით შეპყრობილი. განთიადისას შეამჩნია, რომ მათ ჭიქართან გაჩერდა მსუბუქი ავტომანქანა. მან შორიდან იცნო კატერინა, რომელიც მთვრალივით მოდიოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ქმარი

შევიდა ცოლის ოთახში და მის განცვიფრებას სახლგარი არ ჰქონდა, როდესაც დაინახა უკვე მძინარე კატერინა. მან საყვარელ არსებას სასთუმალი გაუსწორა, ეამბორა შუბლზე და ღამეშვიდობისა უსურვა, თუმცა დილამ უკვე ფანჯარაზე მოაკაკუნა.

საზარელმა ეჭვმა დაისადგურა ეჭვის არმცოდნე ქმრის გულში. დიურსოს სულში ქარიშხალი ამოვარდა. გრძნობას, რომელსაც სიყვარული ეწოდება, სამოსი შემოახია, რომ შიგ უფრო ღრმად ჩაეხედა.

გავიდა მშფოთვარე, ეჭვიანი კვირა, გარეგნულად კი ჩვეულებრივი, წყნარი. ოჯახში ეჭვს ჯერ კიდევ განხეთქილება და უნდობლობა არ შემოეცანა. ცხოვრება მიმდინარეობდა ისე, როგორც ძველად.

ერთხელ ქმარი ადრე დაბრუნდა სახლში, მაგრამ მეუღლე შინ არ დაუხვდა, პატარა გოგონა კი კატერინამ გასულ ორშაბათს ბერლინში წაიყვანა თავის დედასთან და იქ დატოვა. ასე რომ, მას ახლა სრული თავისუფლება ჰქონდა, როგორც უნდოდა, ისე გაატარებდა დროს.

ქმრის გულში ეჭვის ნაპერწკალი ცეცხლად გარდაიქცა. მაგიდაზე მან შემთხვევით აღმოაჩინა პოლკოვნიკ ოტო ბეხერის გამოგზავნილი წერილი, რომელშიც ის კატერინას ეპატიებოდა ოპერის თეატრში, შემდეგ კი ბალმასკარადზე. წერილის კითხვის დროს უბედურ ქმარს მკერდში რაღაცამ ისარივით გაუარა და ის სიტყვის უთქმელად, მდუღარე ცრემლებით სავსე თვალბებით, სუნთქვაშეკრული ჩაეშვა სავარძელში და მწარედ აქვითინდა შელახული თავმოყვარეობის გამო. ეს, რა მწარეა მამაკაცის ცრემლები! ეპატიოს მასაც მისი სისუსტე.

დიურსო დაუყოვნებლივ გაემართა თეატრში, სადაც წერილის შინაარსის თანახმად უნდა ყოფილიყო. მისი გზასაცდენილი მეუღლე და მართლაც

ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე ლოკაში აღმოაჩინა მან კატერინა, რომელიც პოლკოვნიკთან საუბრით იყო გართული. საბრალო ქმარი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. მის ცოლს ზღვში ეჭირა ვარდი, ალბათ პოლკოვნიკის მიერ მირთმეული, ხანდახან დახრიდა ხოლმე თავს გრაციოზულად და ცალი ჩესტოთი შეიყნოსავდა ვარდის სურნელებას, თან ნაზად იღიმებოდა პოლკოვნიკის, ამ ბრწყინვალე კავალერის, ქათინაურით წაამები. დიურსომ შეამჩნია, თუ როგორ დაიხარა კატერინას ყურთან რკინისჯვრიანი მამაკაცის ტუჩები და რაღაც უთხრა. ვინ იცის, შეიძლება კიდევ აკოცა. ამ გულისმომკვლევი სურათის წარმოდგენაზე, ექვიანი ქმრის თითები კონველსიურად მოიკრუნჩხნენ, თითქოს ვინმეს დახრჩობას აპირებნო და თვალები სისხლით აევსო.

დამთავრდა ოპერა. პოლკოვნიკი და კატერინა გაემართნენ რესტორნისაკენ, სადაც იმართებოდა ბალ-მასკარადი. ექვიანი ქმარიც მათ უკან გაჰყვა.

მუსიკა, ცეკვა, სმა, მხიარული საუბარი, სიმღერა, ფლირტი, აი როგორ იწყება და მთავრდება საღამო „ვენერას ღიმილში“. ყველა ეს საფეხურები გაიარა კატერინამ პოლკოვნიკის ხელმძღვანელობით უბედური ქმრის თვალწინ, განა შესაძლებელია ამაზე მეტი შეურაცხყოფა და შელახვა მამაკაცის ღირსებისა?!

ეს უბედური ქმარი სწორედ მე ვიყავი, მე, აბრაუ დიურსო. ვიჯექი მათ პირდაპირ ცალკე მაგიდასთან ნიღაბ-აფარებული, გულისტკივილით მივჩერებოდი კატერინას, როგორც მაშინ მომეჩვენა, ზედმეტად გაშიშვლებულ მხარ-კისერს. მინდოდა ჩემი მოცახცაზე ხელებით დამეფარა მისი ვარდისფერი მკერდი პოლკოვნიკის ვნებიანი თვალებისაგან, მაგრამ ნაბიჯის გადადგმასაც ვერ ვბედავდი. რა მაკავებდა? შიში მეტოქის წინაშე? არა, ასეთი სისუსტე ჩემთვის უცხო იყო. იქნებ მეშინოდა

კატერინას თვალებისა, რომელიც ზნე-ლითა და სიძულვილით უნდასწავლელიყო ჩემს დანახვაზე? ან ჩქვენი გამაყვნილი, ეგრეთწოდებული „ცივილიზებული“ საზოგადოების „მორალს“ ვუწევდი ანგარიშს? არა, მე მაშინ ასეთი ფიქრებისაგან შორს ვიყავი. არც შურისძიების გრძნობას ავუნთივარ მოლაღატე კატერინასა და გაიძვერა პოლკოვნიკის მიმართ. არ ვუყვარვარ დაე, ვინც უყვარს, მასთან წაივდიეს! გამახსენდა ნაპოვნი ბარათი მაგიდაზე... შეიძლება ის განზრახ იყო დატოვებული, რომ აბეზარ ქმარს ენახა და შესჩვეოდა ასეთ მდგომარეობას. ან შეიძლება გამოუცდელობის შედეგი იყო. ყოველ შემთხვევაში, ნაპოვნი ბარათმა თვლები ამიხილა, სინამდვილე დამანახვა. ფარდა ჩამოვლიჯა მოლაღატეს, რომელიც მეგობრის ნიღაბს ატარებდა. „მილაღატა? დაე, სხვას უერთგულოს. დღეიდან ჩვენს შორის კავშირი გაწყვეტილია სამუდამოდ!“ — ასეთი იყო ჩემი გადაწყვეტილება, ასე ფიქრობდა თავი, მაგრამ გული? გული ცივს მსჯელობას ყოველთვის ხომ არ ემორჩილება, გული თავის ბედნიერებას არავის გაუზიარებს და არც არავის დაუთმობს, თუ მასში სისხლი სჩქეფს... დიხ, დიხ, მე ვკარგავდი ყველაფერს, ამ უბედურების თავიდან აცილება კი არ შემეძლო. მე მაშინ უბედურ პატარა აღამიანად, არარაობად ვგრძნობდი თავს. ამან კი თავისი გამოხატულება ნახა ორ წყვილ ცრემლში, რომელიც დაწვებს მოსწყუდა და კონიაკით სავსე ჭიქაში ჩაეშვა. როგორც სუსტი ხასიათის აღამიანებს სჩვევიათ, შელახული თავმოყვარეობის დამაყუჩებელ წამალს მხოლოდ ღვინოში ვეჭებდი. ისინი, რომლებმაც ჩემს აღამიანურ თავმოყვარეობას ასეთი ლახვარი ჩასცეს, წამოდგნენ და საღდაც გავიდნენ, ჩაუარეს ჩემს მაგიდას მხიარული ბაასით, ისე რომ, ჩემთვის ყურადღებაც არ მოუქცევიათ. მე, როგორც გაღაბულმა ფინიამ, კარებამდე მოჩი-

ლი თვალებით გავაცილე ბედნიერი წყვილი.

მოგვიანებით, უკვე საკმაოდ მთვრალი დავბრუნდი შინ. გავემაართე ჩემი ოთახისაკენ, მაგრამ საშინლად მომინდა გამეგო — დაბრუნდა თუ არა კატერინა. ერთი საღამოს განმავლობაში მრავალნაირი გადაწყვეტილება მივიღე, მაგრამ ისე შევედი მოლაღატე ცოლის ოთახში, რომ საბოლოო, ურყევი გადაწყვეტილება კიდევ არ მქონდა გამოტანილი. მხოლოდ ის კი ვიცოდი, რომ ჩვენი დამოკიდებულება ასეთი გაურკვეველი აღარ შეიძლებოდა დარჩენილიყო. ოჰ, მე მაშინ ეჭვიან ოტელოზე უფრო უბედური ვიყავი: მას ნებისყოფა მაინც მქონდა თუნდაც უსამართლო შურისძიებისა. საცოდაობაა პატარა კაცისათვის დიდი ბოღმა!

გულის კანკალით გავადე ოთახის კარები. კატერინა გახდილი იწვა ჩემს სარეცელზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ ეძინა. ხმაურობაზე თავი წამოსწია, გამიღიმა, შემდეგ კი აღერსიანი საყვეტუჩოთ მითხრა: „აბრაუ, სად იყავი ამდენ ხანს?“ — და ხელი გამომიწოდა, რომ დამეკოცნა მისი შიშველი მკლავები, როგორც ეს ჩვეულებად მქონდა.

ეს მშვენიერი მზარ-კისერი, ეს ნახევრად შიშველი ვარდისფერი მკერდი, რომელიც ჩემში ყოველთვის აღტაცებას იწვევდა თავისი ახალგაზრდული ჯანსაღი ვნებით, ეს ფერმკრთალი ტუჩები, მშვენიერი თვალები, რომელთაც მე თავყანს ვცემდი, როგორც ძველი ეგვიპტელი თავის კერპებს, — ახლა საშიზრად მეჩვენებოდა, როგორც ტალახში ნასროლი მშვენიერი ვარდი; ხოლო მისი ღიმილი — ყალბი, მისი მოქმედება და სიტყვები — ცბიერი.

ქვეყანაზე არაფერი არ არის ისე საცოდავე, საშინელი და სასაცილო, როგორც ეჭვიანი, შეყვარებული ქმარი. არ ვიცი, როგორი გამომეტყველება მიიღო ჩემმა სახემ მაშინ, როდესაც მოვისმინე ალერსიანი სიტყვები იმ არსებისა-

გან, რომელსაც ვალმერთებდი და ახლაც ერთი სიტყვაც არ მეჭერინებოდა. მაგრამ ის კი ცხადად დაწინააღმდეგე, რომ ჩემს შეხედვაზე კატერინას სიტყვა პირში შერჩა უთქმელი.

— შორს ჩემგან, ცბიერო, დედაკაცო! — შევეყვირე ისეთი ხმით, რომ კედლებიც კი შეხანზარდა, — კმარა ჩემი გასულელება, ნუთუ სინდისის ნატამალიც არ დარჩა შენში, ბავშვის დედის გულში? როგორ დაეშვი ასეთ სიმდაბლემდე, ასეთ გარყვნილებამდე?! ნუთუ შენი სხეული, რომელიც წლების განმავლობაში მბარუებდა, ისეთივე გულუხვია სხვებისთვისაც? ნუთუ ის მკერდი, რომელმაც ჩვენი ერთადერთი ბავშვი აღზარდა, სხვისი საჯიჯგნი გახდა! რა ნახე მომხიბვლელი იმ ხნედაცემულ ადამიანში, რომელიც შენს ქმარზე ათითუთმეტი წლით უფროსია? — შეგებახე მე, როდესაც მან ხელები ჩემსკენ გამოიშვირა და თვალები ვედრებით მომაპყრო.

— ო, აბრაუ, აბრაუ, მისმინე — ძლივს, ხმის კანკალით წარმოთქვა მან. მაგრამ მე გაგიყებულმა შევაწყვეტინე უმაღლესე არ მსურს მოვისმინო შენგან თუნდაც ერთი სიტყვა. მე საკუთარ თვალებს უფრო ვენდობი, ვიდრე შენს ცბიერ სიტყვებს და ნიანგის ცრემლებს. იყავ წყეული, — ვჯარი ხელი მკერდში კატერინას. გამოვფარდი ვარეთ და ღამის სიბნელეში მწარედ აეჭკითინდი.

მეორე დღეს მივიღე უწყება, არმიბში მიწვევდნენ. სულიერი წონასწორობის დროს ასეთ ცნობას მწუხარებით შევხვდებოდი, მაგრამ მე ახლა ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, რომ ამ ამბავს დიდად არ ავლულეკებოდა. მხოლოდ ეს გავიფიქრე: „პოლკოვნიკო, ტაქტიკურად მოქმედებ, მშვიდობიანად იცილებ თავიდან მოწინააღმდეგეს, რომ უფრო ხანგრძლივად დატყბე გამარჯვებით“. მასხოვს, მწარედ, ძალიან მწარედ, გავიღიმე. შემდეგ კი მივა-

ფურთხე ეშმაკს და წავედი ბერლინში ბავშვის სანახავად, სინამდვილეში კი გამოსამშვიდობებლად.

— შამა, დედა სად არის? რატომ არ მოვიდა ჩემთან? — ეს იყო მისი პირველი კითხვა. გამოთხოვებისას კატერინას დედას გადაეცემა ვერცხლის ბეჭედი წარწერით, რომ ის ბავშვისათვის წამოეგო თითზე, როდესაც გაიზრდებოდა. მის გაოცებაზე ვუპასუხე, რომ ტოტალური მობილიზაციით არმიაში მიწვევენ-მეთქი.

იმ დღესვე დაებრუნდი. საქმეები მოვაწესრიგე. გავემზადე დილისათვის გასამგზავრებლად. მინდოდა სწრაფად გავცლოდი შეჩვეულ კარ-მიდამოს და ნაცნობ ადამიანებს.

სალამოყამს სულიერად გატეხილი და ნაწამები შევედი საბედისწერო კვინერას ლიმილში*, მაგრამ იქ ვერ ვნახე ისინი ვისი ნახვაც მინდოდა.

კონიაკის საკმაო ღირის მიღების შემდეგ შინ დაებრუნდი. ჩემდაუნებურად მოგხვდი კატერინას ოთახში. რამ მომიყვანა აქ, რას ეეჭებდი ამ ოთახში? ეს ჩემთვისაც გაურკვეველი სულიერი მღგომარეობის შედეგი იყო. განა ადვილია ხელის ერთი ჩაქნევით გაანადგურო სათაყვანო კერა, რომელსაც მთელი სიცოცხლე ბრმად ემსახურებოდი? როგორი სასტიკიც არ უნდა იყოს სინამდვილე, ადამიანი აიტანს. აიტანს, ვინაიდან ყველა ადამიანისათვის ძვირფასია მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა ან მომავლის იმედი ასულდგმულებს. მაგრამ სასტიკი სინამდევლის ატანა შეუძლებელი ხდება, როდესაც არც მომავლის იმედია და ოდესღაც ძვირფას წარსულს თვითონვე უარყოფიხით. მაშინ შეიცნობ შენს არარაობას მთელი სიმწარით, მიხედვით: ის სასმელი, რომელსაც შენ შარბათად სთვლიდი, შხამია და შენი საკუთარი სისუსტის წინაშე ისე გრძნობ თავს, როგორც მანჭია მაიმუნი ელამ სარკეში.

გულმა ვერ აიტანა დანახვა ცარიე-

ლი სარეცელისა, რომელზეც მე, ოდესღაც უბედნიერეს ადამიანად ვთვლიდი თავს... დავემხე ბალიშზე და ბავშვივით აეჭვითინდი... ვტიროდი წარსულს, ვწყველიდი აწმყოს, მომავალი კი უმიზნოდ მეჩვენებოდა. გობელენზე ჩამოკიდებულ სურათიდან კატერინა უღარდელი ღიმილით გადმოსცქეროდა ჩემს ტანჯვას. მე გველნაკებნივით წამოვყარდი და კედლიდან სურათი ჩამოვგლიჯე. მაგრამ მარჯვენა ხელით, რომლითაც სურათის დაქმუქუნას ვაპირებდი, მზრუნველობით გავუსწორე კუთხე; იმის მაგივრად, რომ ცეცხლში ჩამეგლო და გამენადგურებინა, გულში ჩავეკარი. „ჩემო მოღალატე ანგელოზო! ბედნიერი იქნები კი სხვის ხელში? განა ყველა მეზაღე ყვავილის მეგობარია! გზა, რომელზედაც შენ დაადექი, მოღალატეა, კატერინა! თ, ჩემო დაკარგულო საუნჯე, იპოვნი ისეთ მეგობარს, როგორიც მე ვიყავი, ანდა როგორიც მინდოდა ეყოფილიყავი შენთვის?.. ჩემი ყრმობისა და ახალგაზრდობის მეგობარო, გული მტკივა შენი ღალატით, გული მტკივა! მივდივარ, ვტოვებ მშობლიურ მხარეს, ვტოვებ, თუ რაიმე ძვირფასი გამაჩნია, მივდივარ იქ, სადაც მე არაფერი არ დამიყარგავს, არც არავინ შემეგებება სიყვარულით, მივდივარ მისთვის, რომ თვით უბედურმა, სხვასაც ცრემლი და მწუხარება მიეუტანო, სიკვდილი და შიმშილი დაეთესო, მივდივარ იმისათვის, რომ ცეცხლის ალში გაგხვიო სოფლები და ქალაქები, მივდივარ იმისათვის, რომ მგზავნიან, მივდივარ იმიტომ, რომ შენ და შენს პოლკოვნიკს ასე გინდათ, სხვა გამოსავალი არ არის!..“

— აბრაუ! ჩემო აბრაუ! — საშინელმა შეძახილმა მოულოდნელად მოვარდნილ ქარივით გამოიარა ყურებში. ეს იყო კატერინა! სახეზე ადამიანის ფერი არ ედო. თვალები, მისი სუფთა ცისფერი ცრემლით დასეტყვი-

ლი თვალები და მარაოსავით გაშლილი წამწამები არაადამიანურ მწუხარებას და დაბნეულობას გამოხატავდნენ. ის შეუმჩნეველად მოვიდა ღია კარებთან და ჩემს ბოძვას ისმენდა.

— აბრაუ, მისმინე, ნუ დამმარხავ ცოცხლად, დამნაშავე ვარ შენს წინაშე... მაპატიე...

„მაპატიეო?!“ ეს სიტყვა მკაცრი განაჩენით გულშედონებული ბრალდებულის ჩივილივით გაისმა ჩემს ყურებში, გილოტინაზე აყვანილი დამნაშავეის შეწყწარების თხოვნა იყო, ჯალბათის ნაჯახის ქვეშ მყოფი ბოროტმოქმედის ცდა იყო მართლმსაჯულების წინაშე თავის შებრალებისა. „მაპატიე?“ ვინც სცოდავს, ის ითხოვს შეწყალებას, ვინც საკუთარი სინდისის წინაშე სუფთაა, ის პატიებას არავის სთხოვს, მას პატიება არა სჭირდება!

ურცხვო დედაკაცი, მიკვირს, რომ დედა ხარ უდანაშაულო ბავშვისა, — ეს ბუნების არასამართლიანი ჯილდოა შენთვის. მშვიდობით... გიხაროდეს, მივიღივარ შენგან სამუდამოდ!

— არა, აბრაუ, შენ არსად წახვალ, მე მუხლებზე დავეცემი და გამოვითხოვ შენს თავს, მხოლოდ მისმინე, მისმინე, აბრაუ! — და გულშედონებული დავებო ჩემს წინ ეს ამაყი არსება, რომელმაც ბავშვივით გამასულელა სიყვარულით დაბრმავებული. მე მიინც შევერთი ამ სურათის დანახვაზე. საყვარელი არსება შენს ფერხთა ქვეშაა გართხმული, შებრალებას მოელის. უსმინე მას, ვისაც წლების განმავლობაში თავს ევლებოდი, ვისიც მუდამ გჯეროდა, ვისი სურვილის შესრულება შენთვის უდიდეს ბედნიერებას წარმოადგენდა. აპატიე, თუ რაიმე შესცოდა. დააყენე სწორ გზაზე გზააღდენილი, ნუ გააუბედურებ შენს პატარა გოგონას—ირმას, რომელიც სიზმარშიც კი თავის მშვენიერ დედას ხედავს. როგორც ადამიანმა გამოიჩინე დიდსულოვნება და სიყვარული შესთავაზე

მას, ვინც ღალატით მოგაყენა გულზე იარა. ჩამძახოდა კეფეფე მშა... და ჩემს ნებისყოფას ლეზნი... თვალწინ წარმომიდგა მშვენიერი წარსული: ბავშვობა, ჩვენი ერთად თამაში, დავაჯიკება, პირველი კოცნა, ფიცი მარადიული სიყვარულისა, ქორწინება, ჩვენი საერთო წმინდა სარეცელი, ირმას დაბადება, მშობლების სიხარული, მეგობრების მოლოცვა, ყვავილები და მუსიკა... აი, ცხოვრების საფეხურები, რომლებიც ჩვენ ერთად გავიარეთ სრული თანხმობით და სიყვარულით... და მე უკვე მზად ვიყავი თვით დავმხობილიყავ გაწამებულ კატერინას წინაშე და პატიება მეთხოვა ჩემგან მიყენებული მწუხარებისათვის. ...მაგრამ, ოჰ ეს „მაგრამ“... მეორე ბოროტი ხმა ჩამძახოდა: „ლანარო, კმარა უღირსი, მოღალატე მეუღლის მონად ყოფნა. დაჭგმე, დაივიწყე ეს გარყვნილი დედაკაცი, რომელმაც ამდენი მწუხარება მოგაყენა, დაჭგმე შენი შვილი, რომელიც შეიძლება არც კია შენი...“

ეს მეტისმეტი იყო... ამ გესლიანმა სიტყვებმა გული დამიკოდა და მიმალბინა გადაწყვეტილება, ოჯახი სამუდამოდ დამეტოვებინა. ფეხი გადავაბიჯე კატერინას უგონოდ გამოტილ სხეულს და გივივით გავვარდო გარეთ...

ეხ, მწარეა მოსაგონებლად, მაგრამ... მე მეტი არაფერი დამრჩენია ცხოვრებაში, გარდა მოგონებისა.

გავიდა რამდენიმე ხანი და ნაჩქარევი სამხედრო წვრთნის შემდეგ მოვხვდი ერთ-ერთ ჯაგშან-სატანკო დივიზიაში, რომელიც სასწრაფოდ გადაისროლეს ფრონტზე. მრავალი ასეული კილომეტრი გავიარე ცეცხლით და მახვილით დაპყრობილ მიწაზე, დივიზიასთან ერთად. ვნახე დაფერფილი ქალაქები და სოფლები, აფეთქებული ხიდები და რკინიგზები, მრავალი დაბრეტილი და ჩამოხრჩობილი ადამიანი, დედათა განწირული კვნესა, და

გაუპატიურებულ ქალიშვილთა შეშლილი თვალები, ვნახე დამშეულ ბავშვთა და უძლურ მოხუცთა ამაყი სიკვდილი, ათასი საშინელება და უბედურება, პარტიზანთა შურისძიება და დაჭრილთა უკანასკნელი გაბრძოლება!

უხედავდი რა ფაშისტების არაადამიანურ სისასტიკეს, ჩემს გულში თანდათან გაღვივდა უკმაყოფილების გრძნობა. ხშირად ვეკითხებოდი საკუთარ თავს, როგორც სხვა მრავალი გერმანელი ჯარისკაცი: „რისთვის იბრძვი? რომ შენ იარსებო; ნუთუ ამისთვის საჭიროა სხვა გამოასაღმო სიცოცხლეს? ნუთუ ბედნიერება ასე იხადება?“ ყოველი ჯარისკაცი, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ, შეგნებით თუ შეუფგნებლად სჩადიოდა ბოროტებას, ჰგავდა მდინარის წყლის წვეთს, რომელიც გადაადგეს არხში და მისცეს მიმართულება, რომ ომის წისქვილი აებრუნებინა. ცალკეული ადამიანები შეიძლება პროტესტს აცხადებდნენ, იქნებ სურდათ, წინ აღდგომოდნენ სიკვდილის მანქანას, მაგრამ მათ არ შეეძლოთ შეეკავებინათ სიკვდილის და განადგურების გაჭრილ კალაპოტში გადაშვებულ ადამიანების ნიაღვარი. საჭირო იყო სათავეშივე შეეცვალათ მისი მიმართულება.

ასეთი განწყობილება თანდათან უფრო ძლიერდებოდა ფაშისტური არმიის ყოველი ახალი მარცხის შემდეგ.

ჩვენი დივიზიის მეთაური დილუპა მის ადგილზე დანიშნეს გერმანიიდან ახლად ჩამოსული პოლკოვნიკი, ოტო ბეხერი, მე რაღაც გაურკვეველი სიბარული ვიგრძენი, თუმცა კვლავინდებურად უსაზღვროდ მძულდა ჩემი გამაუბედურებელი. გულში მიძინებულმა გრძნობებმა კვლავ იფეთქა ახალი ძალით.

არ ვიცი, ჩემს მეტოქეს ჩემი დამცირება უნდოდა, თუ თავისი დანაშაულის გამოსყიდვას ფიქრობდა. მე დანიშნული ვიქნე მისი მანქანის მძღო-

ლად. ვიგრძენი რა მისი სიბზლოვე, ვინც ჩემი ცხოვრება ასურტრანსკულდი გახადა, ავინთე შურისძიების! გრძნობით, მაგრამ ჩემი განზრახვის განხორციელებას მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ. მე იძულებული ვიყავი მოხერხებულ დრომდე ლაგამი ამომედო საკუთარ გრძნობებისათვის და ნილაბაფარებული დავლოდებოდი მომენტს, როგორც გვიანი მოქმედების ყუშმარა.

მე ბევრჯერ გავხდი მოწმე ოტო ბეხერის არაადამიანური სისასტიკისა მოსახლეობის მიმართ, განსაკუთრებით პარტიზანთა ოჯახებისადმი.

ერთხელ, მახსოვს, პოლკოვნიკის ბრძანებით ახალგაზრდა პარტიზანი ჩამოახრჩვეს. იმავე საღამოს მიპგვარეს მას პარტიზანის მეუღლე. დილით ჩემი მეტოქის სახეზე სიხარულით აღმოვაჩინე ფრჩხილების რამდენიმე სისხლიანი კვალი — უბედური ქალის უკანასკნელი გაბრძოლების ნიშანი, რომლის სტეულიც მეორე დღეს ჩამოჰკიდეს იმავე სახარხობელაზე. მე არასოდეს არ დამავიწყდება იმ წამებულის სახე... იმ დღეს ვიგრძენი პირველად, როგორც ადამიანმა, პოლკოვნიკის ღამის სისხლიანი ორგანების მთელი საშინელება. კატერინაც ხომ მისგან იყო დამცირებული და გაუბედურებული!

— ვინა ხარ შენ, აბრაუ დიურსო? — ვეკითხებოდი საკუთარ თავს, — რის მაქნისი ხარ ამ ქვეყანაზე? ნუთუ შენ ის უტყვი სახედარი ხარ, რომელიც სახრის შემორტყმანე მორჩილებით ფეხს უჩქარებს?! ეხ, უბედურია პატარა ადამიანი, ბოლმა გახარობს და პირი კი წყლით გაქვს სავსე! კაცობა შეგიგინეს, ოჯახი დაგინგრიეს, სულში ჩაგაფურთხეს, შენ კი... სდუმხარ, დიხ, სდუმხარ და აღბათ სამარემდის ასე იქნები მღუმარე და მორჩილი. სამარე კი აქ შორს არ არის... ერთ წუთში შეიძლება გაქრე უკვალოდ, სულიანხორციანად დაიკარგო ამ ტყვი-

ების თქემში! — ასე ვფიქრობდი და სწორედ იმ დღეს მტკიცედ გადაწყვიტე, ბოლო მომელო ამ მხეცისათვის.

ერთხელ, საღამოხანს, რეკონსოციონებიდან ბრუნდებოდა დივიზიის უფროსი, თავისი შტაბის ოფიცრებით. მანქანას, რომელშიც პოლკოვნიკი იჯდა, მე ვმართავდი. მალე მოწინააღმდეგის შემხვედრმა დახვეწვამ აღმოგვაჩინა და, როგორც ჩანს, რაციით გადასცეს ჩვენი ადგილსამყოფელი. პოლკოვნიკმა გადაწყვეტილების მიღებაც ვერ მოასწრო, რომ ბომბდამშენი თავს დაგვესხა და ყუმბარები სეტყვასავით თავს დაგვაყარა. ეს იყო ჯოჯოხეთი, რაღაც დაუჯერებელი საშინელება, რომელიც ენით არ გამოითქმის. არის წუთები, გაგიყვამდე რომ მიიყავს ადამიანი და შშირად ის თვითმკვლევლობას მიმართავს, როგორც ცეცხლის რკალში მოქცეული შხამიანი მორიელი. პანიკა! ეს სიტყვაც ვერ გამოხატავს იმ დაბნეულობას და შიშს, რომელიც გამოცდადეთ მაშინ.

ოფიცერთა უმრავლესობა ჰაერის ტალღამ დაგლოჯა, ნაწილი ცეცხლმა შთანთქა — ფერფლად აქცია, ნაწილი კი ცოცხლად ჩაიძარხა მიწაში. ჩვენი მანქანები ზედიზედ ჰაერში იტყორცნებოდნენ, შემდეგ კი ისევ მიწას უბრუნდებოდნენ სხვა ფორმით. მე და პოლკოვნიკი ოტო ბეხერი, რაღაც სასწაულით გადავრჩით უვნებლად, მანქანასთან აბო გამსკდარ ყუმბარით გაცეცხლებულ ძაბრისებურ ორმოში ჩავიმალეთ. ეს იყო დროებითი საფარი და არასაიმედო. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ყუმბარის პირდაპირი მოხვედრა...

შეწყდა ჰაერიდან დაბომბვა. თავზე მიწაწაყრილნი, ის-ის იყო, წამოვდებით უკეთესი თავშესაფარის მოსაძებნად, რომ დაიწყო გრიგალისებური საარტილერიო ცეცხლი. ჩვენ ქიებივით გავეყარით მიწას და სუნთქვაშეკ-

რულნი ყოველ წუთში ველოდით სიკვდილს, რომელიც სულ უკბლუსეყო, მაგრამ ჩვენს საფარში ჩამოვსხვადავს. მძიმე არტილერიის ჭურვების აფეთქებამ დაგვაყრუა, „კატიუშების“ ცეცხლის ნიაღვარმა დაგვარბა. საარტილერიო მომზადება დამთავრდა ისე მოულოდნელად, როგორც დაიწყო. მოვიკრიბეთ გონება. სიყრუემ და სიბრმავემ ოდნეუ გავვიარა. მაგრამ ახლა ყოველი მხრიდან გავცხსნეს ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ცეცხლი. სროლა თანდათან აბლოვდებოდა. როგორც ჩანდა, მოწინააღმდეგემ ჩვენი რკალში მოქცევა განიზრახა. გასაქცევი გზა გადაჭრილი გქონდა. მე დამშვიდებით ველოდი ტყვედ ჩავარდნას. მაგრამ პოლკოვნიკის მოუსვენარმა წრიალმა და სისტლით ავსებულ თვალების ფოსფორისებურმა ელვამ გამომიყვანა ამ აბათინსაგან. ეს ადამიანი, რომელიც შიშის შარს სცემდა თავის ხელქვეითებს რაღაც ერთი-ორი საათისაწინათ, ახლა დამფრთხალი ციყვივით ზტოდა და გადარჩენას ნატრობდა, მაგრამ ამოდ... მოწინააღმდეგე სულ უფრო გვიახლოვდებოდა. გამოსავალი არ იყო. უნდა ჩაუბარებოდით ტყვედ. პოლკოვნიკის სახეზეც ეს გადაწყვეტილება ამოვიკითხე.

მოულოდნელად მან მიბრძანა, რომ ტანთ გამოხადო, ქლდი კი თვითონ მომხადო და სწრაფად ჩამოიფხატა თავზე. პოლკოვნიკი მახეში გამბული მგელივით მზად იყო საკუთარი ფეხი მოეღრღნა თავის გადასარჩენად. ვანა ის მე დამზოგავდა? ამ თავბრუსდებურმა ბრძანებამ ადამიანური თავმოყვარეობის ცეცხლი გააღვივა ჩემს გულში, იქნებ ეს უბრალოდ თავდაცვის ინსტიქტი იყო?! სად ტყვეობაში ჩავარდნილი ჯარისკაცის პასუხისმგებლობა და სად „ესესელი“ ოფიცერისა?! მე უარი განვაცხადე მისი ბრძანების შესრულებაზე, მაგრამ ჩემსკენ გამოშვებული ბე-

ხერის პისტოლეტი ისე გასაგებად მჭერმეტყველებდა, რომ მე იძულებულად გავხდი, ჯარისკაცის მახარა გამეცვალა პოლკოვნიკისაზე. მან მარცხენა ხელით ჩამოიგლიჯა სამხრეები, შემდეგ კი მახარა გამომართვა და სასწრაფოდ ჩაიკცა. ის ჰგავდა ბუნაგიდან წამოგდებულ ცოფიან მგელს, ცხერის ტყავში გახვეულს, საკუთარი ტყავის გადასარჩენად. გველმა პერანგი გამოიკვალა, მაგრამ მაინც გველად დარჩა, შხამი არ გადაუღვრია. ამ ადამიანის ცხოველურმა შიშმა სიკედილის წინაშე ჩემი მწარე ღმილი გამოიწვია, კიდევ უფრო გააძლიერა ჩემი სიძულვილის გრძნობა მისდამი. მომაგონდა ოჯახი, ცოლის ღალატი, მომაგონდა, თუ ვისი მეშვეობით მოგხვდი მე ფრონტზე... თვალები ამენთო. ახლა კი შემძლო მკაცრი შურისძიება. ოტო ბეხერმა თითქოს ჩემს თვალეებში ამოიკითხა ჩემივე ფიქრი. ის მიხვდა, რომ მე არ დავხოვავდი მას. მიხვდა, რომ მისი მოწინააღმდეგის ხელში ჩაეპარდნა და ისიც ჩემი თანხლებით მის დაღუპვას მოასწავებდა... და ყველაფერი, თავისთავად მოხდა. მე ხელი წავიღე ფინური დანისკაენ, მაგრამ უცებ მარჯვენა ხელში საშინელი ტკივილი ეგრძენი. ცხელმა ტყვიამ კუნთებში გამიარა. აქაც მაჯობა პოლკოვნიკმა! უსაზღვრო გააფთრებამ მომიცვა. ფენის ძლიერი დარტყმით ბეხერს იარაღი ხელიდან გავაგდებინე. ვეცით ერთმანეთს. მე ძალამ მიღალატა, სისხლისაგან ვიცლებოდი, მწვავე ტკივილებსაგან თვალთ დამიბნელდა. რკინის სალტესავით შემომკვდო პოლკოვნიკის თითები ყელზე, ის ჩემს დახრჩობას ლამობდა, სული მეხუთებოდა. ჭიდილის დროს მარცხენა ხელში მომხვდა ცივი ლითონი. ეს იყო ფინური დანა, რომელიც ქარქაშიდან ამომეპარდნოდა. მე მოფიქრებულად არ მქონდა, თუ როგორ მემოქმედა დანით, როდესაც მარცხენა ხელმა უკვე გააყეთა შესა-

ფერისი მოძრაობა და... პოლკოვნიკის საშინელმა ღრიალმა შემავრთდა სწრაფად წამოვდექი. ბეხერმა — *სიკვდილი* მინახავს, მაგრამ ასეთი გულშემზარავი არასოდეს. ის წყლიდან ამოყვანილი თევზივით პირს აღებდა ჰაერის ჩასასუნთქავად. ბოროტი ადამიანი ბოროტად ასრულებს თავის სიცოცხლეს. ასე იყო ახლაც. მომაკვდავი ბეხერი გულადმა გადმობრუნდა, მომაშტერდა და სისხლთან ერთად ამოანთხია სიტყვები:

— ტყუილ-უბრალოდ შეისვარე ხელი ჩემი სისხლით. კატერიანას შენთვის არ უღალატია მე უდანაშაულო ვარ შენს წინაშე. გადამარჩინე სიკედილს და ყველაფერს გააძტიებ. — შემდეგ ერთხელ კიდევ ამოიკვცნესა და ჩახლეჩილი ხმით წაიდუღუნა, — როგორ უღირსად გვედები ერთი სულელური შემთხვევის გამო, წყეულები!

პოლკოვნიკის მოულოდნელი აღიარებით გაგიჟებულმა დაევიწყე ყოველგვარი სიფრთხილე და მუხლის თავზე დავიჩოქე მის თავთან. ცახცახით ჩავავლე ჩელი სულთმობრძავს და შევანჯღრე: — სტევი! გაიმეორე კიდევ, რომ კატერიანას ჩემთვის არ უღალატია. სტევი! ამოიღე ხმა! — მაგრამ პოლკოვნიკის ნახევრადგაციებულ, სისხლისაგან დაცლილ სხეულს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. პოლკოვნიკი ოტო ბეხერი, რომელიც ერთი საათის წინათ უსაზღვროდ მბუღდა, ახლა რატომღაც შემებრალა... თუმცა, როგორც ბოროტმოქმედი, იგი უთუოდ ღირსი იყო ამ სასჯელისა... იქნებ მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა იმოქმედა ჩემზე?.. ერთი წუთით წარმოვიდგინე, რომ მე კაცისმკვლეელი ვარ და არა შურისმაძიებელი. მაგრამ ეს იყო წუთით... მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ ოტო ბეხერი ცრუობდა, ცრუობდა იმის იმედით, რომ შევიბრალებდი და სასწრაფო დახმარებას აღმოვუჩენდი.

საბჭოთა მშვერავებს იმ დღესვე ნუ-
პაყოფლობით ჩაებარდი ტყვედ.

ომის დამთავრების შემდეგ დაებრუნ-
დი ჩემს მშობლიურ ქალაქში და და-
ვიწყე მუშაობა იქ, სადაც დღემდე
ვმუშაობ. როგორც კატერინას წერი-
ლიდან გავიგე, ჩემი ყოფილი მეუღლე
და ირმა ბერლინიში ცხოვრობდნენ. მე
მათთვის არ მიცნობებოდა ჩემი დაბრუ-
ნება. ვცხოვრობდი მარტო რამდენიმე
წელიწადს. კატერინა, რომელმაც ჩემს
სახელზე გამოგზავნილი წერილი, ჩემი
ფრონტზე ყოფნის დროს, უკანვე მიი-
ღო გაუხსნელად, მეტს აღარ ცდილა
დამკავშირებოდა.

რამდენიმე დღის წინათ ბერლინი-
დან მესტუმრა არაჩვეულებრივი სტუ-
მარი — ირმა, ჩემი ქალიშვილი, გაზრ-
დილი, გამშვენიერებული, უკეთესი,
ვიდრე მისი დედა. მისი ნაზი სახის ნაკვ-
თებში ჩემი მსგავსების კვალიც აღმო-
ვაჩინე. უბედური მამის სიხარულს
საზღვარი არ ჰქონდა. მშობლიური
გრძნობა, რომელიც ჩემში მიძინებუ-
ლი და შეღახული იყო მწარე ეჭვები-
საგან, უფრო მეტი სინაზით აჩქეფდა
გულში. ჩემი ნაჩუქარი ვერცხლის ბე-
ჭედი წარწერით მის ბროლის თითზე
როდესაც შევნიშნე, სიხარულის ცრემ-
ლებით ამევსო თვალები. ქალიშვილის
ხელით მივიღე დამგობილი ცოლისა-
გან წერილი. ვანა მოიბოვება ისეთი
ადამიანი დედამიწაზე, რომელიც ასეთ
შემთხვევაში წერილს არ გახსნიდა!

მე ვიცანი ის წერილი, წერილი, ათი
წლის წინათ ჩემს მიერ გაუხსნელად
ფრონტიდან დაბრუნებული. კონვერ-
ტი ოდნავ შეყვითლემული იყო, მაგ-
რამ საფოსტო ბეჭედი და რიცხვი კარ-
გად აჩნდა. წუთით თავბრუ დამეჭა,
იმდენად მოულოდნელი იყო ეს ჩემთ-
ვის. ნაცნობმა ასობემა კონვერტზე
თამაში დაიწყეს, ბოლოს ჯარისკაცე-
ბივით ჩამწყრივდნენ და აზრი გამოხა-
ტეს: „აბრაუ დიურსოს — კატერინა დი-
ურსოსაგან“. და მე თვალწინ წარმომი-

დგა ის მშვენიერი ხელები, რომელთაც
ეს ბარათი ათი წლის წინათ დაწერეს.
მე ამ წერილს მუდამ თან ვატარებ. აი
ეს წერილიც...

ბიძია აბრაუმ ფრთხილად ამოიღო
უბიდან სათუთად გადაკეცილი კონვე-
რტი, გადაშალა გატრეცილი ფურც-
ლები, თვალი შეავლო ლიტენანტ გუ-
რულს და აღელვებით დაიწყო კითხვა:

„აბრაუ! პირველყოვლისა, გთხოვ,
წერილი ბოლომდის წაიკითხო, შემდეგ
კი გამოიტანო განაჩენი შენ მიერ
დაგმობილი და გაწამებული უბე-
დური ცოლის მიმართ. აბრაუ! გაუ-
დრო და შენი გული კვლავ მომიხმობს
მე, შენი მხერა მოწყურებული იქნება
მიხილოს მე, მაგრამ შენი თვალები
ვერასოდეს მნახავენ, ვერც შენი ძა-
ხილი ჩასწვდება ჩემს სმენას. მე მხო-
ლოდ დამრჩენია ის, რომ ჩვენი ირმა
შევავედრო ღმერთს, ვიმედოვნებ, შენ
ამას ობლობას არ აგრძნობინებ. ის ზომ
ჩვენი სიყრმის ყვაილია. ნუ იქნება
შენი გული იმის მიმართ ცივი. აბა რა
უნდა მოგწერო ჩემ შესახებ, ოდესღაც
შენი სულიერი მეგობრის შესახებ,
რომლის ცხოვრების წიგნიც დაიხურა
უკვე. ვინ არის დამნაშავე ჩემი ბედის
ასე ტრაგიკულად დასრულებაში? მე
ახლაც ვერ მოვსულვარ აზრზე, თუ
როგორ მოხდა ეს ყოველივე. მხოლოდ
ორჯერ შევხვდი იმ ადამიანს, რომელ-
შიც გაგცალე შენ წუთიერი თავდავი-
წყების დროს, მაგრამ გაგცალე არა იმი-
ტომ, რომ მისმა პიროვნებამ მომიხილა
და თავბრუ დამახვია, არა, ეს მოხდა
უნებურად. მე ახლაც არ მახსოვს, თუ
როგორ მოვხვდი, ღმერთო ჩემო,
მის სარეცელზე, სადაც ფულით მოყი-
დული ქუჩის ქალივით, წინააღმდეგო-
ბის გაუწევლად დავნებდი. ამ საზიზ-
ღარმა ადამიანმა მდაბალ ხერხს მიმარ-
ფა ქალის გაუპატიურებისათვის, რო-
მელმაც მე ძალა წამართვა პატიოსნე-
ბის დასაცავად. ვანა შემეძლო წარმო-
მედგინა, რომ მალაღი წოდების ოფი-

ცერთა შორის მოპოვებიან ისეთი არამზადები, რომლებიც სინდისის ქენჯნის გარეშე ჩაიდენდნენ ბუნებისა და საზოგადოების მიერ დაგმობილ დანაშაულებრივ მოქმედებას, ცოდვას, საზიზღრობას? ო, შენ, აბრაუ, იმის მაგივრად, რომ შური გეძია შენი ოჯახის გაუპატიურებისათვის, ყურიც კი არ უგდე ცოლის მუდარას — მოგესმინა მისთვის. განრისხდი და მიატოვე, დაჰკმე სამუდამოდ. არც შენი საქციელი იყო სამართლიანი დამცირებული ცოლის მიმართ. არ ვიცი, მე რამდენხანს ვიქნებოდი კიდევ უგონოდ შენი წასვლის შემდეგ, რომ ვილაცის ძლიერ ხელებს არ ავეტაცე და სარეცელზე არ დავესვენებინე. თვალი რომ გვაჯილღე, ჩემს სასთუმალთან იჯდა ის, ვინც ამდენი უბედურება მოგვაყენა. პირველად საკუთარ თვალებს არ დავუჯერე, მაგრამ ბოლოს დაერწმუნდი, რომ ეს მწარე სინამდვილე იყო და არა მოჩვენება. ის მოვიდა, რომ გამარჯვებულის ნებვირობით დამტკბარიყო. როგორც ჩანს, მან კარგად იცოდა — როდის მიემგზავრებოდი შენ, და მოვიდა თითქოს ჩემს დასამშვიდებლად. არ ვიცი, ჩემმა მკვდრულმა, შეძრწუნებულმა სახემ, რომელშიც მთელი ჩემი უბედურება იხატებოდა, თუ უსახლგრო სიძულელიის გამომეტყველებამ აიძულა იგი გამელოდა უსიტყვოდ. მე მხოლოდ მოვასწარი შემეფურთხებინა სახეში იმ ვერაგი ადამიანისათვის. ამის შემდეგ იგი არასოდეს აღარ მინახავს.

— აბრაუ, აბრაუ, მე ღირსი ვარ განკიცხვისა ჩემი გულწრფელი ნდობისათვის ადამიანისადმი, მაგრამ დანაშაუვ არა ვარ ჩვენი წმინდა ფიცის გატეხის გამო. მე ჩემი წმინდა მოვალეობისათვის შეგნებულად არასოდეს არ მალატია. მთელ ქვეყანაზე შენ იყავი და შენა ხარ ერთადერთი ადამიანი, რომელიც მე მიყვარდა და მიყვარს, ისე, როგორც არავინ.

ამ სიტყვებს არ გწერ მისთვის,

რომ შენი გული მოვიგო ცბიერებით. არა, აბრაუ! მე მხოლოდ მინდა, რომ შენ გაიგო ჩემი გულის ტკივილი, იწამო, რომ შენ გყავდა პატიოსანი მეუღლე, უყვარდი მას, რომ მან გაჩუქა შენ ბავშვი, რომელსაც შენ წინაშე არ მიუძღვის დანაშაული, მაგრამ იგი დარჩება ობლად ამ ქვეყანაზე, თუ შენ მშობლიური მკერდის ქვეშ არ მისცემ მას ბინას. მივდივარ რა ამ ქვეყნიდან ბოროტი ადამიანისაგან შერცხვენილი, ხოლო დაგმობილი და უარყოფილი საყვარელი მეუღლისაგან, გთხოვ მხოლოდ ჩვენი ბავშვის — ირმას შესახებ, რომელიც დედასთან რჩება, არ დაივიწყო, გაუწიე მას მამობაც და დედობაც, ობლობა არ აგრძნობინო. არ მოგონო ცუდად მარად შენი მალმერთებელი კატერინა“.

აი, წერილი, რომელიც მე ათი წლის წინათ წაუკითხავად დაეუბრუნე ფრონტიდან უბედურ კატერინას. ის უკვე ცოცხალი აღარ არის, კომრად სერგო!.. ჩემ მიერ დროებით დაკარგული ირმა, რომელიც უკვე დაქალიშვილებულა ამ ათი წლის განმავლობაში, ვიპოვე, როგორც შვილი და კიდევ უფრო მეტად შევიყვარე. ვიდრე ეს მქონდა წარმოდგენილი. მას ჩემს გარდა არავინ ჰყავდა გულშემატკივარი. დიდდა ორი თვის წინათ გარდაიცვალა, მან სიკვდილის წინ თითზე წამოაგო თავის ერთადერთ შვილიშვილს ჩემი ნაჩუქარი ბეჭედი, მისცა ეს წერილი, რომელიც ათი წლის განმავლობაში მქონდა სათუთად შენახული, ვდასცა ანდერძად, რომ მამასთან დაბრუნებულიყო...

როდესაც ირმა დავინახე, ჩემს მწუხარებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ხან ეტიროდი, ირმასთან ერთად, კატერინას სიკვდილის გამო, ხან კი თვალებს სიხარულის ცრემლები მისველებდა ჩემი ერთადერთი ნუგეშის — ირმას დაბრუნების გამო.

მცირე ხანში მე და ირმამ ნამდვილი მშობლიური გრძნობით შევიყვარეთ

ერთმანეთი, თავისუფალ დროს ერთად დაესეირნობდით, ხან კატერინას საფლავზე ყვავილებს მიეიტანდით და გულს მოვიოხებდით ტირილით, ხან ვთევზაობდით ელბაზე, რომლის სანაპიროზეც იდგა ჩვენი სახლი. ასე მიდიოდა დღეები. მაგრამ ამ წყნარ ბედნიერებას მალე უბედურება მოჰყვა. ჩვენი პატარა სახლი, რომელიც იდგა ელბის სანაპიროზე, წლევანდელი წყალდიდობის დროს წყალმა დაფარა. ჩვენი სახლიც, როგორც სხვა მრავალი, წყალქვეშ მოექცა, ხოლო ირმა, რომელმაც ცურვა არ იცოდა ბერიიანად, აღიღებულმა მდინარემ კინაღამ დაახრჩო, ერთმა გარემოებამ გადაარჩინა იგი.

რამდენიმე წლის წინათ მე ვიყავი მოწმე, თუ რა განუსაზღვრელი უბედურება მიაყენეს ფაშისტთა არმიებმა მშვიდობიან საბჭოთა ხალხს. ვიყავი ტყვედ საბჭოეთში სამი წლის განმავლობაში, იქ კიდევ უფრო ცხადად შევიგრძენი ფაშისტების მიერ ჩადენილი დანაშაული კაცობრიობის წინაშე, მაგრამ შურისძიება და დამცირება ჩვენს ხალხს არ განუცდია, როგორც ჩვენ მოველოდით ამ მამაცი, სამართლიანი, თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხისაგან. პირიქით, საბჭოთა კავშირმა პირველმა დიდსულოვნობით და მეგობრულად გამოუწოდა ხელი დამარცხებულ გერმანულ ხალხს — თავისუფალი ახალი ცხოვრების შექმნისათვის. და აი, მე ერთხელ კიდევ გავხდები მოწმე ამ სახელოვანი თავისუფალი ქვეყნის აღამიანთა კეთილშობილებისა.

ჩემი ერთადერთი ქალიშვილი ირმა, რომელიც სახლის ნანგრევებთან ერთად წყალმა წაიღო, განწირვის ხმით ითხოვდა შველას, მაგრამ ამ საერთო უბედურების დროს მშველელი არ ჩანდა, ყველას თავისი დარდი ჰქონდა.

მოულოდნელად სანაპიროზე გაჩერ-

და მანქანა, ეს იყო საბჭოთა კავშირის საოკუპაციო ჯარების ნაწილი, რომელიც ნებაყოფლობით გამოეცადა წყალდიდობით დაზარალებული გერმანელი მოსახლეობის დასახმარებლად. ამ ჯგუფს გამოეყო ერთი ჯარისკაცი და ჩემი ირმას გადასარჩენად გადაეშვა მოდიდებულ მდინარეში. მან სწრაფად ჩააგლო ხელი ირმას გამოწვდილ პატარა უღონო ხელს, მაგრამ ამ დროს ტალღამ ჩამოატარა ძირფესვიანად მოთხრილი ხე, ირმას დაეჯახა და გონებაწართმეული გააქანა მდინარის ფსკერისაკენ. ირმას შეტად ველარ იხილავდა უბედური მამის თვალები, რომ ამ მამაც ჯარისკაცს არ ელონა და უეჭველ დახრჩობას არ გადაერჩინა იგი.

ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მეორე დღეს ადგილობრივ გაზეთებში ენახე სურათი: მდინარის ნაპირას ტანგახდილი, თმა გათეთრებული უცნობი საბჭოთა არმიელი, რომელსაც პატარა ბავშვივით ხელში ეჭირა ღონემიხდილი ქალიშვილი. ეს იყო ჩემი ირმა.

ასე დაამთავრა თხრობა აბრაჟ დიურსომ და ლუდით საცხე ჭიქა სულმოუთქმელად გამოსცალა.

ლეიტენანტი გურული, რომელიც დიდი ყურადღებით უსმენდა დიურსოს, შეეკითხა:

— ბექედი, თქვენი ნაჩუქარი ვერცხლის ბექედი?

— ბექედი, როგორც ჩანს, დაიკარგა იმ შემთხვევის დროს.

— ბექედს რა წარწერა ჰქონდა გაკეთებული?

— D. S. 15. X. 1938.

— ეს ხომ არ არის ის დაკარგული ბექედი, რომელიც თქვენ ოდესღაც აჩუქეთ პატარა ირმა დიურსოს? — ლეიტენანტმა თითიდან წაიძრო და მნაწოდა კაბარეს პატრონს პატარა ვერცხლის ბექედი, რომელსაც მართლა რაღაც წარწერა ჰქონდა.

— ღმერთო ჩემო, — შეჰყვირა სიხარულით თუ განცვიფრებით აბრაუ დიურსომ, — ეს სწორედ ჩემი ნაჩუქარი ბეჭედი, სწორედ ის ბეჭედი, რომელიც ირმამ დაჰკარგა წყალდიდობის დროს. კომრად სერგო, — მიმართა მან ლეიტენანტს, — გთხოვთ მიამბოთ, თუ როგორ მოხვდა ეს ბეჭედი თქვენს ხელში.

— როდესაც თქვენთვის უცნობმა ქალარა ჯარისკაცმა გადასარჩენად ხელი ჩაავლო ირმას ხელს, თითიდან წასძვრა ეს ბეჭედი და ამ ქალარას შერჩა ხელში. მან კი მეორე დღეს გადმომცა მე ეს ბეჭედი, რათა მომეძებნა პატრონი და დამებრუნებინა მისთვის, მაგრამ დღემდე მე ეს ვერ მოვახერხე. დიდად მოხარული ვარ, რომ დღეს შესაძლებლობა მიძლევა ჩემი მებრძოლის თხოვნა შევასრულო.

— ღმერთო ჩემო, იმეორებდა ხშირ-ხშირად სიხარულისაგან დაბნეული ბედნიერი მამა. — ღმერთო ჩემო! რა დიდსულოვნებაა! ირმა, ირმა! — დაუძახა აბრაუმ ქალიშვილს, — მოდი, შეილო, შენი გადამრჩენელის კვალი ვიბოვე.

მამის ძახილზე ირმა სწრაფად მივიდა მათთან, მაგრამ მოხდენილი ვაჟაკის წინაშე დარცხვენილმა მადლობის თქმაც კი ვერ მოახერხა.

— აი შეილო, მიიღე შენი დაკარგული ვერცხლის ბეჭედი იმ უცნობი ქალარა ჯარისკაცისაგან, რომელმაც შენ გადაგარჩინა და შემდეგ კი გაჭრა უკვალოდ.

ირმამ დახედა ნაცნობ ბეჭედს, წამოიგო თითზე და წყნარად თქვა: „დანკენ შეენ“¹, მოიხსნა მკერდიდან პატარა

რა ემბლემა, რომელსაც ჰქონდა წარწერა: „მეგობრობა“, მიაწოდა ლეიტენანტს და უთხრა:

— გადაეცი თუ უცნობ ჯარისკაცს ეს ემბლემა ნიშნად მეგობრობისა, რომელმაც მე სიცოცხლე და მამის ნაჩუქარი ბეჭედი შემინარჩუნა.

ლეიტენანტი გურული შეპირდა დავალების შესრულებას.

— კომრად სერგო, რა ხნისა იქნება ის ქალარა ჯარისკაცი, რომელმაც ჩემი ირმა გადაარჩინა?

სერგო გურულს სახე მოედრებდა. დანაღვლიანებული ბავლებით დააქერდა ირმას ნაჩუქარ პატარა ლითონს, რომელზედაც მეგობრობის სიმბოლო იყო გამოხატული და ხმადამლა თქვა:

— ის სრულიად ახალგაზრდაა. — იგი გაქალარავდა ათი წლის წინათ, როდესაც უკრაინის ერთ-ერთ პატარა ოკუპირებულ ქალაქში გერმანელმა ფაშისტებმა ბავშვის თვალწინ დახერხეტეს მთელი ოჯახი. — ახალგაზრდა ლეიტენანტი დადუმდა, რათა დაეფარა მღელვარება და არ ეგრძობინებინა გულკეთილი მამისა და ქალიშვილისათვის რამდენად მძიმე იყო მისთვის ეს მწარე მოგონება. მას თვალწინ წარმოუდგა ძვირფასი და მშობლიური სახე გვირუკად დაღუპული მამისა, რომელიც ომამდე ასე ბედნიერად ცხოვრობდა უკრაინაში წლების მანძილზე და როგორ მხეცურად გამოასალმეს სიცოცხლეს იგი ფაშისტმა ოკუპანტებმა. თვალწინ წარმოუდგა დედა, პატარა და-ძმა, მათი წამებული სახეები... იგი ალბათ კიდევ კარგახანს იქნებოდა ასე მწარე ფიქრებში გარინდებული, რომ დიურსოს უჩვეულოდ აღელვებულ ხმას არ გამოერკვია.

¹ დიდი მადლობა.

— რა კეთილშობილია საბჭოთა ადამიანი! — ნაღვლიანად და თითქოს დარცხვენით წარმოთქვა ფაშისტური გერმანიის ოდესლაც ყოფილმა ჯარისკაცმა.

ირმას თვალები ცრემლებით აევსო, ლეიტენანტს ხელი გაუწოდა და თხოვნით მიმართა:

— მე მინდა ის ჭაღარა, მშვენიერი სულის ადამიანი ვნახო.

ახალგაზრდა ლეიტენანტმა ნაღვლიანად გაუღიმა ქალიშვილს და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, შემდეგ

გაიხედა ფანჯარაში — „ბერლენ პლაცზე“ ლარისა შეამჩნია.

გურული წამოდგა, ხელი რწმუნებულად წაიღო შექალაქებული თმისაკენ, საფეთქლებთან ქუდის ქვემოთ ვერცხლისფრად რომ ბზინავდა და, თითქოს მის დაფარვას ცდილობსო, ქუდმოუხდელად თითებით ფარულად აივარცხნა ჩამოცვენილი თმის ღერები, შემდეგ თავაზიანად გამოემშვიდობა მამაშვილს; დაჰპირდა რომ ხშირად შემოივლიდა მათთან და აჩქარებით გაეშურა იქითკენ, სადაც მას ლარისა მოუთმენლად ელოდებოდა.

კოლექტიური შრომის გეიმი



შორიდანვე თვალს იტაცებს მაღალი, მონუმენტური, ტრიუმფალური კარნებზე, რომელსაც თავს ადგას ტრაქტორისტისა და კოლმეურნე ქალის სკულპტურული კომპოზიცია მაღლა ამართული პურის ძნით ხელში. კარიბჭეს ორივე მხარეს ფრიალებს თექვსმეტი დროშა. ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მშრომელები მიემართებიან კარიბჭისკენ და თვითველი მათგანი ამ დროშებს შორის სიამაყის გრძნობით ეჭმბს თავისი რესპუბლიკის დროშას.

ჩემი სამშობლოს დროშა, რომელიც აღმართულია კარიბჭის მარჯვენა ფრთაზე, რიგით მესამეა. ამომავალი მზის სხივები იშლება თავისუფლების ფერის ქსოვილზე...

გაივლი მაღალთალებიან კარიბჭეს და თვალწინ იშლება ფართო მოასფალტებული ხეივანი, რომლის ორივე მხარეს, წიწვიან ხეთა შორის, ჩხრიალებენ ლამაზი შადრევნები...

ხეივანი გადის საკოლმეურნეო მოედანზე. აქ, მთავარი პავილიონის წინ, სცემს უხარმაზარი შადრევანი — „ხალხთა მეგობრობა“. წყლით სავსე აუზში დაკურავენ ოქროს თევზები და გედები. შუაგულში, მაღალ კვარცხლბეკზე, აღმართულია მზესუმზირას გვირგვინებით შემკული და შეღამაზებული ოქროს ძნა. ერთ დიდ წრედ დგანან ტანწერწეტა ქალიშვილების დაოქვრილი ფიგურები. ერთს ლეჩაქი და ჩიხტი-კოპი ახურავს მხრებამდე დაშვებული კოხტად გამოყვანილი კავებით, ნაქარგი გულისპირით და გრძელი სარტყელით კოჭებამდე დაშვებულ კაბაზე. მას ცალ

ხელში ყურძნის აკიდო უჭირავს, მეორეში ნარინჯის პატარა შტო, ზედ რამდენიმე ნაყოფით. ზოგს ბამბის ტოტი უჭირავს ხელში, ზოგს ხილით სავსე კალათა. ამ ფიგურებს ამშვენებს ეროვნული ტანსაცმელი.

გარიყრაჟზე, როდესაც ამოდის მზე და პირველი სხივები ეცემა შადრევნის ოქროს ფიგურებსა და წყლის ათასობით ჩქერს, ციმციმებენ და წკრიალებენ ეს სხივები, მილიონობით წვეთებში გადატეხილი.

ამ შადრევნის მეორე მხარეს, უკრაინის პავილიონის წინ, აღმართულია მეორე გრანდიოზული შადრევანი — „ქვის ყვავილი“, რომელიც შესრულებულია ურალის ზღაპრების მოტივებზე. ფერადი ქვები და წყლის ჩქერები, რომლებშიც დღისით მზის სხივები იქსოვება და ჯამით ელნათურების სინათლეები, მომხიბვლელ მშვენიერებას წარმოადგენს. ორივე შადრევანი შესრულებულია არქიტექტორ ვ. თოფურაძის პროექტით.

საკოლმეურნეო მოედანზე გადავიშლი პავილიონები ზღაპრულ ჰაეროვან სასახლეებს, კოშკებსა და ტაძრებს ჰკვანან, თავიანთი ეროვნული ორნამენტებით და ჩუქურთმებით შემკობილნი.

მთავარი პავილიონი არქიტექტორული ნაგებობით და გამოფენილი ექსპონატებით გრანდიოზული ჩანაფიქრია. მასში წარმოდგენილია საბჭოთა კავშირი მთელი თავისი სიდიადით. ამ პავილიონის ექსპოზიციებში გაშლილია შემდეგი თემები:

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია: თვალწინ გვიდგანან წითელარმიელისა და მეზღვაურის, წი-

თელგვარდიელისა და ჯარისკაცის სკულპტურული ჯგუფები, როგორც ოქტომბერში და სამოქალაქო ომში ნაბრძოლი სახალხო გმირები. ნაჩვენებია მშრომელთა რევოლუციური მოძრაობა 1905 წელს: — მუშათა გაფიცვები და გამოსვლები ქალაქად, გლეხთა მღელვარებანი სოფლად... და შემდეგ — თებერვლის რევოლუცია. ლენინის დაბრუნება ემიგრაციიდან. უზარმაზარი ფოტორეპროდუქცია თვალნათლივ გვიჩვენებს კომუნისტური პარტიის VI ყრილობის სხდომას, რომელზეც მომზადდა დიდი ოქტომბრის რევოლუცია.

სურათი — ლენინი და სტალინი სმოლნში წითელგვარდიელთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა შორის; პ. სოკოლოვ-სკალის ცნობილი სურათი — ზამთრის სასახლის აღება, ამავე მხატვრის მეორე ცნობილი სურათი — საბჭოების მეორე ყრილობისადმი მიძღვნილი — სმოლნის სააქტო დარბაზში. მუშების, ჯარისკაცების, მეზღვაურებისა და გლეხების წინაშე ტრიბუნაზე დგას ვ. ი. ლენინი, მის გვერდში მისი თანამებრძოლებია — სტალინი, ძერჟინსკი, სვერდლოვი.

მეორე თემა: საბჭოთა კავშირი მძლავრი ინდუსტრიული სახელმწიფოა, მესამე — საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება, მეოთხე — საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, როგორც გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია, მეხუთე თემა — ეს არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა ხალხის კეთილდღეობაზე, და მეექვსე — საბჭოთა კავშირის მშვიდობისათვის ბრძოლა მთელ მსოფლიოში.

ამ პავილიონს აგვირგვინებს მეცხრე დარბაზში თითქმის მთელი კედლის სიფართოეზე გადაჭიმული მონუმენტური სკულპტურული ნაწარმოები, ადამიანის სიმაღლის ფიგურებისაგან შემდგარი გორელიეფი. ამ გორელიეფზე ჩანს, თუ როგორ მიისწრაფის საბჭოთა ხალხი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

წინა პლანზე გამოხატული არიან ახალგაზრდა მუშა და კულჩუკურნი ქალი, რომელთაც ხელში უჭირავთ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გერბი. ხალხის თავზე ამაყად ფრიალებს წითელი დროშა. დროშაზე გამოხატულია მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის პორტრეტები.

გორელიეფზე წარწერაა: „მშვიდობის მედროშეს საბჭოთა ხალხს დიდება!“

მთავარი პავილიონის შემდეგ, სადაც ნაჩვენებია მთელი საბჭოთა კავშირის შრომისა და ბრძოლის ნაყოფი, ყურადღებას იპყრობს რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა.

რუსეთი! დიდი და გრანდიოზული! მისი ველ-მინდვრები, მთა-გორები, ტბები და მინდვრები გადაჭიმულია ჩვიდმეტ მილიონ კვადრატულ კილომეტრზე. იგი ორჯერ დიდია ამერიკის შეერთებულ შტატებზე და სამოცდაათჯერ დიდი დიდ ბრიტანეთზე. ეს არის ხალხთა ინტერნაციონალური ოჯახი, რომელშიც შედის ოცდარვა ავტონომიური რესპუბლიკა და ოლქი, სადაც ორმოცდაათხუთ ნაციონალურ ენაზე სწავლობენ ბავშვები.

პირველსავე დარბაზში გამოხატულია ვეებერთელა რუკა, რომელზეც ვხედავთ წიაღისეულ სიმდიდრეთა ზუღობებს.

აგერ კუზნეცის ბასეინი — ჩვენი ქვეყნის ნახშირის უღრევი კერა ოთხმოცდაათი მილიარდი ტონა ნახშირის მარაგით. საბჭოთა კავშირში, რომლის გულიც რუსეთია, მთელი მსოფლიოს რკინის მადნის ნახევარი მოაპოვება. ჩვენი ქვეყნის ნავთის მარაგის ნახევარზე მეტი რუსეთშია. აქ მოაპოვება იშვიათი და ღვრადი ლითონების ბუღობები. რუსეთს მთელ მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია ტყეების მოცულობით. აგერ მსოფლიოს უდიდესი მდინარეები —

ვოლგა, ობი, ენისეი, ლენა, ამური სინათლისა და ენერჯის დაუშრეტელი წყარო.

სტენდებზე ნაჩვენებია, რომ რუსეთში სათესი ფართობი აღწევს სამოცდაათ მილიონ ჰექტარს. იქ ორმოცდათხუთმეტი ათასი კოლმეურნობაა, რომელიც აერთიანებს თითქმის ათ მილიონ კომლს და მუშაობს ხუთიათას ხუთასამდე მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

აგერ კარელია-ფინეთის პავილიონი, რომლის გრანიტის კედელზე დგას ხისგან გამოჭრილი ფრონტონი. მასზე გამოხატულია ტყის მრეწველობის, მიწათმოქმედების, მეცხოველეობის და მეფეხვობის სურათები, ის ძირითადი დარგები, რომელთაც მისდევს კარელია-ფინეთის ხალხი. პავილიონის კედლები მოხატულია წითელი მათიკით და ნაირფეროვანი მოზაიკით.

თვალს იტაცებს უზბეკეთის პავილიონი, მის კარნიზებსა და კაპიტელიებში ჩაქსოვილია ბამბის შტოები და ბოჭკოები, ნათლად ჩანს, რომ რესპუბლიკის სიამაყე, ქვეყნის წამყვანი კულტურა — ბამბაა!..

მთავარი შესასვლელის ფართო კიბეს შევყავართ ქვით მოფენილ ეზოში, რომელიც სამ მხრივ შემორკალულია პავილიონის გვერდითი დარბაზებით. შუა გულში, ეროვნული ორნამენტებით შემკულ მაღალ სვეტებზე აღმართულია პატარა, გუმბათოვანი ნაგებობა, მის ქვეშ სცემს შადრევანი, რომლის ბრქვევიალა ჩქერებიც კარგა მალა იტყორცნება და თეთრ მძივებით იშლება ირგვლივ.

შესასვლელის ორივე მხარეს დგას სკულპტურები — ბამბის მკრეფელი ქალიშვილი და ახალგაზრდა მწყემსი.

მცხუნვარე მზის ქვეყანა, შუა აზიის გული, თემურლენგის (რომლის კოკლი ფეხის ტერფიც სწვავდა მიწას) იმპერიას ძველი დედაქალაქი სამარყანდი, სადაც დღემდე შემონახულია ძველთაძველი ხუროთმოძღვრების ძეგლები, გარ-

დაქმნილია და აღორძინებული საბჭოთა ადამიანის მიერ. უზბეკეთს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთით გარს არტყრა ტიანშანისა და პამირის თოვლით დაფარული მაღალი მთები, საიდანაც მოშხუის მრავალწყლიანი მდინარეები. ეს მდინარეები იშლება უზბეკეთის თვალუწვდენელ მინდვრებზე, ჰქმნიან თვალწარმტაც ოაზისებს, სადაც ხარობენ ვენახები და ხილის ბაღები. ველ-მინდვრები კი ზაფხულობით თოვლივით თეთრი და ფაფუკი ბამბით იფარება.

უდაბურ და ნახევრად უდაბურ ადგილებში მისდევენ მეცხოველეობას. აშენებენ კარაკულის ჯიშის ცხვარს, გამოპყავთ მთელ მსოფლიოში საუკეთესო კარაკულის ბეწვი—შავი, მოვერცხლისფერო და ოქროსფერი.

უზბეკეთის ორიათას ხუთასი კოლმეურნობიდან თითქმის ნახევარი მისდევს მეზამბეობას. ამ მზით ამომწვარ მხარეში ქვეყნის სასიცოცხლო საქმეს წარმოადგენდა სარწყავი არხების გაყვანა. „წყალი მიწის სისხლია, სადაც წყალი თავდება, იქ თავდება მიწაც“. — ამბობენ უზბეკები. და საბჭოთა ხელისუფლების დროს უზბეკეთში დაიწყო მიწის გამოცოცხლება წყლით. თვით ხალხი აშენებდა არხებს. დიდი ფერგანის არხი, რომელიც გადაჭიმულია ორას სამოცდაათ კილომეტრზე, ხალხმა თვენახევარში ააშენა. ამ სახალხო მშენებლობაში ასსამოციათასი კოლმეურნი იღებდა მონაწილეობას. დღეს უზბეკეთში სარწყავი არხები გადაჭიმულია ას სამოციათას კილომეტრზე. ბუნებრივ ოაზისებს მიემატა ადამიანის ხელით წარმოქმნილი ოაზისები. ამიტომ არის, რომ უზბეკეთის პავილიონში წარმოდგენილია გაცოცხლებული მიწის ხევი და ბარაქა. მთავარ დარბაზში შესვლისთანავე თვალწინ გადაგშლება ბამბის ველი... წელს უზბეკეთში ნედლი ბამბის ნაწარმმა სამ მილიონ ტონას მიაღწია.

თაზისებში ჩაფლულ ბაღ-ვენახებში ხარობს შესანიშნავი ხილი და ყურძენი.

ნათელი ფერებით მოხატული დარბაზი, მინარეთისებური ფანჯრებითა და თალებით, საიდანაც უხვად იღვრება დღის სინათლე, საესვა ხილით. იგრძნობა არაჩვეულებრივი სიუხვე. გამართულია ხილის თალები. კედლებზე ჰერამდე აღის თაროები, ზედ კი ფერად ლარნაკებზე აწყვია ყურძნის მტკვნები, ვაშლი, კომში, ბროწეული, ნუში, დაბლა კი, ხის ლანგრებზე, გროვებად ყრია თაფლივით ტკბილი ქიშმიშები — მოვარდისფერო, თეთრი, ოქროსფერი, შავი, წვრილი და დიდრონი.

ერთი დარბაზთაგანი მთლიანად დათმობილია ქუჩის კარაკულის ბეწვეულს.

უხვად იღვრება იპყრობს მთავარი პავილიონის პირდაპირ აგებული უკრაინის რესპუბლიკის პავილიონი. იგი აშენებულია ტერადი კერამიკული ქვებისაგან. შენობის ზედა კარნიზი შემკულია ოქროს თავთავეებით, რომელთა შორისაც ჩახატულია ნამგალი და ურო. პავილიონის ოთხივე კუთხეზე აღმართულია კოლმეურნე ქალთა სკულპტურები, რომელთაც ხელში უჭირავთ თავთავეებისაგან შეკრული გვირგვინები. მთავარ შესასვლელთან, ორივე მხარეს, დგას ბრინჯაოს სკულპტურული ჯგუფები, რომელნიც გამოხატავენ უკრაინის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებს. პავილიონის ირგვლივ ხარობს მცენარეულობა, რომელიც ახასიათებს უკრაინის ფლორას.

თექვსმეტ მოძმე რესპუბლიკათა შორის უკრაინას მეორე ადგილი უკავია ტერიტორიითაც, მოსახლეობის რაოდენობითაც და ეკონომიური მნიშვნელობითაც. პავილიონის სამოცდაათ სტენდზე ნაჩვენებია მისი მიღწევები. თექვსმეტი ათას სამას კოლმეურნეობისაგან სამიათასზე მეტი მილიონერი კოლმეურნეობაა. ხუთასამდე ჰიდროელექტროსადგური ანათებს უკრაინის სოფლებს. ათასზე მეტი სოციალისტუ-

რი შრომის გმირი ქმნის ქვეყნის დოვლათს. მთელი საბჭოთა კავშირი იცნობს მსხვილ და მრავალდარგობან კალმეურნეობებს, რომელთაც ხელმძღვანელებენ ისეთი პიროვნებები, როგორც არიან ფ. დუბავეცი, მ. პასმიდინი, გ. ბურკაცკაია, ა. შჩერბინა, პ. ანგელინა და სხვები.

მეტად საინტერესოა თათართა ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის პავილიონი. ეს ავტონომიური რესპუბლიკა მეფის რუსეთის ძიმე დროის ყაზანის გუბერნიას წარმოადგენდა და წერა-კითხვის მცოდნეობის მხრივ, ორმოცდაათ გუბერნიათა შორის ორმოცდამეოთხე ადგილი ეკავა.

ლენინისა და სტალინის ინიციატივით წარმოიშვა ეს ავტონომიური რესპუბლიკა 1920 წელს. ეს მომენტი განსაკუთრებით ხაზგასმულია პავილიონში. პირველივე დარბაზის შესავალი კარის პირდაპირ გაკრულია მხატვრული პანო, რომელიც ასახავს თათართა ხალხისათვის დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მომენტს. ეს არის ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინისა და მ. ი. კალინინის მიერ თათართა ხალხის დელეგაციის მიღება და ავტონომიური რესპუბლიკის დაარსების დეკრეტზე ხელის მოწერა.

მეორე სტენდი გვიჩვენებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას ყაზანში მისი ყოფნის დროს.

თვალწინ გვგხატება ყაზანის უნივერსიტეტი, რომელშიც ვ. ი. ლენინი შევიდა 1887 წელს, გეცნობით იმ დროს იქ დაარსებული მარქსისტული წრის მუშაობას. გამოფენილია სურათები, რომლებიც გვიჩვენებენ სტუდენტთა შეკრებებს ყაზანში ლენინის მონაწილეობით. მასალები გვაცნობენ ვ. ი. ლენინის გამოცხვას უნივერსიტეტიდან რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო, მის დაბრუნებას, გადასახლებას. ვხედავთ ლენინის სახლმუზეუმის გა-

რეთა ხედს, ლენინის თათხს ამ მუზეუმში, სახლს სოფელ კუკუშკინოში, სადაც ცხოვრობდა ლენინი გადასახლების დროს.

ყაზანში სწავლობდნენ და რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდნენ ვ. მ. მოლოტოვი, ს. მ. კიროვი, ი. მ. სვერდლოვი. აქვე განვლო თავისი ცნობილი „უნივერსიტეტები“ დიდმა რუსმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ.

პავლიონის ოცდარვა სტენდზე ნაჩვენებია თათართა ავტონომიური სსრესპუბლიკის ყოფა-ცხოვრების გარდაქმნა, მისი განვითარება და აღმავლობა კულტურის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მექანიზაციისა და სხვა დარგებში.

ხალხი მიისწრაფის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პავლიონის დასათვალიერებლად. ეს პავლიონი უზარმაზარ შენობას წარმოადგენს, იგი აგებულია მთავარი ზეივნის ბოლოში. პავლიონის ფასადის შუაგულში გამოყვანილია მოზაიკური სკულპტურული კომპოზიცია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბარელიეფით საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ღერბით და დროშით. ფასადის თავზე მარცხნივ და მარჯვნივ დგას ორი სკულპტურა კომბაინერისა და ტრაქტორისტისა.

ამ პავლიონის დარბაზებში ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობას მთელ მსოფლიოში ყველაზე მსხვილი და ყველაზე მძლავრი მექანიზაცია გააჩნია. წარმოდგენილია საბჭოთა სატრაქტორო და საავტომობილო წარმოება, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების მექანიზაციისათვის საჭირო მანქანები, მექანიზაობა ბაღებსა და ვენახებში და სხვ.

მთელ საბჭოთა კავშირში ამჟამად არის ცხრაათასზე მეტი მანქანა-ტრაქტორთა სადგური. ჩვენი დიდი სამშობლოს ველ-მინდვრებზე მუშაობს მილიონ

ორას სამოციათასი ტრაქტორი, სამასოცდაექვსი ათასი კომბაინერი და სხვებს სამოცდაათი ათასი საბჭოთა მანქანა წარსულ წელს ჩვენმა ქვეყანამ დახარჯა ასოცდაცამეტი მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

პირველი ჩანაწერი, რომელიც ახალგაზრდა ინჟინერს შეუტანია წიგნში მექანიზაციის პავლიონის დათვალიერების შემდეგ, ამბობს:

„სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პავლიონი გვაოცებს საუცხოო მანქანების სიმრავლით. ისინი აადვილებენ ადამიანის შრომას. თუ ჩვენ გვექნება ასეთი მანქანების საკმაო რაოდენობა, შემდეგშიაც არაფრის არ შეგვეშინდება“...

ერთიმეორის გვერდით დგანან საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პავლიონები. სომხეთის პავლიონის პირველსავე დარბაზში თვალწინ გადაგვშლებათ შადრევნით დამშვენებული სევანის ტბის აკვარიუმი, რომელშიც კალმახები დასრიალებენ. საბჭოთა სომხეთი წარმოდგენილია თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, შრომით მონაპოვარი მიღწევებით სამასამოცდაექვსი ათას ჰექტარ პურის ყანებში, თერთმეტი ათას ჰექტარ ბამბის ველებზე, თერთმეტი ათას ჰექტარ თამბაქოსი და ოთხათას ჰექტარ ჭარხლის პლანტაციებში, ოცდახუთათას ჰექტარ ბოსტნეულის ბაღებში და ორმოციათას ჰექტარ ვენახებსა და ხილის ბაღებში, თვალნათლივ ხედავ კავკასიის ერთ-ერთ მთავარიან კუთხეს — არარატის გულმშრალი ველით, რომელზეც თანდათანობით იშლება სარწყავი არხები.

საბჭოთა აზერბაიჯანი გამოხატულია მინის უზარმაზარ გამჭვივრავლე რუკაზე. რუკაზე აღნიშნულია რეაასი სხვადასხვა ფერადი ნიშანი, რომლებიც გვიჩვენებენ ქვეყნის მთავარ წიაღისეულს, მრეწველობის დარგებს, სოფლის მეურნეო-

ბის კულტურების, მეცხოველობის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობებისა და თევზის მრეწველობის განლაგებას.

ლიტველებმა თავიანთი პავილიონი რიგაშიც ააგეს. იგი ნამდვილი და სრული ორეულია არა მარტო არქიტექტურულად, არამედ ექსპონატებითაც. კარგი მიგნებაა, ყოველ ლიტველ მოქალაქეს ადვილად შეუძლია ნახოს, თუ როგორ არის წარმოდგენილი მისი სამშობლო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

კარგი იქნებოდა, ეს ჩვენც გავგებორციელებინა, მთელი საქართველო ნახვდა იმ ალტაცების მიზნებს, რომელსაც იწვევს ჩვენი პავილიონი მნახველებში. „სინანულით ვტოვებთ ჩვენ საქართველოს პავილიონს, მაშინ როდესაც შემოსვლისას განვიცდიდით უზომო სიხარულს.

ეს ისეთი ბედნიერებაა, საქართველო!...

ჩვენ იძულებული ვართ დავტოვოთ შენი დარბაზები, რადგან ათასობით ხალხი ფეხდაფეხ მოგვყვება. ჩვენ ისევ შევხვდებით. ნახვამდის“.

აი, რა იწვევს ასეთ ალტაცებას!

შორიდანვე თვალს იტაცებს ფინიკის პალმა, რომელიც პავილიონის მარცხენა მხარეს ისე დგას, როგორც სიმბოლო სამხრეთული მზისა. ეს პალმა საუკუნეზე მეტი ასაკისაა. მთელს საბჭოთა კავშირში ამ პალმაზე უხუცესი და უფრო დიდი არ მოიპოვება. ალტაცებით შესცქერაინ მას, თვალს ვერ აცილებენ მის მშვენიერ მწვანე ტოტებს. ასობით სურათი გადაუღეს და ასობით ადამიანებმა გადაიღეს მის ფართო ფოთლებს ქვეშ სურათები არა მარტო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარეებიდან, არამედ დემოკრატიული ქვეყნებიდან ჩამოსვლებმაც. ის ბათუმის ბოტანიკური ბაღის პირშია.

შენობის ფასადი დამშინიპოლია საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო გერ-

ბით და ლენინის ორდენით, რომლითაც დაჯილდოებულია ჩვენი ქვეყანა.

შევდივართ პავილიონის წინა ეზოში.

თეთრად ქათქათებენ მალალ სვეტებზე შემდგარი მსუბუქი თაღები, იატაკად დაგებულია ქართული ფერადი მარმარილოს ფილები. კედლებში ჩასმულია წახნაგოვანი ჩუქურთმებით შემკული პატარ-პატარა სარკეები, რომლებიც დიდრონ ბრჭყვიალა შუბლისქინძისთავებს გვაგონებს. ორნამენტების სიმდიდრე და სიმშვენიერე იმითაც გამოიხატება, რომ იგი არ ეკუთვნის ერთ რომელიმე საუკუნის ხუროთმოძღვრებას, იგი მთელი რიგი საუკუნეებისაა, მეოთხე საუკუნიდან დაწყებული.

პირველ დარბაზში თვალს იტაცებს იატაკზე გაშლილი დიდი და ფართო ხალიჩა, რომელზედაც უხვად და ბაიბაქიანად არის დაყრილი საქართველოს ზეღის ნიმუშები: გორული ბანანი, ცალი გვერდი რომ წითლად უღვივის, წითლად აღმოდებული კეხურა, ქარვისფერი კანადის რენეტი, ქართული სინაპი, ხიდისთაური ვარდისფერი ატმები, გულაბი მსხლები, ქარვასავით ყვითელი კომშები, ტურეზგადამსკდარი ბროწეული, ქლიავი და შავქლიავა, ნუში უნაბი, თხილი და კაკალი, ყურძენი—რქაწითელი, თითა, ციცკა და მწვანე, თავკვერი და ჩინური, საფერავი და ცოლიკაური მარცვალსავსე მტევენებად, აკიდობებად და ჯაგხებად. ქაოთულ ქალათებზე ყვავია ჩურჩხელები, გემრიელი ტკბილისკვერები და ჩირები — ლეღვის, ატმის, მსხლის, აგერ კახური წაგრძელებული საზამთროტბი, სურნელოვანი ნესვი და მრგვალი გოგრები. თაროებზე ალაგია ქართული ღვინოების ნიმუშები: ქინძმარაული და ხვანჭკარა, ტვიში და რქაწითელი.

გაბრწყინებული თვალთ შესცქერაინ სუფრასავით გადაშლილ ქართული ბარაქის ხალიჩას.

— აი, სად ყოფილა ყველაზე გემრიელი დარბაზი! — ალტაცებით ამბობენ მნახველები.

— დედიკო, მომეცი ის ვაშლი! — სამი წლის ბიჭუნა თითს იშვერს ლოყებ-წითელა კეხურასაკენ.

— არ შეიძლება, შეილო! — დარიგების კილოთი უპასუხებს დედა.

— მომეცი, მე მინდა ეგ ვაშლი! — უკვე მუდარით სთხოვს ბავშვი.

დედამ საკვირიათი გახსნა და ამოიღო მომცრო მომწვანო ვაშლი.

— აბა, ეგ არ მინდა! — გაჯიუტდა ბიჭუნა.

ექსკურსმძღოლს შეესმა ბავშვის მუდარა.

— წამოდი, ბიჭუნი, — აღერსიანად მიმართა, ხელი მოკიდა და თავისთან წაიყვანა.

სამიოდე წუთის შემდეგ კეხურათი დასაწყობებული ბავშვი, გამარჯვებულის სიხარულით შეპყრობილი, მორცხვად ეკვროდა დედის კალთას.

ბარაქის ხალიჩასთან თვალს იტაცებს მინის კედელი, რომლის იქითაც მოჩანს ლამაზად გადაჭიმული ორანჟერეია — ციტრუსების წარმტაცი ბაღი.

ორანჟერეის თავში, მარჯვნივ და პარცხნივ გადაშლილია უზარმაზარი მაროსებური პალმები, ბანანის დეკორაციული ხეები და შემდეგ რამდენიმე მწკრივად გახარებული მანდარინისა და ფორთხლის ხეხილი, გრეიდრუტისა და ლიმონის ხეები ოქროსფერი ნაყოფით ზედ.

ამ ორანჟერეის შესახებ ასე გამოთქვა თავისი შთაბეჭდილება ოფიცერმა ი. მაკაროვმა.

„ყოჩაღ, ქართველებო!

რა მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი თქვენი ექსპონატები! ძალიან კარგია, რომ წარმოადგინეთ ბაღის სახით სუბტროპიკული მცენარეები, რომელთაც ჩვენ, საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის შუა ზოლის მცხოვრებნი, უშუალოდ ნატურით ვეცნობით.

ლამაზია თქვენი რესპებლოკა, ლამაზია თქვენი დედაქალაქი თბილისი, ლამაზია და შრომისმოყვარე ქვეყნის ქალბი!

სალამი თქვენ რუსი ხალხის ერთ-ერთი წარმომადგენლის საბჭოთა არმიის ოფიცრისაგან“.

ჩუვაშეთის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი კოზირსკაია ორ სტრიქონში გამოხატავს ამ სიხარულს:

„გმადლობთ, საქართველოს, ამ მწვანე კუთხის გამო, რომელიც მე პირველად ვნახე“.

გასცქერი ამ ბაღს გამჭვირვალე კედლიდან, ზედ მინახე კი კითხულობ ოცდაცამეტი წლის წინათ ლენინის მიერ ორჯონიკიძისადმი თბილისში გამოგზავნილ დეპეშას:

„გადაეციტ ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს, ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“. ეს ის წელი იყო, როდესაც საფუძველი ეყრებოდა საბჭოთა საქართველოს აღორძინებას, როდესაც ბოლო ეღებოდა გლეხკაცის დუხვირ ცხოვრებას. მაგონდება მეცხრამეტე საუკუნის ერთი ნაკლებად ცნობილი ქართველი პოეტის ლექსის სტრიქონები:

საწყალსა ვაცსა ვინ მისცემს
აღების დამეს ღვინოსა,
მკალი ჰამოს და წვალი სვას,
დაწვეს და დამინასა...

ეს იმ დროს ეხება, როდესაც ქართველ გლეხობას თხუთმეტ კომლზე ერთი გუთანის გააჩნდა და სამ ოჯახზე ერთი თიხი.

თითქოს ამასვე ადასტურებს რუსი მოქმის ი. ვ. ივანოვის მიერ ჩაწერილი შთაბეჭდილება: „მიხარია ქართველი ხალხის ბედნიერება. მაღლობა პარტიას. მე ხომ ვიცნობდი საქართველოს რევოლუციამდე!“

მთელი თავისი სიღაღით მოჩანს ორი მხატვრული პანო. პირველი ეკუთვნის უჩა ჯაფარიძეს, მეორე ა. ქუთათელაძეს. პირველი გვიჩვენებს სტალინს

კოლხიდაში, მეორე — 1905 წლის რევოლუციის ერთ-ერთ ეპიზოდს — სტალინის გამოსვლას ნაძალადეგში გამართულ მიტინგზე. სიყვარულით შესცქერიან ლენინის საქმის დიდ გამგრძობს ი. ბ. სტალინს, მთელი ტანის სიმალლით აღმართულს საქართველოს ლურჯი ცის ფონზე, და მღუმარედ განაგრძობენ ფიქრს. ვერ იტყვენ გულში მწუხარებას და წერენ:

„შეცქერი საქართველოს სიმშვენიერესა და სიმდიდრეს და არ შემძლია უცრემლოდ არ მოვიგონო ჩვენი ძვირფასი ბელადი ი. ბ. სტალინი, რომელმაც გზა გაგვიყვანა სიმდიდრისაკენ, რასაც ყველა ხედავს. საყვარელო საქართველოვ, რა ძვირფასი ხარ, შენ. ნუ დავივიწყებთ ჩვენს ძვირფას ბელადს. თვითვე ჩვენთაგანს, ერთი საუკუნეც რომ ვიცოცხლოთ, მაინც არ ეცოდინება ის, რის ცოდნაც შეეძლო ჩვენს ძვირფას მამას!“

„აღტაცებისა და ღრმა კმაყოფილების გრძნობით დაეათვალიერეთ თქვენი პავლიონი.

საქართველოს მზის ქვეშ იზრდებოდა დიდი სტალინი.

ჩვენ, წყნარი ოკეანის მეომრები, სიტყვის გაძლევთ, რომ სიცოცხლესაც არ დავიშურებთ იმისათვის, რომ ჩვენი მზე არ დაჰფარონ არავითარმა შავმა ღრუბლებმა!...

წყნარი ოკეანის ფლოტის პირველი სტატიის ზემდეგი დორიონი.

აგრე ციმბირიდან ჩამოსული კოლმეურნე პავლიონის თანამშრომელს თხოვნით მიმართავს:

— ჩემმა მოხუცმა დედამ დამაბარა, წავუღო რამე სტალინის ქვეყნის პავლიონიდან. ნუ შეტყვიან უარს, ხელცარიელი ვერ დავბრუნდები. დედაჩემს ახსოვს, როდესაც თვითმპყრობელობას ებრძოდნენ, სტალინი ჩვენს მხარეში ყოფილა გადმოსახლებული...

თანამშრომელი ღამით შესცქერის გულწრფელ მეგობარს, მერე სთხოვს

დაელოდოს და შიდა დარბაზში მიდის. ცოტა ხნის შემდეგ ბრუნდება, მას ხელში უჭირავს ქარვისფერი ლიმონები.

— აი, ეს წაიღეთ, ჩვენებური ლიმონებია.

— ოო, ეს დიდი საჩუქარია, დიდი საჩუქარი! — რამდენჯერმე ამეორებს ციმბირელი კოლმეურნე და ლიმონებს უბეში იწყობს.

წერენ შთაბეჭდილებებს რუსები, უკრაინელები, უზბეკები, ლატვიელები, ალბანელები, ინდოელები.

გულთბილია მათი ჩანაწერები:

„...ჩვენი ძვირფასი და დაუფიქარი მშობლიური სტალინის სამშობლოვ, მშვენიერო საქართველოვ, იხარე ხალხის საკეთილდღეოდ!“

„ჩემს გულწრფელ აღტაცებას გამოვთქვამ მშვენიერ საქართველოსადმი, ლეგენდარული სტალინური ეპოქის დიდი შემოქმედის სამშობლოსადმი!“

„საქართველოს პავლიონი — ეს ნამდვილი ზღაპარია, რომელიც კი ვინმეს ოდესმე სმენია. არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც არ აღტაცებულიყოს მისი მწვენიერებით.“

„ამ წუთას ენახე საოცარი ზღაპარი, არც კი მჯერა, რომ ეს სინამდვილეა. ვუცქერი და ვერ ვძლები ცქერით.“

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტ კ. ყვანიას კი თავისი ფიქრის გამოსათქმელად პოეტი დაუხმარებია, მას ჩაუწერია სტრიქონები ლექსიდან — „სამშობლო ბელადისა“.

ჩემი ქვეყანა, ვერე ლაპაზი,
შავი ზღვის პირად აღმართულია,
თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას,
მისგან ღრუბლებიც გაფანტულია.
ხან გაშლილია უგზო-უჯვალოდ,
ხან ვენახებით დახარბულია,
მთაც ლაპაზია, ბარიც ლაპაზი,
ცა ფიროსმანის დაბატულია.

ხალხის დიდი ჯგუფი დგას თბილისის პანორამასთან. მის წინ გადაშლილია მინიატურული თბილისის ხედი სტალინის სახელობის პლატოდან. ექსკურსანტთა

ლი ხალხს ესაუბრება. ისინი დასცქერიან მამადავითის ეკლესიას, ქართველ მოღვაწეთა პანთეონს, სადაც ასვენია ილია, აკაკი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, მათ შორის ა. გრიბოედოვი, რომელიც საქართველოს მეორე საშობლოდ გრძნობდა. აგერ მთაწმინდის კალთებზე შეფენილი სახლები, უფრო დაბლა ხეივანივით ლამაზი რუსთაველის პროსპექტი, მერე მტკვარი, რომელიც ვერცხლისფერად მიიკლავება დიდუბიდან ორთაქალის ბაღების ქვევით. მოჩანს მინიატურული გამოხატულება ოპერისა და რუსთაველის თეატრებისა, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის ფილიალის შენობისა, აგერ თერთმეტსართულიანი სახლი, პლენანოვის პროსპექტი, უფრო შორს, ზევით, მახათის მთა და მთის იქით პატარა ლურჯი ზოლი თბილისის ზღვისა.

ოსტატურად გაკეთებული პანორამა თბილისის ნამდვილსა და სრულ შთაბეჭდილებას სტოვებს. მკიდროდ დასახლებული, მრავალი ქუჩითა და შესახვევით, აღმართებით და ფერდობებით დაქსელილი ქალაქი, გადაქიმული თითქმის ავჭალიდან ნავთლუღის ბოლომდე, უზარმაზარ ქალაქად მოჩანს. ზოგიერთი გულუბრყვილო ექსკურსანტი დაექვებული კითხულობს:

— ეს მარტო თბილისია, თუ მთელი საქართველო?

— მხოლოდ თბილისი. არც ისეთი პატარაა საქართველო. მთელ საქართველოს ახლავე გაჩვენებთ. — უპასუხებს ექსკურსმძღოლი და ჯგუფი გადაჰყავს საქართველოს პანორამასთან.

ესეც ოსტატურად გაკეთებული პანორამაა.

თვალწინ იშლება პატარა საქართველო, შემოგარსული კავკასიონის მთაგრეხილის თეთრმოიხისფრო მწერვალეობით, შავი ზღვის ლურჯი ზოლით. აგერ ჩაის პლანტაციებით დაფარული კოლხიდის დაბლობი, ქართლის ტრამალზე გადაფენილი პურის ყანები და ბაღები,

კახეთის ვენახები, ალაზნისა და შირაქის ველები, მაღალმთიანი სვანეთის ტყეები და ბორჯომის მშვენიერი ნერბა. მდინარეები: მტკვარი, რიონი, ალაზანი, არაგვი, იორი და ელვტქროსადგურები, რომლებსაც ეს მდინარეები ამუშავებენ.

ამ დროს ექსკურსმძღოლს ახალგაზრდა ვაჟი უახლოვდება.

— ქალიშვილო, თბილისის პანორამიდან, როგორც ჩანს, ციფრი X ჩამოვარდნილა!

ექსკურსმძღოლი მიჰყვება ყმაწვილს.

— აბა საიდან ჩამოვარდნილა? — ეკითხება განცვიფრებულად.

— აი, ზედავთ, წერია IV საუკუნე, ალბათ XIV უნდა ეწეროს!

— არა, ამხანაგო, საქართველოს დედაქალაქი წარმოიშვა მეოთხე საუკუნეში. საერთოდ საქართველო ჩვენი დიდი საშობლოს ერთი უძველესი სახელმწიფოთაგანია, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი კულტურა მოეპოვება! — განუმარტავს იგი ცნობისმოყვარე ყმაწვილს.

მარჯვენა დარბაზში ნაჩვენებია მევენახეობა-მეღვინეობა, მარცვლელი მეურნეობა, მებოსტნეობა, მეთაბაქოობა, მეცხოველეობა და სხვები. აქ წარმოდგენილია სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც შარშან მარტო მევენახეობისაგან მილიონ ნახევარი მანეთი შემოსავალი ჰქონდა. ამ კოლმეურნეობამ თვითველ ჰექტარზე 123 ცენტერი ყურძენი მოიწია. წარმოდგენილია აგრეთვე ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, ფართოდ არის ნაჩვენები წინანდლის საბჭოთა მეურნეობა, რომლის ექვსას ჰექტარამდე გადაშლილ ვენახებში ხარობს საუკეთესო ჯიშის ვაზები — რქაწითელი, საფერავი, კაბერნე და მწვანე.

წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა და ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა

„ლენინის ანდერძი“ წარმოდგენილია მარცვლელის მაღალი მაჩვენებლებით.

მარცხენა დარბაზში ნაჩვენებია საქართველოს სუბტროპიკული კულტურები: ჩაი, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, დაფნა, ტუნგო. აქვე ყურადღებას იპყრობს შესანიშნავად მოწყობილი დიორამა — ერთმანეთს სცვლიან ძველი და ახალი კოლხეთისა და ძველი და ახალი სამეორის სანახაობა.

პავლიონში ხალხი ხედავს საქართველოს ველ-მინდვრების, პლანტაციებისა და ბალნეო-ვენახების ნაყოფს, მაგრამ ეს საკმარისად არ ჩაუთვლიათ მზიური ქვეყნის ბუნების გასაცნობად და იქვე, პავლიონის გვერდით, ღია ცის ქვეშ გაუშენებიათ პატარა ქართული ვენახი, ხილის ბაღი და ჩაის ბუჩქების პლანტაცია ხელოვნურად შემადგენულ გორაკზე. ყველაფერი ეს აგვირგვინებს იმ მიღწევებს, რომლებიც ქართველმა კოლმეურნემ კოლექტიური შრომით მოიპოვა.

მნახველები თავიანთ აღტაცებას ვერ იკავებენ და მღვღინავე სტრიქონებსა წერენ: „არა მარტო სიმღერაში, არა მარტო მუსიკაში ხარ კარგი და მშვენიერი შენ, საქართველოვ, მთელი შენი სიდიადით და სილამაზით შრომავიც მოჩანხარ.“

შენი პავლიონი, მრავალრიცხოვანი ექსპონატებით, იწვევს საერთო აღტაცებას და კანონიერ სიამაყეს ყოველი საბჭოთა ადამიანის გულში“.

მოსკოვის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი მოსწავლე ვ. ალავერდოვი ასე გამოთქვამს თავის გულისფიქრს: —

„ვინახულე საქართველოს პავლიონი და ერთხელ კიდე დავრწმუნდი რამდენად მართალი ყოფილა ვლადიმერ მაიაკოვსკი, როდესაც ამ სტრიქონებს სწერდა: შე ვიცი, სისულელეა ედემი და სამოთხე, მაგრამ თუ კი უმღეროდ-

ნენ მას, ალბათ მგოსნები გულისხმობდნენ საქართველოს, მზიურ ქვეყანას.“

მნახველები



საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთელ ტერიტორიაზე სამოცდათექვსმეტი პავლიონია, ორას ოცდაათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობა. ამ ჩამოყვანილია საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან საუკეთესო ჯიშის ძროხები, ცხვრები, ღორები, ფრინველები. ჩამოტანილია მთელი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქტების საუკეთესო ნიმუშები. ამ მნახველები ეცნობიან მოძვე რესპუბლიკების კულტურას, ყოფა-ცხოვრებას, წარსულს, აწმყოს და იმ მომავალს, რომლისკენაც მიისწრაფის ჩვენი სოციალისტური სამშობლო.

ორასშვიდ პეტარ ფართობზე ხარობენ ბაღები და ორანჟერეები. დარგულია ორმოცი ათასი მსხმოიარე ხეხილი, ნახევარი მილიონი ბუჩქი და ოთხ მილიონზე მეტი ყვავილი.

ხალხი აღტაცებულია ყოველივე იმით, რასაც იქ ხედავს. ერთი მნახველთაგანი სამართლიანად წერს შემდეგ სტრიქონებს:

„ყველაფერი ის, რაც ვნახეთ ამ მშვენიერ ბალქალაქში, დაუვიწყარია. უსაზღვრო მადლობელი ვართ იმათი, ვინც, ამ მართლაც მშვენიერი სახალხო უნივერსიტეტის შემოქმედები არიან“ — მაგრამ მეორე საბჭოთა ადამიანი ამ სტრიქონებით არ კმაყოფილდება და იქვე წერს: „ეს არის ქალაქი-საოცრება, ზღაპრის მსგავსი სინამდვილე, აი, ასეთი წარმომიდგენია მე ყოველი დასახლებული პუნქტი კომუნისმის დროს!“

მე კი დაეძინე: ეს გამოფენა თავისუფალი, შემოქმედი ხალხის კოლექტიური შრომის ზეიმია!

ჩემს სოფელში

დრამა 4 მოქმედებად, 8 სურათად *



მოქმედება მისამი

სურათი მეხუთე

კლმუნურნობა „ჩვენი დოვლათის“ გამგეობის შენობის შესასვლელი კიბე. შენობის წინ ეზო. შენობაში თათბირი მიმდინარეობს. თოვს. ღამეა, ზომზე — ელნათური. შენობიდან თომა გამოდის.

თომა — ხო, ხო, ხო, რა ცხელი! არა, მე რომ ასე დამცხა, რა დღეში იქნება ბარნაბი? რა ჰქნა გაიოზამ, ა? ხო, ხო, ხო, რა მწარედ დაბოძბა, ა?
(გამოდის ხალამპრე).

ხალამპრე — (გამოდის შენობიდან). უჰ, რა ცხელი!

თომა — შენც დაგცხა, ხალამპრე?

ხალამპრე — აბა?

თომა — აბა ბარნაბს რაღა ეშველებო? არა, ხედავ, გაიოზმა რა ამბები დაატრიალა?

ხალამპრე — ჭკვიანი ბიჭი დაგვიბრუნდა.

თომა — ჭკვიანი, ა, ჭკვიანი! ომში კი არა, ვითომ სასწავლებელში ყოფილიყოს. დღედაღამე მეცადინეობს. რამდენჯერ ვნახე, სულ რაღაცას კითხულობს და წერს. ბარნაბას თავდაყირა არ დაუყენა მთელი გეგმები! პარტიზიურის მდივანიც რომ მხარს უჭერს?!
ხალამპრე — შენ ეწინააღმდეგები თუ?

თომა — კარგია, კარგი ცხოვრება, მარა... ძნელი დასაჯერებელია, ერთ ჰექტარზე ოთხმოცი ცენტნერი სიმინდის მოყვანა... კაია, მარა არ მჯერა.

ხალამპრე — შენ ეგ კი არა, თომა რომ ჰქვია, ისიც არ მჯერა!

თომა — ოთხმოცი ცენტნერი ერთ ჰექტარზე?

ხალამპრე — თუ ხელს გააქანებ, ასი ცენტნერის აღებაც შეიძლება.

თომა — ა, ბატონო! იქნე ეს ხელები ჰაერში, რა ოქრო ჩამოგიცევივ, იმასაც ვნახავ!..

ხალამპრე — ჰაერში რატომ?

თომა — აბა, ეს ჩვენი მიწა მეტს არ იძლევა და...

ხალამპრე — გააჩნია, როგორ მოუვლი.

თომა — ზეგან ეწერზე, ბიჭო, სიმინდი კი არა, ნიაღვრის დროს მუხაც ვერ სძლებს.

ხალამპრე — ვაქე ვინ წაგვარდო?

თომა — ჭაობი?



ხ ა ლ ა მ პ რ ე — სწორედ იმ ჭაობს უმიზნებს გაიოზი.

თ ო მ ა — გაიოზი რასაც უმიზნებს, კარგად ვიცი, მარა...

ხ ა ლ ა მ პ რ ე — ვითომ რას უნდა უმიზნებდეს?

თ ო მ ა — რას კი არა, ვის!

ხ ა ლ ა მ პ რ ე — ფიქრობ, რომ თავმჯდომარის ადგილი უნდა?

თ ო მ ა — თავმჯდომარის კი არა, სიძის ადგილი უნდა თავმჯდომარის ოჯახში.

ხ ა ლ ა მ პ რ ე — მერე რა, ცუდი ბიჭია თუ?

თ ო მ ა — რას ამბობ, შე კაცო? ბარნაბი მარინეს გაიოზას გაატანს?

ხ ა ლ ა მ პ რ ე — ვითომ-და რატომ?

თ ო მ ა — იმიტომ დამთავრებია უმაღლესი, რომ მიწის მუშას გაატანოს ექიმი ქალი?

ხ ა ლ ა მ პ რ ე — ყველაზე უმაღლესი, თომა ჩემო, კაცის გულია. თუ გულმა გულს გაუგო, უღელსაც ერთგულად გასწევინ.

თ ო მ ა — გული რას გაუგებს, თუ თავმა ვერ გაუგო. ჰკუა თავშია, ბაბა, და არა გულში.

ხ ა ლ ა მ პ რ ე — ვითომ გაიოზი ასე თავსუსტია?

თ ო მ ა — თავი თავს გააჩნია!

ხ ა ლ ა მ პ რ ე — ისეთ თავს, რომელმაც კაცკასიიდან ბერლინამდე გული ატარა, მარინეს გულის მოგებაც არ გაუქირდება.

თ ო მ ა — მტრის დაპყრობა უფრო ადვილია, ვინემ მოყვრის გულის მონადირება, ჩემო ხალამპრე.

ხ ა ლ ა მ პ რ ე — შენ სიტყვაში ვინ მოგიგებს?

თ ო მ ა — ჩემი გამჩუმებელი მარტო ფაქტია, ჩემო ხალამპრე, ჯიუტი ფაქტი. ფაქტი, ზომ იცი, რა არის? ფაქტი საქმეა. საქმე მანეინე და, გენაცვალოს თომა...

ხ ა ლ ა მ პ რ ე — (ვილაც შეამჩნია) როგორ, მაგდანე კრებაზე არ ყოფილა?

თ ო მ ა — არ დამინახავს.

ხ ა ლ ა მ პ რ ე — ეგერ მოდის!

თ ო მ ა — ნეტავ სად იყო?

(განოდის მაგდა).

მ ა გ დ ა — (კიბეზე აღის) ზომ არ დამთავრებულა?

თ ო მ ა — კრება არა, მაგრამ მე კინაღამ გავთავდი.

მ ა გ დ ა — ნეტავი შენს გათავებას მოვესწრებოდე!

თ ო მ ა — რას მერჩი?

მ ა გ დ ა — აბა, ასი კაცი თუ სძლებს იმ დარბაზში, შენ ველარ დაეტე?

თ ო მ ა — გულსუსტი ვარ და რა ვქნა? შენმა ბიჭმა ტყავი გაგვაძრო სუყველას.

მ ა გ დ ა — რა მინდო?

თ ო მ ა — ისე ვერ მუშაობთ, როგორც საჭიროაო.

მ ა გ დ ა — ნაშრომს გეიწუნებს? ჩემი გაზრდილი ბავშვი მასწავლის ჰკუას?

თ ო მ ა — კი, კი.

მ ა გ დ ა — რა თქვა?

თ ო მ ა — გეგმის შესრულება არ კმარაო. ჰექტარზე ასი ცენტნერი უნდა მოვიყვანოთო.

მ ა გ დ ა — უხუმრია.

თ ო მ ა — ხუმრობა დაარქვი, ბარნაბას კბილებში ოფლი გამოუვიდა.

ძ ა გ ლ ა — შენ რავე ფიქრობ, ას ცენტნერ სიმინდს ჰექტარზე ვერ მოიყვანს
კაცი?

თ ო მ ა — კაცი კი მოიყვანს, მიწამ თუ გამოუშვია.

ძ ა გ ლ ა — კაცის ძალა ვერ გიცენია, თომა. კაცმა თუ მოინდომა, მუხანს ვაშლს
გამოასხმევენებს.

თ ო მ ა — კაცი მქვია, მარა...

ძ ა გ ლ ა — კაცი რომ გერქვას, ეგ არ კმარა, ნამდვილად უნდა იყო კაცი და
მაშინ ყველაფერს შესძლებს!
(დარბაზში შედის).

ხ ა ლ ა მ პ რ ე — გამოსტყუე ხომ?

თ ო მ ა — ჭალი არ იყოს!

ხ ა ლ ა მ პ რ ე — შენი ილბალი, რომ მაგდანე ქალია, თვარა ეგ რომ მამაკაცი
იყოს, გაგაცამტვერებდა. წავიდეთ!
(გამოდის ბუბულა).

ჭ უ ჭ უ ლ ა — (გამორბის). ჭე არ მოვითქვი სული?

ხ ა ლ ა მ პ რ ე — რა ამბავია, ჭუჭულა?

ჭ უ ჭ უ ლ ა — იაკინთეს სიტყვა არ მოგისმენია?

თ ო მ ა — არა, რა თქვა?

ჭ უ ჭ უ ლ ა — რა ქნა, შენ ის იკითხე. წინადადება შემოიტანა, კოლმეურნეო-
ბის თავმჯდომარედ გაიოზი ავირჩიოთო.

თ ო მ ა — რას ამბობ?!
ხ ა ლ ა მ პ რ ე — ბარნაბი?

ჭ უ ჭ უ ლ ა — ბრიგადირად დატოვებენ ალბათ.

თ ო მ ა — წამოდი, ხალამპრე, წამოდი. ღმერთო, შენ ვადმოგეხდდე!
(ხალამპრე და თომა დარბაზში შედიან).

ჭ უ ჭ უ ლ ა — თუ გაიოზი აირჩიეს თავმჯდომარედ, მაშინ... მარინეს და გაიო-
ზის საქმე აშკარად ჩაიფუშა, ჩემს სიყვარულს ველარავინ ვერ გადაელო-
ბება. მარიკელა ჩიჩვირიანი, ან ფატულიე თვალჯღამარა ჩემს მეტოქედ
არ გამოდგება. იზეიმე, ჭუჭულა, იზეიმე! შენი კვერიც გამოცხვა, მგონია!
თუმცა, ჩვენს შორის დარჩეს და, ბარნაბი ამ ამბავს ვერ გადაიტანს.
(გამოდის ალექსი და გაიოზი).

ა ლ ე ქ ს ი — (დარბაზიდან გამოდიან) გაიოზ, მომისმინე!

გ ა ი ო ზ ი — (ჭუჭულა კუთხეში მიიმალება) არა, ალექსი, არა, მე რომ თავმჯ-
დომარის ადგილზე დავთანხმდე, სოფელი იფიქრებს, გაიოზი ბარნაბს
თავმჯდომარის კაბინეტს ედავებო.

ა ლ ე ქ ს ი — ეს ასეც უნდა იყოს.

გ ა ი ო ზ ი — როგორ?

ა ლ ე ქ ს ი — კოლმეურნეობის თავმჯდომარე კოლმეურნეობის მეთაურია, მას-
ზეა დამოკიდებული საქმის გამარჯვება, მისი ადგილი საქმის გამკეთებელ
კაცს უნდა ექიროს.

გ ა ი ო ზ ი — მერგოლურად დავრჩები, ხალხმა თუ მხარი დამიჭირა, ჩემს საქ-
მეს მაინც ვაგაკეთებ, თავმჯდომარეობა კი არ შემიაძლია.

ჭ უ ჭ უ ლ ა — (შეპკივლა) დიდუ!

ა ლ ე ქ ს ი — რა მოხდა, აქ ვინ არის?

გ ა ი ო ზ ი — რა გაკვივლებს, ჭუჭულა?

ჭ უ ჭ უ ლ ა — ახალნაყოფი კაბა არ შევახიე ლურსმანზე?



- ა ლ ე ქ ს ი — ნუ გეშინია, ახალს იყიდი.
- ქ უ ქ უ ლ ა — ჩემი იღბალი კი დაიწვეს, ჩემი იღბალი.
(ღარბაზში შერბის)
- ა ლ ე ქ ს ი — რა ქარაოცა!
(გამოდის მაგდა).
- მა გ დ ა — (ღარბაზიდან გამოდის). აქა ხართ?
- გ ა ი ო ზ ი — ხომ არ იწყება?
- მა გ დ ა — არა.
- ა ლ ე ქ ს ი — მაგდა, მე შენი აზრი მინდა გავიგო...
- მა გ დ ა — ჩემი აზრი რად გინდა! სადაც ბარნაბის საქმე არ ვარგა, იქ ჩემი აზრი რა მოსატანია? ალბათ მოვხუცდით.
- გ ა ი ო ზ ი — დედა!
- მა გ დ ა — შეილო, კოლმეურნეობის საქმე არც შენია, არც ჩემი და არც ბარნაბის, საერთოა.
- გ ა ი ო ზ ი — რას ამბობ, დედა! კოლმეურნეობის საქმე შენიც არის, ჩემიც და ბარნაბისაც. ასე რომ, შენ ან მე, ან ბარნაბს ეწყინოს, ეგ არაფერია, მთავარია, საერთო საქმე იყოს კარგად.
- მა გ დ ა — აბა ნუ გეწყინება და გეტყვი.
- გ ა ი ო ზ ი — სთქვი, დედა!
- მა გ დ ა — ცხონებული მამაშენი სიტყვაუთქმელი კაცი იყო. შრომა უყვარდა და, როცა ჰკითხავდნენ, რას აკეთებ, მირიანო, უპასუხებდა: ჯერ გავაკეთებ და შერე გეტყვიო. შენმა გაკეთებულმა საქმემ თქვას შენი სათქმელიო, ასე იტყოდა. შენ კი ჯერ არაფერი გაგიკეთებია და უკვე ლაპარაკობ. ჯარში ლაპარაკი გისწავლია!
- გ ა ი ო ზ ი — არა, დედა. ომში საერთო საქმისათვის ბრძოლა ვისწავლე.
- მა გ დ ა — არ დაიფიწყო, საკვებს ბარნაბი გიგზავნიდა!
- გ ა ი ო ზ ი — ჰოდა, მინდა მადლობა ვუთხრა.
- მა გ დ ა — რითი?
- გ ა ი ო ზ ი — საქმით.
- მა გ დ ა — ეს არის საქმე, რომ კაცს ნაშრომი დაუწუნო?
- გ ა ი ო ზ ი — არა! საქმე ის არის, უკეთესისავე მოუწოდო.
- მა გ დ ა — მაშინ შენ უნდა იყო უკეთესი.
- ა ლ ე ქ ს ი — გაიოზი უკეთესია.
- მა გ დ ა — ახალგაზრდაა.
- ა ლ ე ქ ს ი — გამოცდილი ახალგაზრდა ნაწრთობ ფოლადს უდრის, არ გიმტყუნებს!
- მა გ დ ა — მე ახლა ვგავარ მუნჯს, რომელსაც ესმის და ვერ უთქვამს.
- გ ა ი ო ზ ი — დედა, შენ რომ იცი, მე ის აწი უნდა ვისწავლო მაგრამ, რა ვქნა, რასაც შენ აკეთებ, ჩემთვის დიდია, მაინც არ კმარა, მეტია საჭირო, მეტი კი მეტად მძიმეა.
- მა გ დ ა — მძიმეს კი ახალგაზრდის ბეჭები უფრო ასწევსო, გინდა სთქვა?
- გ ა ი ო ზ ი — ძველების გამოცდილებას თუ არ დაეყრდნო, სიმძიმეს ახალგაზრდა მეტს აიღებს, მაგრამ ვერ წაიღებს.
(გამოდის ბარნაბი).
- ბ ა რ ნ ა ბ ი — (გამოდის). მგონი დროა, დავიწყოთ.



ა ლ ე ქ ს ი — განვაგრძოთ.

ბ ა რ ნ ა ბ ი — განვაგრძოთ ჩემი დამუშავება.

ა ლ ე ქ ს ი — შენი დამუშავება არავის უფიქრია.

ბ ა რ ნ ა ბ ი — აბა, მიწა გაზაფხულზე მუშავდება, ახლა ზამთარია.

გ ა ი ო ზ ი — ჭკვიანი კაცი ზამთარში ემზადება გაზაფხულისათვის, ეს შენ-
გან მაქვს ნასწავლი, ბარნაბ ბატონო!

ბ ა რ ნ ა ბ ი — ბატონიც შენა ხარ და მბრძანებელიც.

ა ლ ე ქ ს ი — მბრძანებელი უკეთესობაა.

გ ა ი ო ზ ი — საერთო უკეთესობა და არა პირადი.

ბ ა რ ნ ა ბ ი — ე, ბიჭო, კრების გარეთ მაინც გაჩუმდი.

მ ა გ დ ა — რას გიწლის, ილაპარაკოს.

(გამოდის თომა).

თ თ მ ა — თავმჯდომარე დარბაზში გიწვევთ.

ა ლ ე ქ ს ი — წავიდეთ.

ბ ა რ ნ ა ბ ი — წავიდეთ. გაიოზი ალბათ კიდევ გვეტყვის რამეს.

გ ა ი ო ზ ი — თუ ასე გწყინს...

ბ ა რ ნ ა ბ ი — საწყენი რაა!

მ ა გ დ ა — ვატყობ, შენ გაიოზზე უფრო ახალგაზრდა ყოფილხარ, ჩემო ბარნაბ.

ა ლ ე ქ ს ი — წავიდეთ, იქ ვიდავოთ.

გ ა ი ო ზ ი — წავიდეთ.

(ყველანი დარბაზში შედიან).

(გამოდის მარინე).

მ ა რ ი ნ ე — (ეზოში შემოდის. კიბის წინ შეჩერდა) რისთვის მოვედი? აქ რა საქმე მაქვს? ხომ არ იფიქრებენ, რომ გაიოზს მოვავითხე?... რად უნდა იფიქრონ? მაშ აქ რად მოვედი? მამას მოვავითხე? მამა ხომ აქ არის? გამიზრბის, თვალს მარიღებს. ნეტავი ჩემზე რას ფიქრობს?

(გამოდის ბუბულა).

ბ უ ბ უ ლ ა — (დარბაზიდან გამოდის) რად არ მოვიდა! (შეამჩნია) მოსულა. ახლა მე მკითხოს. დიდუ! სად გაჩერებულხარ, მარინეს ვენაცვალე. (კიბეზე შემოვრბის) სწორედ ექიმი გეპირდება.

მ ა რ ი ნ ე — ბუბულა!

ბ უ ბ უ ლ ა — შენთან მოვდიოდი. მამაშენი ისეთ დღეშია...

მ ა რ ი ნ ე — მამაჩემი?

ბ უ ბ უ ლ ა — საშიში არაფერია, შემოგველე.

მ ა რ ი ნ ე — სად არის!

ბ უ ბ უ ლ ა — სად იქნება, კრებაზეა. მაგრამ... გაიოზამ გააბრაზა! ისეთი სიტყვები აკადრა...

მ ა რ ი ნ ე — გაიოზმა?

ბ უ ბ უ ლ ა — აბა, ახლა ყველაფერს ვერ ვეტყვი. ხომ იცი, დღეს გამგეობის არჩევნებია და შენ რომ აქ ყოფილიყავი, გაიოზი ამდენს ვერ გაბედავდა.

მ ა რ ი ნ ე — ბუბულა, მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს თავი დაანებე!

ბ უ ბ უ ლ ა — მისაკიბ-მოსაკიბი რა მაქვს! მთელმა სოფელმა იცის, რომ გაიოზი შენი პატივისმცემელია.

მ ა რ ი ნ ე — გაიოზი უპატივცემლოდ არავის ეპყრობა. ახლა რას აკეთებენ?

ბ უ ბ უ ლ ა — ახლავ მთავარი, თავმჯდომარის არჩევა იწყება. ორი კაცია დასახელებული.



მარინე — ვინა და ვინ?

ქუჭულა — მამაშენი და გაიოზი. წაიდეთ.

მარინე — უხერხულია, იფიქრებენ, მამის დასახმარებლად მტყუარაობენ...

ქუჭულა — როგორ გეკადრება... ისე, ჩვენს შორის დარჩეს და გაიოზს რომ შენი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდეს...

მარინე — გთხოვ ამის შესახებ ნუ ილაპარაკებ.

ქუჭულა — მართალი ხარ, არც ღირს! შენ ექიმი ქალი ხარ, ის კი ერთი ტლუ ბიჭია.

მარინე — კრებას ნუ მოსცდები.

ქუჭულა — კი, შენი სწავლა-განათლების ქირიმე. დარწმუნებული იყავი, ჩემს ხმას მამაშენს მივცემ. ისე, კარგი კი იქნება, შენებურად შეახურებდე გაიოზს. მაგდანამ წედან გაიოზას ტყავი გააძრო. მაგდანანს ხასიათი ხომ იცი. ცუდ სიტყვას შეიღს კი არა, ღმერთს არ შეარჩენს. მეც მინდოდა ორიოდე სიტყვა შეთქვა, მაგრამ რა ვქნა, ლაპარაკი არ მეხერხება. გული ყელში მომეხვინა.

მარინე — გულს გაუფრთხილდი, ქუჭულა... თავი დამანებე...

ქუჭულა — ვიცი, ვიცი, შენ ახლა გაიოზის სახელის ხსენებაც კი გეჯავრება. ღირსიც არ არის, რომ შენ...

მარინე — ჰო, ჰო! ნუ იგვიანებ.

ქუჭულა — იცოდე, ჩემს ხმას მამაშენს ვაძლევ.

(დარბაზში შერბის).

მარინე — ქარადფუტა! (კიბეზე აღის. შედგება) არა, არ ღირს. ნუთუ ასე გაიზარდა?! იქნებ ჩემზე არის გაბრაზებული და მამას ედავება? გაიოზი ღვარძლიანი არ ყოფილა. მამ რად გამირბის? იქნებ იქ ვინმე სხვა შეუყვარდა? დიახ, დიახ... მგონი წერილებსაც ღებულობს. ჰო, მე ვარ დამნაშავე. (დარბაზიდან ტაშისცემა ისმის) ნეტავი რა ხდება? გავიგე, დღედაღამე წიგნს უხისო. (ისევ ტაშის ცემა) ალბათ კრება დამთავრდა. (კიბიდან ჩამოდის). რა ლამაზად თოვს. სჯობს შინ წავიდე. რატომ? მე ხომ მაქვს უფლება, დავესწრო კრებას. იქ ხომ პირადი საქმე არ წყდება. მეც ხომ კოლმეურნეობის წევრი ვარ. დიახ, განზე გადგომის უფლება არა მაქვს.

(აღის კიბეზე. დარბაზში შედის. თოვა მატულობს, შორს ძალი ჰყვს. შორე ძალი ახმურდა... შესამე... კარგა ხანს ისმის ძაღლების ყუფა და წყავწავი შემდეგ ყოველივე მიჩუმდა. თოვს. გამოდის თოვა და ხალამრე).

თომა — რა ვქნა ახლა მე!

ხალამპრე — შენ რა უნდა ქნა? ჩემი აზრით, გაიოზის არჩევაში არ შევმცდარვართ.

თომა — ეგ ვიცი. ახალი ახალ რამეს მოიტანს. გაიოზი სხვა კაცი დაგვიბრუნდა. მაგრამ მე რა ვქნა, ბიჭო! შენ იცი, ამ საღამოს ტაში არ დამიკრავს.

ხალამპრე — რატომ? გაიოზის არჩევა გეწყინა?

თომა — პირიქით. მაგრამ შენ მაინც გამიგე, ორივენი მეზობლები არიან. გაიოზას მივეულოცო, ბარნაბას ეწყინება, ბარნაბას მივემხრო და გაიოზი დარჩება ნაწყენი.

ხალამპრე — კაცი ხარ, მიეთმოეთობას თავი გაანებე. მეზობლები მაინც მეზობლებად დარჩებიან. აბა, სანამდე გინდა ჩამორჩენილი იყო!

თომა — ჩამორჩენილი, თუარა...

ხალამპრე — შინ წამოდი.



თომა — გაიოზას არ მივეულოცოთ?

ხალამპრე — როგორ, ცოლი კი არ უთხოვია?

გამოსვლა: პარმენი.

თომა — (პარმენი ეზოში ჩამოვიდა) ის ჩემოდნიათი კაცი ვინ არის?

ხალამპრე — აქაური არ უნდა იყოს.

თომა — მობრძანდით.

პარმენი — გამარჯობათ. მე კოლმეურნეობის თავმჯდომარე მინდა.

(ღარბაზიდან გამოდის).

თომა — კოლმეურნეობის თავმჯდომარე?

პარმენი — დიახ, მითხრეს კრებაზე არისო. (მარინე დაინახა) ბოდიში, ის ქალი ვინ არის?

* გამოსვლა: მარინე, ბარნაბი, გაიოზი, მავლა, ალექსი.

თომა — მარინე, ჩვენი სოფლის ექიმი.

პარმენი — მარინე?

თომა — იცნობთ?

პარმენი — როგორ არა? (ეძახის) მარინე! მარინე!

მარინე — ვინ მეძახის?

პარმენი — ვერ მიცანი?

მარინე — პარმენი! პარმენ...

(შეეგებება გამოდის მუშულა).

ქუქულა — ეს კაცი...

მარინე — მამა, გაიცანი. ჩემი თბილისელი მეგობარი — პარმენი.

ბარნაბი — ბარნაბი.

(ხელს ართმევს).

მარინე — აქ როგორ, საიდან?!

პარმენი — სამუშაოდ, მე წელს დავამთავრე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. პოდა, აქ გამომგზავნეს აგრონომად. თავმჯდომარე მინდა ენახო.

მარინე — თავმჯდომარე?

ბარნაბი — (გაიოზზე უთითებს) აი თავმჯდომარე.

მარინე — ამ ღამით ალბათ ჩვენთან წამოხვალ.

პარმენი — როგორ შეგაწუხობთ. (გაიოზს) მე თქვენთანა ვარ.

გაიოზი — მობრძანდით. (ხელს ართმევს) გაიოზი (ალექსიზე) კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი.

პარმენი — სასიამოვნოა. (საბუთებს ამოიღებს) მე თქვენთან გამომგზავნეს.

ალექსი — სასიამოვნოა, უაგრონომოდ ვიყავით.

პარმენი — როგორ?

ალექსი — ავად გავვიხდა. გაიოზ, მიიწვიე.

გაიოზი — მობრძანდით გამგეობაში. პატივცემულო ბარნაბ, თქვენც მობრძანდით.

ბარნაბი — ამხანაგო თავმჯდომარე, გთხოვ... ავად ვარ... გამათავისუფლოთ...

გაიოზი — როგორც გენებოთ.

ბარნაბი — შეილა, წავიდეთ.

მარინე — მოიცა, მამა, სტუმარი?



ბ ა რ ნ ა ბ ი — სტუმარი თაემჯდომარესთან არის.

(პარმენი, გაიოზი და ალექსი დარბაზში შედიან).

მ ა გ დ ა — ბარნაბ!

ბ ა რ ნ ა ბ ი — თუ ასე ითოვა, კარგი მოსაველი გვექნება. რას იტყვი, მაგდანე?

მ ა გ დ ა — რა უნდა ვთქვა, თუ კარგი მოსაველი მოვიწიეთ, შენც გაიხარებ და მეც.

ბ ა რ ნ ა ბ ი — ჰო, ჰო, მოსაველია მთავარი.

მ ა გ დ ა — მთავარი კაცის გულია, ბარნაბ, თუ კაცის გული გაფუჭდა, სიმინდის გული რა ოხრად მიწდა.

ბ ა რ ნ ა ბ ი — თუ სიმინდმა კარგი გული გაიკეთა, კაცის გულიც გამოკეთდება.

მ ა გ დ ა — შენი იმედი მაქვს.

ბ ა რ ნ ა ბ ი — მე კარგი მოსაველის იმედით ვცოცხლობ.

მ ა რ ი ნ ე — წავიდეთ, მამა.

ბ ა რ ნ ა ბ ი — მეგობარს არ უცდი?

მ ა რ ი ნ ე — ხვალ ვნახავ.

ბ ა რ ნ ა ბ ი — კარგი, წავიდეთ, შეილო. ძილი ნებისა, მაგდანე!

მ ა გ დ ა — მშვიდობით ძილს გისურვებ.

(მარინე და ბარნაბი გადიან):

თ ო მ ა — მომილოცავს, მაგდა.

მ ა გ დ ა — რას მილოცავ?

თ ო მ ა — შეილის გათაემჯდომარეობას.

მ ა გ დ ა — კაცი ტვირთს რომ აიკიდებს, მილოცვა მაშინ კი არ უნდა, ადგილზე რომ მიიტანს — მერე. ნაადრევი მილოცვა კი წყველაზე უარესია. რა ვიცით, რა იქნება.

ჭ უ ქ უ ლ ა — გაიოზს დაელოდები, მაგდა?

მ ა გ დ ა — არა, შინ წავალ.

ჭ უ ქ უ ლ ა — გაგაცილებ.

მ ა გ დ ა — ნუ შეწუხდები. მიყვარს თოვლში მარტოკა სიარული.

ჭ უ ქ უ ლ ა — ის სტუმარი აღბათ თქვენთან წამოვა?

მ ა გ დ ა — აღბათ.

თ ო მ ა

ხ ა ლ ა მ პ რ ე | კარგად მენახეთ.

მ ა გ დ ა — ძილი ნებისა!

(თომა და ხალამპრე გადიან).

ჭ უ ქ უ ლ ა — ხვალ გამოგივლი, სადილს გაგიკეთებ. ბაბუა ყარამანს ძალიან უყვარს ჩემი გაკეთებული კერძი.

მ ა გ დ ა — კარგი გოგო ხარ.

ჭ უ ქ უ ლ ა — გუშინ რომ ბალიშისპირი ამოვქარგე, იმასაც გაჩვენებ. პირდაპირ დახატული გეგონება.

მ ა გ დ ა — ჭუჭულა, არ გეძინება?

ჭ უ ქ უ ლ ა — ოღონდ რამე დამავეალე და ერთ კვირას არ დავიძინებ.

მ ა გ დ ა — აბა, ერთი თხოვნა შემიხსრულე.

ჭ უ ქ უ ლ ა — ასი იყოს.

მ ა გ დ ა — წადი, დაიძინე.

ჭ უ ქ უ ლ ა — არც მაგაზე გაწყენინებ, ოღონდ ერთი თხოვნა მეც შემიხსრულე.

მ ა გ დ ა — თქვი.

ქ უ ქ უ ლ ა — გაიოზას უთხარი... არა! არ შემძლია, ხვალ გეტყვი (გარბის).

მ ა გ დ ა — ნუთუ ეს არის მისი ბედი?! არა! არა! ქუქულა, არა! აქამდე იმედი მქონდა, ახლა კი... რა ტვირთი იყისრე, შეილო! რომ ვერ ასწიო?! რომ შერცხვე? მაშინ მიწადასაყრელ დედაშენს რა ეშველება! მარინე დაჰკარგე! სახელიც თუ შეგელახა, ადრე დამმარხე, ოღონდ შენს წახდენას ნუ მომასწრებ. ბარნაბმა თუ ვერ შეძლო, შენ როგორ შესძლებ? ვაი დედაშენს! (კიბეს მიაჩერდება). ნეტავი რად იგვიანებენ?

(კიბეზე გაიოზი, პარმენი და ალექსი გამოჩნდებიან. მაგდა ხეს მოუფარება).

პ ა რ მ ე ნ ი — მარინე წასულა!

გ ა ი ო ზ ი — მერე რამ შეგაშინათ, ჩემი სახლის სახურავი ახალი კრამიტითაა დაბურული.

ა ლ ე ქ ს ი — იქნებ მარინესთან ურჩევნია.

პ ა რ მ ე ნ ი — გამოგიტყდებით, მერჩია. ოთხი წელიწადია, ერთიმეორე არ გვიანახავს. კარგი მეგობრები ვიყავით.

გ ა ი ო ზ ი — ხვალაც მოესწრებით. მარინე აქვე მსახურობს.

პ ა რ მ ე ნ ი — ეგ მეამა.

ა ლ ე ქ ს ი — იქნებ ჩემთან წამობრძანდეთ!

პ ა რ მ ე ნ ი — არა, გმადლობთ, რაკი მარინესთან არ მივიღივარ, ამხანავ თავ-მჯდომარეს ვეწვევი, ორივენი ახლები ვართ და ალბათ ბევრ ახალს ვიტყვით.

ა ლ ე ქ ს ი — ძველს მოუსმინეთ და ახალი გააქეთეთ. ძილი ნებისა.

პ ა რ მ ე ნ ი — ძილი ნებისა.

(პარმენი გადის).

გ ა ი ო ზ ი — აქეთ წამობრძანდით. აღმართის ხომ არ გეშინიათ?

პ ა რ მ ე ნ ი — არა. გამიძეხით.

(ორივენი გადიან).

მ ა გ დ ა — კეთილი იყოს თქვენი გზა, შეილებო.

(მათ გაყვება. შორს ძალი ჰყვფს. თოვს).

ფ ა რ დ ა

სურათი მეექვსე

ბარნაბის ბინა. ბუხარში ცეცხლი ანთია. ფანჯარასთან დგას საწერი მაგიდა. კედელზე ჩონგური ჰკიდია. ღამა, გარეთ წვიმს. სცენაზე არაინაა. გამოდის მარინე და ხალამარე.

მ ა რ ი ნ ე — (საწვიმარმოხურული შემოდის) მობრძანდით, ბიძია ხალამარე.

ხ ა ლ ა მ პ რ ე — (კარებში) ტალახში ვარ ამოსერილი, იატაკს გაგიტუქუქიანებთ.

მ ა რ ი ნ ე — მობრძანდით. (საწვიმარს მოიხდის. ცეცხლზე ხელებს ითბობს) მამა, მამა! არ მოსულა?

ხ ა ლ ა მ პ რ ე — შინ არ ბრძანდება?

მ ა რ ი ნ ე — ამბობდა, სანადიროდ მივიღივარო, და ალბათ წავიდა.

(მაგიდას მიუჯდება. წერს).

ხ ა ლ ა მ პ რ ე — გაგაწვალეთ, შეგაწუხეთ.

მ ა რ ი ნ ე — (ქალაღდს აწვდის) ეს წამალი სასწრაფოა.



ხ ა ლ ა მ პ რ ე — ამ საღამოსვე მივაწვდი. ეშველება?

მ ა რ ი ნ ე — რასაკვირველია, ხვალ კიდევ ვნახავ, შეიძლება სააფხაზეთში დაეწვივინოთ.

ხ ა ლ ა მ პ ა რ ე — ოღონდ გადამიჩინეთ და პატივისცემა ჩემზე იყოს.

მ ა რ ი ნ ე — ჩვენთვის ყველაზე დიდი პატივისცემა თქვენი ჯანმრთელობაა. დროზე უნდა მიმართოთ ექიმს. თქვენი მეუღლე თურმე მთელი კვირაა სტუბიანია, ის კი მუშაობდა. ეს ყოველად დაუშვებელია.

ხ ა ლ ა მ პ რ ე — მას არ უთქვამს, მე კი რას შევტყობდი.

მ ა რ ი ნ ე — ისწრაფეთ, დილით ავადმყოფის მდგომარეობა შემატყობინეთ.

ხ ა ლ ა მ პ რ ე — კი, შენი ჭირიმე.

(გაღის).

მ ა რ ი ნ ე — (წერს. წერა დაამთავრა. ადგება. კარებთან მივა, გააღებს, ისევ მოხუარავს. მობრუნდება. ბუნხართან დაჯდება. ცეცხლს მისჩერებია. ღუმს. ესმის კაკუნი) ვინ არის?

(ფანჯარაში გაიხედავს, არაფერია. ჩონგურს ჩამოიღებს, დაჯდება).

ხ მ ა — მარინე! მარინე!

მ ა რ ი ნ ე — მობრძანდით! (კარებს აღებს). ვინ ბრძანდებით? არაფერია. ნეტავი ვინ მეხუმრება? გამოჩნდი, ვინა ხარ? სახუმაროდ ჯერ არ მცალია. არ გესმის? ალბათ ქარი მეხუმრება, სხვის მაგივრად ფანჯარაზე მიკაკუნებს. ჰო, ასეა, ქარი ზუმრობს. მაგრამ წუხელ ან იმის წინ? ქარი არ ყოფილა, ჰო, არ ყოფილა. ყოველ ღამით მეძახის ვიღაცა. ნეტავი ვინ არის?! მამაჩემი სად წავიდა? სანადიროდ მიედივარო, ახლა რა ნადირი უნდა ნახოს! (ჩაფიქრდება) ვერ ისვენებს. (ისევ ესმის ძახილი: მარინე! მარინე!) ვინა ხარ, მოდი, გესმის? მოდი! არაფერია. იქნებ ის არის და მოსვლა ვერ გაუბედავს? არა, არა, ის არ მოვა! მაშ ვინ არის, ვინ?

(ჩაფიქრდება. ჩონგურს აიღებს უკრავს. მღერის)

შალვა, ჩემო სიხარულო,
საცოცხლეზე შეტად ტკბილო,
ჩემი თავის სანუფეშოდ
ნაშობო და გამოზრდილო.

(გამოდის ბუბულა)

ბ უ ბ უ ლ ა — (გარედან) შეიძლება?!

მ ა რ ი ნ ე — მობრძანდით.

ბ უ ბ უ ლ ა — (შემოდის) რა კარგად მღერი, შენი ჭირიმე, შენს მოსასმენად ქარიც კი ჩადგა და გისმენდა.

მ ა რ ი ნ ე — მისმენდი?

ბ უ ბ უ ლ ა — ჰო, კარებთან ვიდექი. აბა, ხელს როგორ შეგიშლიდი, შენი ხმით ვტყებოდი.

მ ა რ ი ნ ე — წელან შენ ხომ არ მეძახდი?

ბ უ ბ უ ლ ა — არა.

მ ა რ ი ნ ე — არც აკაკუნებდი?

ბ უ ბ უ ლ ა — არა, გენაცვალე, ვინმე გეძახოდა თუ?

მ ა რ ი ნ ე — არა, მომესმა.

ბ უ ბ უ ლ ა — სოფელში მოგწყინდა ხომ?

მ ა რ ი ნ ე — მოწყენის დრო სადა მაქვს.



ჭ უ ქ უ ლ ა — პარმენი აქ არ მოსულა?

მ ა რ ი ნ ე — თათბირზე იქნება.

ჭ უ ქ უ ლ ა — მამაშენიც თათბირზეა ალბათ.

მ ა რ ი ნ ე — სანადიროდ წავიდა. მგელი უნდა მოვკლავ.

ჭ უ ქ უ ლ ა — ძველი ხელობა გაიხსენა, თაემჯდომარეობის დროს არ ეცალა და... მართალი გითხრა, გაიოზის საქციელი არ მომეწონა.

მ ა რ ი ნ ე — ჭუჭულა, დაუკარი რამე.

(ჩონგურს აწვლის)

ჭ უ ქ უ ლ ა — უი მოგიკვდი, შენი სიმღერის შემდეგ ბუღბუღსაც კი ერიდება, და მე გინდა ამაკაქანო?

მ ა რ ი ნ ე — იმღერე, ჭუჭულა, იმღერე. შენი ხმა მომწონს.

ჭ უ ქ უ ლ ა — დამცინი?

მ ა რ ი ნ ე — ხომ იცი, ჭუჭულა, დაცინვაცა და ჭორაობაც ერთნაირად მეჯავრება.

ჭ უ ქ უ ლ ა — ჩემი ხასიათის ყოფილხარ. მომკალი და ჭორს ნუ მათქმევინებ. ამ დილით ფატულია გატყვევილს, შენს მაგივრად, თვალეები კინაღამ ამოვკაწრე. დაიწყო ტლიყინი — მარინეს პარმენი უყვარსო. მერე, შენ რა გინდა-მეთქი... შესაფერი შესაფერს ეძებს! აბა ექიმი ჭალი ყანისთოხნია გაიოზას ხომ არ წაყვება-მეთქი...

მ ა რ ი ნ ე — იმღერებ თუ არა, ჭუჭულა?

ჭ უ ქ უ ლ ა — კი, შენი ჭირიმიე. შენც გეჯავრება ჭორების მოსმენა ხომ? თუმცა, რაც ფატულიამ თქვა, მართალსა ჰგავს. პარმენი კარგი ვაჟია.

მ ა რ ი ნ ე — აი, შენ რომ იცი სახუმარო, ის იმღერე.

ჭ უ ქ უ ლ ა — კი, შენი ჭირიმიე. (ჩონგურს ააწყობს) შენი და პარმენის ქორწილზეც ეს უნდა ვიმღერო. პარმენს სიმღერა ხომ უყვარს?

მ ა რ ი ნ ე — ყარამანი ხომ არ გინახავს? ავად იყო.

ჭ უ ქ უ ლ ა — კარგადაა. შენს მარჯვენას ლოცავს. მარინეს გამოწერილი წამალი მომიხდაო. პარმენიც იქ იყო და ასე უთხრა: მარინეს მარჯვენიც კარგი აქვს და გულიცაო.

მ ა რ ი ნ ე — ჭუჭულა!

ჭ უ ქ უ ლ ა — მე მოგიკვდე, თუ ასე არ ეთქვას.

მ ა რ ი ნ ე — აქ იყავი, მე ახლავე მოვალ.

ჭ უ ქ უ ლ ა — სად მიხვალ?

მ ა რ ი ნ ე — მამას მოვძებნი.

ჭ უ ქ უ ლ ა — მამაშენს რა დაკარგავს, ალბათ პარმენთან იქნება. მოიცა, ახალ სიმღერას მოგასმენინებ.

მ ა რ ი ნ ე — აბა, შენ იცი.

ჭ უ ქ უ ლ ა — (ნაძალადევად მღერის).

მთარე ამოდის სოფელში.
ქარი შრიალებს თოვლებში,
გოგონას ძინავს ლოჯინში,
სახე უღიმის ლოჯინში.

გულო...

სულო...

სიყვარულო...



მარინე — კარგი, გეყოფა, მე სამუშაო მაქვს.

ქუჭულა — გარეთ მაგდებ?

მარინე — საქმე თუ გაქვს, არა!

ქუჭულა — აბა, უსაქმოდ მოვიდოდი?

მარინე — თქვი.

ქუჭულა — გული მტკივა.

მარინე — დიდი ხანია?

ქუჭულა — იმის მერე, რაც გავიგე, რომ შენ პარმენი კი არა, გაიოზი...

მარინე — გასაგებია. შენ, ჩემო ქუჭულა, გული კი არა, ენა გტკივა. მაგისათვის კი ერთი წამალია; სინჯე. წადი!

ქუჭულა — გასაგებია. კარგად მენახე. (მარინე საწერ მაგიდას მიუჯდება) გასაგებია!

(გაღს).

მარინე — (წერს) „სისუფთავე ჯანმრთელობის საწინდარია“. ყოველი კოლმეურნე... (აღგება. წიგნთსაცავთან მიდის. ეძებს. აიღო ერთი წიგნი). ილია ჭავჭავაძე (ფურცლავს. კითხულობს) გაიოზი! (ფურცლავს კითხულობს) გაიოზი! მაშინ მეშვიდე კლასში ვიყავით.

(ფურცლავს. გამოდის ბარნაბი).

ბარნაბი — (კარები შემოაღო. ხელში მოკლული ტყის ქათამი უჭირავს) მარტო ხარ?

მარინე — ქუჭულა იყო.

ბარნაბი — ტყის ქათამი მოგკალი.

მარინე — რა ლამაზია!

ბარნაბი — რომ მოგკალი, მერე შემეცოდა. მაგრამ რომ არ მომეკლა, მე ვიქნებოდი საცოდავი. თვალი შეეამოწმე. ესე იგი ჯერ არ მოგხუცებულვარ.

მარინე — შენ თვალიც კარგი გაქვს და გულიც.

ბარნაბი — გული! გული არ მივარგა! ტკივილს ინახავს! ბოლმას ინახავს! (ბუხართან დაჯდება). გული კი არა, უთქმელი სიტყვის ცხრაკლიტულია.

მარინე — გაიხადე.

ბარნაბი — (იხდის) რას კითხულობ?

მარინე — ისე ვფურცლავდი „ოთარაანთ ქვრივს“, ვფურცლავდი.

ბარნაბი — „ოთარაანთ ქვრივს“? ჰო, ოთარაანთ ქვრივი...

მარინე — ძალიან არა ჰგავს ჩვენს მაგდას?

ბარნაბი — ეს ტყის ქათამი იქ მოგკალი, სადაც გაიოზი სახელის მოხვეჭას აპირებს.

მარინე — ისევე უბრაზდები?

ბარნაბი — ბაყაყებისა და წურბელების საბუღოა.

მარინე — ამოაშრობენ.

ბარნაბი — შეგიძლია, ტყის ქათამი გამიკეთო?

მარინე — ახლავე. შენ ჯერ არც გივანშმია. წელან აქ ალექსი იყო. თათბირზე მიგიწვიეს.

ბარნაბი — გაიოზმა დამიბარა?

მარინე — ალექსიმ გთხოვა.

ბ ა რ ნ ა ბ ი — მაშ გაიოზას როგორ ეკადრება. მე კი თვითონ დაედილი ყველასთან, ის კი ისე გათავხედდა, თურმე შემოდგომაზე მოხუცულ მფრინველ ხელახლად მოხენას და დაფარცხვას აპირებს. ეს მიტომ, რომ ჩემს ჩემს რომს უნდა გადააბიჯოს.

მ ა რ ი ნ ე — მამა!

(კაკუნს).

ბ ა რ ნ ა ბ ი — ნახე, ვინ არის?

თ ო მ ა ს ზ მ ა — თომა ვარ, თომა.

ბ ა რ ნ ა ბ ი — მოდი, თომა, მოდი!

თ ო მ ა — (შემოდის) მოდი კი არა, მოეთრიე-თქო; ასე მითხარი. კაი გამარჯობა!..

ბ ა რ ნ ა ბ ი — „მობრძანდი“-ს შემდეგ „მოდი“-ა, „მოდი“-ს შემდეგ „მოეთრიე“. გაგიმარჯოს.

თ ო მ ა — ზოგიერთის ნათქვამ „მობრძანდის“, შენი ნათქვამი „მოეთრიე“ მირჩევნია, როგორ გიციოხო?

ბ ა რ ნ ა ბ ი — „მოეთრიე“ მაინც „მოეთრიეა“. შენ ხომ კარგად ხარ?

მ ა რ ი ნ ე — დაბრძანდით, ბიძია თომა.

თ ო მ ა — გმადლობთ. ტყის ქათამი მოგიკლავს.

ბ ა რ ნ ა ბ ი — ჰო.

თ ო მ ა — რაღა გვიპირს. ძველი თავმჯდომარე ტყის ქათამს კლავს, ახალი კი თომას.

ბ ა რ ნ ა ბ ი — გაწყენინა?

თ ო მ ა — თათბირიდან მოვდივარ.

ბ ა რ ნ ა ბ ი — რაო?

თ ო მ ა — კარგი ჰქენი, რომ არ მოხვედი. ხვალ დილიდან იწყებს იმ ჰაობის დამუშავებას.

ბ ა რ ნ ა ბ ი — ხვალ დილას?

თ ო მ ა — აბა!

მ ა რ ი ნ ე — კარგად მოუფიქრებია.

თ ო მ ა — თქვენც ეთანხმებით?

მ ა რ ი ნ ე — დიახ! იქ მუშაობა ახლა უფრო ნაყოფიერი და ნაკლებმანებელი იქნება, ვინემ გაზაფხულზე ან ზაფხულში.

თ ო მ ა — ხომ დაცივდა ხალხი?!

მ ა რ ი ნ ე — პირიქით, ზამთარში ბუხართან უფრო იშვოვით სურდოს, ვინემ გარეთ. სუფთა ჰაერზე შრომას რა სჯობს, ყველაზე სუფთა ჰაერი კი ზამთარშია, ჩემო ბიძია.

თ ო მ ა — რა მეთქმის. გაიოზიდაც ასე მითხრა: ფრონტზე, თოვლში მეძინა და არ გაეცივებულვარო, ოთახში დავიძინე, ფანჯარა ღია დამრჩენოდა და გრიპი შემეყარაო. მერე მომდგა და გამაქიაქა. შენო ქვეშ-ქვეშა ცქერას მოეშვიო! თუ შეგიძლია, იმუშავე, თუ არა-და კოლექტივიდან მიბრძანდიო. ეს რომ მითხრა, მოგეცა ლხენა, ავყვირდი. მე რომ კოლექტივში შევედი, შენ მაშინ სკამქვეშ თამაშობდი-მეთქი. ახლა შენ თავმჯდომარე კი გქვია, მაგრამ თავზე კი არ დაგისვამ-მეთქი. თავზე არავინ არ გაჯდება, მაგრამ არც სხვის ზურგზე ჯდომის უფლებას მოგცემო.

ბ ა რ ნ ა ბ ი — მარჯვე ყაძახია!

თ ო მ ა — არა, მე სხვის ზურგზე მჯდომი მქვია?

- ბ ა რ ნ ა ბ ი — ჩვენს შორის დარჩეს და შენი გაკეთებული საქმე კაცს არ უნახავს.
- თ ო მ ა — აბა ეინ მარჩენდა?!
- ბ ა რ ნ ა ბ ი — გულკეთილი კოლექტივი.
- თ ო მ ა — ახლა?
- ბ ა რ ნ ა ბ ი — ის დრო წავიდა. სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. შეილო, ქაჭის არაყი გამოგვიტანე.
- თ ო მ ა — ა! ისეც ცეცხლი მეკიდება.
(მარინეს არაყი და ხილი მოატყეს).
- ბ ა რ ნ ა ბ ი — დავლიოთ.
- თ ო მ ა — ეხ, რა ვქნა, დავლიოთ. „დათვი რომ მოგერიოს, ბაბა უთხარო!“
- ბ ა რ ნ ა ბ ი — მშიშარა კაცს თავი დათვათ მოეჩვენება. გაგიმარჯოს.
(გადაჰკრავს).
- თ ო მ ა — გაიოზზე ამბობ?
- (გადაჰკრავს).
- ბ ა რ ნ ა ბ ი — არა, შენზე. იცოცხლე!
(დაისხამს, გადაჰკრავს).
- თ ო მ ა — მე ვარ თავი?
(გადაჰკრავს).
- ბ ა რ ნ ა ბ ი — არა, შენ მშიშარა ხარ! (დაისხამს) დალიე.
(გადაჰკრავს).
- მ ა რ ი ნ ე — მამა, რას ჩადიხარ! ღვინოს მოგიტან.
- ბ ა რ ნ ა ბ ი — არაყი მინდა.
- თ ო მ ა — მე მეტს არ დავლევ.
- ბ ა რ ნ ა ბ ი — დალევ და იმღერებ კიდევ! მაშ რისთვის მოხვედი? გინდა გული გამისიო? ფიქრობ, მე გაიოზის დამარცხება გამეხარდება?! არა! მე გაიოზის სიკეთე და გამარჯვება მინდა. ოლონდ მე ჩემს თავს ვუბრაზდები. რისთვის მაჯობებს! რად დავმარცხდი! წადი იმუშავე შენც, გაიოზ-მაკ, ყველამ და დაამტკიცეთ, რომ მე მტყუანი ვარ, რომ შეიძლება ჩვენი სოფელი დოვლათით აივსოს. წადი!
- თ ო მ ა — მართლა მიყვირი?
- ბ ა რ ნ ა ბ ი — შენ კი არა, ჩემს თავს ეუყვირი, თომა, ჩემს თავს. ნუ გეწყინება, დალიე, მეც დავლევ. დალიე.
- მ ა რ ი ნ ე — მამა, ვახშამს გამოგიტან!
- ბ ა რ ნ ა ბ ი — გამოიტანე, შენც ივახშმე.
- მ ა რ ი ნ ე — სიამოვნებით.
- თ ო მ ა — მე წავედი.
- ბ ა რ ნ ა ბ ი — არ გაგიშვებ.
- თ ო მ ა — სხვისი ნაშრომი არასოდეს არ მიჰამია და არც ახლა ვქამ.
- ბ ა რ ნ ა ბ ი — გეწყინა? დაჯექი.
- თ ო მ ა — კარგად შენახე!
- ბ ა რ ნ ა ბ ი — ახლა თუ წახვალ, მერე ნურც მნახავ.
- თ ო მ ა — უკვე გვიანია. მერე, შენ ხომ იცი, მაგდანეს ბრიგადაში ვარ.
- ბ ა რ ნ ა ბ ი — ნუ გეშინია, მე ვეტყვი, რომ...

- თომა — შენი ნათქვამი როცა რამედ ღირდა და გიჯეროდნენ, ჰო, მაგრამ...
 ბარნაბი — შენ ფიქრობ, ჩემს ნათქვამს ფასი აღარა აქვს? ყარქანული
- თომა — ეხ... კარგად მენახე, თვარა კოდეე წამომცდება რამე დამსაღიწმენი
- ბარნაბი — კარგი, წადი!
- თომა — კარგად იყავი.
 (გაღს).
- ბარნაბი — ჩემს სიტყვას ფასი არა აქვს? ეგ ტყუილია. შეიძლება გაიოზი-
 სათვის ფასი არ ჰქონდეს, მაგრამ... მოდი, ჩემთან... თომა გამექცა.
- მარინე — მამა!
- ბარნაბი — ნუ მანუგეშებ. ნეტავი პარმენი მაინც მოვიდოდეს. მაშ ხვალ
 კაობის ამოშრობაზე იმუშავებენ. მისი ამოშრობა არასოდეს არ მიფიქრია.
 გაიოზმა კი გაბედა.
- მარინე — შენც ხომ იმუშავებ?
- ბარნაბი — ღვინო მომიტანე. ნეტავი ვინმე მოვიდოდეს. მარტოობა არ
 შემიძლია.
- მარინე — მეც დავლევ.
- ბარნაბი — შენ არ მოგწყინდა, შეილო?
- მარინე — მოწყენისათვის დრო არ მყოფნის.
- ბარნაბი — ვის ელოდები?
- მარინე — არავის.
- ბარნაბი — გათხოვებას არ აპირებ?
- მარინე — ტყის ქათამი ახლა გაგიკეთო თუ დლით?
- ბარნაბი — რაც აღრე იქნება, უკეთესია. დაგვიანება ყველაფერს ავნებს,
 აფუჭებს. ერთხელ მეც დავიგვიანე და მთელი ჩემი სიცოცხლე ვნანობ.
 წამიკითხე რამე... მიყვარს, როცა შენ კითხულობ.
- მარინე — რა წაგიკითხო?
- ბარნაბი — წამიკითხე, აი, „ოთარაანთ ქვრივი“ წამიკითხე.
- მარინე — რატომ მაინცადამაინც „ოთარაანთ ქვრივი“, ლექსი არ გიყვარს?
- ბარნაბი — ლექსი სიმღერაა, მე კი სიმღერის ხასიათზე არა ვარ.
- მარინე — მაშ „ოთარაანთ ქვრივი“.
- ბარნაბი — რაც გინდა, წამიკითხე. ანდა არა-და, ჯერ ვიფასშმოთ. შენს
 სიტყვას როცა ფასი ჰქონდა... გაიგონე, თომამ რა თქვა? ესე იგი ჩემს
 სიტყვას ფასი აღარა აქვს.
- მარინე — მამა!
- ბარნაბი — ნუ მეფერები.
- მარინე — „ბებერი ხარის რქანიც ეწევიანო“.
- ბარნაბი — რქებით მოხნული არ კმარაო, ასე მითხრეს. ნეტავი ვინმე
 მოვიდოდეს..
- მარინე — წავალ, დავუძახებ.
- ბარნაბი — თუ არ გეზარება წადი, ვინმეს დაუძახე. ლუქმა ყელში არ ჩა-
 დის.
- მარინე — ახლაც, ვის დავუძახო?
- ბარნაბი — ვინც გინდა იყოს.
- მარინე — მივდივარ. (შალი მოიხურა) უჩემოდ არ დალიო. (წასვლა სურს.
 კაკუნი) აი ვილაც მოვიდა.



ბარნაბი — გაულე შეილო, კარი!

მარინე — (კარებს ალებს) მობრძანდით.
(გამოდის გაიოზი)

გაიოზი — (კარებთან) შეიძლება?

ბარნაბი — ვინ არის?

გაიოზი — მე ვარ, გაიოზი.

მარინე — მოდი, გაიოზ.

გაიოზი — იქნებ ბარნაბ-ბიძიას არ სურს ჩემი მიღება?

მარინე — მამა!

გაიოზი — თუგინდ გამლახოს, მე მაინც შემოვალ.

ბარნაბი — რატომ? აქაც კრებას ხომ არ მიწყობ? ოჯახიდან ხომ არ გინდა გადამირჩიო?

მარინე — მამა, რა მოგდის?

გაიოზი — მე არავის გადასარჩევად არ მოვსულვარ. თათბირზე არ ყოფილხარ, იქნებ შეუძლოდ არის-მეთქი, და მოგაკითხე. შენ ხომ ჩემი ბიძია ბარნაბი ხარ?

მარინე — დაჯექი, გაიოზ.

ბარნაბი — არა, ფეხზე იდგეს, უმცროსია.

გაიოზი — არც მაგით დამიშავდება რამე.

ბარნაბი — ვინა ხარ, კაცო შენ?

გაიოზი — გაიოზი ვარ.

ბარნაბი — რომელი გაიოზი? ფხიკიანი, თავნება, ამაყი ბავშვი იყო. შენ კი ვინა ხარ?

გაიოზი — მუდამ ბავშვი ხომ არ ვიქნებოდი!

ბარნაბი — გაიზარდე, ჩემზე უფროსი გახდეს? კეუას მასწაველი? წადი, შენ ჩემთვის მუდამ ბავშვი იყავი და იგივე ბავშვი დარჩები. წადი!

გაიოზი — კარგი, მე წავალ!

ბარნაბი — მემუქრები?

გაიოზი — ბოდიშს ვიხდი, თხოვნა მქონდა. რა დაგიშავე? სტუმრად მაინც მიმიღე.

(მიდის).

მარინე — მამა!

ბარნაბი — მოიცა! (გაიოზი მიდის) გაიოზ! (გაიოზი შეჩერდება) მოდი!

გაიოზი — მე...

ბარნაბი — დაჯექი! (გაიოზი დაჯდება) დაღვე?

გაიოზი — არა!

ბარნაბი — ღვინოს?

გაიოზი — არა, ჯერ საქმე მაქვს.

ბარნაბი — მითხრეს, ხვალ ქაობზე შეტევას აპირებსო.

გაიოზი — კარგად უთქვამთ, სწორედ რომ შეტევას ვაპირებ, და შენთან მოვედი, ბიძია ბარნაბ.

ბარნაბი — რისთვის?

გაიოზი — ასე გადაწყვიტე: იმ ბრიგადის უფროსი შენ უნდა იყო.

ბარნაბი — რომელი ბრიგადის?

- გ ა ი ო ზ ი — აი იმ ბრიგადის, რომელმაც უზარმაზარი საუკეთესო ნაკვეთი უნდა გამოსტაცოს ჭაობს ხელიდან.
- ბ ა რ ნ ა ბ ი — მემასხრები? კრებაზე მაგ საქმის წინააღმდეგი მე ვიყავი, ეს ყველა იცის.
- გ ა ი ო ზ ი — ჰოდა, პირველი ბარე შენ უნდა დაჰკრა.
- ბ ა რ ნ ა ბ ი — მოვიფიქრებ.
- გ ა ი ო ზ ი — ყველაფერი მოფიქრებულია, ხვალ დილით ვიწყებთ შეტევას, ახლა შეტევის წინა ღამეა. მახსოვს: ერთხელ ამხანაგმა ბერიოზინმა, (ბერიოზინი ჩვენი ასეულის პოლიტხელი იყო), საცეცხლე პოზიციის ჩამოვლის შემდეგ შეკრიბა კომუნისტები, სულ ექვსი კაცი. მეშვიდე უპარტიო ბოლშევიკი მრავალ ბრძოლაგადახდილი მიხინი მოიხმო. დილით შეტევაზე გადავდივართ, ასე დაიწყო პოლიტხელმა. მე არ ვიცი, მაშველი ძალები როდის მოვლენ, ერთი რამ აშკარაა: უნდა გავუძლოთ ხვალინდელ დღეს. ჩვენი ასეულიდან უმრავლესობა ხვალ პირველად ჩაებმება ბრძოლაში. გაუთოფავნი არიან. ისინი ცეცხლში უნდა ვატაროთ. მთელი პასუხისმგებლობა ჩვენ გვეკისრება. მაგრამ, როდის ან სად გაურბოდნენ კომუნისტები პასუხისმგებლობას? და აი ყველაზე მძიმე წუთებში ყველა ჩვენგანს ახსოვდეს ერთი სიტყვა: „პარტია“, და ჩვენ ვავიშარჯვებთ. „რას იტყვი, მიხინ?“ შეეკითხა პოლიტხელი „უპარტიოს“, მაგრამ ძველ ჯარისკაცს. „რა უნდა ვთქვა... ყველაფერი გასაგებია“, უბასუხა მიხინმა. „მხოლოდ ხელყუმბარები არ მოგვაკლოთ“. აი ის ღამე მაგონდება ახლა, და მე მოვედი შენთან არა ბრძანებით, არა მასწავლებლად, არამედ თხოვნით. რას მეტყვი?
- ბ ა რ ნ ა ბ ი — (დაუსხამს) დალიე!
- გ ა ი ო ზ ი — ჯერ არა.
- ბ ა რ ნ ა ბ ი — შეხედე შენ?! რამოდენა გაზრდილხარ, ბიჭო!
- გ ა ი ო ზ ი — მოხვალ?
- ბ ა რ ნ ა ბ ი — გაგიმარჯოს. (გადაჰკრა) მოვალ.
- გ ა ი ო ზ ი — მჯეროდა, მადლობელი ვარ. (მოეხვევა). მამ ხვალ ვიწყებთ.
- მ ა რ ი ნ ე — გაიოზ, მე არ გამოგადგები?
- გ ა ი ო ზ ი — თქვენ?
- მ ა რ ი ნ ე — რატომ თქვენობით?
- გამოსვლა: პარშენი.
- პ ა რ მ ე ნ ი — (შემოდის), ლაპარაკი მესმის და არ ვაკეკუნებ.
- მ ა რ ი ნ ე — ო, პარშენ, კარგ დროს მოხვედი. მამა ქეიფის ხასიათზეა.
- პ ა რ მ ე ნ ი — მამ ყველაფერი რიგზე ყოფილა. „დღეს აქ ვიჭეიფებ, ხვალ იქ“. „იოანე მრისხანეც“ აქ ყოფილა.
- მ ა რ ი ნ ე — ვინა, გაიოზი?
- (იციხის).
- პ ა რ მ ე ნ ი — მრისხანე და მერე როგორი?
- მ ა რ ი ნ ე — გაიოზ, მართლა?
- გ ა ი ო ზ ი — მაგას უყურებთ?
- პ ა რ მ ე ნ ი — მამ, რაკი არ „მრისხანებ“, მოვილხინოთ.
- გ ა ი ო ზ ი — თქვენ ამ ღამით ღვინის სმას აპირებთ?
- პ ა რ მ ე ნ ი — რატომაც არა.
- ბ ა რ ნ ა ბ ი — ორიოდე ჭიქა არ გაწყენთ.

- გ ა ი ო ზ ი — არა, მე არა. პარმენი ცოტას დალევს და ჩემთან წამოვა.
- პ ა რ მ ე ნ ი — რამდენიც მინდა, იმდენს დალევ და არსადაც არ წაწმენდა!
- გ ა ი ო ზ ი — აქ დარჩები? თქვენ მგონი უკვე დაგიღვეათ.
- პ ა რ მ ე ნ ი — ცოტა გადავყარი.
- გ ა ი ო ზ ი — მე თქვენთან საქმე მაქვს.
- მ ა რ ი ნ ე — პარმენს ამ ღამით არსად არ გაუშვებთ.
- გ ა ი ო ზ ი — ბოდიშს ვიხდი. ხვალ გელოდები, ბიძია ბარნაბ.
- (სასწრაფოდ გადის).
- ბ ა რ ნ ა ბ ი — გაიოზ!
- მ ა რ ი ნ ე — რა ეწყინა?
- პ ა რ მ ე ნ ი — არ მესმის.
- ბ ა რ ნ ა ბ ი — მე მესმის. ჩვენში საქმის დროს არ თვრებიან.
- პ ა რ მ ე ნ ი — ჰოო?!
- ბ ა რ ნ ა ბ ი — ჰო!

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მეოთხე

სურათი მეშვიდე

კოლმურწინების თავმჯდომარის კაბინეტი. კუთხეში წიგნების კარადა. ფანჯრიდან მოჩანს აფდა-ვებული ატმისა და ტფულის ხეები. კაბინეტში არიან პარმენი და თომა.

- პ ა რ მ ე ნ ი — რაც გელაპარაკე, გაიგე თუ არა?
- თ ო მ ა — არხეინად იყავით, რაც გაიოზი თავმჯდომარედ გეყავს, რასაც არ მელაპარაკებთან, იმას ტყებულობ და შენს ნათქვამს როგორ ვერ გაიგებ? ახლა ისე ნათელია ჩემთვის ყველაფერი, თითქოს აგრონომი თქვენ კი არა, მე ვიყო. ამ სიბერის დროს წიგნების კითხვაც კი არ დამიწყია, თოხის კულტურას მასწავლიან. კარგად მენახეთ.
- პ ა რ მ ე ნ ი — მოიცა, თომა, თოხის კი არა, თოხნის კულტურა.
- თ ო მ ა — თუ ხათრი გაქვს, ნუ მომაცდენ. დღეს რომ ჩემი ნაკვეთის გამოხშირვა არ დავამთავრო, გაიოზი კოლექტივიდან მე გამოხშირავს.
- პ ა რ მ ე ნ ი — ნუ გეშინია.
- თ ო მ ა — შემპირდა, ბატონო.
- პ ა რ მ ე ნ ი — რას შეგპირდა?
- თ ო მ ა — თუ გამოხშირვა და მეოთხე გათოხნა არ დაგიმთავრებია, მიწას არ მოგაცდენინებ, სხვას გადავცემო.
- პ ა რ მ ე ნ ი — შეუშინებხარ.
- თ ო მ ა — რაც თქვა, ყველაფერი შეასრულა და, მისი ხასიათი რომ ვიცი, ამ პირობასაც არ დაარღვევს.
- პ ა რ მ ე ნ ი — გამარჯვების გჯერა, თომა?
- თ ო მ ა — პირველად ახალგაზრდული სიგიჟე მეგონა, მაგრამ ახლა, როცა... თქვენ მართლა ურწმუნო თომა ხომ არ გგონივართ?!
- პ ა რ მ ე ნ ი — მერე აქამდე სად იყავით?
- თ ო მ ა — მუშაობით უფრო მეტს ვმუშაობდით, კრებებსა და თათბირებსაც უფრო ხშირად ვმართავდით. ენას ვაქანებდით, თურმე თავის ვაქანებაც ყოფილა საჭირო. შენ მაგდა უნდა ნახო, ყოველ ძირ სიმინდს ისე დას-ტრიალებს, როგორც კრუხი წიწილებს.



- პ ა რ მ ე ნ ი — მაგდას ყანას კარგი პირი უჩანს.
- თ ო მ ა — ნაპობარზე ბარნაბის სიმინდმა აჯობა. ახლა მე გავიჭეცნიე თვაჩა აგერ ა, (საათს ამოიღებს), უკვე ოცი წუთი დაეკარგე. (გარბის).
- პ ა რ მ ე ნ ი — მგონი მეც ვიგვიანებ.
- გ ა მ ო ს ვ ლ ა: გაიოზი და ალექსი.
- გ ა ი ო ზ ი — (შემოდის. მას ალექსი მოჰყვება). ა! ეს კიდეც აქ არის!
- პ ა რ მ ე ნ ი — აბა სად უნდა ვიყო?!
- გ ა ი ო ზ ი — რას მეკითხები? სად თოხნიან სიმინდს? ნაპობარზე თუ ჩემს კაბინეტში?
- პ ა რ მ ე ნ ი — ნუ ღელავ, მე იქ უკვე ვეყავი.
- გ ა ი ო ზ ი — ბოდიში, აქ რას აკეთებ?
- პ ა რ მ ე ნ ი — თომას რჩევა-დარიგება მივეცი, ახლა ნაკვეთებზე მივდივარ.
- გ ა ი ო ზ ი — ზეგანზე სიმინდი ფერმკრთალია.
- პ ა რ მ ე ნ ი — ზომები უკვე მიღებულია, გამოცოცხლდება. მაგდას ბრიგადაში ვიქნები.
- ა ლ ე ქ ს ი — თუ მოახერხო, მეზობელ კოლმეურნეობაში ადი.
- პ ა რ მ ე ნ ი — გაღმელებთან რა საქმე მაქვს?
- ა ლ ე ქ ს ი — გავიგე, რაღაც უჭირთ.
- პ ა რ მ ე ნ ი — არაფერიც არ უჭირთ. აქედანვე იციან, რომ შეჯიბრებაში ჩვენ ვაჯობებთ და მიზეზს ეძებენ.
- ა ლ ე ქ ს ი — ჰოდა, მიდი, გაიგე, რა მიზეზი აქვთ, იქნებ მართლა უჭირთ და დაეხმარე!
- გ ა ი ო ზ ი — ჰო, ჰო, თუ რაიმე ეშველებათ, მოეხმარეთ. იმიტომ კი არ ვეჯიბრებით, რომ მათი წახდენა გვსურდეს, არამედ გვინდა ვაჯობოთ.
- პ ა რ მ ე ნ ი — თუ ისიც კარგი შეიქნა, რითი აჯობებ?
- გ ა ი ო ზ ი — კარგს უნდა აჯობო, თვარა გლახას და უკანწასულს აჯობო, რა ვაუკაცობაა? (გამოდის მარინე)
- მ ა რ ი ნ ე — (შემოდის) გამარჯობათ.
- ყ ვ ე ლ ა — მარინეს სიცოცხლე!
- მ ა რ ი ნ ე — გაიოზ, მე მზადა ვარ. სად შეიძლება დღეს საუბრის ჩატარება?
- გ ა ი ო ზ ი — (საათს დახედავს) ხუთი წუთის შემდეგ მესამე ბრიგადა შეისვენებს. თუ არ დაიგვიანებთ, კარგი იქნება.
- მ ა რ ი ნ ე — მოვასწრებ.
- ა ლ ე ქ ს ი — ეცადეთ, თქვენი საუბარი ათ წუთს არ გადააცილოთ. რა საკითხზე ატარებთ საუბარს?
- მ ა რ ი ნ ე — მალარია და ბრძოლა მის წინააღმდეგ.
- ა ლ ე ქ ს ი — სასიამოვნოა.
- გ ა ი ო ზ ი — ერთი თხოვნა: სწორედ მესამე ბრიგადაში ხალამპრე მუშაობს, თვითონ არ ამხელს, მაგრამ მე შევატყვე, თავს ძალას ატანს, ავად უნდა იყოს. მიხედეთ.
- მ ა რ ი ნ ე — უსათუოდ. (სასწრაფოდ გადის).
- პ ა რ მ ე ნ ი — მარინე, მოიცა, მეც იქით მოვდივარ. (მიდის).



გ ა ი ო ზ ი — პარმენ, საით?

პ ა რ მ ე ნ ი — მესამე ბრიგადაში.

გ ა ი ო ზ ი — აკი პირველ ბრიგადაში უნდა ასულიყავი?

პ ა რ მ ე ნ ი — არა, ჯერ მესამე ბრიგადაში მაქვს საქმე.
(გარბის).

გ ა ი ო ზ ი — (ამოიხვნეშებს). მესამე ბრიგადაში! სწორედ იქ არის ფერმკრთა-
ლი სიმინდი.

ა ლ ე ქ ს ი — შენ უფრო ფერმკრთალი მეჩვენები, გაიოზ!

გ ა ი ო ზ ი — თავს კარგად ვგრძნობ, თუმცა თქვენ უკეთ ზედავთ.

ა ლ ე ქ ს ი — რითი ხარ უკმაყოფილო? საქმე კარგადაა. კოლმეურნეობა წინ
მიდის.

გ ა ი ო ზ ი — ჯერ კიდევ ბევრი რამ მაკლია.

ა ლ ე ქ ს ი — გაისად დაუსწრებელზე ჩაირიცხები, ისწავლი.

გ ა ი ო ზ ი — დიახ.

ა ლ ე ქ ს ი — კარგია.

გ ა ი ო ზ ი — მე აქედან უნდა წავიდე.

ა ლ ე ქ ს ი — შენი სოფელი გინდა დატოვო? არსადაც არ წახვალ.

გ ა ი ო ზ ი — ეს ჩემთვის საჭიროა, აუცილებელი. შენ არ იცი, რომ ეს გული...

ა ლ ე ქ ს ი — ყველაფერი ვიცი. ყური დამიგდე.

გამოსვლა: ჭუჭულა.

ჭ უ ჭ უ ლ ა — (შემორბის) მიშველეთ და დამიფარეთ!
(საფარძელში დაეშვება).

გ ა ი ო ზ ი — ვინ მოგდევს? რა გემართება?

ჭ უ ჭ უ ლ ა — გული ძაფზე მკიდია, სადაცაა სამუდამოდ მომწყვდება.

ა ლ ე ქ ს ი — რა იყო?

ჭ უ ჭ უ ლ ა — იასონამ შემიკლა ხელში, მერგოლურმა.

გ ა ი ო ზ ი — რა გითხრა?

ჭ უ ჭ უ ლ ა — ნამუშევარი დამიწუნა.

გ ა ი ო ზ ი — მერე, აქ რომ მორბოდი, ბრიგადირი იქ არ არის?

ჭ უ ჭ უ ლ ა — ბარნაბი?

გ ა ი ო ზ ი — ჰო, ბარნაბი.

ჭ უ ჭ უ ლ ა — ბარნაბი იასონს ეთანხმება.

გ ა ი ო ზ ი — ჰოდა, აბა მეც იასონსა და ბარნაბს ვეთანხმები.

ჭ უ ჭ უ ლ ა — აბა, სამართალი ველარ მიპოვნია.

გ ა ი ო ზ ი — წადი, იმუშავე და სამართალსა და შენს სიმართლეს შრომაში
იპოვი.

ჭ უ ჭ უ ლ ა — ჩემი ახალგაზრდობა ბარნაბთან და იასონთან ჯაჯღანში უნდა
დავლიო...

გ ა ი ო ზ ი — არა, შენი ახალგაზრდობა შრომაში უნდა ააყუავო.

ჭ უ ჭ უ ლ ა — ვიცი, ბარნაბი რისთვისაც მჩაგრავს, მაგრამ რას ვიზამ.

ა ლ ე ქ ს ი — რა იცი?

ჭ უ ჭ უ ლ ა — რომ გითხრათ, ქორიკანობად ჩამითვლით.

ა ლ ე ქ ს ი — თქვი.

ჭ უ ჭ უ ლ ა — იმ საღამოინდელი ამბავია.

ა ლ ე ქ ს ი — რა საღამოზე ლაპარაკობ?

ჭ უ ჭ უ ლ ა — ბარნაბი რომ გადაირჩიეს, მის წინააღმდეგ ხელი აეწიე. სწო-

რედ ის ხელი უნდა გამიხმოს ღმერთმა! აბა რა მექნა, ბარნაბისათვის შეუგნებელი ხომ არ გავხდებოდი!

გ ა ი თ ზ ი — „შეგნებული“, მე ახლა შენს ნაკვეთზე მოვალ და...
დაც ერთი ძირი სარეველა ბალახი ვნახო...

ჭ უ ჭ უ ლ ა — ა, უკვე მოგახსენეს ხომ?

გ ა ი თ ზ ი — რა მომახსენეს?

ჭ უ ჭ უ ლ ა — სწორედ მაგას მედავება იასონიც, რალაც რამდენიმე ძირი სარეველა ბალახი გამეპარა და...

გ ა ი თ ზ ი — გაგეპარა?

ჭ უ ჭ უ ლ ა — შენს თავს გეფიცები გამეპარა.

გ ა ი თ ზ ი — აბა ახლა გაიპარე აქედან, თორემ... შენს საკითხს საერთო კრებაზე დავსვამ.

ჭ უ ჭ უ ლ ა — შენც ბარნაბს ემხრობი? ვიცე, ვიცე, რაშიც არის საქმე.

გ ა ი თ ზ ი — წადი, იმუშავე და ენას მოუარე!

ჭ უ ჭ უ ლ ა — ჩემი ენა საკოლმეურნეო ნაკვეთი კი არ არის, რომ შენს განკარგულებაში იყოს. რასაც მინდა იმას ვიტყვი, რასაც მინდა, იმას ვაკეთებ.

გ ა ი თ ზ ი — მაშინ სადაც გინდა, იქით წადი!

ჭ უ ჭ უ ლ ა — წავალ! რაისაბჭოში წავალ! იქ არაფერი გამოვა და რაიკომის მდივანთან მივალ. წავალ და დაგიმტკიცებთ, რომ მე ჭუჭუღა შექვია, მაგრამ ჭუჭუღი არა ვარ.

(მიდის).

ა ლ ე ქ ს ი — გაპყევი. ნუ გაუჯავრდები. ეცადე, მის შეგნებაზე იმოქმედო.

გ ა ი თ ზ ი — ენამეტია.

ა ლ ე ქ ს ი — ალბათ რამე აწუხებს ან ვინმე აწუხებს.

გ ა ი თ ზ ი — პირიქით, თავისი ენით ეგ აწუხებს სუყველას.

ა ლ ე ქ ს ი — თუ რაიმე არ ტყივა, ყვირილს არ დაიწყებს. მოუსმინე.

გ ა ი თ ზ ი — ბევრჯერ მომისმენია, მისი წამალი შრომაა. შრომა შეიყვაროს და ყველაფერი რიგზე იქნება.

ა ლ ე ქ ს ი — წავიდეთ, მისი ნაკვეთი ვნახოთ.

გ ა ი თ ზ ი — სადაც ბარნაბია, იქ შემოწმება რა საჭიროა?

ა ლ ე ქ ს ი — ასე ენდობი?

გ ა ი თ ზ ი — საკუთარ თავზე უფრო. მონდომებით მუშაობს. ხანდახან დედაჩემსაც წახმარება ხოლმე.

ა ლ ე ქ ს ი — დედაშენმა იცის?

გ ა ი თ ზ ი — არა. ეს მხოლოდ მე ვიცი. ერთხელ, მთავარიან ღამეს, ყანებში გავიარე. ვხედავ, დედაჩემის ნაკვეთზე ვილაც მუშაობს, თოხნის. ბარნაბი იყო. ჯერ მითხრა, ჩემი მეგონაო. იცრუა. ბარნაბს კი ტყუილი არ ეხერხება. მეცოდებაო. მთხოვა, დედაჩემისთვის არ მეტყვა. კეთილშობილი კაცია. მუდამ უყვარდა სხვისთვის ხელის გამართვა. ბარნაბა მინახავს ამ ენამეტ ჭუჭუღლას ნაკვეთზედაც რომ მუშაობდა. ახლა ფერმის მშენებლობაზე წავიდეთ.

ა ლ ე ქ ს ი — კარგი. მარინეს არ მოვუსმინოთ?

გ ა ი თ ზ ი — მარინეს? არა, როგორც გსურდეთ.

ა ლ ე ქ ს ი — წავიდეთ, ჯერ მარინეს მოვუსმინოთ.

გ ა ი თ ზ ი — ნულარ ვიგვიანებთ. თქვენ მარინეს მოუსმინეთ, მე კი ფერმის მშენებლობაზე ვიქნები.

(გადიან. შორს გურული „ნაღური“ ისმის. სცენა კარგა ხანს ფარეულია).

გამოსვლა: მაგდა.

მაგდა — (შემოდის. თოხით ხელში) წასულა. (დაჯდება) იქნებოდა, ყოჩალი შვილი მყოლია. ნაჭრილობევი არც კი ეტყობა. თუმცა, გული რომ სტკივა, ეს აშკარაა. წუხელი სამჯერ გამოვლევია. ვილაც მეძახისო. ვილაცამ თანჯარაზე დამიკაქუნაო. არავინ იყო, არავინ ეძახოდა. შენ გინდა, რომ გეძახოდეს. ეხ, ნეტავ ის ქალი გათხოვდებოდეს. გაიოხს გული დაუდინჯდება. ნუ მომკლავ, შვილო, შენი შვილი რომ არ ეიხილო...
(გამოდის ბარნაბი)

ბარნაბი — (შემოდის) გაიოხი არ არის?

მაგდა — ველოდები, არ დამხვედრია.

ბარნაბი — რა გაგვირვებია?

მაგდა — თოხია მოუპირავი.

ბარნაბი — მაჩვენე.

მაგდა — მე ვერ მივხვდები თუ?

ბარნაბი — გაელესავ.

მაგდა — მარტო გალესვა არ კმარა, მოპირვა საჭირო.

ბარნაბი — შვედელთან მიგეტანა.

მაგდა — აქ რომ მოვიტანე, რა დაშავდა! გეგმის შესრულებას რომ მთხოვს, იარაღის მოწესრიგებაზედაც უნდა იზრუნოს.

ბარნაბი — ტყუილად უბრაზდები. გაიოხს არაფერი არ ავიწყდება.

მაგდა — არაფერიო, ამბობ? იქნებ შენთვის არაფერია.

ბარნაბი — ვერ მიცნობ.

მაგდა — მე სხვას ვამბობ. დღე მუშაობს, ღამით წიგნებს ჩაჰკირკიტებს. ყველაფერს ასწრებს. მხოლოდ ერთ რამეს იგვიანებს.

ბარნაბი — მიგიხვდი.

მაგდა — რძალი მენატრება, ბარნაბ, რძალი.

ბარნაბი — ეგ მისი პირადი საქმეა.

მაგდა — აბა მე როგორ ჩავერევი.

ბარნაბი — რას აპირებს, ვერ ჰკითხე?

მაგდა — სიტყვა ბანზე ამივლო.

ბარნაბი — მეც მაგ დღეში არა ვარ?

მაგდა — ქალმა გათხოვება არ უნდა დაიგვიანოს. ბარმენზე ამბობენ...

ბარნაბი — რა ვიცი...

მაგდა — ვერ ჰკითხე?

ბარნაბი — ვილაც უყვარს!

მაგდა — ვინ არის ის ბედნიერი?

ბარნაბი — არ ამბობს. ვერც მე ვაძალებ. სხვამ ურჩიოს, კარგია, მაგრამ სიყვარულის საქმეში ჩარევა არ ვარგა. სჯობს თვითონ გადაწყვიტოს, თორემ... ერთ კაცს ვიცნობ, ბირველად უყვარდა, მშობლებმა არ დაანებეს. სხვა შერთეს. იმ სხვასთან ცხოვრობდა, მაგრამ გულდაკოდილი... არ ვარგა, მშობლები რომ სიყვარულის საკითხში ბრძანებლობენ.

მაგდა — ჰო, ჰო! მაგრამ რა ექნა, ეს გული რომ ვერ ითმენს?

ბარნაბი — რა გითხრა, როცა მეც შენს ბედში ვარ.

ქუქულა — მაგდანე, მაგდა.

მაგდა — ჭუჭულა მეძახის. (ფანჯრიდან გადასძახებს) რა ცეცხლი წაგვიღა!
რა გინდა!

ჭუჭულა — თავმჯდომარე გიბარებს, ქვევით, ბრიგადაშია.

მაგდა — (ბარნაბს) ასეა, არც ჩარევა ვარგა, მაგრამ ჩაურევლობაც აწყენს.
დარწმუნებული იყავი, მარინეს ბედნიერება გამეხარდება.
(გაღის).

ბარნაბი — დარწმუნებული ვარ, მაგრამ მე რას გავხდები. ეს მათი ბეწადი
საქმეა.

(დაუიქრდება. გამოდის მარინე).

მარინე — (შემოდის) რაზე ჩაფიქრებულხარ, მამა?

ბარნაბი — ვფიქრობ იმაზე, რასაც ვერასოდეს ვერ ვიტყვი.

მარინე — ვერც მე მეტყვი?

ბარნაბი — ვერავის. სად იყავი?

მარინე — საუბარი ჩავატარე.

ბარნაბი — გაიოზიც იქ იყო?

მარინე — არა, ალექსი დამესწრო.

ბარნაბი — ნეტავი თუ ვისმეს სჯერა შენი ექიმობის?

მარინე — მამა!

ბარნაბი — ალბათ გულში ამბობენ, ჯერ საკუთარ თავს უმკურნალოსო.

მარინე — მე ჯანმრთელად ვარ.

ბარნაბი — ღამით რად იხრავ? რად ვერ იხვენებ? რად არ მეუბნები?

მარინე — „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა“.

ბარნაბი — არაფერი არ დაშავდება, შეილო, თქვი!

მარინე — ნუ გეფიქრება, მონაზნად არ წაეალ. მე პუნქტში მივდივარ.

(გამოდის გაიოზი).

გაიოზი — (შემობის) ძლივს გიპოვეთ!

მარინე — რა მოხდა?

გაიოზი — უშველეთ, ჩქარა უშველეთ.

მარინე — ვის?

ბარნაბი — შეელა ვის სჭირდება?

გაიოზი — თომას. ხიდან გადმოვარდა. ფეხი მოიტეხა, ღია ქრილობაა.

ბარნაბი — თომა!

მარინე — ფეხი მოიტეხა.

გაიოზი — დიახ, ფეხი. ჩქარა!

მარინე — აბა მე რა ვუშველო, მე ხომ დოსტაქარი არა ვარ.

გაიოზი — თქვენ სოფელში მომუშავე ექიმი ხართ.

მარინე — გაიოზ!

გაიოზი — ფრონტზე პირველად დავიქერი. ყუმბარამ ბარძაყის ძვალი და-
მიშხვრია და პირველი დახმარება კბილის ექიმმა აღმომიჩინა.

მარინე — სტოვმატოლოგმა?

გაიოზი — დიახ!

მარინე — მაგრამ იქ ფრონტი იყო.

გაიოზი — აქ სოფელია და გთხოვთ ექიმის მოვალეობაზე ნუ მალაპარაკებთ.
თქვენ, რაკი-სხვა სპეციალისტები არა გყვანან, ყოველ აღამიანს ყოველ-
გვარი დაავადების შემთხვევაში უნდა აღმოუჩინოთ დახმარება.



მ ა რ ი ნ ე — თქვენ ჩვენი წესდება შეგისწავლიათ.

გ ა ი ო ზ ი — ჩქარა, თორემ პასუხს აგებთ.

მ ა რ ი ნ ე — მიბრძანებთ?

გ ა ი ო ზ ი — მოვალეობას მოგაგონებთ. მომყევით!

(გარბის. მარინე გაყვება).

ბ ა რ ნ ა ბ ი — ვერაფერი გამიგია... (ტელეფონის ზარი. ყურმილს აიღებს) გისმენთ... არა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე აქ არ არის... მე ბარნაბი ვარ... კარგი... გადავცემ.

(ყურმილს დაკიდებს).

ფ ა რ დ ა

სურათი მერვე

იგივე ადგილი, რაც პირველ სურათში, იმ განსხვავებით, რომ ფერდობს გადაღმა საკოლმეურნეო საწყობი, შოჩანს. კარგად შეღობილი ალაგეს წინ ყარამანი გოდრის დაწვანს ამთავრებს. შორს ვერული „ზელხევი“ ისმის.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — აივსეთ, გამრავლდით და გაძლიერდით, დაილოცოს თქვენი მარჯვენა!

(სადღაც ვიღაც ზემეს უმღერის)

მზე შინა და მზე გარეთა,

მზეც, შინ შემოდით.

უყივლია მამალსაო,

მზეც, შინ შემოდით.

ვაეის მამა შინ დაბრუნდა. მამალმაც იყივლა და მზეც შინ შემოიტანეს. რა დროს მოვხუცდი!

თ ო მ ა — (საწყობიდან გამოდის) ყარამან, რა ჰქენი?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ამასაც მოგჩი.

თ ო მ ა — შენ კი მორჩი, მაგრამ მე რა მეშველება?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — რა გჭირს, ფეხი ხომ აღარ გტოვია?

თ ო მ ა — უჰ! ფეხი როდის მტკიოდა, აღარც კი მახსოვს. მარა, რაც საწყობში დამაყენეს...

ყ ა რ ა მ ა ნ ი — გამგე-კაცი გქვია.

თ ო მ ა — გამგელებული ვიარო, თუ გატყუებდე. დავისვენებ-მეთქი, მტერმა დაისვენა ისე, როგორც მე. დამჯდარი ლაპარაკი შენატრება. მაინც რა ქნა წელს ჩვენმა მიწამ, ა! ამას თუ მოვესწრებოდი, აღარ მეგონა. ზედავ, რა ყოფილა გაიოზი?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — კაი ყაძახია, კაი!

თ ო მ ა — (ტყეჩს მიაწვდის) ყარამან, ახალი ამბავი გაიგე?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — (გოდორს წნავს). რა ამბავია?

თ ო მ ა — საზღვარგარეთ ვილაციები ისევ წუნკლობენო, თმს აპირებენო.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ნუ გეშინია.

თ ო მ ა — ატომის ბომბის შესახებ ხომ იცი?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ვიცი.

თ ო მ ა — საშინელი, ძლიერი რაღაცა ყოფილა.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ყველაზე ძლიერი ბომბი კაცის გულია, თომა, სიმართლით საესე კაცის გული, რომლის წინააღმდეგ ჯერ იარაღი არ გამოგონილა. ასეთი გული კი მხოლოდ ჩვენა გვაქვს.



ხ მ ა — თომა! თომა!

თ ო მ ა — ა! ერთი წუთით საწყობის კარი მივხურე და...

ხ მ ა — თომა! თომა!

თ ო მ ა — შემიკლეს ხელში.

(გამოდის ხალაპრე და კოლმეურნე, შემდეგ მუშულა).

ხ ა ლ ა მ პ რ ე — თომა! (საცხე გოდორი მოაქვს) სიმინდი სად დავყარო?

კ ო ლ მ ე უ რ ნ ე — გოდორი სად დავცალო?

თ ო მ ა — საწყობში.

ხ ა ლ ა მ პ რ ე — საწყობი საესეა.

თ ო მ ა — აბა ეზოში.

კ ო ლ მ ე უ რ ნ ე — ეზოც აივსო.

მ უ ჭ უ ლ ა — (საცხე გოდორით) თომა!

თ ო მ ა — რა ვქნა ყარამან?

მ უ ჭ უ ლ ა — სიმინდი სად დავყარო?

თ ო მ ა — საწყობში, საწყობში!

მ უ ჭ უ ლ ა — საწყობში არ ეტევა.

თ ო მ ა — აბა თავზე დამაყარეთ.

მ უ ჭ უ ლ ა — ახი კი იქნება, მართლა თავზე დავაყაროთ.

თ ო მ ა — შეხედე შენ! რას მერჩი, გოგო?!

მ უ ჭ უ ლ ა — დროზე უნდა გეზრუნა.

თ ო მ ა — რა ვიცოდი, თუ ყველაფერი ერთი ორად ამოსკდებოდა! შარშან ოთხი ბელელი ძლივს აეავსეთ.

მ უ ჭ უ ლ ა — შარშან სხვა იყო. წელს ხომ ხედავ, ათი ბელელიც არაა საკმარისი? გაისად ოციც ცოტა იქნება.

თ ო მ ა — მაგასაც მოვესწრები. რას მომჩერებხართ? ხომ გესმით, ეზოში დავყარეთ-მეთქი!

(მუშულა და ხალაპრე საწყობისაკენ მიდიან).

ხ ა ლ ა მ პ რ ე — თომა! თომა!

თ ო მ ა — აღარ მომასვენებ?

ხ ა ლ ა მ პ რ ე — ღორმა ღობე გაარღვია.

თ ო მ ა — ღორმა შეჭამა მაგის პატრონი! ქვა ესროლე, ფეხი მოსტეხე, ფეხი! ვისი ღორია!

ხ ა ლ ა მ პ რ ე — შენი ღორია, თომა, შენი!

მ უ ჭ უ ლ ა — ეცი! ეცი!

თ ო მ ა — ჩემი? ჩემს სიცოცხლეში ღორი არ მყოლია.

ხ ა ლ ა მ პ რ ე — კოლმეურნეობის ფერმა ვისია?

თ ო მ ა — ჩვენია.

ხ ა ლ ა მ პ რ ე — იქედან ერთი წილი ვისია?

თ ო მ ა — აუ! მართლა ჩემი ყოფილა.

ხ ა ლ ა მ პ რ ე — ჰოდა, შენმა ნაწილმა ღორმა შენი ნაწილი ღობე გაარღვია.

თ ო მ ა — ხალაპრე, მიშველე! (გარბის) ღორს მივხედო თუ ბელელს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ნუ გეშინია, ღობეს მე შევაკეთებ.

თ ო მ ა — თომა არ ვიყო, თუ იმ ჩემ ნაწილ ღორს ჩემი ნაწილი ფეხი არ მოვტეხე. სადაა ძალლი, ძალლი სადაა! ეცი, თოლია, ეცი! ნუ გეშინია, უკბინე, პასუხს მე ვაგებ (ისმის ძალლის ყეფა) შეხედე ამ მგლის შესაპმელს! ძალლსაც კი არ ებუება!



ჭუჭულა — ბაბუა ყარამანი!

ყარამანი — რა იყო, შვილო!

ჭუჭულა — ეს გოდორი ვისთვის დალობე?

ყარამანი — ვინც მოიხმარს.

ჭუჭულა — მე დამითმე.

ყარამანი — აწი რაღად გინდა! მოსაველი აღებულება.

ჭუჭულა — ჩემი დარდით აევსებ და ზურგით ვატარებ.

ყარამანი — დარდს როდის იყო, გოდორით ატარებდნენ!

ჭუჭულა — გულში არ მეტევა.

ყარამანი — ისეთი რა გჭირს?!

ჭუჭულა — ვაშლი რომ გააპო, ისეა ჩემი გული შუაზე გაპობილი.

ყარამანი — რამ გააპო?

ჭუჭულა — სირცხვილი დავეკარგე და, გეუბნები, სიყვარულმა.

ყარამანი — შეყვარებული ხარ?

ჭუჭულა — ჰო!

ყარამანი — ვინ არის შენი გულის გამპობი ნაჯახი?

ჭუჭულა — სჯობს ისეე ჩემს გულში დარჩეს.

(გამოდის თომა)

თომა — (ჭუჭულას). აქ რას უზიხარ! ჩქარა მოზიდე, რაც მოსაზიდა.

ჭუჭულა — ერთი წუთით წავიმუხლე, თომა ბიძია.

(აღგება მიდის).

თომა — ხომ არ გეწყინა?

ჭუჭულა — არა, საწყენი რაა!

(გაღის).

თომა — ხედავ, ჩვენი ჭუჭულა, როგორ დაშაქრდა!

ყარამანი — შრომა რას არ იზამს. საჭმე იშოვა და...

თომა — კი, კი, შრომა ყველაფრის წამალიაო. ბრძნული ნათქვამია. თუმცა ჭუჭულაზე საცოდავი ქვეყანაზე არავეინაა! ხომ იცი, ქალს რომ გათხოვება დაუგვიანდება... ყარამან, სიტყვამ მოატანა და გეკითხები, გაიოზი რას აპირებს?

ყარამანი — რას უნდა აპირებდეს? ამბობს, ეს სოფელი ბაღად უნდა გადავაქციოთო. წიგნებით აავსოთ ოჯახი, ახლა დაუჩემებია, მიჩურინსკში უნდა წავიდეთო.

თომა — ეს ვიცი, წავა და ქე ჩამოვა, მარა მაგდანე ამდენ ქათმებს ტყვილა ასუქებს?

ყარამანი — რა ვითხრა!

თომა — თქვენს ეზოს პატარძლის კაბის ფრიალი აკლია მხოლოდ.

ყარამანი — მაგას არ ვნატრობ?

თომა — ნეტავი ვის ელოდება? გაიოზს ახლა არც ერთი ქალიშვილი არ ეტყვის უარს.

ყარამანი — ჰო, ჰო! ჩემი ბაღიში რომაა...

თომა — შენი ქება რად უნდა! ცნობილი და სახელოვანი კაცი გახდა! მისი ნაშრომის სანახავად ქალაქიდან ჩამოდიან! ამას წინათ აქ რომ ქალაქელი პოეტი იყო, ლექსიც კი დაწერა! ხო... ხო... ხო! რა ქნა ამ ბეჭმა, ა! ამყარა გმირობას მიიღებს!

ყარამანი — ბარნაბიცი გმირი იქნებაო, ამბობენ.

თომა — ბარნაბიცი და მაგდანეცი. ნაჭობარმა აგვაშენა სულყველი.

ყარამანი — ნაჭობარმა კი არა, ჭკვიანურმა შრომამ, თომა.

თომა — კი, კი. ზოგიერთები რომ გაიოზის სიძობას თაქილობდენ, ახლა...

(გამოდის. ბარნაბი).

ბარნაბი — (ფერღობიდან). თომა!

თომა — აქა ვარ.

ბარნაბი — კაი გამარჯობა, ყარამანი!

ყარამანი — კაი გავიმარჯოს, ბარნაბ! მსუქანი შემოდგომა შემობრძანდა ჩვენს სოფელში.

ბარნაბი — კაცს რომ არ მოსწრებია, ისეთი.

თომა — ქორწინობის დროა სწორედ.

ბარნაბი — თომა, საწყობში წამოდი!

თომა — ქორწინილში მპატივებდი მეგონა!

ბარნაბი — მე ქალის თხოვას არ ეპირებ.

თომა — გასათხოვი ხომ გყავს, ბატონო.

ბარნაბი — წამო საწყობში, საქმე მაქვს.

(გაღის).

თომა — ქორწილი ვითომ უსაქმობაა?

(მისდევს)

ყარამანი — არა, ჩემს ბიქს ახლა უარს ვერავეინ ეტყვის.

(გამოდის მაგდა).

ყარამანი — (მომავალი მაგდა შეამჩნია) ჩემო რძალო, როგორაა საქმე?

მაგდა — კარგად. ყველას ნაშრომი შეაჯამეს, გმირებიც გვეყოლება და ორდენოსნებიც. გაიოზამ სამაგიერო გადამიხადა. უწინ მე ვზრდიდი, ახლა მან გამზარდა.

(დაჯდება).

ყარამანი — ქვეყანა არ დაიქცეს, როგორ იქნა, დამჯდარი გნახე, დაილაღე?

მაგდა — სიხარულმა დამლაღა, ყარამანი, სიხარულმა.

ყარამანი — ბედნიერი ვარ, ბედნიერი!

მაგდა — ყველაფერი რომ შეაჯამეს, ხალხმა ტაში დაკრა. ალექსიმ სიტყვა უთხრა, ეს ერთი და სხვა ათასიო, გაიოზმა უპასუხა: სხვა ათასს ათასი ცოდნა უნდაო.

ყარამანი — ჭკვიანი ბიჭია.

მაგდა — ჰო, ჩემი გაიოზი უკვე არავეის არ ჩამორჩება. ყველანი გაახარა. მარტო მე მიკლავს გულს. აბა ეს არის ჭკუა? ნაყვანი კაცი, ბერად შედგომას ხომ არ აპირებს? მეზობლის ბავშვებს რომ ვეფერები, რავე, შეილიშვილი არ მეკუთვნის? რა ოხრად მინდა ეს ნაშრომი, თუ ჩემს ოჯახში ბავშვის ტირილს ვერ გავიგონებ.

ყარამანი — მართალი ხარ.

მაგდა — ვინც არის მიზეზი, ვიცი, მარა რა ექნა!

ყარამანი — ალბათ მარინეზე ამბობ?

მაგდა — ალბათო? ალბათ კი არა, ნამდვილად ასეა. მარინესათვის იკლავდა თავს, მარინეს უნდა დასწვოდა.

ყარამანი — რაეა, ვერ დაეწია თუ?

მაგდა — არ ჩამორჩება. მაგრამ, რა გინდა... ყური მოვკარი, მარტენე მარტენე
მიპყეებაო.

ყარამანი — გაპყეეს.

მაგდა — არ თქვა? მარინე რომ სხვას გაპყეება, გაიოზი არაეის შეირთავს.

ყარამანი — შენ როგორ ფიქრობ, მარინეს გაიოზი არ უყვარდა?

მაგდა — რა ვიცი, შეიძლება უყვარდა კიდევ, მარა თაქილობდა ექიმი ქალი,
მოიცა მარინე მოდის. ეზოში ჩავიდეთ.

(ორივენი აღგებან. ლობისაკენ მიდიან).

(გამოდის მარინე).

მარინე — (ფერღობზე შედგება). მაგდანე ბიცოლა!

მაგდა — მობრძანდით.

მარინე — ისევ მემღურით?

მაგდა — სამღურავი რა მაქვს!

მარინე — მე თქვენთან მოსვლა ყოველთვის მიყვარდა.

მაგდა — ახლა რამ შეგაძულა?

მარინე — არც ახლა მძულს.

ყარამანი — ეზოში ჩამოდი, ბაბუ, გაიხარე, ეზოში ჩამოდი!

მარინე — თუ ნებას მომცემთ, თქვენს ეზოში ერთ ყვავილს მოვწყვეტ.

მაგდა — მთელი ბალი შენი იყოს.

მარინე — ერთი ყვავილი მინდა. ერთ ყვავილს მოვწყვეტ.

მაგდა — გული მომწყდეს, თუ დამენანოს.

მარინე — თვალები როგორა გაქეთ, ბაბუა ყარამან?

ყარამანი — მადლობელი ვარ, კარგად, ვხედავ. თქვენ იცოცხლეთ და
ყველაფერი კარგი დინახეთ. ჩემზე ნუ ფიქრობთ, მე ჩემი ღრო უკვე
მოვქამე. ეზოში ჩამოდი.

მარინე — (ალაგზე გად.დის) მხოლოდ ერთ ყვავილს.

მაგდა — მოდი, მოსწყვიტე.

(მაგდა და მარინე ეზოში მიიმალებიან).

ყარამანი — ნეტავი იმ ოჯახს, რომელშიც შენ შეხვალ.

(მიდის. გამოდის მუშულა).

მუშულა — (ფერღობიდან ლობისაკენ მიდის. შედგა) დიდუ! ამას ვის ვხე-
დავ? ვიციელო?! მერე რა გამოვა? ათასჯერ რომ ვიციელო, ჩემი საშველი
მინც არაა. წავალ, გადავიკარგები. მარა სად წავიდე? (ფიქრობს) ჰო,
ჰო, წავალ, დღესვე ვთხოვ...

(მიდის. გამოდის გაიოზი და ალექსი).

გაიოზი — მუშულა, საით გარბიხარ!

მუშულა — შენთან მოვრბოდი.

გაიოზი — ჩემთან?

მუშულა — შენთან და ალექსისთან. თხოვნა მაქვს.

ალექსი — რას ითხოვ?

მუშულა — სკოლაში გამიშვით.

ალექსი — კარგი მოგიფიქრებია. ბიბლიოთეკართა კურსებზე გავიშვებთ.
დაამთავრებ და ჩვენთან იმუშავენ.

მუშულა — სწორედ ბიბლიოთეკაში მინდა, დავჯდები და ყველა წიგნს გა-
დავიკითხავ, იქნებ სადმე ჩემი ბედის შესახებაც წერია რამე.



აღუქსი — შენი ბედი შრომაში წერია, ჭუჭულა. შენი ბედი შენს ხელთ არის.
 ჭუჭულა — ჰოდა, გამიშვიო.

აღუქსი — სკამოვნებით. ხვალეე გაგაგზავნით. წამოდი, მტკიცე მტკიცე მტკიცე
 მე საბჭოში მივდივარ.

გაიოზი — აღუქსი, ერთად გვესადილა.

აღუქსი — ჯერ ადრეა, გამოგივლი. წავიდეთ, ჭუჭულა.

(მუშულა და აღუქსი გადიან).

გაიოზი — (ნაცნობ ადგილს შეჩერდა) სწორედ აქ იყო მითხრა, ძალით
 ვერაფერს გახდებო. ძალით არა!.. არა! გავიგე, თხოვდებო. პარმენი
 კარგი ვაჟკაცია... მაგრამ მე რითი ვარ ცუდი!

(გამოდის პარმენი).

პარმენი — (სიხარულით). გაიოზ! გაიოზ!

გაიოზი — რა მოგივიდა?

პარმენი — მეღირსა, ვბედნიერდები.

გაიოზი — ბედნიერდები? უბედური როდის იყავი?

პარმენი — ვჭორწინდები, ბიჭო.

გაიოზი — ჰოო?

პარმენი — როგორც იქნა, თანხმობა მივიღე. ის თანახმაა.

გაიოზი — თანახმა?

პარმენი — ო, რა ბედნიერი ვარ!

გაიოზი — ვხედავ.

პარმენი — ჯიუტობდა, ჩემი არ სჯეროდა. მხოლოდ დღეს გამიხსნა გული.

გაიოზი — დღეს გითხრა?

პარმენი — დღეს მომწერა. რა ბედნიერი ვარ!

გაიოზი — წერილი რად უნდოდა, პირდაპირ ვერ გითხრა?

პარმენი — როგორ მეტყოდა, ის თბილისშია, მე კი აქ...

გაიოზი — თბილისში?

პარმენი — წელს დაამთავრა უმაღლესი. ისიც ჩემი სპეციალობისაა. ერთად
 ვიცხოვრებთ, ერთად ვიმუშავებთ.

გაიოზი — მე მას არ ვიცნობ!

(შეზღუპილი).

პარმენი — რა მოგდის! აბა საიდან უნდა იცნობდე?

გაიოზი — მომილოცავს! (მოეხვევა) მომილოცავს, ათასჯერ გილოცავ
 მერწმუნე, შენი ბედნიერებით მეც ვბედნიერდები!

პარმენი — დარწმუნებული ვარ. იმედია, ჩემს ქორწილში შენც იქნები.

გაიოზი — უსათუოდ.

პარმენი — წავიდე, მარინე გავახარო.

(გაბრბის)

გაიოზი — მამ მე შევმცდარვარ! ო, რა ბედნიერი შეცდომაა! თუმცა
 მარინე...

(რადიო სიმღერას გადმოსცემს).

ისევ შენ და ისევ შენ,
 ჩემო ტურფა ღამაზო.
 ყველა შენ გენაცვალოს,
 მოციმიციმე აღმაზო...

ყველა არა! მე გენაცვალები! მე შემოგვევლები! ყველა არა, არა!
 (სიმღერას განაგრძობენ).

მიყვარდი და მიყვარხარ,
სულ მუდამ მიყვარები,
მსურდა შენის ხელებით
დამხუტოდა თვალები...



(გამოდის მარინე).

მარინე — (ალაგეს მოადგა ყვავილები მოაქვს. შედგა). აქ არის! ჰო, გულო,
ან დღეს ან არასოდეს!

გაიოზი — მიყვარდი და მიყვარხარ! ო, მერე როგორ! თუმცა აქ არ იყო,
შენგან პირველი კოცნის მაგიერ, პირველი სილა რომ მივიღე? დღემდე
მტკივა! გულში მტკივა! ამ ადგილს რომ გავივლი, ლოყა მიწვის! ეს!
(წასვლა უნდა).

მარინე — (წინ აღუდგება) გაიოზ!

გაიოზი — მარინე!

მარინე — შეჩერდი, გაიოზ!

გაიოზი — რად მაჩერებ! მე შენი მადლობელი ვარ!

მარინე — ღამეები არ მძინავს.

გაიოზი — არც მე მძინავს.

მარინე — მიყვარხარ, გაიოზ!

გაიოზი — აი (ლოყაზე ხელი აიფარა) მარინე!

მარინე — (ლოყაზე უთითებს) გტკივა?

გაიოზი — მტკივა, ექიმო.

მარინე — გაიოზ!

(მოხვევა. ლოყაზე აკოცებს).

გაიოზი — რას ჩადიხარ, სოფელი რას იტყვის.

მარინე — რაც უნდა თქვას!

ბარნაბი — (დაბლიდან ამოდის) შეილო!

მარინე — მამა!

მაგდა — (ლობეს მოადგება) შეილეზო!

გაიოზი — აი, ვინ იცის, რას არ იტყვიან. მომყევი, მარინე!

(მარინეს ხელს წააგებს. გარბიან).

მაგდა — საით გაიქცნენ?!

ბარნაბი — ნუ გეშინია. ახალგაზრდებმა უკვე იციან გზა, მომავალი ნამ-
დვილი ბედნიერებისაკენ.

მაგდა — რას იტყვი, ბარნაბ. ჩვენი შვილები ბედნიერ ეარსკვლავზე არიან
გაჩენილნი, ჰო?

ბარნაბი — ჰო!

(შორს მყარული ისმის).

ფარდა

როგორ მიჩვენენ გუბერნატორად



ამ რამდენიმე თვის წინათ დამოუკიდებელმა პარტიამ ნიუ-იორკის დიდი შტატის გუბერნატორის პოსტზე ჩემი კანდიდატურა დაასახელა. მე ვიცოდი, რომ არჩევნებში მეტოქეობას გამიწვედნენ მისტერი ჯ. სმითი და მისტერი ბლენკი ჯ. ბლენკი, რომლებიც ჩემთან ერთად იყვნენ ამავე პოსტზე წამოყენებული საარჩევნო ბიულეტენით, მაგრამ მე ვგრძნობდი აშკარა უპირატესობას ამ ჯენტლმენებთან შედარებით ჩემი პატიოსანი სახელის გამო.

საკმარისი იყო გაზეთებისათვის თვალის გადავლება და მაშინვე შეიტყობდით, რომ თუკი ოდესმე მათ პატიოსანი სახელი ჰქონდათ, ეს დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. ეკვს არ იწვევდა, რომ უკანასკნელ წლებში ისინი მრავალ სამარცხვინო დანაშაულს ჩადიოდნენ. მაგრამ იმავე წუთებში, როცა მე ფრთებშესხმული ვიყავი და კმაყოფილებას განვიცდიდი ჩემი უპირატესობის გამო, რაღაც გაურკვეველი ნაღველი ბინდავდა ჩემს ბედნიერებას, ალბათ შეგრძნება იმისა, რომ საარჩევნო ბიულეტენში ჩემი სახელი უნდა ეხსენებინათ ესოდენ სამარცხვინო რეპუტაციის მქონე ადამიანთა გვერდით.

მღელვარება თანდათანობით მიცხოველდებოდა. ბოლოს გულმა აღარ გამძღლო და მიეწერე ყოველივე ჩემს მოხუც ბებიას. მანაც მყისვე მიპასუხა. ის მწერდა: „შენ მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე ერთხელაც არ ჩაგიდენია რაიმე სამარცხვინო საქციელი, ერთხელაც კი. გადახედე გაზეთებს და დარწმუნდები — რა ადამიანებიც არიან მისტერი სმითი და მისტერი ბლენკი, თვითონვე

განსაჯე, შეგიძლია თუ არა დაეშვა მათი ღონემდე და ჩაება მათთან წინასაარჩევნო ბრძოლაში ხმების მოსაპოვებლად“. პირდაპირ გულში მომხვდა ბებიას ეს სიტყვები. ჩემი აზრიც სწორედ ეს იყო.

ის ღამე თეთრად გავათენე. მაგრამ უკან დახვევა აღარ შემეძლო. მე ნდობით აღჭურვილი ვიყავი, და, ამდენად, ვალდებულნი — ბოლომდე მებრძოლა. საუზმობისას უხალისოდ ვათვლიერებდი გაზეთებს და ისეთ შენიშვნას წავეწყვიდი, რომ, მართალი გითხრათ, ასეთი თავგზადადნეული წინათ არასოდეს ვყოფილვარ.

„ცრუმოწმობა“. შეიძლება ახლა მიინც, როგორც გუბერნატორობის კანდიდატმა, აუხსნა მარკ ტვენმა ხალხს, თუ რა რიგად ამხილა იგი 1863 წელს ოცდაათობმეტმა მოწმემ ქ. ვაკავაჟში, კოპინ-პინაში, როგორც ფიცის გამტეხი. ცრუ მოწმობა მოხდა იმ განზრახვით, რომ ერთი საცოდავი ადგილობრივი მკვიდრი დედაკაცის ოჯახისათვის წაეგლიჯათ პატარა პლანტაცია, რომელიც ამ უმწერო ოჯახს შიმშილით სიკვდილისაგან იფარავდა. მისტერი ტვენი ვალდებულია ნათელი განმარტება მოგვეცეს აღნიშნულის გამო, — ამას მოითხოვს მისი ინტერესები, და არა მარტო საკუთრივ მისი, არამედ მისი ამომრჩევლებისაც. გააკეთებს კი იგი ასეთ განმარტებას?“

გაოცებისაგან სახტად დავრჩი! რა საშინელი და უღმობელი ბრალი მედებოდა. კოპინ-პინა თვალთაყ არასოდეს მენახა არაფერი გამეგონა არც ვაკავაჟზე, ასევე არაფერი ვიცოდი პატარა პლანტაციისა და მისი სასამართლო

პროცესის ინტერესების შესახებ. გონს ვერ მოვსულიყავ, რა უნდა მომეშოქმედა. გაცოფებული და გაოგნებული ვიყავი. მთელი დღე ისე გავატარე, არაფერი მიღონია. მეორე დღეს იმავე გაზეთში ასეთი სტრიქონები ამოვიკითხე: „შესანიშნავია! ყურადღებას იქცევს, რომ მისტერი ტვენი მრავალმნიშვნელოვნად დუმს კოპინ-პინაში მისი ცრუ მოწმობის თაობაზე“. (მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ეს გაზეთი მხოლოდ ერთი სახელით მახსენებდა: „ფიცის გამტეხი უსინდისო ტვენი“).

შემდგომ სხვა გაზეთშიც ამოვიკითხე: „სასურველია ვიცოდეთ, ინებებს თუ არა გუბერნატორობის ახალი კანდიდატი აგვისხნას მის თანამემამულეებს, (ვინც თავი ჩაიგდო გასაქირში და მას აძლევს ხმას), ერთი ძალიან პატარა ამბავი. ამხანაგებს, რომლებიც ქ. მონტანში მასთან ერთად ოთახში ცხოვრობდნენ, დროდადრო ეკარგებოდათ მცირე ნივთები, ისინი კი, შემდგომ აღმოჩნდებოდა ხოლმე მისტერ ტვენის ჯიბეებში ან კიდეც მის ჩემოდანში, გაზეთში გამოხვეული (ასე ინახავდა იგი თავის ბარგი-ბარხანას). მართალია თუ არა, რომ მისი ამხანაგები იძულებულნი იყვნენ თვითონ მისივე კეთილდღეობისათვის მეგობრულად დაერწმუნებინათ იგი — კუპრსა და ბუმბულში ამოთხუბულიყო და შემდეგ ჯოხზე ამხედრებულს ჩამოეგლო ქუჩებში, ამავე დროს, ერჩიათ მისთვის — დაეტოვებინა თავისი ადგილსამყოფელი მონტანში და უკან არასოდეს დაბრუნებულიყო. ინებებს თუ არა მისტერი ტვენი პასუხი გასცეს ამას?“

შეიძლებოდა კი ამაზე უფრო აღწყოთებული ღვარძლიანობა? მე ხომ ჩემს სიცოცხლეში არასოდეს ვყოფილვარ მონტანში! (ამის შემდეგ ეს გაზეთი ჩემზე ჩვეულებრივ ასე წერდა ხოლმე: „ტვენი მონტანელი ქურდია“). მე ისეთივე ყურადღებითა და შიშით ვათვალიერებდი გაზეთებს, როგორც ადა-

მიანი, რომელსაც ექვი აქვს, რომ მის საწოლში გველი შემძვრდეს და უფრო მღელვარებითა და გულმოდგინებით გადასწევს საბანს შეძრწუნებული.

ერთ დღეს თვალში მომხვდა შემდეგი სტრიქონები: „ცილისმწამებელი მხილებულია! — ფაიფონტელმა მაიკლ ოლაფანგენმა, მისტერ სნაბ რაფერტმა და უოტერსტრიტელმა მისტერ კეტი მალიგენმა ფიცით მისცეს წერილობითი ჩვენებები, რითაც დადგენილია, რომ მარკ ტვენის სულმდაბალი განცხადება, თითქოს ჩვენი მედროშის, კეთილშობილ ბლენკ ჯ. ბლენკის განსვენებული პაპა შარაგზაზე მძარცველობისათვის ჩამოახრჩესო, დაუსაბუთებელი და ყოველად უსაფუძვლო საზიზღარი ცილისწამებაა.

ყველა ღირსეულ ადამიანს აღაშფოთებს და სასოწარკვეთილებამდე მიიყვანს სამარცხვინო და უმსგავსო საქციელი, რომლებსაც ზოგიერთები მიმართავენ ხოლმე პოლიტიკური კარიერის მისაღწევად. ისინი თავს ესხმიან მკვდრებსაც და ცილისწამებით აუწმინდურებენ მათ პატიოსან სახელს.

იმ დიდ სულიერ ტანჯვაზე ფიქრით, რომელშიც ჩაცვივდნენ შეურაცხყოფილი განსვენებულის უღანაშაულო ნათესაები და მეგობრები, გვიკარნახებს, რომ ჩვენ ვურჩიოთ მათ — მოუწყონ ცილისმწამებელს თვითგასამართლება და გაუსწორონ ანგარიში. მაგრამ არა! დაე, მივანდოთ ის საკუთარი სინდისის ქენჯნას! მაგრამ თუკი ხალხის რისხვა უფრო ძლიერი აღმოჩნდება და უკიდურესი მრისხანების ეამს მას კარგად მიზეგვავენ, საეცებით ნათელია, რომ არც ერთი ნათიცი მსაჯული არ დაადანაშაულებს მათ და არც ერთი სასამართლო არ დასჯის ამ საქმის ჩამდინთ“.

მოხერხებულად დაწერილმა სტატიის დასკვნითმა ნაწილმა, როგორც ეტყობა, სათანადო ეფექტი მოახდინა... იმავე დამეს სწრაფად წამომავლო ლოგინიდან და იძულებული გამხადა გარეთ უკანა კარიდან გამძვრალიყავი, ვინაიდან „ვა-

მჭინვარებული და შეურაცხყოფილი ხალხი“ სახლში წინა კარებიდან შემომექრა და თავისი სამართლიანი მრისხანების უამს მიღეწ-მოღეწა ავეჯი და ფანჯრები, შემდეგ კი თან წაიღო ჩემი საკუთრებიდან ყოველივე ის, რისი ზიდაცა კი შეძლეს. მე კი შემძლია ყველა წმინდანის წინაშე დავიფიცო, რომ არასოდეს ავად არ მიხსენებია მისტერ ბლენკის პაპა. უფრო მეტიც: მე არაფერი მსმენია მის შესახებ და აღნიშნულ მომენტამდე უბრალოდ მისი სახელიც კი არ წარმომოთქვამს.

გაკვირთ შემძლია შევნიშნო, რომ ქურნალი ამის შემდეგ მუდამ ასე მიწოდებდა: „ტვენი — საფლავეების შემგინებელი“.

კიდევ ერთი საგაზეთო სტატია, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო, იუწყებოდა: „სანაქებო კანდიდატი“ — მისტერი მარკ ტვენი, რომელსაც მჭუხარე სიტყვა უნდა წარმოეთქვა დამოუკიდებელი პარტიის სახალხო კრებაზე წუხანდელ ღამეს, დანიშნულ ადგილას, დროზე არ გამოცხადდა. მისი ეჭვიმ დეპუტათ იტყობინება, რომ ის ეტლიდან გადმოვარდნილა, ფეხი გადაუმტვრევია ორ ალაგას და, მწოლიარე ავადმყოფი, უზომოდ იტანჯებაო, და კიდევ რალაც ამგვარ სისულელეებს ჩმახავს და ბოდავს ეჭვიმ. დამოუკიდებელი პარტიის წარმომადგენლები ცდილობდნენ დაეჯერებინათ ეს უბადრუკი გასამართლებელი მიზეზები და თავი მოეჩვენებინათ, თითქოს არ იცოდნენ თავიანთი მედროშის, გარყენილი და ყოველად უმსგავსო არსების დაუსწრებლობის ნამდვილი მიზეზი. შეუმჩნეველი არ დარჩენილა, თუ როგორ შებარბაცდა ვიღაც უზომოდ მთვრალი კაცი წინა ღამეს მისტერ ტვენის პოტელში. დამოუკიდებელ პარტიას ვალად აძევს დაამტკიცოს, რომ ეს სიმთვრალისაგან რეტდასხმული არსება სხვა ვინმე იყო და არა თვითონ მარკ ტვენი.

ბოლოსდაბოლოს ჩაცვივდნენ თავის დაძვრენა შეუძლებელი მტკიცედ გაისმის ხალხის მოთხოვნა: „ვინ იყო ის კაცი? შეუძლებელი იყო დაჯერება, სრულიად შეუძლებელი, რომ ჩემი სახელი დაეკავშირებინათ სამარცხვინო ეჭვებთან. მთელი სამი წლის განმავლობაში პირში არ ჩამსვლია წვეთი ლუდი ან ღვინო ან ლიქიორი, საერთოდ — რაიმე სპირტიანი სასმელი.“

ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში ახალი სახელით ვიყავი მონათლული: „ლოთი ტვენი“. მაგრამ დროს თავისი გააჭვს. მე შევეჩვიე ყოველივე ამას და, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ეს სახელი საარჩევნო კამპანიის ბოლომდე შემრჩებოდა, მივიღე იგი ყოველგვარი სულიერი ტკივილის გარეშე.

სულ მალე რესპუბლიკური პარტიის მთავარმა ორგანომ ბრალი დამდო მექრთამეობაში, ხოლო დემოკრატიული პარტიის წამყვანმა გაზეთმა დამაბრალო ქონების გამოძალვა, თანაც განსაკუთრებით სამძიმო პირობებში. (ამ გზით კიდევ ორი ზედწოდება მოვიხვეჭე: „ტვენი — გაიძვერა მექრთამე“ და „ტვენი — საზიზღარი შანტაჟისტი“).

ამჯერად უკვე ყველა გაზეთი პროტესტს აცხადებდა და წამოყენებულ ბრალდებებზე „პასუხს“ მოითხოვდა. იმ პარტიის ლიდერებმა და გამომცემლებმა, რომელთაც მე ვეკუთვნოდი, გამოთქვეს მოსაზრება, რომ კვლავ პასუხის გაუცემლობა ჩემი პოლიტიკური კარიერის მარცხის მომასწავებელი იქნებოდა.

თავიანთი მოთხოვნა რომ უფრო სარწმუნო გაეხადათ, მეორე დღესვე ერთერთმა გაზეთმა ასეთი რამ გამოაქვეყნა:

„აი კანდიდატი! — დამოუკიდებელი პარტიის კანდიდატი ჯერ კიდევ დუმილს არჩევს. რასაკვირველია, იგი კრიტიკის დაძვრასაც ვერ გაბედავს. მის მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება დადასტურებულია და ამას კიდევ და

კიდევ ადასტურებს მისი მრავლისმეტყველი დუმილი.

დამოუკიდებელი პარტიის წარმომადგენლებო! შეხედეთ თქვენს კანდიდატურას! შეხედეთ უსინდისო ფიცის გამტეხს! მონტანელ ქურდს! საფლავების წამბილწველს! დასტებით ლოთის ნამდვილი განსახიერებით! გაიძვერა მექრთამე! საზიზღარი შანტაჟისტი! კარგად განსაუგეთ, კარგად განსაუგეთ, შეიცანით ის და შემდეგ გადაწყვიტეთ, შეგიძლიათ თუ არა მისკეთ თქვენი პატიოსანი ხმები ისეთ არსებას, რომელმაც თავისი უღირსი საქციელით დაიმსახურა ყველა ზემოჩამოთვლილი ტიტული და ახლა გამბედაობა არა ჰყოფნის უარყოს თუნდაც რომელიმე მათგანი.

მთომინების ფილა აივსო. თავს ძალზე დამცირებულად, თითქმის მიწასთან გასწორებულად ვთვლიდი და აი, გადავწყვიტე. ყველა ამ დაუსაბუთებელ, შეუთხზილ ბრალდებებსა თუ ბოროტ კოლისწამებაზე „პასუხი“ მომეზადებინა. მაგრამ ჩემი განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შევქელი, რადგან მეორე დღეს გაზეთმა კიდევ უფრო საშინელი ამბავი მოიტანა. გაზეთი ბრალად მდებდა, თითქოს მე გადამეწვას სულით ავადმყოფთა თავშესაფარი მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ჩემი ფანჯრების წინ მიდამოს აღუშნობდა. მე პანიკამ მომიცვა. მორაგი ცნობის მიხედვით, ბრალი მედებოდა ბიძის მოწამვლაში

მისი ქონების მისაკუთრების მიზნით. გაზეთი საფლავის გახსნიდა და გვერდის შემოწმებით იმუქრებოდა.

ამ ამბავმა კინალამ სიგიჟემდე მიმიყვანა. მე ბრალი მედებოდა კიდევ იმაში, რომ ჩვილ ბავშვთა თავშესაფარის მზრუნველად ყოფნის დროს მოახუცი უკბილო ნათესავები მოვაწყვე პროტექციით ჩვილ ბავშვთათვის საკმელის დამლევაებად. საშინელ სულიერ რყევას განვიცდიდი. დაბოლოს, მოწინააღმდეგე პარტიების მხრით ჩემმა უსინდისო დევნა-შევიწროვებამ უმალღეს წერტილს მიაღწია. სახალხო მიტინგის ტრიბუნაზე ყოფნის დროს წინასწარ დარიგებული პატარა ბიჭები, რიცხვით ცხრანი, მალლა ამოცოცდნენ, ფეხებზე მეჭიდებოდნენ და „მამას“ მეძახდნენ.

მეტი აღარ შემეძლო. მე დავუშვი დროშა და უსრტყვო კაპიტულაცია გამოვაცხადე. ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორობის კანდიდატად ყოფნა ჩემს ძალას აღემატებოდა. მე დავწერე, რომ ვხსნიდი ჩემს კანდიდატურას და, ღრმა სულიერი ტანჯვის მიუხედავად, ხელიც მოვაწერე, აი, ასე:

„ოდესღაც კეთილშობილი, მაგრამ ახლა გალანძღული და შეურაცხყოფილი — უსინდისო ფიცის გამტეხი, საფლავების შემგინებელი, მონტანელი ქურდი, ლოთი, გაიძვერა მექრთამე და საზიზღარი შანტაჟისტი.

მარკ ტვენი

თარგმანი ინგლისურიდან **მლგუჯა მალარაძისა**

პირველი გვერდი

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მხატვრული დიქტირების შესახებ



მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა წარმოადგენს ახალ, უმაღლეს საფეხურს ლიტერატურის მცოდნეობაში და ხელოვნების მცოდნეობაში. იგი არის ბუნებრივი შედეგი, თვისობრივად სრულიად ახალი ფაზა საზოგადოებრივი აზროვნებისა, ახალი რგოლი განვითარების იმ ჯაჭვისა, რაც შექმნილია კაცობრიობის კულტურის მთელი ისტორიის მანძილზე.

ისტორიის სხვადასხვა პერიოდების ურთიერთ მჭიდრო დამოკიდებულების გენიალურ განსაზღვრას ვპოულობთ ვ. ი. ლენინის სტატიაში „რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან“. აღნიშნული სტატიის შესავალ ნაწილში ვ. ი. ლენინი განიხილავს რუსეთში გამათავისუფლებელი მოძრაობის სამ თავარ ეტაპს. პირველ მთავანს ლენინი განსაზღვრავს 1825—1861 წლებით და მას თავადანაურულ პერიოდს უწოდებს. რუსეთში გამათავისუფლებელი მოძრაობის მეორე მთავარი ეტაპი დაკავშირებულია 1861—1895 წლების პერიოდთან და რაზნოჩინცულ ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პერიოდს უწოდებს. მესამე პერიოდი კი წარმოადგენს პროლეტარულს, რომელსაც საფუძველი 1895 წლიდან ჩაეყარა.

თავადანაურული პერიოდის ყველაზე გამოჩენილ მოღვაწეებად ვ. ი. ლენინი

ასახელებს დეკაბრისტებსა და გერცენს. პროლეტარულ-დემოკრატიული ან სოციალ-დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის წინამორბედად ლენინი სხავს იმ დროს არსებულ საერთო-დემოკრატიულ, ცენზურას დაუქვემდებარებელ ბეჭდვით სიტყვას გერცენის „კოლოკოლის“ მეთაურობით.

„როგორც დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი, — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — ისე გერცენმა და მისმა „კოლოკოლმა“ გამოღვიძების გზაზე დააყენეს რაზნოჩინცეები, ლიბერალური და დემოკრატიული ბურჟუაზიის განათლებული წარმომადგენელი, რომელნიც ეკუთვნოდნენ არა თავადანაურობას, არამედ მოხელეობას, მეშჩანობას, ეაჭრებს, გლეხობას“. ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს, რუსეთის გამათავისუფლებელ მოძრაობაში რაზნოჩინცეების მიერ თავადანაურთა სრული განდევნის წინამორბედად აღიარებულია ბ. გ. ბელინსკი. რუსული კრიტიკული აზროვნების შესანიშნავ ნიმუშს „წერილი გოგოლისადმი“ ლენინი უწოდებს ბელინსკის ლიტერატურული მოღვაწეობის შეჯამებას, ცენზურაგაუვლელი დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს. „რომელმაც დღემდე უღიღესი, ცოცხალი მნიშვნელობა შეინარჩუნა“.

აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებას. ბ. გ. ბელინსკის „წერილი გოგოლისადმი“ დაწერილია 1847 წლის ივლისში, ხოლო 1914 წლის აპრილში ვ. ი. ლენინის მიერ აღნიშნული ნაწარმოები მიჩნეულია აქტუალურ, მნიშვნელობადაუკარგავ მოვლენად. ასეთია ნამდვილად ღრმანაზრევი, მეცნიერულად და ცხოვრების სინამდვილით დადასტურებული ყველა ნაწარმოების გამძლეობა და სიცოცხლისუნარიანობა.

ბ. გ. ჩერნიშევსკიმ, მიუხედავად იმისა, რომ იგი უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენელი იყო, გერცენის შემდეგ განავითარა ნაოქრონიკული შეხედულებანი და გახდა თანმიმდევარი, მეტრძოლი დემოკრატი, კაპიტალიზმის შესანიშნავი, ღრმა კრიტიკოსი. მისი ნაწარმოებები გამსჭვალულია კლასობრივი ბრძოლის სულსკვეთებით.

გამათავისუფლებელ მოძრაობას პროლეტარულ-დემოკრატიული ნაკადი გამოეყო მის შემდეგ, რაც რუსეთში ჩამოყალიბდა მარქსისტული მიმართულება („შრომის განთავისუფლება“ 1883 წლიდან, პეტერბურგის გაფიცვები 1895 — 1896 წლებში).

როგორც გარკვევით ვხედავთ, მეშათა კლასი აღმოჩნდა ერთადერთი ძალა და ნამდვილი, კანონიერი მემკვიდრე გამათავისუფლებელი მოძრაობის საუკეთესო, მოწინავე ტრადიციებისა. ხოლო მარქსიზმი, როგორც ერთადერთი მეცნიერული მსოფლმხედველობა საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, წარმოიშვა ყოველივე ძვირფასისა და მოწინავეს საფუძველზე, რაც კი მოიპოვებოდა საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე.

„... თქვენ რომ ასეთი კითხვა დაგესვით, — ამბობდა ვ. ი. ლენინი კომკავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე, — რატომ შეძლო მარქსის მოძღვრებამ ყველაზე რევოლუციური კლასის

მილიონობით და ათეული მილიონობით ადამიანთა გულის დაპყრობა... მიიღებდით ერთადერთ პატივს: ეს შეიძლება იმიტომ, რომ მარქსი ემყარებოდა კაპიტალიზმის დროს მოპოვებული კაცობრიული ცოდნის მტკიცე საძირკველს; შეისწავლა რა ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონები... სრულად შეითვისა ყოველივე ის, რაც წინანდელმა მეცნიერებამ მოგვცა. ყოველივე ის, რაც კი შეუქმნია ადამიანთა საზოგადოებას, მან კრიტიკულად გადაამუშავა ასე, რომ არც ერთი პუნქტი უყურადღებოდ არ დაუტოვებია. ყოველივე ის, რაც კი შეუქმნია ადამიანის გონებას, მან გადაამუშავა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, მუშათა მოძრაობით შეამოწმა და გამოიყვანა ის დასკვნები, რომელთა გამოყვანაც არ შეეძლოთ ბურჟუაზიული ჩარჩოებით შეზღუდულ თუ ბურჟუაზიული ცრურწმენებით შებოქილ ადამიანებს“.

საერთოდ წარსულის მემკვიდრეობის, ამასთან აგრეთვე ლიტერატურული მემკვიდრეობის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ მჭევრმეტყველურად ლაღადებს ის ფაქტი, რომ ვ. ი. ლენინმა ლევ ტოლსტოის შემოქმედების მთავარი ნაწილი, მისი საუკეთესო მხარეები მიაკეთენა არა წარსულს, არამედ მომავალს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ სოციალიზმის ქვეყანაში ტოლსტოის მხატვრული შემოქმედება, როგორც ძვირფასი მემკვიდრეობა და მნიშვნელოვანი მოვლენა მთელი კაცობრიობის კულტურის ისტორიაში, საბჭოთა ხალხის კუთვნილებას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ეს შეეხება არა მხოლოდ ლევ ტოლსტოის მხატვრული შემოქმედების ნიმუშებს, არამედ ყველა მწერალს და მოაზროვნეს, ვინც კი თავის თანამედროვე ეპოქას მარტო კვალდაკვალ როდი მიჰყვებოდა, არამედ მომავლის პერსპექტივებსაც სახავდა და შემდგომი განვითარების საფუძველებს ქმნიდა.

სწორედ ამ გარემოებას გულისხმობ-

და ვ. ი. ლენინი, როცა 1920 წელს რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის III ყრილობაზე ამბობდა: „პროლეტარული კულტურა არ არის საიდანაც გამომხტარი რამ, იგი არ არის იმ ადამიანთა გამოწავლილი, რომელნიც თავისთავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ. ეს თავიდან ბოლომდე ჩმახია. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, მოხელური საზოგადოების უღელქვეშ“. ვ. ი. ლენინი, მოუწოდებდა რა ახალგაზრდობას ცოდნის მარაგით გონების შეუწელებელი გამდიდრებისაკენ, ასწავლიდა მას: „კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუძენია“.

მხოლოდ ხალხის მტრები ცდილობდნენ გაუვალი უფსკრული „აღმოეჩინათ“ საბჭოთა სინამდვილესა და რევოლუციამდელ ცხოვრებას, ისტორიული განვითარების მთელ ადრინდელ საფეხურებს შორის, რითაც სურდათ „დამტკიცებინათ“ სოციალისტური რევოლუციის, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გარდაქმნათა უნიადგობა და უსაფუძვლოება. მაგრამ საბჭოთა ქვეყნის, სოციალისტური სინამდვილის განვითარების მთელმა ლოგიკამ ნაცარტუტად აქცია ხალხისა და სოციალიზმის მტრების ყოველივე მონაქორი, ვინაიდან „მარქსის მიერ გადამუშავებულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ გეიჩვენა ის, თუ სად უნდა მივიდეს ადამიანთა საზოგადოება, მიგვითითა გადასვლა კლასობრივ ბრძოლაზე, პროლეტარული რევოლუციის დასაწყისზე“ (ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 31. გვ. 344.).

ამრიგად, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ მოვლენათა შინაგა-

ნი განვითარების ძაფი არასოდეს არ წყდება, ახალი საფეხური ფეხნეფეხებისა მუდამ წარმოადგენს თავისებურად ახალ, უმაღლეს ეტაპს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

წერილში დემიან ბედნისადმი, შეეხო რა საბჭოთა კავშირს, როგორც მოვლეს მსოფლიოს მშრომელი მასების იმედს, მათი გამათავისუფლებელი ბრძოლის კერას, რუსეთის მუშათა კლასს, როგორც ყველაზე უფრო მოწინავე რევოლუციურ ძალას, ი. ზ. სტალინმა აღნიშნა რუსი ხალხის სხვა სახელოვან შეილებთან ერთად ა. ნ. რადიშჩევის უდიდესი მნიშვნელობა და დამსახურება რევოლუციური მოძრაობის წინაშე, სამშობლოს წინაშე, მშობლიური კულტურის წინაშე: „ყველა ქვეყნის რევოლუციური მუშების ხელმძღვანელები გულმოდგინედ სწავლობენ რუსეთის მუშათა კლასის ფრიად საგულისხმო ისტორიას, მის წარსულს, რუსეთის წარსულს, რადგან იციან, რომ გარდა რეაქციული რუსეთისა არსებობდა კიდევ რევოლუციური რუსეთი, რუსეთი რადიშჩევისა და ჩერნიშევისკებისა, ევლიაბოვებისა და ულიანოვებისა, ხალტურინებისა და ალექსეევებისა. ყოველივე ეს უნერგავს (და არ შეიძლება არ უნერგავდეს) რუს მუშებს რევოლუციური ერთვნილი საამაყის გრძობას, რომელსაც შეუძლია მთები დასძრას, შეუძლია სასწაულები მოახდინოს“.

ისე როგორც მე-18 საუკუნის დიდი რუსი მოაზროვნის, თავისი მსოფლმხედველობით რევოლუციონერის და დემოკრატის ა. ნ. რადიშჩევის მიერ შექმნილი ტრადიცია, მრავალი ათეული წლის მანძილზე გარკვეულ გავლენას ახდენდა თავისი ხალხურობით, სამოქალაქო მოტივების თემატიკით, შემოქმედებითი ნოვატორობით მომდევნო ეპოქების დემოკრატიული აზროვნების წარმომადგენელთა — დეკაბრისტების, რევოლუციონერი დემოკრატების იდეებზე, მხატვრული ლიტერატურის სხვა კლა-

სიკოსთა მოწინავე ტრადიციებზე აღიზარდნენ საბჭოთა კულტურის ფუძემდებელნი და მათი უახლოესი წინამორბედნი.

დღეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ საბჭოთა ლიტერატურა წარმოადგენს მე-19 საუკუნის რუსული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების გაგრძელებას, ტრადიციებისა, რომლებიც შექმნეს დიდმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა ბ. გ. ბელინსკიმ, ნ. ა. დობროლინოვმა, ნ. გ. ჩერნიშევსკიმ, მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინმა, ამ ტრადიციების მეცნიერული დამუშავება და დასაბუთება მოცემულია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შრომებში.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მუდამ განიხილავდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში, რევოლუციურ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან, კლასობრივი ბრძოლის საკითხებთან მჭიდრო კავშირში. ეს გარემოება უშუალოდ არის დაკავშირებული თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობასთან, რაც საერთოდ მარქსისტული მეცნიერების, კერძოდ, შემეცნების მარქსისტული თეორიის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, მეცნიერული სოციალიზმის თეორია — მარქსიზმი თეორიასა და პრაქტიკას განიხილავს ერთმანეთთან განუყრელი კავშირისა და ურთიერთ ზემოქმედების თვალსაზრისით. მარქსიზმისათვის უცხო და მიუღებელია თეორიის, მეცნიერების გაგება, როგორც თვითმყოფი მოვლენისა, პრაქტიკისაგან, ცხოვრების სინამდვილისაგან მოწყვეტით და მისგან დამოუკიდებლად. რევოლუციური თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის ერთიანობა წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის ამოსავალ წერტილს, მისი ძალისა და უძლეველობის გადამწყვეტ პირობას.

გენიადან მარქსისტულ-ლენინური ეს-

თეტიკა ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემებს განიხილავს როგორც საზოგადოებრივი შემეცნების ერთ-ერთ ფორმას, ცხოვრების სინამდვილის ათვისების მხატვრულ ფორმას, ცხადია, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს იგი აშუქებს მხოლოდდამხოლოდ პრაქტიკასთან უშუალო ურთიერთობაში.

თავის ცნობილ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ ვ. ი. ლენინმა გენიალური სიზუსტით დაასაბუთა ლიტერატურის განუყრელი კავშირის აუცილებლობა, ნამდვილად თავისუფალი ლიტერატურის განუყრელი კავშირის გარდუვალობა მუშათა გამათავისუფლებელ მოძრაობასთან, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის საარსებო ინტერესებთან. წინააღმდეგ ბურჟუაზიულ-იდეალისტური მსოფლმხედველობისა, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის თვალსაზრისით, რაც გამოხატულია ვ. ი. ლენინის ზემოაღნიშნულ ნაშრომში, ლიტერატურული საქმე მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული მშრომელი ხალხის ფართო მასების ცხოვრებასთან, პარტიის პრაქტიკული მუშაგების ჯგუფებთან, გამოხატავდეს და ხელს უწყობდეს ბრძოლას კამპალისტური ჩაგვრა-მონობის აღმოსაფხვრელად, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების დამყარებისათვის.

ვ. ი. ლენინი, იცავდა რა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს, უპირისპირებდა მას ბურჟუაზიულ ვაქრუკანულ ბეჭდვით სიტყვას, ბურჟუაზიულ ლიტერატურულ კარიერისმას და ინდივიდუალიზმს. „ბატონკაცურ ანარქიზმს“. მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის თვალსაზრისით ლიტერატურული საქმე არ შეიძლება ჩაითვალოს ინდივიდუალურ საქმედ, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებლად, იგი უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი მისტიკისა, სქემატიზმისა და შეზღუდვისაგან, მის საფუძველს უნდა

შეადგენდეს აზრისა და ფანტაზიის თავისუფლება, შინაარსისა და ფორმის ერთიანობა. ჭეშმარიტი მეცნიერება, ფილოსოფია, ესთეტიკა არ შეიძლება გამოეთიშოს მშრომელი მასების ინტერესებისათვის ბრძოლის საერთო საქმეს.

ბურჟუაზიული ინდივიდუალისტების თავგამოდებული განგაში აბსოლუტური თავისუფლების შესახებ ვ. ი. ლენინს ლიტონ სიტყვებად და მარტოოდენ თვალთმაქცობად მიაჩნდა. საზოგადოებაში, რომელიც დაფუძნებულია ფულის ძალაუფლებაზე, სადაც მშრომელი მასები გაღატაკებული არიან, ხოლო ერთი მუჟა მდიდრებისა ნებვირობს, წარმოდგენელია რეალური, ნამდვილი თავისუფლება. შეუძლებელია ლიტერატურა, ხელოვნება თავისუფალი იყოს იმ საზოგადოებაში, სადაც ბატონობს კაპიტალი, სადაც ბურჟუაზია მოითხოვს შემოქმედებისაგან პორნოგრაფიას, მისტიკას, პროსტიტუციის ასახვას.

ვ. ი. ლენინმა ბოლომდე ამხილა ბურჟუაზიული ლიტერატურის ეს თვალთმაქცობა და სიყალბე, გადაწვევტი, ღრმა პრინციპული სიმტკიცით დააყენა საკითხი ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატის რევოლუციურ მძრობასთან განუყრელად დაკავშირებული ლიტერატურის შექმნის აუცილებლობის შესახებ. არაკლასობრივი ლიტერატურისა და ხელოვნების არსებობა კი ვ. ი. ლენინს შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ სოციალისტურ უკლასო საზოგადოებაში. ახასიათებდა რა რევოლუციამდელი ნამდვილად თავისუფალი ლიტერატურის საფუძვლებს, ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, თავისუფალი იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარირა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი სამსახურს გაუწევს არა

სალონების გულმოყიჩქებულ „გმოქ-ქალს“, არა მოწყენილ და სისუქნის ქონით შეწუხებულ „ზედა ფენის“ ათეულ ათასებს“, არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, რომელიც კაცობრიობის რევოლუციური აზრის უკანასკნელ სიტყვას გაანაყოფიერებს სოციალისტური პროლეტარიატის გამოცდილებითა და ცოცხალი მუშაობით, რომელიც შექმნის მუდმივ ურთიერთმოქმედებას წარსულის გამოცდილებასა (მეცნიერული სოციალიზმი, რომელმაც დააგვირგვინა სოციალიზმის განვითარება მისი პრიმიტიული, უტოპიური ფორმებიდან) და ახლანდელ გამოცდილებას შორის (ამხანაგ მუშების ახლანდელი ბრძოლა)“.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ამ სახელმძღვანელო პრინციპის განხორციელებას მხატვრული შემოქმედების პრაქტიკაში ნათლად ვხედავთ საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის მაგალითზე. მაქსიმ გორკიმ მთელი თავისი შემოქმედება ძირფესვიანად დაუპირისპირა ბურჟუაზიული ლიტერატურის უხამსობას, ყველა ჯურის ანტიხალხურ მიმართულებას, დეკადენტურ ჯამბაზობას, მეწიანურ პოეზიასა და ბელეტრისტიკას. ეს ბრძოლა განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოჩნდა მ. გორკის ლიტერატურულ-კრიტიკულ და პუბლიცისტურ სტატიებში. საკმარისია გავიხსენოთ, რა სიმკაცრით, ღრმა პრინციპულობით და მაღალი იდეურობის პოზიციებიდან ჩამოხზადა მან ნიღაბი დ. მერეტკოვსკის. მაქსიმ გორკი აღაშფოთა დეკადენტ დ. მერეტკოვსკის ანტიხალხურმა „თეორიებმა“ რუსული ლიტერატურის გამათავისუფლებელი და დემოკრატიული ტრადიციების წინააღმდეგ, დიდი რევოლუციონერი დემოკრატების ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლუბოვის იდეების

წინააღმდეგ. მათ შიშართ მერვეკოვსკიმ წამოაყენა ბრალდება, თითქოს ისინი ტენდენციური არიან და მათ არ გააჩნიათ ესთეტიკური გემოვნება. „წმინდა ხელოვნება“ დამკველი მერვეკოვსკი „ამტყიცებდა“, რომ რეალიზმი ღუპავს ლიტერატურას, ამიტომ აცხადებდა საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან ხელოვნების მოწყვეტის აუცილებლობას. რეალისტები მერვეკოვსკის მიაჩნდა უბრალო მეთვალყურეებად, სიმბოლისტები კი — მოაზროვნეებად. მ. გორკიმ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ამ კნტიხალხური შეხედულებების, „წმინდა ხელოვნების“ დამკველებს.

თავისი მხატვრული შემოქმედებით მაქსიმ გორკიმ დაადასტურა, რომ მხოლოდ ისეთ ლიტერატურას აქვს უფლება ატაროს ეს დიდი და საპატიო სახელი, რომლის საფუძველსაც შეადგენს ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლა, რომლის მიხანია თავისი დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს და როგორ გადამწყვეტ ვაჟენას ახდენს ეპოქის მოწინავე, წამყვანი, ცხოველმყოფელი იდეები კემმარიტად მხატვრულ შემოქმედებაზე, გასული საუკუნის მხატვრული ლიტერატურის პრაქტიკიდან დავსახელებთ მხოლოდ ერთ ასეთ ფრიად საგულისხმო ფაქტს: როგორც ცნობილია, 1899 წელს გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის შრომა „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. იმავე წელს დაიბეჭდა მაქსიმ გორკის რომანი „თომა გორდევო“. გორკის ეს მხატვრული ნაწარმოები, რა თქმა უნდა, ლენინის მეცნიერული შრომის ბელეტრისტულ ანარეკლს კი არ წარმოადგენს. აქ საყურადღებოა ის მოვლენა, რომ ეპოქის მოწინავე იდეებით შეიარაღებულმა დიდმა მხატვარმა თავისი მწერლური ალლოთი მხატვრულ სახეებში მოგვცა

რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების სხვადასხვა საფეხურების ისტორიული თავისებურებანი, რაც ასე გუნჩხალურად, მეცნიერულად აქვს ვანხილული და დასაბუთებული ვ. ი. ლენინს თავის შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“.

ხოლო მთელი საბჭოთა ლიტერატურის, აგრეთვე უცხოეთის პროგრესული ლიტერატურის შემოქმედებითი პრაქტიკა იმ დებულების მკაფიო დადასტურებაა, რომ კემმარიტი მხატვრული ნაწარმოები იქმნება მხოლოდმხოლოდ ეპოქის მოწინავე იდეების საფუძველზე, რომ თუკი ნაწარმოები გამოთიშულია ღრმა იდეურობიდან, ხალხის ინტერესებისათვის საერთო ბრძოლის ატმოსფეროდან, ასეთი ნაწარმოები მუდამ ყოფილა და იქნება ანტირეალისტური, ანტიხალხური, ე. წ. „წმინდა ხელოვნების“ ნაყოფი.

რატომ აძლევდა ესოდენ მაღალ შეფასებას ვ. ი. ლენინი მაქსიმ გორკის რომანს—„დედა“? ცხადია, უმთავრესად და პირველ რიგში იმიტომ, რომ გორკის ამ შესანიშნავ ნაწარმოებში ლენინი ხედავდა რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციურ მისწრაფებათა მხატვრულ ასახვას, იმიტომ, რომ პავლე ვლასოვისა და პელაგია ნილოვნას მხატვრულ სახეებში დიდი შთაშავონებელი ძალით ჩანს რუსეთის მუშათა კლასის გამოფხიზლება, მისი დადგომა შეგნებული რევოლუციური ბრძოლის გზაზე თავისუფლებისათვის, ბედნიერი, ბორკილ-აყრილი მომავლისათვის, სოციალიზმის უკვდავი იდეებისათვის; მოსწონდა იმიტომ, რომ შექმნა რა რომანი „დედა“, ამით გორკი აქტიურად შეიჭრა ცხოვრების საკიბორთო საკითხების ხალხის სასარგებლოდ გადაჭრისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში; ბოლოს, რომანი „დედა“, სოციალისტური რეალიზმის ეს კლასიკური ნაწარმოები, ლენინს მოსწონდა იმიტომ, რომ მასში გორკიმ მუშის სახე დაგვიხატა არა მარტო რო-

გორც მსხვერპლი და გაჩანაგების უმწეო ობიექტი კაპიტალისტური ურთიერთობისა, არამედ როგორც აქტიური მებრძოლი კაპიტალიზმის მგლური კანონის წინააღმდეგ, ბურჟუაზიისა და ბოიომპყრობელობის წინააღმდეგ, როგორც შეგნებული რევოლუციური ძალის წარმომადგენელი, წარმომადგენელი კლასისა, რომელსაც ეკუთვნის მომავალი.

ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევდა ვ. ი. ლენინი მაქსიმ გორაკის მთელ შემოქმედებას. იგი აღტაცებული იყო გორაკის ისეთი ნაწარმოებებით, როგორიცაა „კონოვალოვი“, „ყოფილი ადამიანები“, „სიმღერა შევარდენზე“, „ქარიშხალი“, „პიესები „მტრები“, „ფსკერზე“, „მოაგარაკენი“, „მეშინები“, „მზის შეილები“, „ბარბაროსები“, ბრწყინვალე პამფლეტები „მშვენიერი საფრანგეთი“, „ყვითელი ეშმაკის ქალაქი“, „რესპუბლიკის ერთ-ერთი მეფე“, „მორალის ქურუმი“, „ზღაპრები იტალიის შესახებ“ და სხვა მრავალი.

თუ რა უდიდესი გავლენა ჰქონდა ვ. ი. ლენინის კრიტიკულ შენიშვნებს გორაკის ზოგიერთი ნაწარმოების მიმართ, ეს ნათლად ჩანს შემდეგი ფაქტიდან: 1908 წელს გორაკიმ შექმნა მოთხრობა „აღსარება“. იგი წარმოადგენდა უკანგადადგმულ ნაბიჯს მწერლის შემოქმედებაში. ვ. ი. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა გორაკის ზემოაღნიშნული ნაწარმოები, რასაც დიდი ანგარიში გაუწია მან და გამოიყენა თავის შემდგომ წუშობაში.

როცა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მაქსიმ გორაკემ ერთხანს დაუშვა შეცდომები, რისთვისაც ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა მკაცრად გააკრიტიკეს იგი, მწერალმა ფართოდ გამოიყენა სამართლიანი კრიტიკა მის მიმართ. ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი მ. გორაკის შეცდომების გამოსწორებასა და კვლავ სწორ გზაზე დადგომაში. 1919

წელს ვ. ი. ლენინმა რჩევა მისცა მაქსიმ გორაკის, რათა მას ემფუძნებოდა რუსეთში, უფრო ახლოს გასცნობოდა ვისუფალი ხალხის გიგანტურ შრომასა და ბრძოლას ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის. ლენინი ურჩევს მას აწარმოოს დაკვირვება რევოლუციით განახლებული ცხოვრების განვითარების ხასიათსა და გზებზე, რაც დიდ სარგებლობას მოუტანდა გორაკის, როგორც მხატვარს.

აქედან ნათლად ჩანს, რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი მწერლის მიერ ცხოვრების ახლოს გაცნობას, მოვლენების არსში ღრმად ჩაწვდომას, განვითარების დამახასიათებელი ნიშნების ზუსტად გამოცნობას, რაც საშუალებას მისცემს მხატვარს გაამდიდროს თავისი შემოქმედებითი ლაბორატორია.

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებათა, მძიმე წარსულის გადმონაშთების დაუნდობელი კრიტიკა, რაც განუყრელად უნდა იყოს დაკავშირებული თვითკრიტიკასთან, სამუქოთა ხალხის ყოველდღიური მუშაობის ძირითად მეთოდს წარმოადგენს. კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპად ვ. ი. ლენინი თვლიდა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართო მასშტაბით გაშლას. მხატვრულ ლიტერატურაში სატირული ეანრის სათანადო სიმალლეზე აყვანისათვის ბრძოლა, რაც განსაკუთრებული ხაზგასმით იქნა აღნიშნული ჩვენი პარტიის მე-19 ყრილობაზე, დღესაც ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად დგას სამუქოთა ლიტერატურის წინაშე. თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი სატირის ეანრს მხატვრულ შემოქმედებაში, ეს ჩანს იმ მაღალი შეფასებიდან, რაც მან მისცა ელადიმერ მაიაკოვსკის ცნობილ ლექსს „სხლომობიას გადაყოლილნი“. ვ. ი. ლენინმა აღნიშნული ლექსი ჩასთვალა უაღრესად საჭირო. აქტუალურ პოლიტიკურ ნაწარმოებად, რო-

მელიც დიდ დახმარებას გაუწევდა საბჭოთა აპარატის მუშაებს ბიუროკრატიზმის, ცოცხალი საქონისადმი, ადამიანის საარსებო მოთხოვნებისადმი უსულგულო, ფორმალურ-ჩინოვნიკური დემოკრატების აღმოფხვრაში.

ვფიქრობთ, უადგილო არ იქნება გავისხენით სატირის შესახებ ჩვენი დიდი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის აზრი, რომელიც მან გამოთქვა „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“: „გ. ერისთავი, როგორც პოეტი, იმითია შესანიშნავი, რომ ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირწყვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას“ ეძახიან და რომელიც ზოგჯერ გამოსაკეთებლად აწყლულებს ხოლმე იმას, ვისაც კი დაეძგერება და სხვას კი აფრთხილებს. მის მიერ სასაცილოდ აგდებული ჩვენი თბილისის მაღალი საზოგადოება „შემოღლიში“ და თითო-ოროლა წვრილი ამავე თვისებისა ლექსი ზემოთქმულის მოწამენი არიან“.

ღრმა ოპტიმიზმი, სიცოცხლისადმი გატაცებული სიყვარული და მისი მხატვრული ასახვა ვ. ი. ლენინს შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებად მიაჩნდა. საყოველთაოდ ცნობილია ის გულწრფელი აღტაცება და დიდი მოწონება, რაც დამისახურა ვ. ი. ლენინის მხრივ ჯეკ ლონდონის მოთხრობამ „სიცოცხლის სიყვარული“. პოლიტიკაში, კერძო ცხოვრებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში ვ. ი. ლენინისათვის უცხო იყო სიმწელების წინაშე უკანდახევვა, გულგატეხვა, უიმედობა. სწორედ ეს თვისებები, მათი მხატვრულად ასახვა მოსწონდა ლენინს ჯეკ ლონდონის ხელებულ ნაწარმოებში, სადაც საშინელ გაჭირვებაში ჩაეარდნილი ადამიანი იბრძვის არაადამიანური ტანჯვითა და წამებით სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, ნებისყოფისა და ფიზიკური ძალების უკიდურესი დამაბევით ადამიანი ახერხებს, რომ გამარჯვება მოიპოვოს მშვიერ მგელთან ორთაბრძოლაში, ცოცხალი გადარჩეს და მიზანს მიაღწიოს. ამ ფაქ-

ტში ვ. ი. ლენინი ხელდავდა მტკიცე/ნებისყოფის, უდრეკი სულუხსკეულების ზეიმს, ჯანსაღი, ადამიანურად მსახურების უპირატესობას წუწუნსა და უილაჯობაზე, გულგატეხასა და სასოწარკვეთილებაზე.

ცხოვრების სიმართლე, ხალხურობა, მოვლენებისადმი რეალისტური მიდგომა, ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინება, — აი მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საფუძვლები. ამ პრინციპების დასაცავად ფრიად საგულისნმოა ვ. ი. ლენინის აზრი პროლეტკულტის, ამ ვულგარულ-იდეალისტური ანტიმარქსისტული იდეების გამაგრებელი ორგანიზაციის შესახებ. დაგმო რა პროლეტკულტის განცალკევებულ ორგანიზაციებში კარჩაქეტილობა, მის მიერ სქემატიზმისა და პლაკატურობის ქადაგება, ვ. ი. ლენინმა აღნიშნა, რომ „მხოლოდ მარქსიზმის მსოფლმხედველობა წარმოადგენს რევოლუციური პროლეტარიატის ინტერესების, თვალსაზრისისა და კულტურის სწორ გამოხატულებას“. ვ. ი. ლენინმა დასაზა ამოცანა, რომ „განათლების საქმის მთელი დაყენება როგორც პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დარგში საერთოდ, ისე სპეციალურად ხელოვნების დარგში, გამსჭვალული უნდა იყოს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებით მისი დიქტატურის მიზნების წარმატებით განხორციელებისათვის“.

აქედან გამომდინარეობს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის გარდუვალი მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდან გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს მხატვრულ შემოქმედებაში ინდივიდუალიზმის, ნატურალიზმის, ესთეტიზმის, ფორმალიზმის, დეკადენტოზმის, ანტი-ხალხური და დაცემულობის გამომხატველი სუბიექტივისტური განწყობილების ყოველგვარ გამოვლინებას.

მხოლოდმხოლოდ სიმართლის წერა, ცხოვრების სინამდვილის არა პა-

სიური, იდეალისტური, კერეტიო, მეშჩანურ-სანტიმენტალური ასახვა, არამედ ყოველი მოვლენის ჯანსაღი, რეალისტური თვალსაზრისით განხილვა მის რევოლუციურ განვითარებაში — ასეთია სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის მთავარი და უპირველესი ამოცანა. საბჭოთა მწერალმა არ შეიძლება გვერდი აუაროს ცხოვრების სინამდვილის სიმართლით ასახვის აუცილებლობას, ვინაიდან „ყალბი ფრაზა, ყალბი კვებნა — ზნეობრივი დაღუპვაა, პოლიტიკური დაღუპვის უტყუარი საწინდარი“ (ვ. ი. ლენინი). ამ დამღუპველ გზას კი, ცხადია, საბჭოთა მწერალი ვერ აირჩევს.

დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკაში ფორმისა და შინაარსის ერთიანობა-მოკიდებულების საკითხს. დიალექტიკურ-მატერიალისტური მოძღვრება ფორმისა და შინაარსის ერთიანობის შესახებ გულისხმობს შინაარსის პრიორიტეტს, მის წამყვან, განმსაზღვრელ როლს ფორმის მიმართ, მეორე მხრივ კი — ფორმის აქტიურობას შინაარსის მიმართ. საბჭოთა კულტურის სოციალისტური შინაარსის შემდგომი განვითარება შეუძლებელია ეროვნული ფორმის გარეშე. დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს რა ფორმალისმის ყოველგვარ გამოვლინებას, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე წარმოითავს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას კომუნისმის მშენებლობის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად ღრმა იდეურობისა და ხალხურობის მტკიცედ დაცვის გარდუვალი პირობით. კომუნისტური პარტიის ყველა ღონისძიება, რაც გამომდინარეობს მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ესთეტიკური პრინციპებიდან, მიმართულია იქითგან, რათა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების სოციალისტურ შინაარსს, მის ღრმა იდეუ-

რობას სავსებით შეესაბამებოდეს მაღალი, სრულყოფილი მხატვრული ფორმა, ვინაიდან სრულყოფილი მხატვრული ფორმის გარეშე შეუძლებელია საბჭოთა ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლის, კომუნისმის მშენებელი საზოგადოების ინტერესების, მისი ცხოვრების სინამდვილის სრული, ქვეშაირითად რეალისტური, მხატვრული ასახვა.

ვ. ი. ლენინმა, როგორც ცნობილია, მაღალი შეფასება მისცა ლევ ტოლსტოის შემოქმედებას იმიტომ, რომ მან მაღალმხატვრული ოსტატობით ასახა სინამდვილე, დააყენა თავისი თანამედროვეობის უაღრესად აქტუალური საჭირობოროტო საკითხები. ამასთან, ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ტოლსტოის, როგორც მხატვრის, მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატის მნიშვნელობას მთელი კაცობრიობისათვის, აღნიშნა რა ტოლსტოის მიღწევა „ისეთ მხატვრულ ძლიერებად, რომ მისმა ნაწარმოებებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავეს მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში. რევოლუციის მომზადების ეპოქა მეტატონეების მიერ შევიწროებულ ერთ-ერთ ქვეყანაში, გახდა, ტოლსტოის გენიალური გაშუქების მეოხებით, წინგადადგმული ნაბიჯი მთელი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში“.

ცხადია, ლევ ტოლსტოის ნაწარმოებებს დიდმნიშვნელოვან შინაარსთან ერთად სრულყოფილი მხატვრული ფორმაც რომ არ ახასიათებდეს, ისინი არ იქნებოდნენ „წინგადადგმული ნაბიჯი მთელი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში“.

მეტად საყურადღებოა ვ. ი. ლენინის მიერ მიღებული შთაბეჭდილება ა. პ. ჩეხოვის მოთხრობა „პალატა № 6“-ის წაკითხვის შემდეგ. ა. ი. ულიანოვა-ეგიაზაროვას მოგონებებიდან ვეცნობით, რომ როცა ლენინს წაუკითხავს აღნიშნული მოთხრობა, ველარ მოუსვენებია ოთახში, ამდგარა და გარეთ

გამოსულა. მას ისეთი შთაბეჭდილება შექმნია, თითქოს თვითონ ყოფილიყო გამოკვეტილი № 6 პალატაში. მხოლოდ კემპარიტად მალამხატვრულ ნაწარმოებს, სიმართლის პრინციპზე აგებულ მხატვრულ ნაწარმოებს შეეძლო ასეთი ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენა.

შინაარსისა და ფორმის დიდიეტიკური ერთიანობა გენიალურად არის განხილული ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შრომებში ეროვნული კულტურის შესახებ.

ი. ბ. სტალინი, ეწინააღმდეგება რა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ „ეთორიას“ „ერთიანი ნაკადის“ შესახებ და ემყარება რა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს ეროვნული კულტურის პრობლემების განხილვისას, აღნიშნავს:

„რა არის ეროვნული კულტურა ეროვნული ბურჟუაზიის ბატონობის დროს? თავისი შინაარსით ბურჟუაზიული და თავისი ფორმით ეროვნული კულტურა, რომლის მიზანია მასების მოწამლვა ნაციონალიზმის შხაპით და ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცება.“

რა არის ეროვნული კულტურა პროლეტარიატის დიქტატურის დროს? თავისი შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურა, რომლის მიზანია მასების აღზრდა სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

როგორ შეიძლება ამ ორი პრინციპულად სხვადასხვა მოვლენის ერთიმეორეში არევა მარქსიზმთან კავშირის გაუწყვეტლად?

განა ცხადი არ არის, რომ ლენინი, ებრძოდა რა ეროვნული კულტურის ლოზუნგს ბურჟუაზიული წყობილების დროს, ლაზარს სცემდა ეროვნული კულტურის ბურჟუაზიულ შინაარსს და არა მის ეროვნულ ფორმას?

სისულულე იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლენინი სოციალისტურ კულტურას გა-

ნიხილავდა როგორც უეროვნო კულტურას, რომელსაც არააქვს უფის ეროვნული ფორმა“

ბუნებრივია, რომ სოციალისტური კულტურის აყვავება და განვითარება შეუძლებელია ეროვნული ფორმის გარეშე. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, რომელთა საგანძურში საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში გაერთიანებულ თითოეულ ერს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საკუთარი ენის, საკუთარ ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე მხატვრული სიტყვის, სახვითი, სკულპტურული და მუსიკალური ნაწარმოებების, მეცნიერული აზროვნების საშუალებით.

მხატვრული ლიტერატურის მთავარი იარაღი, სხვა გამომსახველ, მხატვრულ საშუალებებთან ერთად, არის ენა, რომელიც, ვ. ი. ლენინის განმარტებით, არის „ღამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალება“. მხატვრული ნაწარმოების სიტყვიერი ქსოვილის სიმდიდრე, მისი კულტურის დონე და ხარისხი მწერლის ოსტატობის დამახასიათებელი ფაქტორია. საბჭოთა ლიტერატურა ხალხის ინტერესებს ემსახურება, საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებში ხალხი პოულობს პასუხს თავისი ცხოვრების ბევრ საჭირობოტო საკითხზე. ამიტომ საბჭოთა მწერლის მოთხოვნების, ლექსების, პიესების, ნარკვევების ენა უნდა იყოს უაღრესად ზუსტი, დახვეწილი, ხატოვანი, თავისუფალი ყოველგვარი ბარბარიზმებისა და პროვინციალიზმებისაგან, არქაიზმებისა და ბუნდოვანი გამოთქმებისაგან. მწიგნობრულ-არქაული ენა, განგებ გართულებული და ძნელად გასაგები, ხელს უშლის მკითხველს უფრო ღრმად ჩაწვდეს, ზედმიწევნით გაუგოს მწერლის ნათქვამს, ზუსტად აღიქვას ყველაფერი, რისი თქმაც სურდა ნაწარმოების ავტორს. ამ ამოცანის გადაწყვეტა საბჭო-

თა მწერლის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

ი. ბ. სტალინი ენას აკუთვნებს „იმ საზოგადოებრივ მოვლენათა რიცხვს, რომლებიც საზოგადოების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში მოქმედებენ“. სენის წარმოშობას და განვითარებას ი. ბ. სტალინი უკავშირებს საზოგადოების წარმოშობას და განვითარებას, გვასწავლის, რომ საზოგადოების გარეშე ენა არ არსებობს, და განაგრძობს: „ენა და მისი განვითარების კანონები შეგვიძლია გავიგოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შევისწავლით განუწყრელ კავშირში იმ საზოგადოების ისტორიასთან, იმ ხალხის ისტორიასთან, რომელსაც შესასწავლი ენა ეკუთვნის და რომელიც ამ ენის შემოქმედი და მატარებელია“.

ამრიგად, ი. ბ. სტალინი ენის შემოქმედად ხალხს თვლის. ამით აიხსნება ის უდიდესი პატივისცემა ხალხური ენისადმი, ფიგურალური ხალხური გამოთქმებისადმი, რასაც იჩენდნენ ლიტერატურის კლასიკოსები თავიანთ შემოქმედებითს პრაქტიკაში. ასეთივე გულისყურით და პატივისცემით ეკიდებიან მოწინავე საბჭოთა მწერლები ხალხურ ენას, ფოლკლორულ მასალას, ღრმად აქვთ რა შეგნებული, რომ ენა არის ეროვნული კულტურის ფორმა და სოციალისტური კულტურის შემდგომი განვითარების ბასრი იარაღი. საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი სიტყვას თვლიდა „ყველა ფაქტის, ყველა აზრის სამოსლად“.

ლიტერატურა და ხელოვნება ეროვნული კულტურის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილებია. ამიტომ ვისთვისაც ძვირფასია ეროვნული კულტურის განვითარების ინტერესები, იგი მუდამ ყურადღების ცენტრში დააყენებს ენის სიწმიდის საკითხებს. პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ენის სიწმიდის საღარაჯოზე ყოფნა ევალემა მწერალს, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატს. მას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ გარდა

სხვა ამოცანებისა, მხატვრული ლიტერატურა ჩვენი აბალგაზრდობისათვის ენის სწავლებასაც ისახავს.

რუსული მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსი, ამასთან ბრწყინვალე სტილის მფლობელი, ი. ს. ტურგენევი, გულმოკლული ირგვლივ გამეფებული ვამთა სიავით, ამბობდა: „გულთანაღრობის დღეებში, ჩემი სამშობლოს ბედის შესახებ მძიმე ფიქრთა დღეებში, — მართო შენა ხარ ჩემი იმედი და გამხნეება, ო, დიადო, მძლავრო, მართალო და თავისუფალო რუსულო ენავ! შენ რომ არ იყო — როგორ არ მივეცემოდი სასოწარკვეთას ყოველივე იმის მხილველი, რაც ჩვენში ხდება? მაგრამ შეუძლებელია დაიჯერო, რომ ასეთი ენა არ ჰქონდეს მომადლებული დიდ ხალხს!“

ამ სიტყვების წარმოთქმა მხოლოდ თავისი ერის, მშობლიური ენის შესანიშნავ პატრიოტს შეეძლო. და ასეთი დამოკიდებულება დედაენისადმი ყველა საბჭოთა მწერლისათვის სანიმუშო უნდა იყოს.

ენის სიზუსტისა და სიწმიდისადმი უაღრესად ფაქიზი, ფრთხილი დამოკიდებულების ნიმუშს გვაძლევს ი. ბ. სტალინი, როცა იგი თავის შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ არკვევს საკითხს სახელმწიფო აპარატთან მონოპოლიების შეზრდის შესახებ და ამბობს:

„გამოთქმა „შეზრდა“ შეუფერებელია. ეს გამოთქმა ზერელედ და აღწერილობით აღნიშნავს მონოპოლიებისა და სახელმწიფოს დაახლოებას, მაგრამ არ ააშკარავებს ამ დაახლოების ეკონომიკურ აზრს. საქმე ის არის, რომ ამ დაახლოების პროცესში ხდება არა მხოლოდ შეზრდა, არამედ სახელმწიფო აპარატის დაქვემდებარება მონოპოლიებისადმი. ამიტომ საქირთა ამოვადლოთ სიტყვა „შეზრდა“ და შევცვალოთ იგი სიტყვებით „სახელმწიფო აპარატის დაქვემდებარება მონოპოლიებისადმი“.

საბჭოთა მწერალს ამ შემთხვევაში ორი გარემოება დაინტერესებს. ჯერ ერთი, ის, რომ ი. ბ. სტალინი გვიჩვენებს ტერმინის დახუსტების აუცილებლობას, რათა იგი უფრო ნათლად, ზუსტად გამოხატავდეს საგნის შინაარსს, დებულების აზრს. მეორეც ის, რომ აქ მოყვანილი ამონაწერიდან გარკვევით ჩანს, რა ნაკლებ ხასიათდება საერთოდ აღწერილობითი გამოთქმა. როგორც დავინახეთ, აღწერილობითი ხასიათის გამოთქმა თითქმის იგივეა, რაც ზერელობა. ზერელობა კი საკითხის განხილვისა და გაშუქების დროს ყოველად მიუღებელია. თუ კი ეს ასეა, როცა საქმე ეხება პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს პროექტს, მით უმეტეს მიუღებელია მხატვრული ნაწარმოების შექმნის დროს აღწერილობითი მანერის გამოყენება, ვინაიდან იგი ზერელობას მოასწავებს. მხატვრულ ნაწარმოებს კი იმიტომ ეწოდება მხატვრული, რომ მისი ავტორი არ უნდა კმაყოფილდებოდეს მოვლენის ან გმირის მარტოოდენ აღწერით, გარეგნული მხარეების აღნუსხვით, არამედ მას ევალება დაგვიხატოს სიტყვებით. მხატვრული ხერხებით მომხდარი ამბავი, მოქმედი გმირი, მისი სულიერი სამყარო და მხოლოდ ხატვის მანერის გამოყენებით ააგოს ნაწარმოები: სიუჟეტის განვითარება. მაშინ საქმე გვექნება არა ისეთ ნაწარმოებთან, რომელიც შექმნილია მხოლოდ ზერელე, აღწერილობითი ხერხებით, არამედ საქმე გვექნება მხატვრული შემოქმედების ნამდვილ ნიმუშთან, რომლის თითოეული ეპიზოდი, თითოეული გმირი, ამ გმირის ყოველი ქცევა, მისი შინაგანი ბუნების ყოველი შტრიხი, ნაწარმოების თითოეული პასაჟი არის დახატული მაღალი ესთეტიკური გემოვნებით, მკაცრი უბრალოებით, დახვეწილი ენით, ფრთოსანი გამოთქმებით.

თუკი ეს ითქმის ეპიკური ნაწარმოების შესახებ, მით უფრო სავალდებულოა, რომ მხატვრული სიტყვის ოსტატა

ნამდვილ ფერმწერლად ჩანდეს **ლირიკაში**.

საბჭოთა ლიტერატურაში და ზელოვნების ძირითად შემოქმედებითს მეთოდს, როგორც ვიცით, სოციალისტური რეალიზმი წარმოადგენს. ეს განსაზღვრა ი. ბ. სტალინის ეკუთვნის.

გ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შრომებში იდეოლოგიის საკითხებზე უხვად მოიპოვება მეცნიერული ხასიათის მასალები, რომელთა საშუალებითაც ვეცნობით მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პრინციპებს. ამ მასალებში მოცემულია თეორიული განზოგადებანი, რაც ღრმად არის დასაბუთებული არსებული სინამდვილიდან აღებული მაგალითებით, მიმდინარე შემოქმედებითი პრაქტიკის ნიმუშებით. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულებანი დაედო საფუძვლად სოციალისტურ რეალიზმის მეთოდის განმარტებას, რომელიც ჩაწერილია საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე მიღებულ მწერალთა კავშირის წესდებაში:

„სოციალისტური რეალიზმი, წარმოადგენს რა საბჭოთა მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის ძირითად მეთოდს, მოითხოვს მხატვრისაგან სინამდვილეს მართალ, ისტორიულ-კონკრეტულ ასახვას მის რეოლუციურ განვითარებაში. ამასთან, სინამდვილის მხატვრული ასახვის სიმართლე და ისტორიული კონკრეტობა შერწყმული უნდა იქნეს სოციალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა იდეური გადაქმნისა და აღზრდის ამოცანასთან“.

აქედან გარკვევით ჩანს ის ამოცანები, რაც გადასაჭრელად დგას საბჭოთა მწერლების წინაშე, მწერლებისა, რომელთაც ი. ბ. სტალინი „ადამიანის სულის ინჟინერები“ უწოდა ეს საპატიო წოდება უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს საბჭოთა ლიტერატურის თითოეულ მუშაკს. მას უნდა ახსოვდეს, რომ სოციალისტური რეალიზმი, როგორც თვისობრივად ახალი საფეხური

ხელოვნების მსოფლოო ისტორიაში, ემყარება მარქსისტულ-ლენინურ იდეებს, და აიარაღებს რა საბჭოთა შემოქმედს მეცნიერული სოციალიზმის ცხოველ-მყოფელი იდეურობით, მოითხოვს მისგან მხატვრულად ასახოს ისტორიულ-კონკრეტული სინამდვილე მის რევოლუციურ განვითარებაში.

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება და ლიტერატურა არ შეიძლება დაკმაყოფილდეს სინამდვილის ასახვით მის პასიურ, უძრავ მდგომარეობაში. საბჭოთა შემოქმედმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს სინამდვილის რევოლუციურ განვითარებას, მან უნდა შესძლოს იმ ახალი მოვლენის დასახვა, რომელიც არსებულის წიაღში წარმოიშობა, ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ რომელსაც განვითარების პერსპექტივა აქვს, გაანინა უნარი ზრდისა, სრულყოფისა და შეუჩერებელი წინსვლისა. ამიტომ წარმოადგენს რევოლუციური რომანტიზმი სოციალისტური რეალიზმის ორგანულ, ბუნებრივ შემადგენელ ნაწილს. ჯანსაღი ოცნება, რომელიც დღევანდელი სინამდვილის პრაქტიკიდან გამომდინარეობს და ხვალისდელ გრანდიოზულ პერსპექტივას რევოლუციური რომანტიკოს პათოსით განჰკრეტს, საბჭოთა შემოქმედის ნიშანდობლივ თვისებას უნდა წარმოადგენდეს.

3. ი. ლენინის შეხედულებებთან სრული შესაბამისობით ი. ბ. სტალინს განვითარების, წინსვლის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიაჩნდა ნაკლოვანებათა კრიტიკასთან ერთად თვითკრიტიკაც. 1930 წელს ი. ბ. სტალინის მიერ მაქსიმ გორკისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „თვითკრიტიკოდ არ შეგვიძლია, არასგზით არ შეგვიძლია, ალექსი მაქსიმეს-ძევ. უიმისოდ გარდუვალია უძრავობა, აპარატის გახრწნა, ბიუროკრატიზმის ზრდა, მუშათა კლასის შემოქმედებითი თაოსნობის ჩაშლა. რა თქმა უნდა, თვითკრიტიკა მასალას აძ-

ლევს მტრებს. ამაში თქვენ საყვებით მართალი ხართ. მაგრამ უფრო მეტად მასალას (და ბიძგს) ჩვენნი წინსვლისათვის, მშრომელთა აღმშენებლობითი, ენერჯის გაჩაღებისათვის, შეჯიბრების განვითარებისათვის, დამკვერი ბრიგადებისათვის და სხვ. უარყოფით მხარეს ანაზღაურებს და ჰკარბად ანაზღაურებს დადებით მხარე“.

გ. მ. მალენკოვი თავის სტატიაში „ამხანაგი სტალინი — პროგრესული კაცობრიობის ბელადი“, რომელიც ჟურნალ „ბოლშევიკის“ 1949 წლის № 24-ში დაიბეჭდა, წერს:

„ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ თვითკრიტიკოდ ჩვენ არ შეგვიძლია წინსვლა, თვითკრიტიკა ისე გვეკრძება, როგორც ჰაერი, როგორც წყალი, რომ ბოლშევიზმის ძალა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას არ ეშინია კრიტიკისა და თავისი ნაკლოვანებების კრიტიკაში პოულობს ენერჯიას შემდგომი წინსვლისათვის“.

ამრიგად, საბჭოთა ლიტერატურა, როგორც მშრომელი მასების აქტიური გარდამქმნელი ძალა კომუნისმის სულისკვეთებით, ჩვენს სინამდვილეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში უნდა იდგეს. ამით გაამართლებს საბჭოთა მწერალი „ადამიანის სულის ინჟინრის“ სახელწოდებას.

მაგრამ, რა თქმა უნდა, დიდი ზღვარი ძევს კრიტიკასა და ცილისწამებას შორის. ზოგჯერ ისე ხდება, რომ ამ ორ სრულიად სხვადასხვა ცნებას ერთმანეთში ურევენ, რასაც არასასურველ შედეგებამდე მივყავართ. გავიხსენოთ მხატვრული ლიტერატურის პრაქტიკიდან ერთი მაგალითი. იყო პერიოდი, როცა ცნობილი საბჭოთა პოეტი დემიან ბედნი ისე გაიტაცა ნაკლოვანებათა კრიტიკამ, რომ მან დაჰკარგა ზომიერების გრძობა და ცილისწამებამდე დაეშვა. ბუნებრივია, რომ კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა

სპეციალური დადგენილებაც კი მიიღო ამის გამო, რითაც დემიან ბედნი, როგორც ჩანს, განაწყენებული დარჩა. 1930 წლის 8 დეკემბრს მან საყვედურებით აღსაესე წერილით მიმართა ი. ბ. სტალინს. თავის პასუხში ი. ბ. სტალინი განმარტავს, რომ ნაკლოვანებათა კრიტიკით ზედმეტმა გატაცებამ მწერალი შეიძლება ცილისმწამებლად აქციოს და სარგებლობის ნაცვლად საქმეს ზიანი მოუტანოს.

„ათეულჯერ. შეუქიხართ თქვენ ცენტრალურ კომიტეტს, — წერს ი. ბ. სტალინი, — როდესაც საჭირო იყო შექმნა ათეულჯერ დაუცვიხართ თქვენ ცენტრალურ კომიტეტს (არცთუ მთლად მიუყვარებლად!) ჩვენს პარტიაში მყოფი ცალკეული ჯგუფებისა და ახსანაგების თავდასხმებისაგან. ათობით პოეტი და მწერალი დაუტუქსავს ცენტრალურ კომიტეტს, როდესაც ისინი ცალკეულ შეცდომებს სჩადიოდნენ. ყოველივე ეს თქვენ ნორმალურად და გასაგებად მიგაჩნდათ. ზოლო აი, როდესაც ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა გაეკრიტიკებინა თქვენი შეცდომები, თქვენ უცებ ბუზღუნნი დაიწყეთ და მორთეთ ყვირილი „მარყუქის“ შესახებ.“

წერილის შემდეგ ნაწილში ი. ბ. სტალინი, კონკრეტულად განმარტავს რა დემიან ბედნის შეცდომებს, ამბობს: „რამა თქვენი შეცდომების არის? ეს არის იმაში მდგომარეობს, რომ სსრ კავშირის ცხოვრებისა და ყოფის ნაკლოვანებათა კრიტიკამ, აუცილებელმა და საჭირო კრიტიკამ, რასაც თქვენ თავიდანვე საკმაოდ მარჯვედ და უნარიანად ეწეოდით, ზომასზე მეტად გაგიტაცათ და, გაგიტაცათ რა, იწყოთ თქვენს ნაწარმოებებში გადაზრდა ცილისმწამებლად სსრ კავშირის, მისი წარსულის, მისი აწყყოს წინააღმდეგ. ასეთია თქვენი „გამოიღვიძე“ და „დაუზოგავად.“ ასეთია თქვენი „კონკია ელა-

რუნა,“ რომელიც დღეს აშშ. მოლოტოვის რჩევით წაეიკითხე.“

აქვეა ი. ბ. სტალინის უაღრესად საჭირო და სასარგებლო რჩევა იმის შესახებ, თუ როგორი აუცილებელი თვისებაა საბჭოთა ადამიანისათვის საერთოდ თავმდაბლობა, სამართლიანი და სერიოზული კრიტიკისათვის ანგარიშის გაწევა და ბრძოლა მითითებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

„იქნებ, ცენტრალურ კომიტეტს უფლება არა აქვს გააკრიტიკოს თქვენი შეცდომები? — მიმართავს ი. ბ. სტალინი დემიან ბედნის. — იქნებ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სავალდებულო არ არის თქვენთვის? იქნებ, თქვენი ლექსები ყოველგვარ კრიტიკაზე მალა დგას? არ მიგაჩნიათ განა, რომ თქვენ დაავადებული ხართ ერთგვარი არასასიამოვნო სენით, რომელსაც „ამპარტავნობა“ ეწოდება? მეტი თავმდაბლობა, აშ. დემიან...“

დემიან ბედნისადმი გაგზავნილი ი. ბ. სტალინის წერილის გარჩევაზე ასე დაწვრილებით იმითომ შეეჩერდით, რომ მასში ბევრი ისეთი მითითებაა მოცემული, რომელთა სახელმძღვანელოდ მიღება საბჭოთა მწერლის მიერ სააარგებლო იქნება არა მარტო პირადად მისთვის, არამედ მთელი ლიტერატურული საქმის შემდგომი განვითარებისათვის, ვინაიდან ეს მითითებანი დღემდე ინარჩუნებენ თავიანთ აქტიურ, სადღეისო მნიშვნელობას და კვლავაც დიდხანს შეინარჩუნებენ მას. ასე, მაგალითად, 1946 წელს, შემოხსენებული წერილის შექმნიდან 16 წლის შემდეგ, პარტიას კვლავ დასჭირდა სპეციალური დადგენილების მიღება ეურნალების „ზევზისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ მიხეილ ზოშენკოსა და ანა ახმატოვას უიდეო, იდეოლოგიურად მავნე, საბჭოთა ლიტერატურისათვის უცხო და მიუღებელი ნაწარმოებების გამოქვეყნების გამო.

კიდევ მეტი: იმავე 1946 წელს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დასჭირდა

სპეციალური დადგენილება მიეღო აგრეთვე კინოფილმ „დიდი ცხოვრების“ შესახებ, ვინაიდან, როგორც დადგენილებაში ვკითხულობთ, ფილმი „დიდი ცხოვრება“ ყალბად, დამახინჯებულად გვიხატავს საბჭოთა ადამიანებს. მუშები და ინჟინრები, რომელნიც დონბასის ალდგენაზე მუშაობენ, ფილმის მიხედვით ჩამორჩენილი და ნაკლებად კულტურული ადამიანები არიან, რომელთაც ცული მორალური თვისებანი ახასიათებთ. ფილმის გმირები დროს მეტწილად უსაქმურად, ცარიელ ღაყბობასა და ლოთობაში ატარებენ. ფილმის ჩანაფიქრით ყველაზე საუკეთესო ადამიანები უგრძობელი ლოთებია. ფილმის ძირითად გმირებად გამოყვანილი არიან გერმანიის პოლიციაში ნამსახური ადამიანები... ფილმი ისეთ ზნეჩვეულებას მიაწერს საბჭოთა ადამიანებს, რაც სრულად არ ახასიათებს ჩვენს საზოგადოებას.“

აი მკაფიო მაგალითი იმისა, თუ როგორ იქცევა ცილისწამებად ნაკლოვანებათა კრიტიკით ზომამზე მეტად გატაცება, რაც სხვა არაფერია, თუ არა ცხოვრების სინამდვილის განგებ დამახინჯება, სიმართლის, მიუდგომლობის, პრინციპულობის ლალატი.

საქმე ამითაც როდი დამთავრდა. მიმდინარე წელსაც მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ზოგიერთი საბჭოთა მწერლის ნაწარმოებები, სადაც დამახინჯებულად, მრუდუ საარკვეში იყო ასახული საბჭოთა სინამდვილე, მათში გამოყვანილი გმირები კი სრულიად არ გვანდნენ კომუნისმის მშენებელ ადამიანებს.

ი. ბ. სტალინმა ვლადიმერ მაიაკოვსკის უწოდა „ჩვენი, საბჭოთა ეპოქის უნიკიერესი პოეტი“. ასეთი მაღალი შეფასება მაიაკოვსკის პოეზიამ დაიმსახურა თავისი პუბლიცისტური სიმახვილით, საბჭოთა სინამდვილის საკითხებში სადმი ღრმა, აქტიური პოლიტიკური დამოკიდებულებით, მათი მაღალმხატვრული დამუშავებით, რამაც დაამკვიდრა

იგი ლიტერატურაში, როგორც მხატვრული სიტყვის შესანიშნავი მწიგნობარი.

სამშობლოს სიყვარულსა; კრთიერ ეროვნული სიამაყის გრძობა, პროლეტარულ ინტერნაციონალიზმის მხატვრულ სახეებში მოცემა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ერთ-ერთი უპირველესი დანიშნულებაა. მარქსიზმ-ლენინიზმის უკუდავი იდეების პოზიციებიდან შეურიგებელი ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ საბჭოთა მწერლის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. რევოლუციური, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი მკვიდროდ და ორგანულად არის დაკავშირებული და დიალექტიკურ ერთიანობაში იმყოფება ცხოველყოფელ საბჭოთა პატრიოტიზმთან.

საბჭოთა მწერალი, როგორც „ადამიანის სულის ინჟინერი“, უნდა ზრდიდეს მშრომელთა შეგნებაში კომუნისმის, საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებას, მარქსისტულ-ლენინური იდეების თვალსაზრისით.

ი. ბ. სტალინი თავის წიგნში „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ წერს:

„საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მის საფუძველს წარმოადგენს არა რასობრივი ან ნაციონალისტური ცრურწმენანი, არამედ ხალხის ღრმა ერთგულება თავისი საბჭოთა სამშობლოსადმი, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მშრომელთა ძმური თანამეგობრობა. საბჭოთა პატრიოტიზმში ჰარმონიულად შეხამებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური ტრადიციები და ყველა მშრომელთა საერთო სასიცოცხლო ინტერესები. საბჭოთა პატრიოტიზმი კი არ სთიშავს, არამედ პირიქით, ერთიან ძმურ ოჯახად აკავშირებს ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნე-

ბას. ამაში უნდა ვხედავდეთ საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი და სულ უფრო და უფრო მტკიცე მეგობრობის საფუძვლებს“.

საბჭოთა პატრიოტიზმის ფესვები, რომლებიც განუყრელად არის დაკავშირებული პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან, ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის ყველა მონაბოვართან, უნდა ვეძიოთ ეროვნული სიამაყის გრძნობაში. სწორედ ამ სიამაყის გრძნობას გულისხმობდა ი. ბ. სტალინი დემიან ბენდისადმი გაგზავნილ ზემოხსენებულ წერილში, როცა ამობდა: „

„იქნებ, თქვენ, როგორც „წიგნიერი კაცი“, უარს არ იტყვიან მოისპინოთ ლენინის შემდეგი სიტყვები:

„უცხოა თუ არა ჩვენთვის ველიკორსი შეგნებული პროლეტარებისათვის, ეროვნული სიამაყის გრძნობა? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველაზე მეტად ვმუშაობთ იმისათვის, რომ მისი მშრომელი მასები (ე. ი. მისი მოსახლეობის 9/10) ავამღლოთ დემოკრატებისა და სოციალისტების შეგნებულ ცხოვრებამდე. ჩვენთვის ყველაზე მეტად გულსატკენია ვხედავდეთ და ვგრძნობდეთ, თუ როგორ ძალმომრეობენ, როგორ ჩაგრავენ და აბუჩად იგდებენ ჩვენს მშვენიერ სამშობლოს მეფის ჯალათები, თავადაზნაურები და კაპიტალისტები. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს ძალმომრეობა წინააღმდეგობას ხედებოდა ჩვენი წრიდან, ველიკორსების წრიდან, რომ ამ წრემ წარმოშვა რადიშევი, დეკაბრისტები, 70-ანი წლების რევოლუციონერი-რაზნოჩინეები, რომ ველიკორსმა მუშათა კლასმა 1905 წელს შექმნა მასების ძლიერი რევოლუციური პარტია, რომ იმავე დროს ველიკორსმა გლეხმა დაიწყო მემამულის დამხობა. ჩვენ გვახსოვს, თუ რა თქვა ნახევარი საუკუნის წინათ ველიკორსმა დემოკრატმა ჩერნიშევსკიმ, რომელიც თავის სიცოცხლეს სწირავდა რევოლუციის საქმეს: „საცო-

დავი ერი, მონების ერი, თავიდან ბოლომდე ყველა მონაა. ამ უწყვეტ და უარულ მონა ველიკორსებს (წინააღმდეგის მონარქიის მიმართ) არ უყვართ ამ სიტყვების გახსენება. ჩვენი აზრით კი, ეს იყო სიტყვები სამშობლოს ნამდვილი სიყვარულისა, ისეთი სიყვარულისა, რომელიც კაემანს შეუპყრია იმის გამო, რომ ველიკორსი მოსახლეობის მასებს რევოლუციურობა აკლიათ. მაშინ ეს რევოლუციურობა არ იყო. ახლა იგი ცოტაა, მაგრამ უკვე არის. ჩვენ აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყის გრძნობით, რადგან ველიკორსმა ერთმაც შექმნა რევოლუციური კლასი, მანაც დაამტკიცა, რომ მას უნარი შესწევს მისცეს კაცობრიობას თავისუფლებისათვის და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიდი ნიმუშები, და არა მარტო დიდი რბევა-აწიოკება, საბრძობელათა რღვები, საწამებელი ადგილები, დიდი შიმშილობანი და დიდი მლიქვნელობა ხუცების, მეფეების, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინაშე“ (იხ. ლენინი. „ველიკორსების ეროვნული სიამაყის შესახებ“).

აი როგორ შეეძლო ლენინს, მსოფლიოში უდიდეს ინტერნაციონალისტს, ლაბარაკი ველიკორსების ეროვნული სიამაყის შესახებ.“

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მუდამ მხარს უჭერდნენ და იცავდნენ გამირულ სულისკვეთებას, ნათელ, თბილისტურ განწყობილებას უკეთესი მომავლისადმი, გამარჯვებისადმი ღრმა რწმენას წინააღმდეგ გულგატეხისა, ლაჩრობისა, უიმედო წუწუნისა და ცრემლებისა. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მხრივ მუდამ აღტაცებას იწვევდა გამირული ბრძოლა განუწყვეტელი წინსვლისა და განახლებისათვის, იმედისა და სიცოცხლის ზეიმი უიმედობასა და განადგურებაზე. ამის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს ი. ბ. სტალინის მიერ გაკეთებული წარწერა მაქსიმ გორკის წიგნზე „ქალიშვილი

და სიკვდილი“. 1931 წელს, როცა თვითონ მაქსიმ გორკიმ წაუკითხა თავისი შესანიშნავი ზღაპარი ი. ბ. სტალინს, მან წააწერა ფურცლის არეზე: „ეს ნაწარმოები უფრო ძლიერია, ვიდრე გოეთეს „ფაუსტი“ (სიყვარული ამარცხებს სიკვდილს)“!

მეგობრული რჩევა, მკაცრი, ოღონდ სამართლიანი კრიტიკა მხატვრულ ნაწარმოებში შემჩნეული ნაკლოვანებებისა და არა აღმინისტრირება, არა აკრძალვითი ზომები მიაჩნდა ი. ბ. სტალინს ერთადერთ სწორ მეთოდად მხატვრული ლიტერატურისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საქმეში. 1929 წელს მწერალ ბილ-ბელოცერკოვსკისადმი გაგზავნილ წერილში სტალინი აღნიშნავს: „რა თქმა უნდა, ძალიან იოლი საქმეა „გააკრიტიკო“ არაპროლეტარული ლიტერატურა და მოითხოვო მისი აკრძალვა. მაგრამ ყველაზე იოლი არ შეიძლება ყველაზე უკეთესად ჩაითვალოს. საქმე აკრძალვა კი არ არის, არამედ ის, რომ თანდათანობით გავაძევოთ სცენიდან ძველი და ახალი არაპროლეტარული მაკულატურა შეჯიბრების გზით, იმ გზით, რომ შევქმნათ საბჭოთა ხასიათის ნამდვილი, საინტერესო, მხატვრული პიესები, რომელთაც შეეძლებათ ამ მაკულატურის შეცვლა. შეჯიბრება კი დიდი და სერიოზული საქმეა, ვინაიდან მხოლოდ შეჯიბრების ვითარებაში იქნება შესაძლებელი მივალწიოთ ჩვენი პროლეტარული მხატვრული ლიტერატურის ჩამოყალიბებასა და კრისტალიზაციას“.

გამოჩენილმა საბჭოთა მწერალმა ა. ნ. ტოლსტოამ თავისი ცნობილი ისტორიული ნაწარმოების თემა პეტრე პირველის შესახებ ორჯერ გადაამუშავა, რათა გაეწმინდა ნაწარმოები იდეალისტური ტენდენციებისაგან. აღნიშნავს რა, რომ ამ საქმეში გადაწყვეტი როლი შეასრულა ი. ბ. სტალინის შრომების საფუძვლიანმა შესწავლამ, მწერალი აღნიშნავს: „პეტრეს“ პირველი ვა-

რიანტის დადგმას მოსკოვის მეორე სამხატვრო აკადემიურ თეატრში რამდენიმე აფთრებით თავს დაესხა, და იგი (ესე იგი პიესა — ბ. ბ.) იხსნა ამხანაგმა სტალინმა, ჯერ კიდევ მაშინ, 1929 წელს, მისცა რა სწორი ისტორიული შეფასება პეტრეს ეპოქას“.

ასევე ნაყოფიერად გამოიყენა თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ბევრმა სხვა საბჭოთა მწერალმა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენიშვნები და მითითებანი. ასეთმა სწორმა ხელმძღვანელობამ მხატვრული ლიტერატურისადმი შეუქმნა საბჭოთა ლიტერატურას და ხელოვნებას ესოდენ დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი და მსოფლიო მნიშვნელობა. ცნობილი ამერიკელი პროგრესული მწერალი, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის მტკიცე მებრძოლი ჰოვარდ ფასტი თავის სტატიაში „რას ნიშნავს ჩვენთვის საბჭოთა ლიტერატურა“ აღნიშნავს: „მე ცოცხლად მახსოვს ჩემი სიუბუქის დღეები, როცა პირველად წავიკითხე ნიკოლოზ ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. ჩემს წინ გადაიშალა წარმტაცი ქვეყანა, თავიწინ დამიდგა ოცნებათა, იმედებისა და შრისხანების ახალი სამყარო. მე კარგად მახსოვს, როგორ ამაღლევა და გამიტაცა მიხეილ შოლოხოვის „წყნარმა დონმა“, მახსოვს მომზიბლობა ვალენტინ კატაევის მოთხრობისა „ობლად ფრიალებს აფრა ეული“, ატაცებისა და მღელვარების გრძნობა, რასაც იწვევდნენ ჩემში სხვა საბჭოთა მწერლების ნაწარმოებნი... ახალი ლიტერატურით ვეცნობოდით ჩვენ ახალ სინამდვილეს.

ოქტომბრის რევოლუციამ ერთბაშად როდი შექმნა ამაღლებული და სრულყოფილი ლიტერატურის რალაც ზღაპრული ერა, და გულუბრყვილობა იქნებოდა, რომ ამას დაელოდებოდით. მაგრამ მაინც დაიწყო ახალი ერა ლიტე-

რატურაში, და იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. მით უმეტეს დიდება ამ ლიტერატურას იმისათვის, რომ, მხოლოდ ჩანასახით არსებობისას, მან შესძლო შეექმნა ესოდენ ბევრი მართალი რამ, უშუალო და გასაგები, ბრწყინვალე და შთამაგონებელი“.

შეუძლებელია ოდნავი სისრულით მაინც გაშუქდეს ის უდიდესი ღვაწლი და დამსახურება, რაც მარქსთან და ენგელსთან ერთად მიუძღვით ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემათა მეცნიერული სიღრმითა და სიზუსტით განხილვის საქმეში ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს.

საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი დიდ ბედნიერებად თვლიდა, რომ მას უხდებოდა ცხოვრება დიად გარდაქმნათა ეპოქაში, სოციალიზმის ეპოქაში, რომლის შემქმნელი და სულისჩამდგმელი იყო ვ. ი. ლენინი მისი უკედავი საქმის დიდ განმგრობთან ი. ბ. სტალინთან ერთად. მაქსიმ გორკი 1934 წელს დაწერილ თავის სტატილაში „სოციალიზმის სიმართლე“ ამბობდა: „განუწყვეტილ და სულ უფრო სწრაფად იზრდება მსოფლიოში იოსებ სტალინის მნიშვნელობა, ადამიანისა, რომელმაც უაღრესად დიდი სიღრმით აითვისა თავისი მასწავლებლისა და ამხანაგის ენერჯია და გამბედაობა, რომელიც აი უკვე ათი წელია ღირსეულად ცვლის მას პარტიის ხელმძღვანელის უაღრესად ძნელ პოსტზე... საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ამყოფს და ბედნიერია იმით, რომ მას ჰყავს ისეთი ბელადები, როგორიც არის სტალინი“.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ერთგული მეგობრის მაქსიმ გორკის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა მისაბამ მაგალითს წარმოადგენს თითოეული საბჭოთა მწერლისათვის მის რთულ გზაზე — იყოს კომუნისმის მშენებელთა მოწინავე რიგებში და თავისი მხატვრული შემოქმედებით მტკიცედ იბრძოდეს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პრინციპების განხორციელებისათვის.

საბჭოთა მწერალს მუდამ უნდა ახსოვდეს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თანამებრძოლის მ. ი. კალინინის სიტყვები:

„კაცობრიობას თავის ისტორიაში ცოტა როდი ჰყოლია დიდი, გენიალური ადამიანები. მაგრამ ლენინი და სტალინი თავისებურნი და ერთადერთნი არიან. ისინი მარტო თავისთავად როდი არიან დიდი ადამიანები. მათ ფესვები აქვთ გადგმული მასებში, მათთან სისხლხორცეულად არის დაკავშირებული მსოფლიოს მშრომელთა საუკეთესო იდეალები და მისწრაფებანი. მასებს სურთ, რომ ისინი დიადნი იყვნენ, მათ სილიადეში მასები ხედავენ თავიანთ სილიადეს“.

მშრომელი კაცობრიობის გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის, მისი უკედავი საქმის დიდი განმგრობის ი. ბ. სტალინის აზრები საბჭოთა ლიტერატურის, სოციალისტური რეალიზმის მხატვრული შემოქმედების საკითხებზე წარმოადგენს საფუძველთა საფუძველს სოციალიზმის ჭვეყნის ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის.

სალიტერატურო ენის ხალხურობისათვის



სალიტერატურო ენა კულტურის პროდუქტი და ამავე დროს კულტურის მძლავრი იარაღია. მისი განვითარებისა და სრულყოფისათვის ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნადაა ქცეული. სალიტერატურო ენის განვითარების, დახვეწისა და გამდიდრებისათვის ბრძოლა არსებითად ნიშნავს ბრძოლას მისი ხალხურობისათვის, რადგან სალიტერატურო ენა ხალხურია თავისი წარმოშობითაც, აგებულებითაც, განვითარების კანონებითაც; სალიტერატურო ენის განვითარება წარმოუდგენელია ცოცხალ მეტყველებასთან კავშირის გარეშე.

ცოცხალი მეტყველებისა და სალიტერატურო ენის ურთიერთდამოკიდებულება სხარტად დაახასიათა დიდმა პროლეტარულმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ: „ენას ქმნის ხალხი. ენის დაყოფა ლიტერატურულად და ხალხურად მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ არსებობს, ასე ვთქვათ, „ნედლი“ ენა და სიტყვის ოსტატებისაგან დამუშავებული ენა“.

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ენას ჩამოყალიბების პროცესში საფუძვლად რომელიმე დიალექტი ედება. ჩვეულებრივ, ესაა იმ კუთხის მეტყველება, რომელიც წამყვან როლს ასრულებს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. შემდგომში სალიტერატურო ენა თანდათანობით იხვეწება, ივსება სხვა დიალექტების მონაცემებით და ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ერად ჩამოყალიბების პროცესში სავერთო-სახალხო ეროვნულ ენად იქცევა. ასე მაგალი-

თად, როგორც ი. სტალინმა აღნიშნა, რუსულ ეროვნულ ენას საფუძვლად დედო კურსკ-ორიოლის დიალექტი, უკრაინულს—პოლტავა-კიევის დიალექტი და ა. შ. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად ქართლ-კახური მეტყველება უძევს.

ამრიგად, სალიტერატურო ენა თავის წარმოშობითვე ხალხურია, მის საძირკველს ხალხის ცოცხალი მეტყველება წარმოადგენს.

სალიტერატურო ენა ხალხურია თავისი განვითარების კანონების მიხედვითაც, იგი განუწყვეტილად მდიდრდება და ვითარდება მხოლოდ სასაუბრო ენასთან მჭიდრო კავშირში. საკმარისია ეს კავშირი შესუსტდეს და სალიტერატურო ენაც დაქვეითების გზას დაადგება, ხოლო თუ ეს კავშირი გაწყდა, სალიტერატურო ენა ვეღარ განვითარდება, გაქვევდება, მოკვდება. ცნობილია, რომ ასე მოუვიდა, მაგალითად, ლათინურს, რომლის ენობრივ ნორმათა მკაცრმა სტაბილიზებამ გზა გადაუკეტა ცოცხალი მეტყველების ნაკადს. ხალხის მეტყველებაში მომხდარი ცვლილებები სალიტერატურო ენამ აღარ ახახა და ამრიგად იგი თანდათანობით დაშორდა ცოცხალ მეტყველებას, გაიყინა და მოკვდა, მისი დიალექტები კი განვითარდნენ და შემდგომში საფუძვლად დაედგნენ ახალ სალიტერატურო ენებს (იტალიურს, ფრანგულს, ესპანურს...).

ხშირად, როცა სალიტერატურო ენა თანდათანობით დაშორებია ხალხმე ცოცხალ მეტყველებას, საჭირო გამხდა-

რა მნიშვნელოვან ცვლილებათა მოხდენა სამწერლო ენაში, ერთგვარი რეფორმა ხალხის სასაუბრო ენასთან დასაახლოებლად. ჩვეულებრივ, ამგვარი ამოცანის შესრულება უხდებოდათ დიდ მწერლებს, რომელთა თხზულებები გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ სალიტერატურო ენის განვითარებაში. ამის ნიმუშია, მაგალითად, „ვისრამიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“, რომელთა ენა საფუძვლიანად განსხვავდება ადრინდელი ლიტერატურული ძეგლების ენისაგან და დასაბამს აძლევს ახალ ეტაპს ქართული ენის ისტორიაში. ასეთივე როლი შეასრულეს გასულ საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა, რომლებმაც გაარღვიეს ანტონ კოთლიკოსის „სამი შტილის“ თეორიის ჯგბირები და გზა გაუხსნეს ცოცხალი მეტყველების მძლავრ ნაკადს სალიტერატურო ენაში.

ამრიგად, ცოცხალი მეტყველება სალიტერატურო ენის განვითარების წყარო, უძისოდ სალიტერატურო ენა ვერ განვითარდება. მაგრამ ეს იმას როდნიშნავს, რომ სალიტერატურო ენა პირდაპირ და მთლიანად მიჰყვება სასაუბრო ენას. როგორც მ. გორკი აღნიშნავდა, სალიტერატურო ენა მეტყველების სტიქიიდან უკუაგდებს ყოველივე შემთხვევითს, დროებითსა და არამტკიცეს, ახირებულს, ფონეტიკურად დამახინჯებულს, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეეფერება საერთო ენის აგებულებას. სხვანაირად შეუძლებელიცაა, რადგან დააღუქტები ყოველ ენაში რამდენიმეა, სალიტერატურო ენა კი ერთია და მან ნაირ-ნაირი დიალექტური ფორმებიდან უნდა შეარჩიოს ისეთი, რომელიც ყველაზე მყარი, გავრცელებული და ენის ბუნების შესაფერისი იქნება. ამ შერჩევის დროსაც ერთადერთი კრიტერიუმი ხალხურების პრინციპია: მთელი ხალხის სასაუბრო ენისათვის საერთო მოვლენები შეუძლებ-

ბელია მიუღებელი იყო სალიტერატურო ენისათვის და არ აისახებოდა მის მიერ. თუმცა არ შეიძლება შევარუთოთ ეს დებულება და ვთქვათ, რომ სალიტერატურო ენისათვის მისაღები არაა არაფერი, რაც საერთო არ არის მთელი ხალხის სასაუბრო ენისათვის, მაგრამ ენის ხალხურობის პრინციპი ამით მაინც არ ირღვევა, რადგან ამგვარი არასაერთო მოვლენები ენის განვითარების შინაგან კანონებს ემორჩილებიან და პოტენციურად შეიცავენ საერთო ენაში დამკვიდრების შესაძლებლობას.

როგორც ი. სტალინმა აღნიშნა, ენა ვითარდება მისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით. ცხადია, რომ ენის განვითარების ეს შინაგანი კანონები ობიექტური ხასიათისაა. „მარქსიზმს მეცნიერების კანონები ესმის, — სულ ერთია, ეხება საქმე ბუნებისმეტყველების კანონებს თუ პოლიტიკური ეკონომიის კანონებს, — როგორც ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტური პროცესების ასახვა. ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ეს კანონები, შეიცნონ ისინი, გაითვალისწინონ ისინი თავიანთ მოქმედებაში, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის, მაგრამ მათ არ შეუძლიათ შეცვალონ ან გააუქმონ ისინი. მით უფრო არ შეუძლიათ მათ ჩამოაყალიბონ ან შექმნან მეცნიერების ახალი კანონები“¹.

ენა საზოგადოებრივი მოვლენაა და, სავსებით ნათელია, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ თავიანთი ნება-სურვილისამებრ შეცვალონ ენის განვითარების კანონები, მაგრამ, როგორც ი. სტალინი აღნიშნავს, ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ მეცნიერების კანონები, შეიცნონ ისინი. ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლა

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პირობეები სსრ კავშირში, გვ. 4.

წარმოადგენს სწორედ ენათმეცნიერების მთავარ ამოცანას. ამ კანონების აღმოჩენითა და შესწავლით შეუძლია ენათმეცნიერებას ხელი შეუწყოს სალიტერატურო ენის განვითარებას. ის გარემოება, რომ დიალექტები მრავალია, ზოლო სალიტერატურო ენა ერთი; ბუნებრივად იწვევს ამ უკანასკნელისათვის კონტროლის გაწვევის აუცილებლობას, მის ნორმირებას. არსებობს სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიები. მაგრამ ამგვარი კომისიების მუშაობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ნაყოფიერი, თუ იგი ენის განვითარების შინაგან კანონებს დაემყარება და ამ კანონთა შესაბამისად წარმართავს სალიტერატურო ენის ნორმებს. უამისოდ ეს „ნორმები“ დაბრკოლებად იქცევიან სალიტერატურო ენის განვითარების გზაზე, გამოიწვევენ მის მოწყვეტას სახალხო ენისაგან. ამრიგად, ხალხურობა სალიტერატურო ენის არსებობა-განვითარების ფუძემდებელი პრინციპია.

ამ დებულებათა გათვალისწინებით, ამ პრინციპზე დაყრდნობით, ჩვენ გესურს შევხვთ ქართული სალიტერატურო ენის ზოგიერთ საკითხს.



ლექსიკას, როგორც ენის საშენ მასალას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ი. სტალინმა განსაზღვრა, რომ რაც უფრო მდიდარია ენის ლექსიკური შემადგენლობა, მით უფრო მდიდარი და განვითარებულია ენა.

საერთოდ, ლექსიკური შემადგენლობა ენაში ყველაზე ცვალებადია, რადგან იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის ყოველგვარ საქმიანობასთან. ენის ლექსიკური შემადგენლობა განუწყვეტლივ მდიდრდება ხალხის სამეურნეო-კულტურულ წინსვლასთან ერთად. ლექსიკის გამდიდრების ძირითად წყაროს წარმოადგენს არსებული

სიტყვათაგან ახალი სიტყვების წარმოქმნა. ასეა შექმნილი ქართულში ისეთი სიტყვები, როგორც *კვალი*, *მავლობა*, *შვებულება*, *მერგოლური*, *დასაქონლება* და მრავალი სხვა. ლექსიკა მდიდრდება აგრეთვე სხვა ენებიდან სიტყვათა სესხების გზითაც. ასე ნასესხებია ქართულში *ტრაქტორი*, *კომბაინი*, *ინსტიტუტი*, *სტუდენტი*, *ლიტერატურა*, *ფაბრიკა* და სხვა. ლექსიკის გამდიდრების ამ საშუალებათა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია სიტყვათა შემოტანას დიალექტებიდან.

როგორც ცნობილია, ადგილობრივ ანუ ტერიტორიულ დიალექტებს აქვთ საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთო-სახალხო ენისა და დიალექტების გრამატიკული წყობა და ლექსიკური ფონდი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასე რომ იყოს, მაშინ სხვადასხვა ენებთან გვექნებოდა საქმე და შეუძლებელი იქნებოდა ერთ ენაზე და მის დიალექტებზე გველაპარაკნა. საერთო-სახალხო ენისა და ტერიტორიული დიალექტების გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი არსებითად ერთნაირია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს საკმაოდ დიდ განსხვავებებს დეტალებში: დიალექტებს ახასიათებს მთელი რიგი ფონეტიკური თავისებურებანი, ზოგიერთი თავისებურება გრამატიკული ფორმებისა და მათი გამოყენების მხრივ, დასასრულ, ზოგი თავისებურება ლექსიკურ სისტემაში (როგორც ლექსიკურ შემადგენლობაში საერთოდ, ისე ძირითად ლექსიკურ ფონდში, კერძოდ).

რითაა გამოწვეული სხვადასხვა დიალექტის ლექსიკური სისტემის (ძირითადი ლექსიკური ფონდისა და ლექსიკური შემადგენლობის) განსხვავებანი? ეს განსხვავებანი, ჩვენი აზრით, შეიძლება ძირითადად სამ ჯგუფად დავყოთ:

1) ამა თუ იმ დიალექტის ლექსიკური შემადგენლობის ნაწილი ასახავს ამ დიალექტზე მოლაპარაკეთა ცხოვრების სპეციფიკურ პირობებს, რაც უცხოა სხვა დიალექტის წარმომადგენელთათვის.

ასე, მაგალითად, იმ რაიონებში, სადაც მეცხვარეობას მისდევენ (ვთქვათ, თუშეთში) ყველამ იცის, რას ეწოდება თოხლი, შიშაქი, ჭედილა, ნოტო, რისვი, დუქარდი და მეცხვარეობასთან დაკავშირებული სხვა ტერმინები, მაშინ როცა იგივე სიტყვები, ვთქვათ, მახარაძის რაიონის კოლმეურნისათვის უცნობი იქნება.

სამაგიეროდ, სუბტროპიკული კულტურების გავრცელების რაიონებში მოიპოვება ამ კულტურებთან დაკავშირებული გარკვეული რაოდენობა სიტყვებისა, რომლებიც სხვა კუთხეების მცხოვრებთათვის შეიძლება გაუგებარი ან სხვა მნიშვნელობის მქონე იყოს.

აქვე შემოვა ისეთი სიტყვებიც, რომელთა არსებობა ამა თუ იმ დიალექტში შესაძლოა მაინცდამაინც ცხოვრების სპეციფიკური პირობებით არ აიხსნებოდეს, მაგრამ რალაც მიზეზის გამო სიტყვა მხოლოდ ერთ დიალექტს (ან ზოგიერთ დიალექტს) დაუცავს, დანარჩენებში კი არ გვხვდება.

2) მეორე მხრივ, დიალექტებს ზოგჯერ სხვადასხვა სიტყვა გააჩნიათ ერთი და იმავე ცნების გამოსახატავად, ე. ი. საქმე გვაქვს სინონიმებთან. ასეთებია, მაგალითად, ქართულში: პაპა და ბაბუა, დიდუდა და ბებია, მამა და ბაბუ, ბიცოლა და ძალო, ბატანი და კრავი, იხვი და კვატი, წვერა და მურწა, ლოქო და ღლავი, თხუნელა და მუდო, მურყანი და თხმელა, იფანი და კოპიტი, თუთა და ბეოლა, კაკალი და ნიგოზი, თათარა და ფელამუში, ჩურჩხელა და ჯანჯუხი, გოგრა და კვახი, თირკმელი და ქაქა, სეტყვა და კოხი, ქვევრი და ჭური, კოკა და ჩაფი, კვამლი და ბოლი, ზე-

დადგარი და სამფეხი, ჭუჭყი და წვირე, სვილი და ჭევაი და ა. შ.

3) დასასრულ, ლექსიკურ ფონდში გვხვდება ისეთი განსხვავებულობებიც, რომლებიც სხვადასხვა დიალექტში მოქმედი ფონეტიკური პროცესების შედეგია. ასეთია, მაგალითად: მობრუნება და მობრუნვა („ერთხელ მაუნდა ალუდას, ერთხელ მობრუნვა თავისა“), დატოვება და დატივება, სიკვდილი და სიკტილი, კლდე და კტი, გვარი და გორი, კვამლი და კომლი და მრავალი სხვა.

კითხვა ისმის: როგორ უნდა მოექცეს ამ სხვადასხვა დიალექტურ ლექსიკურ ერთეულს სალიტერატურო ენა? რა არის აქედან მისაღები და რა—უკუსაგდები, როგორაა დაცული ზალზურობის პრინციპი მათი შერჩევის დროს?

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა სიტყვა, რომელიც ამა თუ იმ დიალექტში დასტურდება და სალიტერატურო ენაში კი არა, არ წარმოადგენს დიალექტიზმს (ან სიტყვის ვიწრო გაგებით). ყოველ დიალექტში მოიპოვება სიტყვათა გარკვეული რაოდენობა, რომლის ბადალი, შესატყვისი სალიტერატურო ენას არ გააჩნია; არ გააჩნია იმიტომ, რომ არ ყოფილა საქიროება მათი ხმარებისა, მაგრამ როგორც კი ამგვარი საქიროება გაჩნდება, დიალექტში დადასტურებულ სიტყვა თავის ადგილს დაიკავებს და სალიტერატურო ენის კუთვნილებად იქცევა, ე. ი. ის აღარ იქნება დიალექტიზმი. შეიძლება ამგვარი სიტყვა შემოტანილი იქნეს სალიტერატურო ენაში ცოტად თუ ბევრად შეცვლილი მნიშვნელობითაც! ამრიგად, ლექსიკურ დიალექტიზმებში გამოიყოფა გარკვეული რაოდენობა სიტყვებისა, რომლებიც გამოადგება სალიტერატურო ენას.

სხვათა შორის, ამგვარი სიტყვები საკმაოდაა შეტანილი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, რომლის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „სალიტერატურო ენა ვერ ამოსწორავს სიტყვა-

თა მარაგს: მრავალია ისეთი სიტყვა, რომელიც არ დასკირვებია მწერალს და ამიტომ არ ჩანს წიგნის მეტყველებაში. მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იხმარს და სიტყვა ლიტერატურის ფაქტი გახდება. „საჭიროების შემთხვევა“ რომ ვთქვით, ვგულისხმობთ, რომ საამისო შინაარსის გადმოსაცემი სხვა სიტყვა სამწერლობო ენაში არ გაგვაჩნია. დიალექტიდან შემოსული ახალი სიტყვა თავისუფალ ადგილს იკავებს და სალიტერატურო ენას ამდიდრებს.

ამრფად, ლიტერატურაში უხმარი სიტყვა მხოლოდ ამის გამო არალიტერატურულად არ მიიჩნევა“ 1.

იქვეა დასახელებული რამდენიმე მაგალითი, როცა ამგვარი დიალექტური სიტყვები შემოტანილი და დამკვიდრებული იქნა სალიტერატურო ენაში: ლილი, რომელიც გურიაში ურმის ღერძს ნიშნავს, ქართლ-კახეთში კი საქსოვი დაზგის ნაწილს, ტექნიკურ ტერმინოლოგიაში გამოყენებული იქნა რუსული ВАГ-ის აღსანიშნავად, აქედან ნაწარმოებია ახალი სიტყვა: ლილვაკი ВАГ-ი. კარკავი დამკვიდრდა на-жа-ს შესატყვისად და ა. შ. (სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ ხალხის მეტყველებაში დაცულ ამგვარ სიტყვებს დიდის გულმოდგინებით კრებდა გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფი საბა ორბელიანი, რომლის „სიტყვის კონა-მა“ მრავალი ასეთი საჭირო და სასარგებლო სიტყვა შემოგვინახა).

მაშასადამე, დიალექტური ერთეული, ყოველთვის როდია უარსაყოფი. დიალექტური მხოლოდ მაშინაა უკუსაგდები, თუ იგი უპირისპირდება ლიტერატურულს.

ყოველივე შემოთქმულიდან ნათელი უნდა იყოს, რომ დიალექტების ლექსიკის ის ფენა, რომელიც ჩვენ პირველ

ჯგუფში მოვაქციეთ, სალიტერატურო ენისათვის მეტწილად გამოსადეგია, მისაღებია. ამგვარი დიალექტური სიტყვები სალიტერატურო ენას, მის ლექსიკურ შემადგენლობას. ყოველი ამგვარი სიტყვის შემოტანა და დამკვიდრება სალიტერატურო ენაში მისასაღმებელი ფაქტია.

ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმის მომარჯვებით ადვილად წყდება საკითხი აგრეთვე იმ ლექსიკური დიალექტიზმების მიმართ, რომელთა განსხვავებანი ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგია და რომლებიც ჩვენ მესამე ჯგუფში მოვაქციეთ (მაბრუნეა, დატიება, სიკტილი, კტე, გორი, კომლი და სხვ.). ამგვარი ლექსიკური ერთეულები მკვეთრად უპირისპირდებიან სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულ ფორმებს და ამიტომ ისინი მიუღებელია სალიტერატურო ენისათვის. ამგვარი ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეიქრას სალიტერატურო ენაში, თუ ცვლილება მომხდარია მთელ ენაში ან დიალექტთა უმეტესობაში მაინც (ასეთია, მაგალითად, ქართ. ხელი, რომელსაც ორი მნიშვნელობა აქვს: 1. სხეულის ნაწილი და 2. გიგი, გადარეული. ძველად პირველი მნიშვნელობით იხმარებოდა ძელი, მაგრამ შემდეგ მ ბგერა ქართულში დაიკარგა და ორი სხვადასხვა სიტყვა ერთმანეთს დაემსგავსა. ძელი ამჟამად მხოლოდ ორიოდ დიალექტშია არის დაცული, მაგ., მთის კილოებში).

ფონეტიკურად სახეცვლილმა სიტყვამ შეიძლება მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვოს სალიტერატურო ენაში აგრეთვე მაშინაც, თუ მას მნიშვნელობაც შეეცვლება (მაგ. კომლი — მოსახლის, ოჯახის მნიშვნელობით — ლიტერატურული ფორმაა, მაგრამ ბოლის მნიშვნელობით კი დიალექტშია და ამიტომ სალიტერატურო ენისათვის მიუღებელი).

ასევე ფონეტიკური ვარიანტებია

1 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1, წინასიტყვაობა, გვ. 009.

ერთმანეთისა: შეიკრე და შეიკრება¹. ჯანდი და ჯანყი ძველად ორივე მნიშვნელობით ჯანდი იხმარებოდა².

შედარებით უფრო რთულია საკითხი მეორე ჯგუფის ლექსიკურ ერთეულთა მიმართ, ე. ი. იმ სიტყვების მიმართ, რომლებიც სინონიმური მნიშვნელობისანი არიან. ამგვარ სიტყვებს რომ სინონიმებს ვუწოდებთ, ეს ერთგვარად პირობითია, რადგან მოსაუბრე სინონიმთაგან მხოლოდ ერთ-ერთს ხმარობს, მეორეს კი — არა (თუმცა მნიშვნელობა შეიძლება ორივესი იცოდეს). იგივე ვითარება შეინიშნება მწერლობაშიაც: ერთი კუთხიდან გამოსული მწერალი ერთი სიტყვის დამკვიდრებას ცდილობს, მეორე კუთხისა — მეორის დამკვიდრებას. ძალზე იშვიათია, რომ ვინმემ ორივე სიტყვა იხმაროს ზუსტად ერთნაირი მნიშვნელობით, ისე რომ არ შეეცადოს მათ შორის განსხვავების დამყარებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სინონიმების მნიშვნელობათა ამგვარი დაზუსტებისაკენ მისწრაფება საერთო ტენდენციაა ენისა. ხშირად ამის გამო ამბობენ კიდევ, რომ წმინდა სინონიმები ენაში არ არსებობს. მართლაც, ჩვენ არ შეგვიძლია დავასახელოთ თითქმის არც ერთი სიტყვა, რომელიც ყველა შემთხვევაში შეიძლებოდა თავისუფლად შეგვეცვალა მისი სინონიმით.

აეილოთ, მაგალითად, სიტყვები ქკუა და გონება, რომლებიც თითქმის ერთსა და იმავე ცნებას აღნიშნავენ და წმინდა წყლის სინონიმებს წარმოადგენენ. ბევრ შემთხვევაში ისინი თავისუფლად შეიძლება შევუხაველოთ ერთმანეთს, ვიხმაროთ ერთი მეორის ადგილას, მაგრამ განა სავე-

ბით ერთი და იგივეა „ქკუა დამკარგა“ და „გონება დამკარგა“? ანდა თუ თავისუფლად და ხშირად იხმარება „ქკუას ასწავლის“, „ქკუა ისწავლა“ და სხვა ამგვარი გამოთქმები, არავენ იტყვის „გონებას ასწავლის“ ან „გონება ისწავლა“ და სხვ. (თუმცა, უნდა ითქვას, რომ ძველ ქართულში კი იხმარებოდა: არა თუ ვის გონებასა ვასწავებ. კიმ. II: 140, 33). გამოვლის, რომ ეს სიტყვები ზუსტად სინონიმური მნიშვნელობისა არ ყოფილა. იგივე შეიძლება ითქვას ავადმყოფისა და სნეულის, სიჩუმისა და დუმისის, რქოსანისა და რქოვანის, სიკვდილისა და გარდაცვალების და მრავალი სხვა სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვის შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეტყველების სხვადასხვა სტილის დასახარსიათებლად ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს ლექსიკას, — და ეს სწორედ იმიტომ, რომ ლექსიკაში გამოიყოფა რამდენიმე ფენა სინონიმური სიტყვებისა, რომელთაც სხვადასხვა სტილისტური ელფერი ახლავთ. აი, მაგალითად, სულ სხვადასხვა სტილისტური იერა ახლავთ ამ სიტყვებს, რომლებიც არსებითად ერთსა და იმავე მოვლენას გამოხატავენ: მოკვდა, გარდაიცვალა, განისვენა, ჩაძაღლდა, ფეხები გაფშკია, სული განუტევა, სული ამოხდა, სული ამოსძვრა, სული დალია და ა. შ.

შეედაროთ, მაგალითად, ერთმანეთს შემდეგი ადგილები „კაცია-ადამიანიდან“: „(ლუარსაბი) ჯაერისაგან იმ კალმახს ლაზათიანად მიაძღა და ჩაბარდა პატრონს“, „ის ოხერი როდის იქნება ჩაძაღლდე“, ან კიდევ „გლახის ნაამბობიდან“: „მამაჩემი... იმავე წელს ამოიქამაწუთისოფელმა“. იგივე მოვლენა — სიკვდილი — სულ სხვაგვარადაა გადმოცემული რუსთაველის შესანიშნავ პოე-

¹ იხ. ა. შანიძე, ქართ. გრამ. საფუძვლები, 83: 475.

² იქვე, 83: 377.

ბიც, რომელთაგან ერთ-ერთს სხვა მნიშვნელობაც აქვს (ომონიმს წარმოადგენს) და ამიტომ ძირითადი მნიშვნელობით სჯობია მეორე სიტყვა დამკვიდრდეს. ავიღოთ, მაგალითად, სიტყვები: კაკალი და ნიგოზი. სალიტერატურო ენაში ორივე ეს სიტყვა დასტურდება (მაგალითად: ეკ. გაბაშვილის ერთ-ერთი მოთხრობის სათაურია „ჩვენი კაკლის ხე“, ეგნ. ნინოშვილი კი „სიმონაში“ ლაპარაკობს ნიგოზის ხეებით უკრობზე). მაგრამ კაკალი ხშირად იხმარება (და ძალიან ხშირადაც იხმარება) სხვა მნიშვნელობითაც: სიმინდის კაკალი (მარცვალი), კაკალი კაცი (მარტოხელა), თვალის კაკალი, კაკალ გულში და ა. შ. ამიტომ ბუნებრივი იქნება, თუ ხის ჯიშისა და მისი ნაყოფის აღსანიშნავად ენაში მეორე სიტყვა ნიგოზი დამკვიდრდება (ის ფაქტი, რომ ზოგან კაკალს უწოდებენ ნაყოფს მთლიანად, ხოლო ნიგოზს მის გულს, საქმელად ვარგის ნაწილს, — აგრეთვე მიუთითებს ამ სიტყვათა მნიშვნელობის დაზუსტების ტენდენციასზე).

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ბიცოლასა და ძალოს შესახებ. ეს უკანასკნელი რძალის წოდებითი ფორმისაგან არის მიღებული და ფონეტიკურად დიდად არ დაშორებულია მას, მაშინ როცა ბიცოლა მხოლოდ ბიძის ცოლს ჰქვია და თავისი აგებულებით კარგად გამოხატავს ამას.

მაინც რომელი მათგანი უნდა დამკვიდრდეს ენაში, რომელია სალიტერატურო ენისათვის უფრო მისაღები, — ეს რეფორმების გზით ვერ გადაწყდება. არ შეიძლება ამ მხრივ მწერალს თავისუფალი არჩევანის ნება არ მიეცეს და ენა თვითონვე დაგვანახებს, რომელს მიეცემა უპირატესობა.

საერთოდ, სინონიმურ დიალექტიზმთა შერჩევისას ვერ გამოდგება საზომი: ის სიტყვა ვიხმაროთ, რომელიც ფუძე-დიალექტშია გავრცელებული. ვფიქ-

რობ, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს გავრცელების არეს: უფრო ადვილად დამკვიდრდება ის სიტყვა, რომელიც მოსახლეობის მეტ ნაწილში, დიალექტთა უმეტესობაში არის გავრცელებული. ასე, მაგალითად, სიტყვა ჭვავი უფრო გავრცელებულია, ვიდრე სვილი და ის არის კიდევ დამკვიდრებული სალიტერატურო ენაში (თუმცა არც მეორე სიტყვაა უარსაყოფი: ფერის აღსანიშნავად იხმარება სვილის ფერი და არა ჭვავის ფერი).

გარკვეული მნიშვნელობა აქვს ლიტერატურულ ტრადიციასაც: სალიტერატურო ენაში მრავალგზის ნახმარი სიტყვა ეგრე ადვილად ვერ განიდევნება. მაგალითად, ყოყმანი და ჭოჭმანი მნიშვნელობით თითქოს ერთიდაიგივეა (თუმცა მათ შორისაც არსებობს ერთგვარი, ძნელად დასაქვრი, სტილისტური-ნიუანსი), ამავე დროს უფრო გავრცელებულია ყოყმანი, მაგრამ არ შეიძლება ავტომატურად ჰარაღებულად ჭოჭმანის ხმარებაც სალიტერატურო ენაში, არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ ამ სიტყვას ხმარობდნენ რუსთაველი („დაჯვჯე, რუსთველმან გაულექსე, საქმე ექმენ საქოჭმანებში“), აკაკი და სხვანი.

ამრიგად, სინონიმურ დიალექტიზმთა შერჩევის დროს განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. არ შეიძლება ამა თუ იმ სიტყვის ხელალებით უარყოფა. ბევრი მათგანი შეიძლება გამოადგეს სალიტერატურო ენას, დამკვიდრდეს და გაამდიდროს მისი ლექსიკური შემადგენლობა.

ჩვენში კი, უნდა ითქვას, შეინიშნება ტენდენცია, რომ ენის სიწმინდის დაცვის საბაბით განდევნონ მრავალი ასეთი სტილისტური ელფერის მქონე, წმინდა ქართული სიტყვა თუ გამოთქმა: განდევნონ, მაგალითად, გაიძრო, რაკი მის გვერდით არსებობს გაიხადა, უარყონ დააეხავეა, ცხენი დაღვედრა, სჩხვერავედნენ და სხვა-

ნი. ამგვარ სიტყვათა დიალექტურებზედ მიჩნევა და მათზე ხელის აღების მოთხოვნა ყოველად შეუწყნარებელია. ეს განსაკუთრებით ითქმის სამწერლო ენის მიმართ, რადგან სინონიმებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამწერლო ენაში როგორც სტილისტური ნიუანსების გადმოსაცემად, ისე ფრაზის კეთილხმოვანებისათვის (ცნობილია, მაგალითად, რომ მწერლები ერიდებიან ერთი და იმავე სიტყვის ხმარებას ერთმანეთის მეზობლად, თუკი ამას არა აქვს გარკვეული მხატვრული ფუნქცია).

აი, მაგალითად, როგორ ოსტატურად ცვლის მ. ჯავახიშვილი დროშას მისი სინონიმებით (ბაი რაღი, ალაში):

„უცებ ბასილა მაიორმა თავის დონური თაფლა კარვის წინ შეაყენა და დროშას შეჰხედა. იგი უკვე ჩამოეხსნა ცალთვალა მედროშეს, არსენას მამას ლეთისაეარს, და ზაალის ნიშანსა ელოდებოდა.

— ეს რა ამბავია? — გაოცებით იკითხა მაიორმა.

— ეგ ჩვენი დროშა გახლავთ. — აუხსნა დავით ბარათაშვილმა. — ჩვენი მეწინავე დროშა არის.

— რაო? — შესძახა მაიორმა. — რაო? მე უბრალო ბაი რაღი მეგონა, ნამდვილად კი მართლა დროშა ყოფილა.

— დიად, ავრეა. საქართველო ხუთ სადროშოდ იყო დაყოფილი და საბარათიანო, ანუ ქვემო ქართლი, მეწინავე სადროშოდ ითვლებოდა.

არლოვმა მიიხედ-მოიხედა და ფიცხელი ბრძანება გასცა:

— ახალავე ჩამოხსენით და აქ მომეცით.

ფორზე ავი სიჩუმე ჩამოწვა. არავინ არ დაიძრა. ზოგი გაფითრდა და ზოგიც იმ ალაში იკით გაწითლდა“ (ხაზო ჩვენია. ზ. ჭ.).

ანდა ავილოთ სინონიმთა ოსტატური მონაცულებობის მეორე ნიმუში იმავე „არსენა მარაბდელიდან“:

„დიდი ეზოს ბოლოში უხარჯნარი ქანდრის ქვეშ სამპირი სუთრა იშლებოდა. ფიცრებსა და მაგიდებზე — (ქვემოთ წესით) — ალგეთელ თავად-ახსაურთათვის, მიწაზე გაშლილ ფარდაგებსა და ქეჩებზე (ქართული ადათით) — ზაალის ყმებისათვის, ხოლო უფრო მოშორებით, ისევე ქეჩა-ფარდაგებზე — გლეხი-ქალებისათვის“.

ამგვარი მაგალითები ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში საკმაოდ ხშირია.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებლები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი — არაერთხელ მიუთითებდნენ, თუ რა ამოუწყვეთი საუნჯეა ხალხის მეტყველება. მათ დაამკვიდრეს სალიტერატურო ენაში ხალხში გავრნილი მრავალი სიტყვა, მათი განსაკუთრებული მზრუნველობა რომ არა, ვინ იცის, რამდენი კარგი და საჭირო სიტყვა დააკლდებოდა სალიტერატურო ქართულს. ამგვარივე ზრუნვა და ხალხის სასაუბრო მეტყველებისადმი ყურის გდება ჩვენი მწერლების, პრესის მუშაკების, ლიტერატორების ვალია.

არ შეიძლება სალიტერატურო ენაში შემოკრის უფლება წავართვათ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ერთი შეხედვით თითქოს დიალექტურია. მაგრამ აგებულია ქართული ენის ბუნების შესაბამისად, წმინდა ხალხურია. რომ უარვყოთ, მაგალითად, ისეთი მოკვეთილი და შინაარსეულად ნათელი სიტყვა, როგორცაა ა მ ა ს ო ბ ა შ ი, მის მაგიერ მთელი ფრაზა გახდება საჭირო. უკვე არქაულ ფორმად ქცეული აწ (=ახლა) ვერ შეუშლის ხელს — სალიტერატურო ენაში დამკვიდრდეს სასაუბრო ენაში ფართოდ გავრცელებული აწ ი (=ამიერიდან). მას ხმარობენ კიდევ ისეთი გამოჩენილი სიტყვის ოსტატები, როგორიცაა გ. ტაბიძე, კ. გამსახურდია და სხვ. პირდაპირ ხატოვან გამოთქმას ეტოლება ხალხში გავრცელებული სიტყვა ა რ ა კ ა ც ი. ამგვარი სიტყვე-

ბის უარყოფა სალიტერატურო ენის მიერ არასგზით არ შეიძლება.

რაც ითქვა დიალექტიზმების შესახებ, ძირითადად იგივე შეიძლება ითქვას არქაიზმების შესახებაც სალიტერატურო ენაში. არქაიზმები მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ვუწოდოთ იმგვარ სიტყვებს, რომლებიც ენის აქტიური ლექსიკური მარაგიდან გავიღწენ იმის შედეგად, რომ ცხოვრებიდან გაქრა ესა თუ ის შესაბამისი რეალია. ამგვარი სიტყვები არ შეიძლება შევუბიროსპიროთ რომელიმე სხვა, ახალ სიტყვას: სიტყვაც და ცნებაც ორივე გვიდა ხმარებიდან, ხოლო თუ აუცილებელი იქნება ამ ცნების სახელდება, ჩვენ იძულებული ვაგვხდებით ისევე იმ ძველ სიტყვას („არქაიზმს“) მივმართოთ. ასე, მაგალითად, ფეოდალურ საქართველოში ცნობილი იყო ეზოსმოდვრის თანამდებობა. ფეოდალში წარსულს ჩაპბარდა და ეზოსმოდვრის თანამდებობასთან ერთად სახელწოდებაც გაქრა. მაგრამ კ. გამსახურდია თავის ისტორიულ რომანებში ხშირად ხმარობს ამ ტერმინს, რადგან რომელიმე სხვა სიტყვის ხმარება მის მაგიერ უაზრობა იქნებოდა. ასევე გამქრალია ჩვენი დღევანდელი სიტყვა ხმარებიდან „დავით აღმაშენებელშივე“ ნახმარი უფლი ისწული, სპასალარი, მალემსროლი, მექურჭლეთუხუცესი, სეფედროშა, თორანი და სხვანი, რომელთა აღდგენა აუცილებელი ხდება, როცა წარსულს ვიხსენებთ.

ამგვარი სიტყვების ხმარებას ვერ გავეცევით შესაბამის ცნებებზე საუბრის დროს და მაშინ ისინი არქაიზმებადაც არ შეიძლება მივიჩნიოთ.

ნამდვილ არქაიზმთან მაშინ გვაქვს საქმე, თუ გარკვეული სიტყვით აღნიშნული რომელიმე ცნებისათვის ჩნდება

ახალი სიტყვა, ხოლო ენაში არ არსებობს საჭიროება მათი განჩევნისა. არც მნიშვნელობის, არც სტილისტიკური ფუნქციის მხრივ. მაშინ ერთ-ერთი მათგანი (ჩვეულებრივ, — ძველი) თანდათან გამოდის ხმარებიდან და ქრება. მისი ხელახლა აღდგენა (მნიშვნელობის შეუცვლელად) სალიტერატურო ენისათვის საჭირო არ არის.

ლექსიკის ხალხურობის საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას აგრეთვე უცხო სიტყვების შემოტანის შესახებ ენაში. საერთოდ, უცხო სიტყვების განსაკუთრებული სიჭარბე ნაციონალური ენის ლექსიკაში არ შეიძლება დადებით მოვლენად მივიჩნიოთ, ამიტომ ხშირად ამჯობინებენ ამგვარ სიტყვებს შესატყვისი მოუძებნონ ნაციონალური ენის ფარგლებშივე. მაგრამ ამავე დროს ცნობილია რომ არ არსებობს აბსოლუტურად წმინდა ენა, რომელიც სავსებით თავისუფალი იყოს უცხო ენებიდან შემონატანი სიტყვებისაგან. ზოგიერთ სიტყვას ისეთი საყოველთაო გავრცელება აქვს მოპოვებული და ისეა შეთვისებული სხვა ენების მიერ, რომ მათი თარგმნა და შესატყვისების ძებნა უაზრობა იქნებოდა. ჩვენს პრესასა და მხატვრულ ლიტერატურაში დიდი ხანია რატომღაც დაკინებით ცდილობენ დაამკვიდრონ მძლოლი შოფრის ნაცვლად, მაგრამ არა მგონია ამ ცდამ ოდესმე სასურველი შედეგი გამოიღოს. სიტყვა შოფერი გზასთან და ავტომობილთან ერთად შეიჭრა ყველაზე მივარდნილ კუთხეებშიც და ისე შეეცისხლხორცა ჩვენი ენის ბუნებას (მაგ., შეიძინა კუმშვის ძალა: შოფერი — შოფრის), რომ მას ახლა ვერც ერთი ხელოვნური სიტყვა ვერ გამოვლენის ჩვენი ხალხის სიტყვახმარებიდან.

სხვა ენებიდან შემოსული ამგვარი

სიტყვები ეთვისებიან ენის ბუნებას, სახეს იცვლიან და ამის შედეგად ზოგჯერ ისეთი ფორმით გვევლინებიან, რომ ამ სიტყვის უცხოურობა ძნელი გამოსაცნობია. ამას აქ იმიტომ ვიხსენებთ, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენში შეიმჩნევა ტენდენცია — ახლად შემოსულ უცხოურ სიტყვებს ქართულში შეუნარჩუნონ მაინცდამაინც ზუსტად ისეთი ფორმა, რაც მათ ფუძე-ენის დაწერლობაში ან წარმოთქმაში აქვთ. ამის შედეგია, მაგალითად, რომ ზოგიერთი ორგანო დაეინებით იცავს ბუხპალტერს, თუმცა მთელი ხალხის სიტყვა-ხმარებაში მან დიდი ხანია იცვალა სახე: ბულალტერი. ხპ ქართულისათვის შეუფერებელი, აუტანელი ბგერათკომპლექსია, ვერ ნახავთ ვერცერთ წმინდა ქართულ სიტყვას, რომელშიაც ეს ბგერები ამ სახით გვხვდებოდეს. ამიტომ შემოსხენებულ სიტყვაშიაც ხპ-ს არავინ გამოთქვამს: ბუხპალტერს არ გამოთქვამენ, მაგრამ მის ასეთ დაწერილობას კი დაეინებით იცავენ ზოგიერთები. უცნაურია, მაგრამ ფაქტია! ეს მაშინ, როცა ქართული ენა გამოირჩევა წერისა და გამოთქმის შეხამებით, ერთგვარობით: ქართულში იწერება ისევე, როგორც გამოითქმის. ამ ფაქტს უეჭველად ანგარიში უნდა გაეწიოს უცხო სიტყვათა ქართული დაწერილობის დროს. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არ შეიძლება ამ საბაბით მოვითხოვოთ უკვე დამკვიდრებულ უცხო სიტყვათა რევიზია. არაფერი საქმროა შეცვალათ და ვწერთ (ან ვილაპარაკოთ) ანკეტი ანკეტას ნაცვლად დეპეში დეპეშას ნაცვლად, პარი პარზის ნაცვლად, ლიებონი ლისაბონის ნაცვლად, პოლანდი პოლანდიას ნაცვლად და ა. შ. როგორც ამას ერთი მოითხოვდა ამ რამდენიმე წლის წინათ. სასაცილო და

იმავე დროს სავალალოცაა ასეთი მოთხოვნაც: უცხო-სიტყვებზე განუყოფელი უცხოური აქცენტით, გამოთქმით, მაგალითად: ქაკულტეტი, ძილოსოქია, ტუქლი, იძიოტი და სხვ.

ამგვარი მოთხოვნის სერიოზული მტკიცება ყოვლად შეუძლებელი და გაუპართლებელია.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველივე შემოთქმული შეეხება სალიტერატურო ენის ლექსიკას და არა სამწერლო ენისას. ამის აღნიშვნა საქმროა იმიტომ, რომ ზოგიერთები ამ ორ ცნებას აიგივებენ, მაშინ როცა სამწერლო ენის ცნება გაცილებით უფრო ფართოა: ყოველგვარი ისეთი ლექსიკური ერთეული, რომელიც სალიტერატურო ენის კუთვნილებას აშკარად არ წარმოადგენს, გარკვეულ პირობებში შეიძლება თავისუფლად იქნეს ნახმარი სამწერლო ენაში. ყერძოდ, დიალექტური ან არქაული ლექსიკა ამგვარ შემთხვევებში გვევლინება მხატვრული ფუნქციით, ქმნის გარკვეულ კოლორიტს. ოღონდ მათი ხმარებისას დაცული უნდა იყოს ზომიერების გრძნობა, რასაც მწერლის უნარი დაპირადი შეხედულება განსაზღვრავს.

ჩვენ ვფიქრობთ, სავსებით სწორია ის აზრი, რომ მხატვრულ ნაწარმოებში კოლორიტის შესაქმნელად ნახმარი უნდა იქნეს უმთავრესად ისეთი დიალექტური და არქაული ფორმები, რომლებსაც სალიტერატურო ენაზე მოლაპარაკე მეითხველი აითვისებს როგორც აშკარად დიალექტიზმს ან არქაიზმს. ამგვარ სიტყვათა მეტიმეტი სიქარბე კი ამცირებს მხატვრული ნაწარმოების საზოგადოებრივ რეზონანსს და უყარგავს მას შემეცნებით ღირებულებას, უყარგავს მხატვრული შემოქმედების ძალას.

წიგნი ახალი წიგნითაზე *



ლევან ასათიანის წიგნი „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“ მიზიდველად და საინტერესოდ მოგვითხრობს აკაკის მრავალფეროვან და სახელოვან ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მასში განხილულია და შეჯამებულია აკაკის პოეტური შემოქმედრება, რომელსაც ღირსეული შეფასება მისცა კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ და მშრომელმა ხალხმა.

საგნის ცოდნითა და გულისხმიერებით გაშუქებულია პოეტის დაბადება, გაძიძავება გლეხის ოჯახში და იქ მიღებული ერთგვარი სპარტანული აღზრდა, რაც თვითონ პოეტს აღწერილი აქვს თავის თავგადასავალში.

აკაკი წერეთელი ქუთაისის გიმნაზიაში და პეტერბურგის უნივერსიტეტში — გაშუქებულია მრავალი, დღემდე უცნობი, დოკუმენტით. მკითხველის თვალწინ გაიყვანის მართალი სურათი 50-60-ანი წლების საქართველოს სინამდვილისა, კერძოდ, ქუთაისის ცხოვრება, გიმნაზია, პედაგოგიური პერსონალი, მოსწავლეთა შემადგენლობა, აკაკი მოსწავლე, გიმნაზიის დასრულება და ლიტერატურული დებიუტი ჟურნალ „ცისკარში“. საინტერესოდაა აღწერილი აკაკის რუსეთში მოგზაურობა. მკითხველის ყურადღებას იპყრობს იმდროინდელი ფლითის აღწერა, რისთვისაც ავტორი იშველიებს გიორგი ერისთავის მოგზაურობას, ფრანგი რომანისტის ალ. დიუმას შთაბეჭდილებებს და ამ დროის სამეგრელოს ვითარების აღწერას.

ახალგაზრდა პოეტი, რომელმაც მალე გარკვეა თავისი მომავლის გზა, დაუბლოვდა პეტერბურგში თავმოყრილ ქართველებს — მეცნიერებს, მწერლებს, სტუდენტებს და გამოსწავლ სამხედრო და ისტორიულ პირებს. ის აქ გაეცნო აგრეთვე გამოჩენილ რუს მოღვაწეებს და, მათ შორის, დიდ რევოლუციონერ-დემოკრატ ჩერნიშევსკის, უკრაინელი ხალხის დიდ პოეტს ტარას შევჩენკოს და სხვ.

ტარას შევჩენკოსთან შეხვედრამ და საუბარმა

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა აკაკიზე. მან მოგონების სახით საკულისხმო ფურცლები მიუძღვნა მას. აკაკის ეს საინტერესო მოგონება, რომელიც დაბეჭდილია 1911 წელს გაზეთ „ზაკავკაზეში“ (პნ 45), სარეცენზიო წიგნში მოყვანილია მთლიანად. სამწუხაროდ, მოგონების ტექსტი საცენზურო თუ სარედაქციო პირობების გამო დასახელებულ გაზეთში დამახინჯებულად არის დაბეჭდილი. როგორც ამ მოგონების ავტორად (დაცულია სახალხო განათლების მინისტრის ბრძანებით პნ 2646) ტექსტთან შედარებით ვაჩვენებ, გაზეთში შეეცვლილა, ან სრულყოფილ ამოშლილი მთელი რიგი სიტყვები და ფრაზები, რაც აზრს ამახინჯებს. მაგალითად, ერთს წინადადებაში ამოშლილია სიტყვა „საქართველო“, მეორეში მე-12 საუკუნის პირობების ნაცვლად წერია „წინასწარმეტყველები“, „სუზერენის“ მაგივრად დაბეჭდილია „სუვერენიტეტი“, გამოტოვებულია მთელი რიგი მარტივებითი სიტყვები, კითხვები და ა. შ. „ზაკავკაზეს“ ფურცლებზე ამგვარი დეფექტებით დაბეჭდილმა ამ მოგონებამ ქართულ თარგმანშიც კბოვა ასახვა, რაც სარეცენზიო წიგნის მეორე გამოცემაშიც ვერ გამოსწორებულა, ესე იგი უნდა იკითხებოდეს „გამომწმენდნენ სახელგანთავსებელი“ მოსე ხონელის მსგავსნი და საერო პოეტები რუსთაველი, შავთელი, ჩხარუხაძე და სხვ., და არა „წინასწარმეტყველები“. უმჯობესი იქნებოდა ავტორს ტექსტი ეთარგმნა პირდაპირ ავტორგრაფიდან.

პეტერბურგში აკაკის ხედება ილია ქაჯვაძე-მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ეს ორი მოღვაწე აქ, შორეულ ჩრდილოეთში, ეცნობიან და უახლოვდებიან ერთმანეთს. აქვე არიან ნიკო და ბესარიონ ლომობერიძეები, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხვ. მართებულად აღნიშნავს ავტორი, რომ ქართველი სტუდენტების ამ მოწინავე ნაწილმა საგრძნობლად განიცადა გავლენა რუსეთში დაწყებული რევოლუციონერული მოძრაობისა, რომლის ცენტრი იყო ჩერნიშევსკის, დობროლუბოვისა და ნეკრასოვის ჟურნალი „სოფრემენიკი“.

წიგნში გამოვლინებულია სტუდენტი აკაკის

* ლევან ასათიანი. ცხოვრება აკაკი წერეთლისა. მეორე შესწორებული და შეკვებულ გამოცემა. სახელგამი. 1953 წ.

ერთიერთობა შრომლებთან, მისი ბარათები დედისაღმი, აკაიის დამოკიდებულება პეტერბურგში მყოფ ქართველ და სხვა ეროვნების სტუდენტებთან, მისი იმდროინდელი ლიტერატურული მშობა; კავშირი სტუდენტთა აჯანყებასთან, პოეტის გატაცება რუსი, ფრანგი და სხვა კლასიკოსებით, აკაიის აზრი ზერნიშვესკის ცნობილ ტრაქტატზე ხელოვნებისა და სინამდვილის შესახებ და სხვ. აქვე დასაბუთებულად არის განხილული აკაიის ამ პერიოდის ლექსების („სალამერი“, „მეშერი“, „რუსეთში“) გენეზისი.

წიგნში ნაჩვენებია ის სოციალური, ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური ვითარება, რაც საქართველოში 1864 წელს დაწყებული რევოლუციებით იქმნებოდა. აკაიი წერბული ილია ქავთაძესთან ერთად მთელი თავისი კალმის ძლიერებითა და პრაქტიკული საქმიანობით ჩაება ამ ე. წ. „გლეხთა რევოლუციებში“ გლეხების სასარგებლოდ.

მონოგრაფიის ავტორის სწორად აქვს გააზრებული და წარმოდგენილი ის ბრძოლა, რომელიც „თერგდალეულთა“ ჯგუფის ახალგაზრდებმა (აკაიი წერბული, კ. ლორთქიფანიძე და სხვა) ალია ქავთაძის მეთაურობით გააჩაღეს. სწორადაა შეფასებული აკაიის ამ პერიოდის ლიტერატურული სტატიები, სადაც პოეტს გამოთქმული აქვს ვარკვეული აზრები ნ. ბარათაშვილზე, ილია ქავთაძეზე და სხვა გამოჩენილ მწერლებზე და საზოგადო მოღვაწეებზე.

1880 წლიდან დაწყებული, ვიდრე პოეტის გარდაცვალებამდე (1915 წ.) გაშუქებულია აკაიის თანამშრომლობა ქართულ და რუსულ მოწინავე პრესაში, განხილულია რაგორც ლექსები, ისე მისი პუბლიცისტური, ლიტერატურული და მეცნიერული ზასათის წერილები; ვარკვეულია აკაიის უნივერსიტეტის ლექსების, პოემების, დრამების, მოთხრობების გენეზისი. მკითხველის ყურადღებას იპყრობს აკაიის გამედგმებული ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით, მეფის ცენზურასთან.

წიგნში ხაზგასმულია აკაიის როლი ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში, პოეტის თანამშრომლობა საბავშვო ეფრანდებში („ცნობათი“, „აეჯილი“, „ნაჯადული“), მიმოხილულია მისი საბავშვო ლექსები, მოთხრობები და კრილოვის იგავარაკების თარგმანები.

მონოგრაფიაში აღწერილია აკაიის პოეტური მოღვაწეობის 50 წლის იუბილე, მისი პოეტური პედაგოგიური და რეპა-ლენსეში, დიდი ილიას პედაგოგიური გამოწვეული აღმოფთება, პოეტის დამოკიდებულება 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობისაღმი, პოეტის გამოხმარება 1902 წ. ი. სტალინის ხელმძღვანელობით მოწყობილ ბათუმის დემონსტრაციისაღმი, დამოკიდებულება მესამე დასა და სოციალ-დემოკრატიისაღმი,

რომლის „მცენება, აზრი და მოძღვრება“ მოსწონებია მოხვე პოეტს, თემკა მუშაყაყაძისე-სკოცანებისა და მსოფლმზედველუბზე დიქტატორე ვერ ამაღლებულა.

უნდა აღინიშნოს, რომ ლ. ასათიანის წიგნი მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ საბავშვო ლიტერატურათმკოდნეობაში საკითხების სიმრავლით, ამ საკითხების გადმწვევრითა და მართებული გაშუქებით.

მითხედავად ამისა, მინც შეიგზნევა ზოგერთი შეუსაბამობა და არაზუსტი ადგილები, რომელთაგან რამდენიმეს აღვნიშნავთ.

წერბულების გვარის ისტორიასთან დაკავშირებით (გვ. 11) კარგი იქნებოდა ავტორის აღვნიშნა, რომ ყველა წერბული კი არ იყო თავადი, არამედ ეს გვარი იყოფოდა აზნაურებად და გლეხებადაც კი.

მკერე განმარტებას მოითხოვდა აგრეთვე ერთი ადგილი აკაიის პოემისა — „ნათელა“, თუ როგორ გახდა მე-17 საუკუნის საზნაურის ფეოდალი ქველი წერბულის ახალი ნათელი მე-13 საუკუნის ცნობილი ეროვნული გმირის ცოტნე დადიანის ტრფიალების საგანი (16); საჭირო იყო გამოდრევა, თუ ვინ იყო სალომე ბატონიშვილი. რომელმაც მთელი თავისი მიბლიოთეა ქართულ სტუდენტებს გადასცა (133), არსებობს ცნობა, რომ იმ დროს „ივერიაზე“ განაწყენებულმა აკაიიმ ლექსი „პატარა მერია“ დაწერა ა. ასანზაროვზე, „ივერიის“ რედაქციის მდივანზე, და არა ფრანგ ეფრანლისტ მერიზეზე, როგორც ეს მონოგრაფიაშია ნათქვამი. შემდეგში ეს ცნობა თვით პოეტმა გამოფრა თავის შესანიშნავ სატრულ ნაწარმოებში — „სიკვილი“.

ფრნალ „აეჯილის“ დაარსებაზე აკაიის მეტედეაქვი ჰქონდა გაღებულები, ვიდრე ეს წიგნში აღნიშნული (გვ. 367). საგულისხმოა, რომ ამ ეფრანლისთვის მუდმივ ემიგრაცად წამძღვარება გლეხი პოეტის ი. დავითაშვილის ლექსია — „იზარდე მწვანე აეჯილი“ აკაიის ინიციატივა იყო. აკაიი ყოველ მხრივ ეხმარებოდა ამ ეფრანლის რედაქციას. ასეთივე გულისხმიერება, ინიციატივა და ზრუნვა გამოიჩინა პოეტმა შორე საბავშვო ეფრანლის — „ნაჯადულის“ დაარსებისათვის, რის აღნიშვნაც საჭირო იყო. 1895 წელს თბილის სტ. ძიმისტარაშვილზე თქმული აკაიის ნაკვესი ანატრონიშვია, ვინაიდან ის 1886 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი (გვ. 389).

მონოგრაფიაში დაზუსტებული უნდა ყოფილიყო აკაიის დარქაბის დღე (გვ. 500) და რიცხვი; პარისელი ქართველი კორესპონდენტი, რომელიც ასე ფართოდ აღწერდა „ცნობის ფურცელში“ აკაიის შესახებ პარიზულ გაზეთებში მოთავსებულ წერილებსა და ცნობებს, თედო საზოგია იყო (გვ. 418); იონა მენუარგას მონოგრაფიიდან ციტირებული ადგილის წყაროდ ნაივე

ნები უნდა იყოს „ლიტერატურის მატარე“
წ. 1—2, გვ. 321 და აქ „ცხოვრება და ღვაწ-
ლი გრიგოლ ორბელიანისა“ ცალკე გამოცემა,
რომელშიც ასეთი თავი (XXIII) და არც მონო-
გრაფიაში მოყვანილი სიტყვები არ მოიპოვება
(გვ. 285); ავტორი ხშირად იშველებს „ერთი მე-
მუარისტის“ ცნობებს (გვ. გვ. 40, 410, 245), მაგ-
რამ არ ასახელებს, ვინ არის ეს მემუარისტი. სი-
ზუსტეს მოკლებულია გამოთქმა „ეფნორი,
მღვდელი აღქსი მესხიშვილი“ (გვ. 87. მკითხ-
ველი იფიქრებს, რომ ამ მღვდელს აღქსი რქმე-
ვიყო, მაშინ როდესაც ეს სიტყვა გვარის ნაწი-
ლია. სასტუმრო „კოლხიდის“ პატრონი წიგნში
ხან გ. ჰელიძეა, ხან გ. ჰელიძე (გვ. გვ. 217, 236).
იშროინდელ ქუთაისში იყვნენ გამოცემულნი
ძმები ჭილაძეები და ამასთანავე იყო სასტუმროს
მეპატრონე გ. ჰელიძეც, რომელიც უნდა იყოს
აკაკის დიდი პატივისმცემელი და მასპინძელი.

1889 წელს წ/კ გამავრცელებელმა საზოგადოებამ
ქართული სკოლა გახსნა სოფელ ძველ სტაქში
და არა დაბა ახალსენაქში (ახლა ცხატოის შონო-
გრაფიაში მოხსენებული „კინში-თხელი“ ირაკლი
ლორთქიფანიძე“ (126) არცთუ ისე ვინმე და უც-
ნობია. ის იყო ერთ დროს ეურნალი „ციცკის“
თანამშრომელი (წერდა ლექსებს და სტატიებს)
და ქართულ საზოგადოებაშიც საკმაოდ ცნობი-
ლი, თაობათა პოლემიკის დროს ძველი თაობის
პოზირე, თანამედრობით ჯერ სამეგრელოს დე-
ლოფის ეკატერინეს მდივანი და მოურავი, ხო-
ლო შემდეგ ქუთაისის ვებუარნატორის კანცელა-
რიის მმართველიც.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლევან ასა-
თიანის ამ ნაშრომით მკითხველი ვრცლად და
მეცნიერულ სიღრმით ეცნობა ჩვენი სასიქადუ-
ლო პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტო-
რიას.

სოლომონ ცაიშვილი

რუსთაველის ხალხური გიოგრაფიის მასალები *

★

ცნობილია, რომ უცვლადი შოთა რუსთაველის
ბიოგრაფია ისტორიული წყაროების მიხედვით
დღესდღეობით დადგენილი არ არის. აქედან გა-
საგებია, რომ თანამედროვეობისათვის გარ-
კვეული მნიშვნელობა აქვს იმ ხალხურ გადმო-
ცემებს, რომლებიც შეტეხიან რუსთაველის
ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს და რომლებსაც
ერთგვარა მნიშვნელობა აქვთ ჩვენი დიდებული
პოეტის ბიოგრაფიის გასათვალისწინებლად. ესაა
ეგრეთწოდებული ხალხური ბიოგრაფია რუსთა-
ველისა. ცხადია, ამ გადმოცემებს კრიტიკული
და ფაქიზი მიდგომა ესაჭიროება; მკვლევარს არ
შეუძლია სრული ნდობით მოვიდოს ამ ხალხურ
მასალებს, მაგრამ ეს კი ნათელია, რომ ზოგჯერ
თი ისტორიულ-კულტურული თუ მეცნიერული
მისაზრება შესაძლოა გაამაგროს ამა თუ იმ ხალ-
ხურმა ცნობამ; ზოგ შემთხვევაშიც ეს მასალები
მეცნიერთა გეოლიკურს გარკვეული მიმართუ-
ლებით წარმართავს და აღძრავს საგულისხმო
საკითხებს. სხვას რომ თავი დაეკანონოს, ამ მასა-
ლებს წმინდა მხატვრული ღირებულება აქვთ,
ისინი მხატვრული, ფოლკლორული ამსახველია

ჩვენი ხალხის ფიქრისა და შეხედულებებისა გე-
ნიოსი პოეტის გარშემო, გამოშატველია იმ გა-
ნუზომული სიყვარულისა და ინტერესისა, რასაც
იზენდა ხალხი საუკუნეთა მანძილზე რუსთავე-
ლისა და მისი უცვლადი პოემის მიმართ.

რუსთაველის შესახებ გადმოცემების შეგრო-
ვება და გამოქვეყნება ახალი საქმე არ არის. ჯერ
კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში გახუთ
„Кавказ“-ში ი. სლოვიცკიმ გამოაქვეყნა „გად-
მოცემა შოთა რუსთაველზე“, რომელიც რუსთა-
ველით დაინტერესებულ რუს ავტორს ჩაუწერია
ერთი მწვერულისაგან. სხვათაშორის, ეს გადმო-
ცემა თავის დროზე გამოიყენა პროფ. ალ. ხა-
ხანაშვილმა თავის წიგნში: „Очерки по исто-
рии грузинской словесности“ (Народный
эпос и апокрифы) ამის შემდეგ უნდა დავსა-
ხელოთ ანტონ ფერცელაძის „შოთა რუსთავე-
ლი“ და იმის ცალი (ძველთაგან ამაღ დარჩენი-
ლი“) (1886 წ.), რომელშიც ფართო გავრცელება
პოვა. არსებობს სხვა პუბლიკაციებიც, რომელ-
თაგან აღსანიშნავია: „ლავენდა რუსთაველის სამ-
შობლოს შესახებ“ (დაიბეჭდა ი. ჰავეციანის „ოფე-
რიაში“ (1894 წ.), „თამარ მეფე და რუსთაველი“
(შვილა გულბატის წიგნში „Сборник грузин-
ских легенд“, რომელიც დაიბეჭდა მოსკოვში
1889 წ.), „მესხური თქმულება რუსთაველზე“,
და სხვ.

ი. მეგრელიძე, გადმოცემები რუსთავე-
ლის შესახებ. (ქართულ და რუსულ ენებზე).
1954, სტალინობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხალხური გადმოცემები რუსთაველის შესახებ გადავიდნენ მხატვრულ ლიტერატურაშიც. მაგალითად, ა. ფურცელაძის მიერ ფიქსირებული გადმოცემა საფუძვლად დაედო კ. მესხის დრამას — „რუსთაველი“ (1890 წ.); აქვე უნდა დასახელოთ ს. შანშიაშვილის „სტალი რუსთაველისა“ და „შოთას ბეჰედი“ (1927 წ.), გ. ასატურის „რუსთაველის სიყვარული“ (სომხურად); ამავე გადმოცემებზეა აგებული დი. ა. კიშვილის ცნობილი ოპერის — „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ლიბრეტო.

სარეცენზიო წიგნი (რომლის პირველი შემოკლებული გამოცემა 1938 წელს გამოსცა საცავშირო მეცნიერებათა აკადემიამ მოსკოვში) უმთავრესად შეიკავეს ავტორის მიერ შევსებული მასალებს, ერთდროულად ვერცხლდა გამოცემის არსებობა. აქ მოცემულია გადმოცემები რუსთაველის დაბადების ადგილის, მშობლების პიროვნების შესახებ (I თავი), რუსთაველის სიყვარულის შესახებ (II თავი), ხალხური ლექსები რუსთაველის შესახებ.

ი. მეგრელიძის მიერ გამოქვეყნებული მასალები გვიამბობენ ჩვენი პოეტის დაბადების ადგილის, მშობლებისა და ნათესავების, მეზობლებისა და სხვა ნათესავების, აღზრდისა და სწავლის, მოგზაურობათა და შეხვედრების, საზოგადოებრივ ფენათა და წოდებებთან დამოკიდებულების, მისი პოემის, ექსპრომტად წარმოთქმული ლექსების, სიყვარულისა და სხვათა შესახებ.

წიგნის ავტორის შესაძლებლად მიიჩნია დაადგინოს ხალხური აზრი რუსთაველის დაბადებისა და გავრცელების შესახებ. გადმოცემის მიხედვით, რუსთაველი 1173 ან 1174 წელსაა დაბადებული, სასწავლებლად დაახლოებით 1191 წელს გაემგზავრა, სამშობლოში 1197 წელს დაბრუნდა, ხოლო როცა თამარ მეფესა და მის ცრებულს აფეფხისტყაოსნის“ დასასრულს უცხოხვდაო, გვეუბნება გადმოცემა, ავტორი 35 წლისა იყო, ე. ი. რუსთაველს „აფეფხისტყაოსანი“ 1208 წელს დასრულდება.

გადმოცემათა ტექსტები რედაქტირებულია გამოცემლის მიერ: ალაგ-ალაგ შემოკლებულია, ზოგიც გამოტოვებული, გამართულია ლიტერატურული ენით.

ი. მეგრელიძის მრავალ მხრივ საყურადღებო გამოკვლევაში, რომელიც ერთდროულად მასალებს, ზოგიც რამ სიდავითა და დამატებითს ძიებას მოითხოვს.

მაგალითად, გვ. 75 ავტორი ლაპარაკობს, რომ რუსთაველის შესახებ წარმომავლობას იღას

ტურებს დიალექტიზმები, რომლებიც პოემაში გვეხვებათ. რუსთაველი რომ შესხეთიდან იყო, ეს ჩანს სხვა საუბრებით, ხოლო, ვერცხლდაო, რად არ ეტყობა. საქმე ისაა, ვერცხლდაო, რად მეცნიერო ლიტერატურაში ვერაინ დასახელდა ისეთი ენობრივი ფორმები, რომლებიც ექვმიუტანლად ამტკიცებდნენ შესტორი დიალექტის გავლენას აფეფხისტყაოსანზე, მიუხედავად იმისა, რომ პოემაში არაიშვიათია ამგაოდ დასავლური კილოვისათვის დამახასიათებელი მოკლებები. პროფ. არნ. ჩიქობავამ, რომელსაც ვეთყვინს გამოკვლევა აფეფხისტყაოსნის“ დიალექტიზმების შესახებ, სრული დამაჯერებლობით ნათელყო, რომ პოემაში წარმოდგენილი დიალექტალური მოკლებები არ შეიძლება მივიჩნიოთ იმის დასადასტურებლად, თუ რომელ დიალექტალურ ჩაიონს ეკუთვნოდა შოთა რუსთაველი. ი. მეგრელიძე კი ასახელებს ისეთ მაგალითს, რომელიც საეჭვოა და გამოუსადეგარი დებულების დასამტკიცებლად. სახელდობრ: „რა ფატმანისა იშვიდა ლომი“... წმინდა შესტორი (ავრთვე დასავლური) გრამატიკული ფორმაა, აშბოსა ი. მეგრელიძე. ავტორს მოეხსენება, რომ ეს ადგილი აფეფხისტყაოსნის“ ძირითად გამოცემებში (მათ შორის, აკადემიურ გამოცემაში, ახლანამ გამოქვეყნებულ ინგოჯიყვასეულ გამოცემაში და სხვაგანაც) ასე იკითხება: „რა ფატმანისა შევიდა ლომი...“ აი ესაა სწორი ფორმა, ხოლო ი. მეგრელიძის მიერ დასახელებული მაგალითი დამახინჯებული ფორმაა.

ვერც იმაში დავთანხმებით ავტორს, თითქოს თამარ მეფე საქართველოში „თამარ დედოფლად“ არ იხსენიებოდეს (გვ. 61) ხალხურ პოემაში ეს გამოთქმა არაიშვიათია (მაგალითად ავრთვე სვანური ხალხური პოეტური ფოკლორის მონაცემები).

წიგნში გაპარულია კორექტორული შეცდომებიც, გარდა იმისა, რომ გვ. 74 — 75 (რუსულ ტექსტში) თეიმურაზ ბატონიშვილი მოხსენებულია მეფედ (грузинский царь Теймураз ნაცვლად ამისა: грузинский царевич, რასაც ვერაოდება მიატკია თერ ავტორმა. იხ. მისი შენიშვნა „ლიტ. ვახუშტი“, გვ. 60 დაბეჭდილია: Советская литература XI — XVIII в. в. (ენდა იოს სვეტსკაია...).

მიუხედავად ჩვენი შენიშვნებისა, უნდა ითქვას, რომ ი. მეგრელიძის წიგნი შედგენილია სიყვარულით და საქმის ცოდნით. იგი უთუოდ სარეკლამოსა მოუტანს მკითხველს.

შ. კახაბერიძე

„ახალი ჰორიზონტის“ მეორე წიგნი



ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტის“ მეორე წიგნის კითხვას მკითხველი იწყებს გმირთა ერთმანეთისადმი რთული დამოკიდებულების შეზღვევით გაღრმავებისა და განვითარების მოლოდინით, შატბა ფრონტზე ისე გაემგზავრა, რომ თამარელას ვერ შეხვდა, ხოლო თამარელამ მოუწოდა ქალებს — ფრონტზე წასული მამაკაცები შეეცვალოთ შახტებშიო. მაგრამ, საკითხავო, როგორ მოხდა, რომ თამარელამ იმ დღესვე დაასკვნა, შახტში უნდა ეიმუშაოთ. ავტორმა, თავისი გმირის სულიერ ცხოვრებაში მომხდარი რთული პრაქტიკული დეტალები განცხადებით გადმოგვცა, მაშინ როდესაც შეეძლო რომელიმე მატერული ეპიზოდით დამაჯერებლად ეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ თამარელა ასე უნდა მოქცეულიყო და არა სხვაგვარად.

მეორე წიგნის პირველსავე ფურცლებიდან ვგრძნობთ, რომ ავტორი გასცნობია მემსახტეთა ცხოვრებას, მათი შრომის ტექნიკურ თავისებურებებს. იგი რეალისტურად აღწერს კომპანიარტის ოთახებს, სამუშაო კაბინეტებს, აღამიანთა ჩაქმულობას, საუბარს, კმათს. მკითხველი ხედავს დაუმცხრალ და დაღვლეულ ყველაზე მზრუნველ, ნიკო არაბიძეს, საქმეებში ჩაფლულ ანდრეი გონტას, ჭლარაშერეული, ინაშქვერ მემსახტე აფრასიონ ფეკლვას, მოხმარებ, თამარ ქალს ენერჯა ლეზინძეს, მემამ ხალხთ ვარშემორტყმულ შახტის უფროსს ლევას, რომელიც საოცარი სიზუსტით ახერხებს ყველაზე პასუხის ვაცემას, ჰირვეულ კოსტა ქარქაშაძეს, მთავარ ინჟინერს ლევანს და სხვებს. მაგრამ რომანის ამ ნაწილში მოქმედ პირთა ისეთი დიდი რაოდენობაა, რომ მკითხველს უჭირს ყველა მათგანის დამახასიათებლად, რადგან ყველა აქ ჩამოთვლილ აღამიანთა პორტრეტებს, მათ ინდივიდუალურ თვისებებს მწერალი ყოველთვის ერთნაირი სიძლიერით ვერ გვიხატავს.

კარგად აქვს ავტორს აღწერილი ნიკო არაბიძის და თამარელას მოგზაურობა შახტის სხვა პორიზონტზე. მას, ვინც არასოდეს არ ყოფილა შატბო, ამ რომანის წაკითხვის შემდეგ საკმაო წარმოდგენა შეექმნება მემსახტეთა შრომაზე. შახტებში მემსახტლის, მანქანების, პორიზონტების განლაგებაზე, იმ ნებისყოფასა და შეუპოვრობაზე, რომელიც საჭიროა ნახშირის ფენების მონგრევა-აფეთქებისათვის, იმ სიძულეებსა და ხიფათებს, რომელიც თან სდევს მიწის სიღრმეში მომუშავე მემსახტის შრომას.

მეორე წიგნის მთავარი გმირბა — თამარელა.

მკითხველის თვალწინ იცვლება და ღრმავდება თამარელას ხასიათი: მოკრძალებული და გაუბედავი ქალიშვილიდან იგი თანდათანობით გაბედულ და აქტიურ პირიქნებად იქცევა. სულ სხვაა თამარელა მეორე წიგნის დასაწყისში, როდესაც იგი ფრთხილად მიჰყვება ნიკო არაბიძეს გვირაბში, ზოგჯერ მუხარაღს გაატყავს ჭერს, ვერ ხმარობს მემსახტის ფანარს და ნესტრან შეეცდობს, ბაგების ტყეს, განცვიფრებული შეეყურებს, — მაგრამ სულ სხვაა თამარელა ნაწარმოების ბოლოს, როდესაც იგი შახტს შეშველივ გაემერული და დაქანული, ამოდის გვირაბიდან და, თავისი შრომით კმაყოფილი და ბედნიერი, შეეყურებს განთიადს.

ამანაკლებ ნათელი ფერებითაა დახატული რომანში ნიკო არაბიძე, რომელსაც მთელი წიგნის მანძილზე თამარელას გვერდით ვხედავთ მსახტის უფროსი ნიკო არაბიძე ყოველთვის იქ ვაჩნდება ხოლმე, სადაც მერე ეპირებაა. ნიკო არა მარტო ტექნიკური ცოდნით და გამოცდილებით აღმურჯილი მემსახტეა, არამედ დაჯილდოებულია ორგანიზატორული ნიჭით, რთულ მოუღწევში ორიენტაციის სწორად აღების უნარით. როდესაც ნიკო არაბიძე შახტის უფროსის კაბინეტში კამათობს, მას რავითი მუშების ინტერესები ალაპარაკებს და არა პირადული, როგორც, მაგალითად, კოსტა ქარქაშაძეს. (საშუესაროდ, ის წინააღმდეგობა, რომელიც ნიკო არაბიძესა და ქარქაშაძის შორის იწყება რომანში, გაღრმავებას და გაგრძელებას ვერ პოულობს წიგნის მთელ მანძილზე). ნიკო არაბიძის და თამარელას ურთიერთობაში ყოველთვის იგრძნობა, რომ შატბაას საცოლედ მხოლოდ ისეთ ქალიშვილს თუ ინდომება ნიკო და მისი მეუღლე ასამთი. ის ტენდენცია ზოგჯერ მეტისმეტად შიშვლად მეღვინდება მთელ რიგ ეპიზოდებში, კერძოდ, შახტში ერთად ყოფნისას და შემდეგ ნიკოს ოჯახში თამარელას სტუმრობისას.

რომანის „კონფლიქტად“ პირველ წიგნში დარჩა ე. წ. ტრადიციული „სივარდლის საშუალებდო“. — შატბაში, მეგის და თამარელას ურთიერთ შორის. ავტორმა მეორე წიგნში იმ „კონფლიქტსაქ“ წაუყრდა, ისე რომ მკითხველს წაართვა საშუალება ინტერესით ეღვენებინა თვალყური რომანის გმირების ინტიმური ცხოვრებისათვის. ცხადია ერთი რამ: რავინდ მნიშვნელოვან მოვლენებზე არ უნდა გვიამბობდეს მწერალი, რავინდ სანატერესო საწარმოო პრიციპებს არ უნდა ავტოწერდეს იგი, თუ გმირთა ცხოვ-

რება, მათი განცდები, ენებები, ურთიერთობანი მიეწიება, მკითხველს უჭირს ასეთი ნაწარმოების წყალობა. ლ. ავალიანი თავისი რომანის მეორე წიგნშიც ვერ ასცდა იმ ნაკლს, რაც საერთოდ ახასიათებდათ ე. წ. „ნაწარმო“ რომანებს. მწერალი ვატიკა საწარმოო ცხოვრების აღწერაში, შრომითი პროცესების ჩვენებაში და ნაკლებ იზრუნა კონკლექტის ვაღრმავებისათვის. ამიტომაცაა, რომ ნაწარმოები კომპოზიციურად არ არის შეკრული და სიუჟეტაც დუნედ ვითარდება. რა გავივით ზვენ მეორე წიგნიდან? ის, რომ თამარელამ სხვა ქალებთან ერთად შახტში დაიწყო მუშაობა, შემდეგ მიიღო შატბიას წერილი, სადაც ვატი სიუჟეტულს უმტყუნებდა მას. ასე რომ, გმირთა შორის არსებული ერთადერთი წინააღმდეგობაც (რამაც ვატი შატბიას რომანის პირველ წიგნში) მიიხსნა. ავტორს სათქმელი არაფერი დარჩა, გარდა იმისა, რომ შატბიას დაბრუნებამდე ქრონიკულად აღწეროს მოვლენები. თუ ჩვენ ცოცხლად დავინახეთ თამარელა, ეს იმიტომ, რომ შახტში მუშაობის სიძნელეებში ნაწილობრივ მაინც დაჰაბდა ამ ადამიანის ბუნება. რომანში თამარელასა და ნიკო არაბიძის ხასიათები უფრო მკაფიო იქნებოდა, რომ ავტორს მოეხსნა (და არა გამოეგონებინა) ბუნებრივი კონფლიქტი და „შახტში რამდენიმე უმნიშვნელო „ბიდათი“ არ ამოეწერა ამ ადამიანების პირობა ცხოვრებულ სიძნელეებთან. მწერლის გაუბედურებამ თავისი ცვალი დაამწინა მთელ სიუჟეტს, მას თუ მთლიანად არა, საგრძნობლად მაინც გამოაცალა დრამატიკში. ეს იგრძნო თვითონ ავტორმაც, ამიტომ შეეცადა რომანის ბოლო ნაწილში ნაწილობრივ მაინც გაერთიანებინა მდგომარეობა. მაგრამ როგორ? სულიყო საჭიროდ მიიჩნევს შატბიას კალიგრაფიით შეთხზას სატრფიალო წერილი მეგობარში, ამით შეცდომაში შეიყვანოს მეგი, მაგრამ სიუჟეტის ასეთ ხელოვნურ დახლართვას არავითარი შედეგი არ მოსდევს. მეგი აღმოაჩენს სულიკოს მიერ შეთხზულ ბრატის შეც და წინასწორობდაეკარგული, შეურთაცხუროფლი სილას გააწინავს მძასჯერ-ერთი, ეს ეპიზოდი ძალზე აწერდამანებს მკითხველის თვალში რომანის ვიწროებს, მეტისმეტად იაფფასიანი და პრიმიტიულია მათი ინტრიგა, მეორედ, გაუგებარია რისთვის დასჭირდა სულიკოს თავისი დის ასე ვანერვიულება და შორეულება? ხომ უნდა იყოს გაუგებრობის შექმნის ეს განზრახვა რაიმეხნო მრტიერებელი? თუ ეს წინდაუხედავი ხეშრობაა, მაშინ ვანა ღირდა მის აღაწერად მთელი გვერდები დაეთმო მწერალს?

სიუჟეტის მოქმედობა, უძარლობა გაცლენას ახდენს მთელი რიგი ვიწროების ხასიათების გამოკვეთაზე. მეორე წიგნში თითქმის არაფერი შემატებია მეგის ხასიათს, იმიტომ რომ მას არც

რამე აქვს ვასაცუთებული და სათქმელი. მწერელმა ვერ შეხსლო თავისი დაღებებით და ცარყოფითი ვიწროების ენებათა და ინტრიგათა ისეთი დაპირისპირება, მათი ისეთი შეწყობა, რომ მკაფიოდ გამოვლანებულიყო რაიმეხნო პირველთა, ასე მეორეთა სულიერი ცხოვრება. გარდა ამისა, თამარელას და შატბიას რომანს ბოლომდე შეერჩა სანტიმენტალური ელფერი. ამ რომანშიც არაფერია საინტერესო შატბიას წერილის შემდეგ.

ვერ ვიტყვი, რომ ნაწარმოებში მოხაზული არ იყოს ურყოფითი ვიწროთა სახეები. საკვარისია გავიხსენოთ კოსტა ქარქაშაძე, რომელიც სკეპტიკურად არის ვაწყოობილი ქალების შახტში მუშაობასადმი და საერთოდ ვერ იჩენს შექმნილ ვითარებაში სწორი ორიენტაციის უნარს. მაგრამ რომანში იმდენად მკრთალად ჩანს ეს ადამიანი, იმდენად ზორცუქუსხულია მისი ხასიათი, რომ იგი იკარგება მკითხველის მეხსიერებიდან. ასევე დაუსრულებელი, უფრო მეტიც, გაურკვეველია შახტის პარტორგის ალექსის სახე. იგი იშვიათად გვხვდება რომანში და მკითხველს უჭირს წარმოდგინოს ამ კაცის გარეგნობა, მისი ხასიათი. ისეთი უმნიშვნელო შეხლა-შეშოხლა, რომელიც შეშახტე ზაფიძისა და ნიკო არაბიძის შორის ხდება შახტის ერთ-ერთ უბანზე და რომელშიც პარტორგი ჩაერია, ვერ ამტკიცებს ალექსის პიროვნებას. ამ ეპიზოდის მოხედვით მკითხველი ვერც სიშაითით და ვერც ანტიპათიით ვერ იშკვალება პარტორგისადმი. მეორე წიგნის ეს სერიოზული ხარვეზი ვერ შეავსო რაიკომის მდენის ბეგლარის გამოჩენამ შახტში. ვანა იმისთვის, რომ ვუჩვენოთ მასეხზე კომუნიტური ხელმძღვანელობა, აუცილებელია რაიკომის მდენის ხელში მივაგვიჩოთ ბურღი და ნახშირის ფენები ვანგრევიით? მწერალი ვეცუტეს: ეს პირადი შაგალითის ჩვენება იყო მუშახტებისთვისო. მაგრამ სხვა ვერაფერში გამოამტკიცა ბეგლარმა თავისი ნიჭი და უნარი, როგორც პარტიულმა ხელმძღვანელმა? საწუქხარო სწორედ ის არის, რომ მწერალმა ვერ მოახერხა უფრო ტიპიური სიტუაციებში ვრევენებინა ბეგლარი, როგორც პარტიული ხელმძღვანელი, იოლი გზით წავიდა და მისი ვიწროც პლაკატური, სტემატური გამოვიდა (იხ. გვ. 200 — 201).

დუნე სიუჟეტი მეტწილად მაინც ვანახლერავს ნაწარმოების აქტიუტეტონიკას, საერთო ვანწყობილებას. თუმცა მწერალი რამდენიმე ადგილას ამბობს, რომ ადამიანების ვანწყობილება, მათი შრომითი საქმიანობა ვარკვევლად შესცავლა ომის დაწყებაში, მაგრამ ეს მოქმედებაში, ვიწროთა ურთიერთობაში ნაკლებ იგრძნობა. მთლიანად მუხრე წიგნი არ არის ვანსუკალული იმ დასაბულობით, მტუღვარებელ, რაც ომში მოიტანა. მოქმედ პირობ ცხოვრებაში ძალზე ქრონი-



კვლად არის აღწერილი. გარდა ამისა, რომანის ზოლოს წერტილი არ არის დასმული ლოგიკური აუცილებლობით. რა პრინციპით სარგებლობდა მწერალი, როდესაც ამ რომანის მეორე წიგნს წვეტილა? პრინციპი ერთია: უნდა დასრულდეს მნიშვნელოვან მოვლენათა გარკვეული რიგი, რომელშიც მოქმედებენ რომანის გმირები და ამავე ახალ ფაზაში უნდა შევიდეს. ფიქრობთ, ახალი პირობების შეორე წიგნს ძალზე პირობითად არის დასრულებული, რადგან სამამულოში ერთი მთლიანი ისტორიული მოვლენაა და ამ რომანის სხვადასხვა წიგნში მისი დანაწილება არ არის არც მხატვრული და არც ლოგიკური აუცილებლობით გამოწვეული.

იმალება კითხვა: ჰქონდა თუ არა მწერალს საშუალება გაემსაფრებინა თავისი რომანის მეორე წიგნი, დაეძაბა და გაედრმავებინა გმირთა ტრიტიკობა? უდავოდ ჰქონდა: სამამულო ომის სინამდვილე ამის უთვალავ, შესაძლებლობას იძლევა. ნუთუ მწერალმა ვერ დაინახა მალარტე, თა ქალაქში ვერც მეშინები და ეგლისტები, ვერც მშინარები და გაქნილი გაიძვერები, ზნედაცემული პიროვნებანი, რომელთაც დაუპირისპირდებოდა პატრიოტული, მებრძოლი სულისკვეთების, მაღალი შორალის მატარებელი დადებითი გმირები? სინამდვილის მხატვრული ასახვა მოითხოვს ძველისა და ახლის, მომავლდვის და შხარდის ბრძოლის ჩვენებას. თუ ეს წიგნში არა ზანს, იგი უბერბემლოა; და ვერ გაიტყებს მკითხველს, რაგინდ აქტუალურიც არ უნდა იყოს ნაწარმოების თემა.

უკონფლიქტო სიუჟეტი გავლენას ახდენს იგივე მწერლის სტილზეც. იგი იძულებულია

თვითონვე გველაპარაკოს თავის გმირებზე, ვიდრე თვითონ გმირები ამბუტყველოს და ამოქმედოს. ამიტომია, რომ რომანის წიგნებში უჭირავს ავტორის რეპარკებს: მისი მიქცევა დახასიათებას, გარემოს გაპიანურებულ აღწერას. ხშირად მწერალი დიალოგს გაუბრის, თავის გმირებს ართმევს სალაპარაკოს და თვითონ ლაპარაკობს მათ მაგერა. ეს ყოველთვის როდია მხატვრულად გამართლებული.

გუმართლებელია რომანის მეორე წიგნის ორბიტიდან მთლიანად დაეარგვა მთავარი გმირის შატბია არაბიძისა. თამარელს შიერ შატბას სასიყვარულო ბრათობის მიღება აქ საქმეს ვერ შევლის. შეუძლებელია რომანის სიუჟეტიდან ასე ამოვადლოთ მთავარი გმირი, რომელიც მკითხველს მკათიოდ ახსოვს პირველი წიგნიდან და მხოლოდწინადად მოელოდა მეორე წიგნის ფერცლებზე მის გამოზნებას.

რომანის ყველა ეს სერაიზული ნაკლი ერთ ფოქუსში იყრის თავს — მის უკონფლიქტობაში. ამ სერიოზულ ნაკლს ვერ ფარავს ვერც დადებითი გმირთა ენაწულიანი დახასიათება, ვერც შატბების დამაჯერებელი აღწერა, ვერც ფსიქოლოგიური მომენტების ისედაისევე ავტორისეული აღწერა. უკონფლიქტო სიუჟეტის გამო რომანის მეორე წიგნი უფერული გამოვიდა, სახეები, ზისიათები დაუსრულებელი, ბოლომდე გამოუვლანებული დარჩნენ. ეს ყველაფერი იმაზე ლაპარაკობს, რომ მძაფრი, ბუნებრივი ცხოვრებისეული კონფლიქტის გარეშე მწერალს უძნელდება რომანის შექმნა.

გ. ხუზაშვილი

ფასი 8 ლ.

ბ 17/348.

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ